

1162
2008

13
ქართული
ბიბლიოთეკა

ისტორიულ – ეთნოლოგიური
ქიეზანი

X



ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და
ეთნოლოგიის
ინსტიტუტი

IVANE JAVAKHISHVILI INSTITUTE OF
HISTORY AND ETHNOLOGY

ისტორიულ-ეთნოლოგიური
ძიებანი

X

STUDIES IN HISTORY AND ETHNOLOGY

თბილისი – 2008

YDK 947.922: 39 (479.22)

(082) 0885

ISSN 1512-2727

რედაქტორი: ვალერიან ითონიშვილი
ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

სარედაქციო კოლეგია:

ხათუნა იოსელიანი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

ავთანდილ სონღულაშვილი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ლავრენტი ჯანიაშვილი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

რუსუდან ლაბაძე,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

რეცენზენტი: გელა საითიძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

Editor in chief: Valerian Itonishvili.
Doctor of History

Khatuna Ioseliani Doctor of History

Avtandil Songhulashvili Doctor of History

Lavrenti Janiashvili Doctor of History

Rusudan Labadze Doctor of History

Reviewer: Gela Saitidze Doctor of History

კომპიუტერული უზრუნველყოფა: ლეილა ხურცია
© გამოცემულია ავტორთა ხარჯით

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის გრიფით 2000 წლიდან დაიწყო სამეცნიერო კრებულის გამოცემა სახელწოდებით – „ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი“. მისი დაფუძნება განხორციელდა ვახტანგ ითონიშვილის ინიციატივით. სამწუხაროდ ის მხოლოდ პირველი ტომის გამოცემას მოესწრო.

კრებულში იბეჭდებოდა სხვადასხვა თაობის ცნობილ მკვლევართა შრომები, რამაც განაპირობა მისი ხარისხი და პოპულარობა. მიუკერძოებლად შეიძლება ითქვას, რომ კრებულმა საპატიო ადგილი დაიმკვიდრა ინსტიტუტის სერიულ გამოცემათა შორის.

ინსტიტუტის რეორგანიზაციის შემდეგ, გაგრძელდა კრებულის გამოცემა ამავე ინსტიტუტის გრიფით, სახელწოდებით: “ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი”. ამჟამად გამოვიდა საიუბილეო – X ნომერი, რომელიც ასევე მრავალფეროვანი თემატიკით გამოირჩევა და დანარჩენების მსგავსად, თავის ადგილს დაიმკვიდრებს ქართულ სამეცნიერო საზოგადოებაში.

საქართველოს
ენციკლოპედიის
გამომცემი

ლადო აღნიაშვილის ცნობები ფერეიდნელი ქართველების შესახებ

იმ ქართველ მოღვაწეთა შორის, რომლებიც უცხოეთში მცხოვრები ქართველების ისტორიულ-ეთნოგრაფიულ შესწავლაზე ფიქრობდნენ, ლადო აღნიაშვილს ღირსეული ადგილი აქვს დამკვიდრებული. მის სახელთან არის დაკავშირებული შაჰ-აბაზის მიერ ირანში იძულებით გადასახლებულ ქართველთა შთამომავლების ენის, ყოფა-ცხოვრების, ზნე-ჩვეულებისა და სულიერი კულტურის შესწავლა. მან ურთულესი მოგზაურობის პირობებში, უმძიმესი გაჭირვების ატანით და თავდადებული შრომით მოიპოვა უადრესად ფასეული მასალა, რის ნიადაგზედაც შექმნა ფერეიდნელ ქართველთა ცხოვრების უნიკალური მატრიანე (ლადო აღნიაშვილი, სპარსეთი და იქაური ქართველები, ტფილისი, 1896 წ.). მის ესოდენ დიდ დამსახურებას გამოეხმაურა ცნობილი პუბლიცისტი იაკობ მანსვეტაშვილი და მოკლედ შეაფასა ხსენებული წიგნის ღირებულება [იაკობ მანსვეტაშვილი, მოგონებები, 1985, 92-93].

იაკობ მანსვეტაშვილს უნდა დავეთანხმოთ, რომ ლადო აღნიაშვილმა მკითხველს გააცნო ირანში მოგზაურობის შედეგები, მაგრამ ამ მოკლე ინფორმაციის პარალელურად საჭიროდ მივიჩნევ სპეციალურ სტატიაში მეჩვენებინა ლ. აღნიაშვილის დამსახურება სამშობლოდან მოწყვეტილი ქართველების ცხოვრების შესწავლის სფეროში.

ლ. აღნიაშვილის მიერ უშუალო დაკვირვებითა და მოსახლეობის გამოკითხვით მოპოვებული ფაქტობრივი მონაცემები ეხება ირანის გეოგრაფიულ მდებარეობას.



რეობას, ჰავას და ფაუნას, სახლ-კარს, ჩაცმულობას, სამეურნეო და სამრეწველო საქმიანობას, კვების სისტემას, სპარსელის ტიპს, ხასიათსა და ჩვეულებებს, რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებს და დღესასწაულებს.

ლ. აღნიაშვილის უმთავრეს ამოცანას შეადგენდა გასცნობოდა ირანში იძულებით გადასახლებულ ქართველთა ყოფა-ცხოვრებას. მან ცხადყო, რომ ირანის ხელისუფლებამ ქართველები ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში და პროვინციებში მიმოფანტა, რჯული შეუცვალა და დროთა ვითარებაში მათი სრული ასიმილაცია მოახდინა. ერთადერთი რეგიონი აღმოჩნდა ფერეიდანი, სადაც კომფაქტურად დასახლებულმა ქართველებმა შეინარჩუნეს ქართული ენა, მეტ-ნაკლებად მშობლიური ცხოვრების წესი და ქრისტიანული რელიგიის მკრთალი ანარეკლი.

ლ. აღნიაშვილის დაკვირვებით, ფერეიდნელი ქართველების სამეურნეო საქმიანობა (მემინდვრობა, მესაქონლეობა და ნაკლებად განვითარებული მეზღვეობა) ფაქტიურად ირანის მოსახლეობის ანალოგიური იყო. დამკვირვებელს შექმნია შთაბეჭდილება, რომ ფერეიდნელი ქართველების ყოფა-ცხოვრებაშიც დიდი ცვლილებები მომხდარა. მისი ინფორმაციით, „ჩვეულებანი, რომლითაც ივინი უნდა განსხვავდებოდნენ დანარჩენ სპარსელთაგან, ძლიერ მცირედი რაიმე აქვთ შერჩენილი. სახლებს იშენებენ ისე, როგორც ქართლში იციან, ხოლო იმ განსხვავებით, რომ იმათი სახლი მიწის ზევითა სდგას, მაღლა. ძალიან ხშირად შეჭხვდება აგრეთვე კაცი უწინდელ ჩვეულებრივ დარბაზებს რამდენიმე სვეტით: ოთხით, ექვსით, თორე რვა სვეტითაც. მთელს ირანში, გარდა ამათი, არავინ იშენებს ასეთ სახლებს. ეხლა სახლი, მარალია, სპარსელებმაც ბანიანი იციან, მაგრამ ამათი სახლის ბანი რამდენიმე გუმბათს წარმოადგენს და ქართველე-



ბისა კი ყოველთვის ბრტყელი ბანიანია და შიგ შიგ ადგილას, სანათური ატანია. ესლა ბევრგან მიუყვიათ ამათის წაბაძვით ხელი ასეთი სახლების შენებისათვის და სახელსაც „გურჯი ფუშს“ (ქართულად დახურულს) ეძახიან [აღნიაშვილი: 196].

ლ. აღნიაშვილი დაჰკვირებია მატერიალური კულტურის სხვა ელემენტებსაც. მისი ცნობით, „აქეთ ამათ აგრეთვე ქართული, ნადმვილი ჩვენებური ურემი. აგრეთვე ზოგიერთ იმათ მეზობლებსაც, იქაურ სომხებს“ [196]. რაც შეეხება ტანსაცმელს, გაერცვლებული ყოფილა მხოლოდ სპარსული. ერთადერთი, რაც სპეციფიკას ქმნიდა, იყო სპარსულისაგან განსხვავებული მოკლე ქართული ახალუხი [199].

ლ. აღნიაშვილის განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევია ფერეიდნელ ქართველთა ენას, წინაპართაგან შემორჩენილ ეროვნულ ცნობიერებას, გარეგნობას და ზნეობას. მოსახლეობასთან კონტაქტის საფუძველზე იგი დარწმუნებულა, რომ ქართულმა ენამ მეტ-ნაკლები ცვლილებები განიცადა, მაგრამ „ჩინებულად ლაპარაკობენ ნამეტნავ რამდენიმე სოფელში. როგორც წუნი არ დაედვის ჩვენ მიერ ქართულ ლაპარაკს ხევსურებისას, ქიზიყელი გლეხისას ანუ რომელიმე ტეტია სოფლელისას ქართლ-კახეთის კუთხე-კუჭულებიდან, აგრეთვე წუნს ვერ დავდებთ იქაური ქართველების ლაპარაკს. აქცენტი მათ ლაპარაკში სწორედ ისეთივეა, როგორც ჩვენებური სოფლელი გლეხისა ნამეტნავ ქიზიყელისა და ხევსურისა (ფშავისა), და საკვივრელი ის არის, რომ ეს აქცენტი მართო ქართულ ლაპარაკში აქეთ ერთი“ [199-200].

ლექსიკური ფონდის მონაცემების გათვალისწინების საფუძველზე ლ. აღნიაშვილმა კიდევ ერთხელ აღნიშნა: „ლაპარაკი უახლოვდება უფრო კახურს, მის ძველებურის გამოთქმით, რომელიც უფრო უკედ არის

დაცული დღეს ქიზიყში და ნამეტნავ ფშავ-ხევსურეთში“ [212].

ლ. აღნიაშვილის ეს დაკვირვება იმ რეალობის მაჩვენებელია, რომ ფერეიდნელებმა შეინარჩუნეს მეტყველების ის სტილი, რაც ირანში გადასახლებამდე მათი წინაპრების სალაპარაკო ენისათვის იყო დამახასიათებელი.

მეორე უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რაც წარმოაჩენს ფერეიდნელთა ქართველობას, არის წინაპართა ეროვნული ცნობიერების შენარჩუნება, რასთან დაკავშირებითაც ლ. აღნიაშვილი წერს: „ყოველი მათგანი, დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, ბავშვი თუ მსცოვანი, აღიარებს თავის თავს წმინდა ქართველად. ვერავინ გაუბედავს მათ სხვაფრივ მოხსენებას, თუ არ გურჯი. მას ესმის, რომ ის გურჯია და ესმის სრულის შეგნებით. ესმის და თავი მოსწონს ამითი. პირველი ქართველი მას ჯერ თავისი თავი ჰგონია და მერე სხვები. ჩვენ შეგვიძლიან უფრო შორს წავიდეთ ამ შემთხვევაში და ვთქვათ, რომ მას არამც თუ არ დაუკარგავს დღევანდლამდე თავისი ნაციონალური სიამაყე და მედიდურობა, არამედ ნამდვილი პატრიოტული გრძნობაც შეჰრჩენია“ [200].

ქართველობის შენარჩუნების საფუძველი ლ. აღნიაშვილმა დაინახა ფერეიდნელთა გარეგნობისა და ზნეობის მიხედვითაც. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა დამკვირვებლის შემდეგი სიტყვები: „კეთილი და სათნოიანი, სტუმართ მოყვარე, პატიოსანი, თავმოყვარე, მამაცი, გამბედავი, შემბრალებელი (ლმობიერი) და პირში მთქმელი. გასაკვივრელია, რომ ამ სპარსეთის ქვეყანაში, სადაც ამოდონა ჭირი და მწუხარება გამოუვლიათ, სადაც სრულიად უძღურნი და უღონონი ესე უპატრონოდ ღვთის ანაბრობაზედ იყვნენ მიტოვებული ამ სამასი წლის განმავლობაში, მათ სპარსული ფლიდობა და პირფერობა არ შეუთვისებიათ.



აქ, სადაც ეს საზიზღარი თვისებანი ესე გადაიდგმებოდა, სენსავით არის მოდებული, როგორც სპარსთა, აგრეთვე სხვა ერთა შორისაც, აქ ქართველი იგივე გულახდილია, პირში მთქმელი და გულუბრყვილო. ის არ ადგას არც აქ გამორჩომის გზას და ისეთივე უანგაროა, როგორც მის მოძმე ქართველი გლეხი, მის ძველს სამშობლოში, მის საქართველოში მცხოვრები“ [200].

ქართული ცნობიერების შენარჩუნების ერთ-ერთ ფაქტორად ლ. აღნიაშვილის მიერ წარმოჩენილია აგრეთვე ვინაობის აღმნიშვნელი გვარის ფუნქციონირება, რის შესახებაც ვკითხულობთ: „საკვირველია, რომ სპარსეთში, სადაც საზოგადოდ გვარები (ტაიფები) არ არის ხმარებაში და სადაც კაცი იცნობს მხოლოდ თავისი საკუთარი სახელით, ქართველებს წმინდად შეუნახავთ თავის გვარები. გვარები წმინდა ქართულია და ყოველი მათგანი დღემდე ისევე სცოცხლობს საქართველოში“ [197].

ეჭვის შეტანა არ შეიძლება იმაში, რომ აღნიშნული ფაქტორიც ეროვნული ტრადიციის მდგომარეობის გამომხატველი და შორეულ წინაპრებთან გენეტიკური კავშირის დამადასტურებელია.

ლ. აღნიაშვილის თხრობისათვის ნიშანდობლივია ისიც, რომ უცხო გარემოში სამასწლიანი ცხოვრების მიუხედავად, ფერეიდანში „ხალხს ტიპი ქართველისა საკმარისად აქვს შენახული, ბევრი ისეთი წმინდა ქართველი სახის პატრონი არიან, რომ გასაშტერებელია. ნამეტნავ ის სპარსული ქუდეები და წამოსასხამები რომ არ აუშნოვებდეთ. ჩააცვით რომელსაც გნებავთ ქალსა თუ კაცს ქართული ტანისამოსი და, დამერწმუნეთ, ვერ გამოარჩევთ აქაურ, ჩვენებურ გლეხობაში“ [193-194].

განხილული ფაქტობრივი მონაცემები ნათლად გვიჩვენებენ ისლამურ გარემოცვაში მცხოვრები ქართველების იერსახეს ყველა იმ გენეტიკური ფაქტორე-

ბის მიხედვით, რამაც განაპირობა ეროვნული ცნობიერების შენარჩუნება. შეიძლება ითქვას, რომ ანალოგიური მოვლენა მსოფლიოს არც ერთ ხალხში არ შეინიშნება.

ფერეიდანში ქართველობის შენარჩუნების საფუძველი იყო კომპაქტური ცხოვრება და მხოლოდ ურთიერთშორის ქორწინება. მაგრამ მათ ეროვნულ ერთობას ბზარი გასჩენია არაქართულ მოსახლეობასთან საქორწინო კავშირის შედეგად, რაზედაც პასუხს გვაძლევს ლ. აღნიაშვილის შემდეგი განმარტება: „დღემდე თავის ქალებს აქაური ქართველობა არ აძლევდა სხვა ტომის ხალხს და არც თითონ მოჰყავდათ ცოლებად სხვა ქალები. დღეს კი ამ ჩვეულებას რამდენიმე სოფელიდა ადგა. დანარჩენებს ცოტ-ცოტაობით დაურღვევიათ ეს ჩვეულება და ეს არის სწორედ იმის მიზეზი, რომ იმ სოფლებში, როგორც ზევით მოვიხსენეთ, ენაც კი დაჰვიწყებიათ. თითქმის ყველა იმისთანა სოფლებში, სადაც ქართული აღარ იციან, ხალხი არეულია, რადგან ყველაზე ადრე იმათ დაუწყიათ არაქართველთათვის ქალების ძლევა“ [197].

ქართული ცნობიერების შერყევის ერთ-ერთ მიზეზად მიჩნეულია ქართველთა საფლაგებზე ქართული წარწერების წაშლაც. ლ. აღნიაშვილიმ განმარტებით, რაკი აქაური ქართველები „მკაცრი მაჰმადიანნი“ გახდნენ, ასეთი წარწერები თითონვე შემუსრეს [200-201]. ასეთ ვითარებაში, როდესაც ფერეიდნელი ქართველები ისლამის ერთგული მსახურნი გახდნენ და ყველა წესს მოლების, ახუნდების თუ დარვიშების ქადაგებით აღასრულებდნენ, მათ შორის ქართულის ნაცვლად უკლებლივ სპარსული სახელები გავრცელებულა, რასაც მკვლევარი ფაქტობრივი მონაცემებით აღასტურებს [199].

გულმოდგინე ძიების მიუხედავად, რომ ფერეიდნელთა რწმენაში ქრისტიანობის ნაკვაღევი დაეფიქსი-



რებიან, ლ. აღნიაშვილს შეუნიშნავს მამაკაპური რელიგიის მხოლოდ მცირედი არანეკლი. იმის შესახებ კი, თუ მათ შორის რანაირი ხასიათისა იყო ეს ნაკვალევი, ლ. აღნიაშვილი გვაუწყებს: „შემოპროჩომიათ აგრეთვე ორი ჩვეულება, მათის ქრისტიანობის დროიდან, თუმცა დღეს მათ სრულიად აღარ ესმით მათი წინანდელი მნიშვნელობა და ასრულებენ ისე, როგორც ერთ რამ უბრალო ჩვეულებას. ერთი არის ის, რომ, როდესაც ცომის ზელას მორჩებიან, ზედ ჯვარედინად დაჰკრავენ ხელს. ეს ჩვეულება მე თვითონ არ მინახავს, ნაამბობი მქონდა ზოგიერთ სომეხთაგან და როდესაც დავეკითხე თვით ქართველებს თოლერსა და მარტყოფში, იმათაც კვერი დამიკრეს – მართალია, ეხლაც ესე ვიცი“ [198].

ქრისტიანობის მეორე ანარეკლად დამკვირვებელი ასახელებს სულთმოფენობას, რაც „ისეთს დღეს მოდის, როდესაც მთელს სპარსეთში არავითარი დღესასწაული და სამხიარულო დღე არ არის. მაგრამ ესენი და ბევრი სხვა ფერეიდანელიც იყრებიან იმ დღეს ქართველებთან ერთად, ირთვებიან სრულიად ახალის ტანისამოსით და გადიან მინდორ-მთებში სალხინოდ, დროს გასატარებლად“ [198].

როგორც ვხედავთ, ენისა და ქართული იერსახის ზოგიერთი ზემოხსენებული ჩვეულებისაგან განსხვავებით, ისლამის მიღების შედეგად ფერეიდნელი ქართველების ცხოვრებაში მთლიანად წაიშალა ქრისტიანული ცნობიერება და ხალხმა მისგან მხოლოდ მისთვისვე გაუგებარი მცირედი ანარეკლი შეინარჩუნა.

ფერეიდნელი ქართველების ვინაობის, ენის, ყოფა-ცხოვრების, ზნე-ჩვეულებების და რელიგიური კუთვნილების საკითხების კვლევის პარალელურად ლ. აღნიაშვილი კრიტიკულ შეფასებას აძლევს სომეხთა პატივმოყვარეობას, მას მიერ იმ ცრუ შეხედულების გავრცელებას, თითქოს ფერეიდანის მკვიდრთა უმრავ-



დესობა ტომით სომეხი იყო. მათი ეს შეხედულება გამოჩნდა ევროპელი მეცნიერის რეკლიუს ნაშრომშიც, რომლის კრიტიკის საფუძველზეც ლ. აღნიაშვილი ასაბუთებს, რომ აქაურ სომეხთა მიერ ქართული ტანსაცმლის გადაღება და ქართული ცხოვრების წესისადმი მიბაძვა სრულებითაც არ იყო იმის დამამტკიცებელი, რომ ფერეიდნელი ქართველები სომხებად ელიარებინათ. ლ. აღნიაშვილს მიაჩნია, რომ სომხები ამ შემთხვევაშიც შეპყრობილნი იყვნენ იმ ამბიციით, თითქოს მსოფლიოში პირველი ენა იყო სომხური, რომ ქართველები გრიგოლ განმანათლებელმა გააქრისტიანა და მთელ კავკასიასაც საქართველოს ჩათვლით ისტორიულად სომხები ფლობდნენ [122, 123, 127, 128, 142-145].

განხილული საკითხების მიხედვით თვალნათლივ გამოჩნდა, თუ ღაღო აღნიაშვილმა რაოდენ დიდი გულმოდგინებით იმოგზაურა ირანში და რაოდენ დიდი ამაგი დასდო მან ფერეიდნელი ქართველების ისტორიულ-ეთნოგრაფიულ შესწავლას. ამ მხრივ მას გამორჩეული ადგილი უჭირავს სხვადასხვა ეპოქის იმ ქართველ სწავლულთა შორის, რომლებმაც ფერეიდნელთა ყოფა-ცხოვრების შესწავლაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს და მომავალში უსათუოდ ღირსეულ შეფასებას იმსახურებენ.



Lado Aghniashvili About Phereidianian Georgians

Lado Aghniashvili is one of the well known researchers among those who studied every day life of Georgians lived abroad. He is known as the researcher of the language, traditions and spiritual culture of the Phereidianian (a provinces of Iran) Georgians, whose ancestors were forcedly displaced by Shah Abas in Iran. After extremely difficult trip, Lado Aghniashvili arrived in Iran, where, after hard work with Phereidianian Georgians, gathered valuable materials on the basis of which he created the unique chronicle of their life (Lado Aghniashvili, Persia and Georgians Living there, Tphilisi, 1896).

Lado Aghniashvili was recording data about Iran and its population, but his main purpose was to become acquainted with every day life of forcedly displaced Georgians. He found out that the government of Iran converted Georgians, who lived in different towns and provinces, into Islam and in the course of time carried out their complete assimilation. The only region was Phereidan, where compactly settled Georgians could preserve Georgian language, more or less traditional every day life of their ancestors and the poor reflection of Christianity.

უცხოელ მკვლევართა ცნობები დვალებისა და დვალეთის შესახებ

ქართველი და კავკასიელი ხალხების ეთნიკური ისტორიისა და ეთნოგეოგრაფიის შესწავლაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს დვალთა ვინაობისა და მათი სამოსახლო ტერიტორიის საკითხებს, რამაც დიდი ხანია მიიპყრო ქართველი, რუსი და ევროპელი დამკვირვებლების ყურადღება. ვახუშტი ბაგრატიონის შემდეგ, რომელიც დვალეთის ეთნოგეოგრაფიისა და დვალთა ეთნიკური კუთვნილების საკითხების მეცნიერული კვლევა-ძიების ჭეშმარიტ მესაძიარკველდ გვევლინება, ყურადღებას იქცევს XVIII-XIX საუკუნეების ზოგიერთი უცხოელი ავტორის მიერ გამოთქმული მართებული თუ უმართებულო მოსაზრება, რაც სათანადო შეფასებას იმსახურებს დვალებისა და დვალეთის შესწავლის ისტორიოგრაფიაში.

XVIII საუკუნის მკვლევართაგან გასათვალისწინებელია გერმანელი მეცნიერის, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ი. გიულდენშტედტის საქართველოსა და კავკასიაში მოგზაურობის შთაბეჭდილებები და დაკვირვებები, რომელთა მრავალმხრივ სპექტრში დვალებისა და დვალეთის საკითხსაც გარკვეული ადგილი უჭირავს.

საქართველოსა და კავკასიის ცალკეული რეგიონების გულმოდგინე აღწერის მიუხედავად მკვლევარი სერიოზულ შეცდომებს უშვებს დვალეთის ლოკალიზაციასთან დაკავშირებით. ის სწორად მოიქცა, როდესაც თავის ნაშრომში გამოყო „შუა ანუ შიდა ქართლი“, როგორც მთავარი ნაწილი ქართლისა, როგორც მისი ერთ-ერთი პროვინცია [გიულდენშტედტი:



1962, 267]. მარტო ამის აღნიშვნით რომ დაკმაყოფილებულიყო ვიფიქრებდით, რომ შუა ანუ შიდა ქართლის მისი გაგებით, ქართლის ორგანული ნაწილია, მაგრამ ამგვარი გაგება იცვლება, როდესაც შიდა ქართლის ხეობათა მაღალმთიან ზონას „ოსურ მხარეებად“ მიიჩნევენ. ამის საფუძველი მან დაინახა ამ ზონაში ოსური დასახლებების არსებობაში. მისი გამონათქვამით „ოსური მხარე“ მოიცავს როგორც საკუთრივ ოსეთის ხეობებს (ვალაგირი, დიგორი...), ისე ქართლის მთიანეთს (ლიახვის ხეობას, ღუდის ხევს და ა.შ.), სადაც იმ დროისათვის ოსები ცხოვრობდნენ [გიულდენშტედტი: 1962, 35]. „ოსური მხარეების“ გამოყოფის საფუძვლად ი. გიულდენშტედტი მიიჩნევს ოსთა განსახლებას – სულერთია ეს იქნებოდა საკუთრივ ოსეთში თუ საქართველოში.

გერმანელი მეცნიერის დაბნეულობამ განსაკუთრებით იჩინა თავი დვალეთის ლოკალიზაციაში. მისი მცდარი იცფორმაციით, დვალეთი მდებარეობს „რიონის შენაკად ჯეჯოზე (ჯეჯორა – ვ.ი.), ალპური მთების სამხრეთით, იმერეთის საზღვარზე... ჩრდილოეთით ის ვრცელდება თერგში ჩამდინარე არდონის სათავეებამდე და არდონზე მდებარე მამისონის მხარემდე [გიულდენშტედტი: 1962, 67]. მისი თვალსაზრისით, ჯეჯორას ხეობა ყოფილა „ოსური მხარე დვალეთი“ [ვახ. ითონიშვილი: 2002, 291], ან „იმერულ-ოსური მხარე თვალდა თუ დვალდა [ვახ. ითონიშვილი: 2002, 299]. ასევე გაუგებრობას იწვევს ცნობა, რომ კუდარო „ეკუთენის ოსურ მხარეს დვალეთს“. დვალეთისაგან, როგორც ოსური მხარისაგან განსხვავებით, მის მიერ ქართულ მხარედაა მიჩნეული მდ. ქსანზე, პატარა ლიახვზე და დიდი ლიახვის ზემო წელზე მდებარე ქართული მხარე მალრან-დვალეთი [Tomaschek: 1903, 279; გიულდენშტედტი: 1962, 173]. სხვაგან წერს, რომ „მალრან-დვალეთი მდებარეობს ზემოთ დიდ ლიახვზე“ [გი-



ულდენშტედტი: 1962, 63], „ურძეალთა, ქართულად მაღრან-დვალეთი – დიდი ღიახვის სათავეებთან“ [გიულდენშტედტი: 1962, 67].

დამოწმებული გამონათქვამების შეჯერება თვალნათლივ ცხადყოფს ავტორის დაბნეულობას დვალეთის ფოკალიზაციაში. ეს პირველ რიგში ვლინდება ნათქვამიდან, რომ მაღრან-დვალეთი მოიცავდა როგორც ორივე ღიახვის სათავეებს, ისე ქსანსაც. ამისგან განსხვავებით მეორე ცნობა სწორია, რომ მაღრან-დვალეთი მდებარეობს დიდი ღიახვის სათავეებში. გაურკვეველობა და დაბნეულობა მქლავნდება იმ მხრივაც, რომ დვალეთს ის ხან ქართულ მხარედ მიიჩნევს, ხან ოსურად, ხოლო დვალეთისაგან მოწყვეტით აღწერს მაღრან-დვალეთს. ამ დროს მას არ გახსენებია, რომ ისტორიული დვალეთი ანუ ბუდე დვალეთი მოიცავდა კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთით მდებარე ნარა-მამისონის ტაფობს, ხოლო მაღრან-დვალეთი წარმოადგენდა დიდი ღიახვის სათავეებში მდებარე დვალურ რეგიონს. ყოველივე ამის გამო შეუძლებელია დვალეთის განთავსება ჯეჯორის თუ კუდაროს ხეობაში. სულ სხვა იქნებოდა იმის თქმა, რომ დვალეთის რეგიონებიდან ჩამოსახლებული დვალეები ჯეჯორისა და კუდაროს ხეობებშიც განსახლდნენ. გავიხსენოთ, რომ ვახუშტი ქართლის მთიანეთში დვალეთის რეგიონებად გამოყოფს მაღრან-დვალეთსა და თრუსოს, ხოლო დვალთა განსახლების ზონებად კუდაროსთან ერთად ასახელებს ქსნის, პატარა და დიდი ღიახვის ხეობებსაც.

გიულდენშტედტის შემდეგ აღსანიშნავია მეორე გერმანელი მეცნიერის ი. კლაპროთის თხზულებები - „მოგზაურობა კავკასიასა და საქართველოში 1807 და 1808 წლებში“ და „რუსეთის პროვინციების აღწერილობა კასპიისა და შავ ზღვებს შორის“, სადაც ვკითხულობთ: „საქართველოში ოსების დიდი ნაწილი გა-




ნეკუთვნება დვალის ან დვალეთის ტომს... საქართველოს გეოგრაფიის (იგულისხმება ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ - ვ.ი.) თანახმად ქართველები ოსებს ყოფენ ორ დიდ ტომად, რომელნიც ენით და ჩვევებით მცირედ თუ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, კერძოდ, საკუთრივ ოსებად და დვალეთელებად, დვალელებად... დვალეთის ოლქი მთლიანად ოსებითაა დასახლებული... დვალეები, ამ სიტყვის ფართო გაგებით, ესაა ყველა სამხრეთელი ოსის ზოგადი სახელწოდება. დვალეები ცხოვრობენ როგორც დანარჩენი ოსები... წარსულში დვალეები არაგვის, ქსნის და რაჭის ერისთავებს ემორჩილებოდნენ...; იმერეთს ეკუთვნის ოსური მხარე დვალეთი, რომელიც მდ. ჯეჯორას ორივე მხარეს, კავკასიონის სამხრეთით მდებარეობს... ის ეკუთვნის მაჯის ერისთავს, მაგრამ ჯაფარიძეების იმერეთის თავადური საგვარეულო... პრეტენზიას აცხადებს მის ფლობაზე“.

როგორც მოტანილ ამონაწერებით ვრწმუნდებით, კავკასიაში მოვლინებული უცხოელი მეცნიერი უპირატესად ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომზე დაყრდნობით ქართველებს უყოყმანოდ მიაწერს ოსი ხალხის დაყოფას ორ უმთავრეს ტომად - „საკუთრივ ოსებად“ და „დვალეებად“ და იმავდროულად თავს გვახვევს აზრს, თითქოს სახელწოდებით „დვალი“ (თუ „დვალეთი“) წარსულში ცალკერძ აღინიშნებოდნენ სწორედ სამხრეთელი ოსები; თანაც ავტორი კალმის ერთი მოსმით მთელ დვალეთს ჯეჯორის ხეობაში (ე.ი. ისტორიული რაჭის შემადგენელ კუდაროს თემთან ზუსტ ტერიტორიულ შეფარდებაში) ათავსებს, რითაც სრულად იზიარებს თავისი თანამემამულის აკადემიკოს გიულდენშტედტის მიერ საკვლევი მხარის უფრო ადრე შემოთავაზებულ ზემოთ ნაჩვენებ ანალოგიურ ლოკალიზაციას.



ვითარების ამგვარ შეფასებასთან დაკავშირებით აუცილებელია განვიმარტოს, რომ ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა“ უწინარეს ყოვლისა ღირსშესანიშნავია „ოვსებისა“ და „დუალების“ ურთიერთმიმართების ხასიათის გამოვლენისა და ოსების მიერ დვალთა გვიანდელი „დაპყრობისა“ და ეთნიკური აბსორბციის ფაქტის გამომხეურების თვალსაზრისით. იქ ასახული მტკიცებები დამაჯერებლად მეტყველებენ არა დვალების ერთ-ერთ ოსურ ტომად განხილვის სასარგებლოდ, არამედ პირიქით, მათი ეთნიკური ვინაობის ესოდენ უმართებულოდ გადაწყვეტის საწინააღმდეგოდ, ვინაიდან ვახუშტი გარკვევით ლაპარაკობს XVIII საუკუნის დასაწყისისათვის ფორმირებულ ოსურ-დვალურ ეთნოსიმიოზზე და არა ოსი ხალხის ორ ძირითად ტომად – საკუთრივ ოსებად და დვალებად დაყოფაზე. ამიტომ, დვალთა ეთნოტრანსფორმაციისა ჯა მათი ბოლოდროინდელი მდგომარეობის (XVIII საუკუნის დასაწყისისათვის ოსი ხალხის შემადგენლობაში თითქმის მთლიანად გათქვეფვის) შესახებ ვახუშტის ნაშრომში მოცემული მითითებების გაუთვალისწინებლად „აღწერის“ ავტორის ნააზრევიდან იმ დასკვნის გამოტანა, რომ ქართველები ოს ხალხს ყოფენ ორ დიდ ტომად – საკუთრივ ოსებად და დვალებად, არსებითად ისეთივე თვალშისაცემი უზუსტობაა, როგორც თავად დვალეთის ქვეყნის მოულოდნელი გადატანა დასავლეთ საქართველოში, ისტორიულ-ეთნოგრაფიული რაჭის მიწა-წყალზე. სხვას რომ თავი დავანებოთ, აღნიშნული განცხადებებისადმი სრული ნდობით განწყობილი მკითხველისათვის ხომ გამოცანად რჩება საქართველოში ოსი ხალხის თითქოსდა „ორ დიდ ტომად – საკუთრივ ოსებად ადა დვალებად დაყოფის“ ტრადიციის გაჩენის დრო, რამაც მას შეიძლება აფიქრებინოს ხაზგასმული „ტრადიციის“ საუკუნეების სიდრმი-

საქართველოში



დან მომდინარეობა და, მაშასადამე, დვალეები აძველ ოსურ ტომად წარმოადგენინოს.

მართალია, XIX საუკუნის დამდეგისათვის დვალეების ოსთაგან ასიმილაციის პროცესი უკვე დასრულებული ჩანს და კავკასიაში ნამყოფ ი. კლაპროთს თავისუფლად შეეძლო ესარგებლა ინფორმაციით ოსი ხალხის მესამე სუბეთნიკურ ჯგუფად ჩამოყალიბებულ „თუალ, // „თუალაგთა“ შესახებ, რომლებზედაც ქართველთა ერთმა ნაწილმა ავტომატურად გააგრძელა ძირძველი ეთნონიმი „დვალი“, მაგრამ ამ რიგის მასალის ფიქსაციის შემთხვევაში გერმანელ სწავლულს ნიადაგ არ უნდა გასჭირვებოდა ვახუშტის ნაშრომზე დაყრდნობით დვალთა და ოსთა შორის არსებული სხვაობის სრულად წარმოჩენა და დვალთა დახასიათება არა ზოგადად ოსი ხალხის შემადგენლობაში მოგვიანებით შესული არაირანული მოდგმის სუბეთნოსად. არადა ი. კლაპროთის კვალიფიკაციით ძალაუნებურად ისე გამოდის, რომ ვახუშტის გაგებით დვალეები ოსების ეთნოდერივანტებია (ოსების „განაყრებია“) და არა ოსების მიერ ასიმილირებული ტომი.

კიდევ უფრო სერიოზული დაბნეულობის საფუძველს ქმნის მკვლევარის მიერ ტერმინ „დვალი“-ს გამოცხადება ყველა სამხრეთელი ოსის შესატყვისად და ამ უკანასკნელთა სამოსახლო ოლქის ზოგად სახელწოდებად „დვალეთი“-ს მიჩნევა. თავი რომ დავანებოთ ეთნონიმ „დვალისა“ და ტოპონიმ „დვალეთის“ ესოდენ დაუდევარ ნიველირებას, ამჯერად ხომ გათვალისწინებული არაა ის ფაქტები, რომ, ჯერ ერთი, ძირძველი ქართული ტერმინი „დვალეთი“ არასოდეს გამოიყენებოდა მაინცდამაინც კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთი კალთების და მითუმეტეს, ე.წ. სამხრეთელ ოსთა სამკვიდრებელი რეგიონის აღმნიშვნელი გეოგრაფიული სახელის დონეზე. მართალია, ოდითგან, ნარა-მამისონის ტაფობაში ღოკალიზებულმა დვალე-

თის ქვეყანამ ერთხანს თურგისა და დიდი ლიხვის ხეობების სათავეებიც მოიცვა, რის გამოც „დეალეთის“ გავრცელების არეალში პირაქეთი კავკასიონის განსაზღვრული მონაკვეთიც მოიქცა, მაგრამ ფართოდ გაგებულ დეალეთის ქვეყნის სამ უმთავრეს ნაწილად – საკუთრივ „დეალეთად“, „თრუსოდ“ და „მალრანდეალეთად“ გვიანდელი დანაწევრების კვლობაზე სრულად აღდგა „დავლეთად“ მარტოოდენ ჩრდილოეთ კავკასიაში მდებარე იმ რაიონის სახელდების ტრადიცია, რომელსაც აქ დაშენებულმა ოსებმა „თუალთა“//„თუალგომი“ უწოდეს. შესაბამისად, თავად ოსების შეხედულებით (აღარაფერს ვიტყვით ქართულ გაგებაზე) „დეალეთი“ („ოსურად „თუალგომი“) ჩრდილოელ ოსთა სამოსახლო კუთხეა. მეორეც, ვახუშტის „აღწერისა“ და ზოგიერთი სხვა წერილობითი ძეგლების (მაგალითად, „ძეგლი ერისთავთა“-ს, XV ს.) მიხედვით „დეალები XIII-XVII საუკუნეებში კავკასიონის მთავარი ქედის ორივე კალთაზე ცხოვრობდნენ და, აქედან გამომდინარე, ეთნონიმ „დეალი“-ს გავრცელების ოდინდელი არეალიც არასდროს იფარგლებოდა მარტოოდენ პირიქითელ ან მხოლოდ პირაქეთელ დვალთა სამოსახლო ტერიტორიებით, ისევე როგორც ეთნონიმი „ოვსი“// „ოსი“, კავკასიონის ორთავე ქედზე ოსთა განსახლების ხნიდან (XVI-XVII საუკუნეების მიჯნა), ნიადაგ არ ფარავდა მხოლოდ და მხოლოდ პირიქითელ ან პირაქეთელ ოსებს. ამდენად, დეალები ოსებთან შერწყმის შემდეგაც, როდესაც ოსი ხალხის სუბეთნიკურ ჯგუფად ჩამოყალიბებული და ქართველთა მიერ დვალებადვე წოდებული „თუალ“ // „თუალლაგები“ უჭკველად იგულისხმებიან როგორც ჩრდილოელ, ისე სამხრეთელ ოსთა შემადგენლობაში, ტერმინ „დეალი“-ს ან „თუალ“ // „თუალლაგ“-ის მაინცდამაინც სამხრეთელ ოსთა ან ყველა სამხრეთელი ოსის აღმნიშვნელ ეთნონიმად გაფორმების შესაძლებ-



ლობა თავისთავად გამოირიცხება, მითუმეტეს ე.წ. სამხრეთელ ოსთა კონტინგენტს დვალყოფილი ოსების გარდა ოს-ირონთა (კერძოდ, ქურთათელთა, თაგაურელთა, ვალაგირელთა) მრავალრიცხოვანი ჯგუფებიც ავსებდნენ. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი ქვეყნის ეთნონიმური სფეროსათვის მაინცდამაინც სამხრეთელ ოსებზე „მიმაგრებული“ სახელწოდება „დვალი“ სრულიად უცნობია, ისევე როგორც უცნობია მარტოდენ სამხრეთელი ოსების აღსანიშნავად გამოყენებული ტერმინი „ოსი“, რის გამოც ი. კლაპროთის ხაზგასმული მტკიცებაც, რბილად რომ ვთქვათ, ქართული ნომინაციის ტრადიციიდან თვითნებური გადახვევის ტოლფასია.

მაგრამ, ჩვენი აზრით, კონკრეტულ შემთხვევაში გერმანელი ავტორი ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერის“ ზოგიერთი თრაგმენტის არასწორი გაგებით უფრო სცოდავს, ვიდრე მის განკარგულებაში არსებული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემების მიკერძოებული ანალიზით. როგორც ჩანს, მან უბრალოდ ალღო ვერ აუღო ვახუშტის მიერ სამხრეთელ ოსთა და დვალთა განსახლების არეალის სისტემატურ ურთიერთდამთხვევას და ოსების საცხოვრებელ ალაგებად წარმოდგენილი დიდი ღიახვის, პატარა ღიახვის, ქსნის და ჯეჯორის ხეობების სათავეების მკვიდრებად ერთგან სწორედ დვალების მოხსენიებას და ეს ცნობები, ეტყობა, ნაჩქარევად აღიქვა, ვითარცა სამხრეთელი ოსების ზოგადად დვალებად სახელდების დამამტკიცებელი საბუთი. თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ ი. კლაპროთი შეცდომაში შეიყვანა ჩრდილოელ ოსთაგან მიღებულმა არასრულფასოვანმა ეთნოგრაფიულმა ინფორმაციამ, კერძოდ ადგილობრივ მოსახლეობაში გავრცელებულმა შეხედულებამ ე.წ. სამხრეთელ ოსთა დიდი ნაწილის სწორედ „თუალ“ // „თუალაგთა“ სუბეთნიკური ჯგუფისადმი კუთვნილუ-



ბისა და ბუდე დვალეთიდან (ოსური „თუალგომიდან“) ქედს გადმოდმა მასობრივი გადმოსახლების შესახებ. აკი თანამედროვე „ირისთონის“ მკვიდრთა მხრიდან სამხრეთელ ოსთა ზოგადად კუდაროელებად („kygaipaz“) სახელდებისა და ზოგიერთი ჩრდილოელი ოსის მიერ სამხრეთელი ოსების „თუალგომიდან“ გასახლებულებად მიჩნევის ფაქტებიც ლოგიკურად განგვაწყობს ვარაუდისკენ, რომ ამ რიგის ნაკლულმა ნომინაციამ შესაძლოა ჯერ კიდევ XIX საუკუნეში იჩინა თავი და მან იქნებ „Reise“-ს ავტორსაც არ გაუწია კარგი სამსახური.

ასეა თუ ისე, ერთი რამ სრულიად ნათელია - ი. კლაპროთმა თავისი რამდენიმე ზერელე განცხადებით პრაქტიკულად საფუძველი ჩაუყარა „თეორიას“ დვალთა ტომის ოსური წარმომავლობის შესახებ და იმავედროულად ფეხი აადგმევინა დვალეებში ე.წ. სამხრეთელი ოსების, დვალეთში კი ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ დანახვის უადრესად არასახარბიელო ტენდენციასაც, რითაც ჩვენთვის საინტერესო საკითხების მეცნიერულ კვლევა-ძიებას იმთავითვე ხელოვნური სიძნელეები დაებუდა სინამდვილის და ჭეშმარიტების გზაზე.

ჩვენი აზრით, ი. კლაპროთის მტკიცებებმა ზეგავლენა მოახდინა კიდევ ერთი გერმანელი მეცნიერის ა. კოხის ნაშრომზე - „მოგზაურობა რუსეთის გავლით კავკასიის ყელისაკენ 1836, 1837 და 1838 წლებში“, სადაც ოცდაათწლიანი ინტერვალის შემდეგ ხელმეორედ იქნა წამოწეული დვალთა ვინაობისა და ოსებთან მიმართების საკითხი.

რამდენადაც იენის უნივერსიტეტის პროფესორს იმ დროს მოუწია კავკასიაში ყოფნა, როდესაც რუსული კოლონიური ადმინისტრაციის ძალისხმევით ცენტრალური საქართველოს ტერიტორიის განსაზღვრულ მონაკვეთს (კერძოდ, დიდი ლიახვის, პატარა ლიახვის, ქსნის, თერგისა და ჯეჯორის ხეობების სათავეებს)



უკვე „ოსეთია“ ან „Южная Осетия“ ჰქონდა შერქმეული, მან მიზანშეწონილად ჩათვალა ტოპონიმიური დეკლარაციის „Южная Осетия“-„Северная Осетия“-ს გვერდით ცნება „შუა ოსეთი“ („Средняя Осетия“) ხმარებაში შემოტანაც და საბოლოო ანგარიშით, „ოსეთია“-ს სამ ნაწილად („ჩრდილოეთი ოსეთი“; „შუა ოსეთი“; „სამხრეთ ოსეთი“) დაყოფილ ქვეყნად წარმოაჩინა („!); თანაც ე.წ. „ჩრდილოეთ ოსეთს“ ავტორმა ისტორიულ-ეთნოგრაფიული ოსეთის ქვეყნის მიწა-წყლის მეტი წილი არგუნა, ე.წ. „შუა ოსეთი“ მან ნარა-მამისონის ტაფობისა (ზახას, ნარის, ზრამაგის, ჟღელეს, ზროგოს, კასრის ხეუბნის) და თრუსოს თემისაგან შენივთებულ ტერიტორიას შეუფარდა, ხოლო ე.წ. „სამხრეთ ოსეთი“ დიდი ღიახვის, პატარა ღიახვის, ქსნის და ჯეჯორას ხეობების სათავეებში განათავსა, რის შემდეგაც შენიშნა: „I. სამხრეთ ოსეთი. ბრუტსაბჰელის სამხრეთი კალთის მცხოვრებნი უძველესი დროიდან ქართველ მეფეებს ემორჩილებოდნენ, მაგრამ ყოველთვის განეკუთვნებოდნენ მათ მოუსვენარ და არასაიმედო ქვეშევრდომებს. ქართველები მათ უწოდებდნენ დვალეებს ან დვალეთს, მათ ქვეყანას კი დვალთას ან დვალეთს და თვლიდნენ, რომ მოყაჩადე ოსებს შორის ისინი სხვებზე ადრე ჩამოვიდნენ მაღალი მთებიდან. თუმცა, შესაძლებელია, ისინი არც არიან მოდგმით (ტომად) ოსები და, როგორც ჩანს, ქართველებსაც კი განეკუთვნებიან. ჩინგიზ-ყაენის ან, ალბათ, მურვან ყრუს დროიდან მათ დაიკავეს კავკასიონის მთიანეთის სამხრეთი ხეობები. რამდენადაც თემურმა ოდესღაც მალკისა და ყუბანის ზემო დინების მიმდინარე დაბლობში მცხოვრები ოსები მთებში შემორეკა, მათ დაიმორჩილეს დვალეები, რომლებმაც მას შემდეგ შეითვისეს ოსების ენა. ეს დვალეები, რომელთაც გადაიღეს აგრეთვე ოსების ყველა წეს-ჩვეულება, ადრე მრავალ

თემებს (საძმოებს) ქმნიდნენ და ემორჩილებოდნენ არა აგვის, ქსნის და ორივე ლიახვის ერისთავეებს, რომელნიც (განსაკუთრებით ქსნის ერისთავეები) მათ ოლქს განაგებდნენ შეუზღუდავი უფლებებით... თავისი ძლიერებისადა შესაბამისად აღნიშნული თემების უმრავლესობა ან უმცირესობა ცნობდა ერისთავეების ძალაუფლებას. მას შემდეგ, რაც რუსეთი გაბატონდა საქართველოში, ბევრი რაიონი მთლიანად დაექვემდებარა საქართველოს. სხვები კი ბოქაულთა ძალაუფლებას დაემორჩილა. მაგრამ ბევრი დვალი, განსაკუთრებით ისინი, რომელნიც სახლობდნენ მთის ოლქებში, უწინდებურად არ ეპყებოდნენ ერისთავეების ძალაუფლებას და დღემდე ბოქაულის ხელისუფლებასაც არ ცნობდნენ... II. შუა ოსეთი. დვალები, თერგის ხეობის სათავის მკვიდრთა გამოკლებით, წარმოადგენდნენ შუა ოსეთის მოსახლეობასაც, რომლებსაც უკავიათ თითქმის მთელი ქვაბული და თამარ მეფემდე ემორჩილებოდნენ ქართველ მეფეებს... დიდი კარი იცავდა მათ ჩრდილოელი ხალხებისაგან, განსაკუთრებით კი ოსებისა და ხაზარებისაგან. მას შემდეგ, რაც მონგოლებმა ბარიდან გამოდევნეს ოსები, ეს უკანასკნელნი შევიდნენ ქვაბულში და ნაწილობრივ შეერივნენ დვალებს. მხოლოდ თრუსოს რაიონი ყოველთვის ცნობდა ქართველ მეფეებს და დამოკიდებული იყო ხევის ყაზბეგებისაგან... დვალები მართალია ეკუთვნიან ოსებს და ლაპარაკობენ ოსურად, მაგრამ შესაძლოა ისინი არ არიან ოსური წარმომავლობის და ცოტათი ემსგავსებიან ქისტებს და ინგუშებს“.

როგორც დამოწმებული სტრიქონებიდან ჩანს, კ. კოხი ასევე მიზანშეწონილად თვლის ქართული ნომინაციის ტრადიციიდან ამოსვლის მოტივით ტერმინ „დვალი“-ს გამოყენებას მისი თანამედროვე ოსების ერთი ნაწილის აღმნიშვნელი ეთნონიმის დონეზე და საუკუნეების სიღრმიდან მომდინარე ცნებების „დვა-



ლი“-ს და „დვალეთი“-ს გამოცხადებას მაინცდამაინც კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ კალთების მკვიდრთა (//„სამხრეთელი ოსების“) და მათი სამოსახლო ქვეყნების (//სამხრეთ ოსეთის“?) ძველ სახელწოდებად, რაც პრინციპში ი. კლაპროთის ნაშრომში ასახული მცდარი მტკიცებების უკომენტაროდ გაზიარების მანიშნებელია. ამასთან, სწავლულის შეცდომას კიდევ უფრო თვალშისაცემს ხდის იმავე „დვალი“-ს წარმოჩენა ე.წ. „შუა ოსეთის“ მოსახლეობასთან მისადაგებულ ძველ ქართულ ეთნონიმადაც, რითაც მოსაზრება ქართველთა მიერ დვალებად თითქოსდა მხოლოდ სამხრეთელ ოსთა (ან სამხრეთელ ოსთა წინაპართა) სახელდების შესახებ თავისთავად ბათილდება.

მაგრამ ესოდენ სერიოზული ხარვეზისა და საქართველოს მიწა-წყლის „სამხრეთ ოსეთად“ ჰაიპარად სახელდების მიუხედავად კ. კოხს ნამდვილად არ ამოძრავებს დვალეებში უსათუოდ ოსების დანახვის სურვილი. პირიქით, ავტორი ცდილობს დვალთა ვინაობის საკითხში ჩაღრმავებას და, მის სასახელოდ უნდა ითქვას, ი. კლაპროთზე უკეთესად ართმევს თავს ამისთვის საჭირო მონაცემების ხეირიანი გაანალიზების ამოცანას, რაც მკვლევარს არაერთ საინტერესო დასკვნის გაკეთების საშუალებას აძლევს. ასე, მაგალითად, იგი დაბეჯითებით გვარწმუნებს რომ: 1) დვალეების, ვითარცა ოსებისაგან დამოუკიდებლად არსებული ტომის, პირველსაცხოვრისს ნარა-მამისონის ქვაბული (ე.ი. ბუდე დვალეთი) წარმოადგენდა, საიდანაც ისინი მოგვიანებით (XIII საუკუნეში ან, სხვა ვერსიით, VIII საუკუნეში) გავრცელდნენ კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ კალთაზე და ამიერიდან, ცხადია, პირიქითი და პირაქეთი ხეობების მოსახლეობად იქცნენ; 2) დვალეებს კასრის კარი იცავდა ჩრდილოეთით მცხოვრები ხალხებისაგან, მათ შორის ოსებისაგან, რომელნიც თავდაპირველად ჩრდილოეთ კავკასიის ბარის

რეგიონში, მდინარეების ყუბანის და მალკის პირად და ბლობებში ბინადრობდნენ; 3) მას შემდეგ, რაც თემურ-ლენგმა ბარიდან გამოდევნა ოსები, ეს უკანასკნელნი დვალთა სამოსახლო რაიონებს აწყდებიან და ბუდე დვალეთში შემოხიზნულნი, დვალეებზე გაბატონების მერმე, ახდენენ მათ თანდათანობით ასიმილაციას; 4) სამხრეთელი ოსები და ნარ-მამისონის ქვაბულში მცხოვრები ოსები ძველი დვალეების მემკვიდრეებია (გაოსებული დვალეები), რომელნიც, მართალია, ოსურ ენაზე ლაპარაკობენ და ამჟამად ოსების ნაწილს შეადგენენ, მაგრამ ისინი შესაძლოა წარმოადგენდნენ ქართული მოდგმის ტომს; ამასთან შეინიშნება მათი გარკვეული მსგავსება ვაინახებთანაც (კერძოდ, ინგუშებთან და ჩაჩნებთან).

რასაკვირველია, ჩვენ ვერ გამოვრიცხავთ მოცემული კვალიფიკაციების ვახუშტის „აღწერიდან“ ნაწილობრივი დასესხების შესაძლებლობას, მაგრამ რამდენადაც ავტორის ზოგიერთ დებულებას აშკარად ორიგინალური მტკიცებების ელფერი დაჰკრავს და ვახუშტის თხზულების მხრიდანაც ისინი არავითარი მხარდაჭერით არ სარგებლობენ (მაგალითად, ვახუშტის არსად უწერია ის, თუ მაინც რა დროიდან იწყებენ დვალეები კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ კალთებზე გადმოსახლებას), ნიადაგ სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ გერმანელი სწავლული ამ შემთხვევაში მისთვის საინტერესო საკითხებში დამოუკიდებლად წვდომის უნარსაც ავლენს. ეს კი განსაკუთრებით კარგად ჩანს თუნდაც გაოსებულ დვალთა ოსური წარმომავლობის ეჭვქვეშ დაყენების ერთ კონკრეტულ მაგალითზეც, როდესაც კ. კოხი, მართალია, უკლებლივ ყველა სამხრეთელ ოსს და ე.წ. „შუა ოსეთში“ მცხოვრებ ოსებსაც შეცდომით დვალეებადვე მოიხსენიებს, მაგრამ სამაგიეროდ მას ჰყოფნის ამ ე.წ. „დვალთა“ ქართული წარმომავლობის დაშვებისა და,

პარალელურად, ვაინახებთან მათი მსგავსების შესახებ საგანგებოდ მითითების გამბედაობაც. არადა, სხვას რას შეიძლება მივაწეროთ ეს, თუ არა დვალთა ტომის არაირანული წარმომავლობის თაობაზე წინდაწინ ინფორმირებული ავტორის სპეციალურ დაკვირვებას მის თანამედროვე ოსთა ერთი ნაწილის (პირველ რიგში კი „თუალ“//„თუალლაგთა“) ეთნოგრაფიულ ჰაბიტუსზე და ეთნორელატიური თვალსაზრისით მათსა და ე.წ. ჩრდილოელ ოსთა შორის რაღაც სხვაობის დანახვაზე?

ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ სრულიად უდავოა - კ. კოხის წიგნში სრულად არის გამოვლენილი დვალთა ტომის თავდაპირველი ეთნიკური (თუ ეთნოგრაფიული) ინდივიდუალობისა და XIV საუკუნის შემდგომ ხანაში მისი ოსთაგან ასიმილაციის ფაქტი და, რაც მთავარია, პირველად არის გამოთქმული ვარაუდი საბოლოოდ გაოსებულ დვალთა ქართული წარმომავლობის შესახებ. ვფიქრობთ, მარტოოდენ ამ კონსტატაციის გამოც აღნიშნული თხზულება მეტად ფასეულია ჩვენთვის. თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ ნაშრომის უდავო ღირსებებს მნიშვნელოვნად აფერმკრთალებს ერთი მხრივ ხსენებული ავტორის მიერ XIX საუკუნის ოსების „დვალებადვე“ სახელდება, ხოლო, მეორე მხრივ, საქართველოს მიწა-წყლის მიმართ 1802 წლის შემდეგ განხორციელებულ ფართომასშტაბიან „ტოპონიმიურ დივერსიაში“ მისი აქტიური მონაწილეობა (მხედველობაში გვაქვს ხევის მომიჯნავე თრუსოს თვითნებური სახელდება „შუა ოსეთად“ და ისტორიული შიდა ქართლისა და მიმდებარე რაიონების გამოცხადება „სამხრეთ ოსეთად“), რაც თავისთავად საკმარის სტიმულს აძლევს საძიებელი საკითხების დაუდევრად და არაობიექტურად გაშუქების ტენდენციას.



სამწუხაროდ, კ. კოხის წიგნის პუბლიკაციის შემდეგ ადრე გამოჩნდნენ შეხედულებას დვალელებზე, როგორც ერთ-ერთ ძველ ოსურ ტომზე, ან ოსი ხალხის შიდაეთნიკურ დანაყოფზე, სულ უფრო მეტი გასაქანი ეძლევა და XIX საუკუნის პირველი ნახევრის ავტორები, თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა, უპირატესად ი. კლაპროთის მიერ გამოთქმული „მოსახრების“ უბრალო გაზიარებით ან მისი შემდგომი განვითარებით კმაყოფილდებიან. ასე, მაგალითად, ფრანგი გეოგრაფი ვ. სენტ-მარტენი პლინიუს უფროსის (24-79 წწ.) თხზულებაში მოხსენიებულ ვალეებს (Valli) უყოყმანოდ აიგივებს დვალეებთან, რომელთაც, თავის მხრივ, ოსი ხალხის მესამე დიდ ქვედანაყოფად განიხილავს „ირონებისა“ და „დიგურონების“ გვერდით. თანაც მკვლევარი საქართველოში ოსთა გადმოსახლების ქვედა თარიღად ძვ. წ. 215 წელს მიუთითებს (?!), რითაც უტიფრად აყალბებს სინამდვილეს.

გერმანელი მეცნიერი ვ. პფაფი თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებს ი. კლაპროთის მტკიცებას, როცა შენიშნავს, რომ „ვახუშტის გეოგრაფიის მიხედვით დვალეთელები ოსები იყვნენ“. ამასთან, ავტორი ოსებად მიიჩნევს თავის დროზე ხევისა და თრუსოს ტერიტორიაზე განსახლებულ წანართა ტომსაც და ყოველგვარი დასაბუთების გარეშე დაასკვნის, რომ კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ კალთებზე ძველთაგანვე მცხოვრები სამხრეთელი ოსები თურმე IV საუკუნეში წმინდა ნინოს გაუქრისტიანებია (?!).

სენტ-მარტენისაგან და ვ. პფაფისაგან განსხვავებით ფრანგი სწავლული ი. შოპენი თავს იკავებს დვალეების ოსებად მონათვლისაგან და ტერმინ „დვალის“ ძველთაძველ ეთნონიმებთან - „თუბალთან“ და „ტიბარენტან“ დაკავშირების გზით ისტორიულ დვალეთს ბიბლიურ თუბალთა და ტიბარენტა სამოსახლო ქვეყნად, ხოლო საკუთრივ ცენტრალურ კავკასიაში



მცხოვრებ დვალებს თუბალ-ტიბარენტა მემკვიდრეობად წარმოაჩენს. რამდენადაც ამდაგვარ „მიზნებს“ მარტოოდენ ეთნონიმთა ფონეტიკური მსგავსება უდევს საფუძვლად, მას ნამდვილად არ შეიძლება გააჩნდეს საკმარისად სოლიდური სამეცნიერო ჰიპოთეზის პრეტენზია.

ზემოთ განხილულ შეხედულებებთან ერთად, რომელთა მიხედვით დვალები გაიგივებულნი არიან ოსებთან და თვით თუბალებთან და ტიბარენებთანაც კი, საყურადღებოა კიდევ ერთი უცხოელი მეცნიერის ვ. ტომაშეკის ანგარიშგასაწევი თვალსაზრისი. ძველ ბერძნულ და რომაულ წყაროებში ასახულ ეთნონიმებს: „ვალს“ (Valli), „უალს“ (ουαλοι), „დივალს“ (Divali) იგი დამაჯერებლად აიგივებს ქართველ „დვალებთან“ და თავად დვალებს კავკასიის საკმაოდ გავრცელებულ დამოუკიდებელ ტომად განიხილავს. მკვლევარის თქმით, „საკუთარ (თუშურის მონათესავე?) ენაზე“ მოლაპარაკე დვალები გაქრისტიანების მერმე თანდათან დაუახლოვდნენ, თამარის მეფობის ჟამს კი მთლიანად შეერწყნენ ქართველებს, თუმცა მათ თავისი მაღალმთიანი ადგილებიდან ბევრი დაკარგეს სამხრეთით ოსთა მოძრაობასთან დაკავშირებით. ვინაიდან ე.წ. „თუშურ ენაში“ ავტორი წოვა-თუშურ ენას გულისხმობს, თავისთავად ცხადი ხდება, რომ იგი დვალებს ვაინახურენოვან ხალხად თვლის. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მტკიცება პრაქტიკულად მოკლებულია სათანადო ფაქტობრივ დასაბუთებას, ის მაინც საგულისხმოა ჩვენთვის თუნდაც დვალთა ტომის კავკასიური წარმომავლობის თაობაზე ვახუშტის მიერ ადრე გამოთქმული მოსაზრების ერთგვარი რეანიმაციის თვალსაზრისით.



ასეთნაირად წარმოგვიდგება ზოგიერთი მეცნიერის შეხედულება დვალებისა და დვალეთის შესახებ ევროპულ ისტორიოგრაფიაში.

დვალთა ვინაობას, დვალეთის ლოკალიზაციას და დვალებთან მიმართებაში ოსებისა და ქართველების საკითხს შეეხო მრავალი რუსი, ქართველი თუ ოსი მკვლევარი, რაც დეტალურად მაქვს განხილული და შეფასებული დვალებისა და დვალეთის შესწავლისადმი მიძღვნილი ვრცელი გამოკვლევის ისტორიოგრაფიულ ნაწილში*.

* რედაქტორის შენიშვნა: იგულისხმება ვახტანგ ითონიშვილის მონოგრაფია – დვალები და დვალეთი (მომზადებულია გამოსაცემად).

1. ვახტანგ ითონიშვილი, ვახუშტი ბაგრატიონი დვალებისა და დვალეთის შესახებ, ჟ. „მნათობი“, 2002, №11-12.
2. ი. გიულდენშტედტი, მოგზაურობა საქართველოში, თარგმანი და კომენტარები გ. გელაშვილისა, ტ. I, თბ., 1962; ტ. II, თბ., 1964.
3. J. Klaproth, Reise in den Kaukasus und nach Georgien in den Jahren 1807 und 1808, Bd. 1, Halle und Berlin, 1812, s. 77; Bd. 2, Halle und Berlin, 1814, s. 13, 42, 117, 383; მისივე, Beschreibung der russischen Provinzen zwischen dem dem Kaspischen und dem Schwarzen Meer, Berlin, s. 83.
4. შენიშვნა: ი. კლაპროთის „Reise“...ს II ტომზე დართულ რუკაზე დვალეთი (Dwaletien) ასევე ჯეჯორის ხეობაშია დატანილი.
5. K. Koch, Reise duch Rubland nach dem Kaukasischen Istvus den Jahren 1836, 1837 und 1838, Bd. II, Stuttgars und Tübingen, 1842, s. 83-85.
6. V. Saint-Martin. Etudes ethnographiques et historigues sur les peuples nomades gui se sont succede au nord du Caucase dans les six premier siecles de notre ere, Les Alains, Parus, 1850, pp- 155-156.
7. В. Б. Пфаф, Материалы для истории Осетии, «Сборник сведений о кавказских горцах», вып. IV, Тифлис, 1870, с. 24, 29, 31\ вып. V, 1871, с. 23.
8. И. Шонев, Новые заметки на древние истории Кавказа и его обитателей, СПб., 1866, ст. 198-199.
9. W. Tomaschek, Divali, Real-Encyclopädie der Klassischen Altertumswissenschaft, V, Stuttgart, 1903, s. 1231.



Foreign Scientists about Dvals and Dvaleti

The problems of Dvals' origin and the issues of their settlement territory are of great significance in the study of Georgian and the Caucasian peoples' ethnic history and ethnography. The problem had for a long time attracted Georgian, Russian and foreign scientists' attention. After Vakhushti Bagrationi, who really laid a foundation in studying ethno-geography of Dvaleti and Dvals ethnic belongingness, our attention is drawn by the 18th - 19th centuries some foreign observers. Their evaluation of the problem, that is either true or false, deserves to be discussed for the study of the issue historiography.

Viewpoints of I. Guldenschedt, I. Carpford, K. Koch, V. Sent-Marten, V. Phaf, I. Chopin and V. Tomashevski on the above mentioned problem are critically evaluated in the article that has a great significance for the study of Dvalian and Osetian ethnonyms.

სწორფრობის ერთი ასპექტის შესახებ

სწორფრობა, ქალ-ვაჟის ურთიერთობის ხევესურული ფორმა, დიდი ხანია მეცნიერთა ყურადღების სფეროშია მოქცეული. მისი შესწავლა სხვადასხვა კუთხით ხდებოდა (რელიგიური, სოციალური...) რის შედეგადაც მნიშვნელოვანი დასკვნები იქნა გაკეთებული, თუმცა ჩვენი აზრით, მისი ძირითადი არსის და მნიშვნელობის ახსნა დღემდე ვერ მოხერხდა. ჩვენ, ამ შემთხვევაში, არ განვიხილავთ სწორფრობასთან დაკავშირებით არსებულ უხე სამეცნიერო ლიტერატურას და მხოლოდ ერთი ასპექტის შესახებ გავამახვილებთ ყურადღებას, რისი საშუალებაც ეთნოგრაფიულმა მასალამ მოგვცა.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ზურაბ კიკნაძის სტატია “სწორფრობა” [ზ. კიკნაძე, “სწორფრობა”, ქართულ-ევროპული ინსტიტუტის ჟურნალი “ივერია”, №1, თბილისი-პარიზი, 1992], სადაც ავტორი სწორფრობას ვეფხისტყაოსნისეულ მიჯნურობას ადარებს და ამავე დროს, ინტუიტიურად საოცრად სწორ მიგნებას აკეთებს: ამ ურთიერთობაში მთავარი დიალოგია, საუბარი ორ საპირისპირო სქესის ადამიანს შორის, გრძელი დამეების მანძილზე; ეს მოსაზრება კარგად შეავსო ჩვენს მიერ მოძიებულმა ეთნოგრაფიულმა მასალამ.

ხევესურული სწორფრობის წესი ყველასთვის ცნობილია, მაგრამ ორიოდ სიტყვით მაინც აღვწერთ მას: ქალ-ვაჟს ურთიერთმოწონების შემთხვევაში ელჩი ერთად “აწვენს”, ანუ ქალი მიყავს სადამოს ვაჟთან სახლში. ქალ-ვაჟი მთელ დამეს ერთად ატარებენ საუბარში. თუ მათ ერთმანეთს გაუგეს, შეხვედრები გრ-



ქელდება. თუ ერთმანეთს შეეთვისნენ, მაშინ მათ შორის გარკვეულწილად ფიზიკური ურთიერთობაც დასაშვებია, რომლის წესებიც მკაცრად არის განსაზღვრული.

მიუხედავად ფიზიკური ურთიერთობის გარკვეულწილად არსებობისა, მთავარი ისაა, რომ სწორფრული ურთიერთობის ძირითად ფორმად საუბარი გვევლინება, მიზანი კი – მიჯნურობაში ურთიერთშეცნობაა, მხოლოდ დიალოგით, ერთმანეთის სულსა და ხასიათში წვდომით; ერთმანეთთან მისასვლელ ძირითად გზად აქ საუბარი გვევლინება. თუ აღმოჩნდა, რომ სწორფრები მართლა ერთმანეთის “სწორფერები” (სწორები, ტოლები) არიან, ამის შემდეგაა დასაშვები მათ შორის ფიზიკური ურთიერთობა გარკვეული დოზით, რაც უფრო აახლოვებს მათ და ფაქტობრივად, არც არაფერს ცვლის ურთიერთობაში, ვინაიდან მათ შორის მთავარ, სულიერ სფეროში უმთავრესი – ჰარმონიაა მიღწეული, რაც ქალისა და მამაკაცის ურთიერთობის გვირგვინს წარმოადგენს.

სწორფრობა ეს არის იდეაში “სიყვარული დიალოგით”, თუნდაც გარკვეული ფიზიკური ურთიერთობით. მისი არსია ეს, ჩვენ არაფერს ვამბობთ იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად იყო ეს პრინციპი ყოველთვის დაცული რომელიმე წყვილის მიერ. ამის სასარგებლოდ მეტყველებს ისიც, რომ სწორფრობის წესის თანახმად, ასეთი წყვილები ვერასოდეს შექმნიდნენ ოჯახს და ვერ გააჩენდნენ თავიანთი სიყვარულის ნაყოფს, ანუ ფიზიკური თანაცხოვრება კატეგორიულად იკრძალებოდა, ხოლო იმ წყვილებს, რომლებიც ამ მთავარ პრინციპს დაარღვევდნენ, თემი მკაცრად სჯიდა.

სამეცნიერო ლიტერატურაში ამის ერთერთ მიზეზად საზოგადოების წევრების გამოწრთობა, სირთულეებთან შეგუების უნარის გამომუშავებაა მიჩნეუ-



ლი - უყვართ, მაგრამ ერთად ვერ იქნებიან - ისინი უნდა დაშორდნენ, თავ-თავიანთი ოჯახები შექმნან და ასე ემსახურონ სოციუმს.

ხევსურების შეხედულებით კი, სწორფრებისთვის ოჯახის შექმნის აკრძალვა სხვა მიზეზითაა გამოწვეული - ამით ისინი უფრთხილდებიან სიყვარულს, რასაც ოჯახში ერთად ცხოვრება და ფიზიკური ურთიერთობა კლავს. სწორედ ეს ასპექტი აქვს გახსნილი გრიგოლ რობაქიძეს თავის რომანში "ენგადი". აქ ხევსური პერსონაჟი ამბობს: "ღვთიურ არს სიყორულ. ხორციელ იგემებ - მოჰკლავ მას, იწვოდ მხოლოდ" [გრიგოლ რობაქიძე, "ენგადი", ჟურნალი "მნათობი", თბ., 1987, №8].

ხევსურული მკაცრი საზოგადოებისთვის "სწორფრობა" სწორედ რომ ოაზისია, როგორც ზ. კიკნაძე მიუთითებს. აქ ხდება საზოგადოების თვითოეული წევრისთვის თავისუფლების მინიჭება, საკუთარი სულის შეცნობა სხვასთან, მოწონებულ ადამიანთან დიალოგში და არა ფიზიკური ურთიერთობით. მათ ამისთვის გარკვეული დრო აქვთ, "ქალ-ვაჟობა", სანამ ოჯახს შექმნიან. ოჯახის შესაქმნელად კი სიყვარული საჭირო არ არის. როგორც ცნობილია, ეს ტრადიციულად ყველგან ასე იყო, ოჯახი ყოველთვის სხვა, სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით იქმნებოდა, სადაც წყვილს სიყვარულისთვის ადგილი არ რჩებოდა. მათი სულიერი ურთიერთობები, სასიყვარულო განცდები და ემოციები ოჯახის გარეთ რჩებოდა, როგორც განცდილი იდილია, რასაც ამ შემთხვევაში ხევსურ ქალთა და კაცთათვის სხვა ძალა და ენერჯია უნდა მიეცა, ამით უნდა ესაზრდოვათ და ისე მომსახურებოდნენ საზოგადოებას.

სწორფრობის ამ კუთხით, ურთიერთობისა საუბრით, დიალოგით დანახვა მართებული რომაა და მე-



ტიც - საერთოქართველურია, ამას სხვა კუთხეების
ეთნოგრაფიული მასალაც ადასტურებს.

სვანეთში, როცა ვაჟს ქალი მოსწონს, უცნაურად გამოხატავენ ამ დამოკიდებულებას: არასოდეს იტყვიან, რომ ამ ვაჟს ის ქალი მოსწონს, ან ის ქალი უყვარს (სიტყვა “სიყვარულს” მხოლოდ იმ შემთხვევაში იყენებენ, თუ წყვილები საყვარლები არიან. ასევე არ გამოიყენება ეს სიტყვა სწორფრული ურთიერთობის დროს), ან ცოლად უნდა, არამედ იტყვიან, რომ თურმე “ეს ვაჟი იმ ქალს ესაუბრება, ელაპარაკება”: “ეჯას როქ ხაგრგალი - თურმე იმას ელაპარაკება” - ანუ ის გოგო მოსწონს. თუ ვინმეს მოსწონხარ, სვანი გკითხავს: “ეჯა ჯაგრგალია? - ის გესაუბრება?” ეს ყოვლისმომცველი ფრაზაა და ამით ყველაფერია ნათქვამი.

ანალოგიურია მეგრული ეთნოგრაფიული მასალა, აქაც ვაჟის მიერ ქალის მოწონებას სიტყვა “ლაპარაკი, საუბარი” გამოხატავს: “ბოში ძღაბის ურაგად - ბიჭი გოგოს ელაპარაკება”, ანუ მოსწონს; “რაგად უღუნა - ლაპარაკი აქეთ”, ანუ ერთმანეთი მოსწონთ.

სხვა დანარჩენს ეთნოგრაფიული მასალა, ამ კუთხით, არაფერს იძლევა, თუმცა თავად ეს ფაქტი, რომ ურთიერთმოწონება და სიყვარული სიტყვით “საუბარი, დიალოგი” გამოიხატება, მრავლის მეტყველია. შესაძლებელია, ამის საფუძველი საერთოქართველური იმ ურთიერთობის არსებობა იყოს, რომელიც შემდეგ სწორფრობის სახით შემოინახეს ხევესურებმა და სადაც ქალისა და მამაკაცის განსხვავებული (და არა ფიზიკური, ან თუნდაც ცოლ-ქმრული) ურთიერთობის ძირითად ფორმას “საუბარი” წარმოადგენდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, უცნაურია, სვანური და მეგრული ეთნოგრაფიული მონაცემები.

ამავე დროს, ყოველივე ეს საინტერესო დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა ქართველთა ერ-



ოვნული ხასიათის შესახებ. აქ ჩანს ქართველების უცნაური დამოკიდებულება ზოგადად სიყვარულისადმი და ამასთანავე ჩვენი ორპოლუსიანი ხასიათი – აღიარებული და ტაბუდადებული – უმკაცრესი ხევსურული საზოგადოება (ანუ მთის საზოგადოება ზოგადად) თავის წიაღში უშვებს და რიტუალის დონეზე აჰყავს სწორფრობა, ქალის და მამაკაცის ღამისეული, თუნდაც საუბრისეული ურთიერთობა, როცა მცირე დანაშაულის გამოც მკაცრად სჯის თავის წევრებს. აძლევს მათ უფლებას უყვარდეთ და არ აძლევს ოჯახის შექმნის საშუალებას.

შესაძლებელია, თვითონ ხევსურების მიერ მოცემული ახსნა იყოს ყველაზე მართებული – იქნებ მკაცრი ყოველდღიურობისგან მორიდებით ცდილობდა ქართველი თავისი გრძნობების შენარჩუნებას და ამით უფრთხილდებოდა სიყვარულს; ამავე დროს, აქ ქართველების ხასიათის კიდევ ერთი შტრიხი იჩენს თავს, ჩვენ ხომ ყველაფრის გაფეტიშება გეჩვენება, რაც გვიყვარს, ის ღვთიურია, საუცხოოა და არა საჩვენო, სადღესასწაულოა და არა ყოველდღიური; თუმცა, აქ მოფრთხილებასთან ერთად გარკვეული შიშიც ჩანს თითქოს, რაღაცის მიმართ თუ, რაღაცის გამო.

ნათელია, რომ ქართველები განსაკუთრებული მიდგომით ხასიათდებოდნენ ქალ-ვაჟის ურთიერთობისადმი, წინააღმდეგ შემთხვევაში არ გამოხატავდნენ მას ასეთი სიტყვებით “სწორფრობა”, “ლაპარაკი”, “საუბარი”.

About One Aspect of “Storproba” Tradition

The scientific interest of researchers for a long time is focused on Stsorproba - Khevsurian form of young man and lady relation. The study of this kind of relation was carried on from different viewpoints (social, religious, psychological...), but in our opinion the essence of it is not understood yet.

Scientist Zurab Kiknadze compares Stsorproba with “Mijnuroba” (love) of Shota Rustaveli’s “Knight in the Tiger’s Skin”. He also thinks that dialogue is of main importance in this relation.

Ethnographical materials from Svaneti and Samegrelo gathered by us amazingly fills, confirms and even extends this viewpoint. In Svaneti and Samegrelo when speaking about young man and lady relation who liked each other, they do not say: “they love each other”, “they like each other” or “this young man wants to marry that young lady” but “this young man speaks, talks with that young lady”.

As it seems conversation, talk had an extremely important, main role in Georgian reality. It really is right. As dialogue and conversation is the only way for becoming acquainted with each other.

On the basis of mentioned ethnographical material we may suppose that among Georgians there was a kind of relation like the above mentioned one that survived in Khevsureti and Pshavi as Stsorproba-Tsatsloba tradition. In East Georgia we only have terminology telling us about the above mentioned relation.

დასავლურ-ქართული სახელმწიფოს – “აფხაზთა
სამეფოს” ჩამოყალიბება
(პრობიზანტიური და ანტიბიზანტიური პოლიტიკა)

VIII-IX სს. მიჯნაზე საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარეობს ახალი სამეფო-სამთავროების ჩამოყალიბების პროცესი. მათგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იყო “აფხაზთა სამეფო“. ეს სახელმწიფო წყაროებში “აფხაზთა“ [მატიანე ქართლისა: 1955, 251], ან კიდევ “ეგრისის სამეფოდ“ [იოანე დრასხანაკერტელი: 1965, 38, 64, 82, 109] იხსენიება, რადგანაც სამეფო დინასტიის დამაარსებელი იყო აფხაზეთის ერისთავი, თვით სახელმწიფოს ტერიტორია კი ისტორიული ეგრისის მიწა-წყალსაც მოიცავდა. თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ სახელმწიფოს სახელწოდებასთან დაკავშირებით არაერთგვაროვანი მიდგომაა. აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე ამ სამეფოს “ეგრის-აფხაზეთის” სამეფოს უწოდებს; პროფ. ალექსანდრე აბდალაძეს კი უფრო მართებულად მიაჩნია მისი “ღიხსიქეთის სამეფოს“ სახელწოდებით მოხსენიება [აბდალაძე: 1988]. სერგი მაკალათიას თქმით, “ამ სამეფოს სახელწოდება აფხაზთა და არა აფხაზეთისა გულისხმობდა მთლიანად გაერთიანებულ დასავლეთ საქართველოს და იგი ტერიტორიულად შეიცავდა აფხაზეთს, სამეგრელოს, გურია-აჭარას და იმერეთს“ [მაკალათია: 1992, 69-70].

როგორც ცნობილია, VI საუკუნეში დასავლეთ საქართველოში, ეგრისში, მიმდინარეობდა ხანგრძლივი ბრძოლა მახლობელ აღმოსავლეთში დაპირისპირებულ ორ უდიდეს ძალას – ბიზანტიასა და ირანს შო-



რის. ამან, ბუნებრივია, გავლენა იქონია ქვეყნის გორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ მდგომარეობაზეც. საქმე იქამდეც მივიდა, რომ VI ს-ის ბოლოს ეგრისის სამეფოს გამოეყო აფხაზეთი (ბიზანტიური წყაროების აბაზგია) და უშუალოდ დაექვემდებარა ბიზანტიის იმპერიას. მომდევნო საუკუნეებში, ეგრისის დასუსტების პარალელურად, თანდათან ძლიერდება აფხაზეთის საერისთავო [Лордкипанидзе: 1988, 280]. მალე, ბიზანტიის ხელშეწყობით გაძლიერებული აფხაზეთი ერთიანდება ეგრისთან და იქმნება ე.წ. “აფხაზეთა სამეფო” - დასავლურ-ქართული სახელმწიფო. პროფ. გურამ ყორანაშვილის აღნიშვნით, “ლაზიკის სამეფოზე მნიშვნელოვანწილად სწორედ ბიზანტიის უარყოფითმა ზემოქმედებამ (VIII საუკუნე) საბოლოო შედეგად გამოიღო ამ უკანასკნელის დაცემა, დასავლეთ საქართველოს დიდ ნაწილში პოლიტიკური ენერჯის გამოფიტვა. წარმოქმნილი პოლიტიკური ვაკუუმი აანაზღაურა და შეავსო აფხაზეთა სამთავრომ (შემდეგ სამეფომ)” [ყორანაშვილი: 1997, 175].

საინტერესოა, თუ რა ვითარებაა შექმნილი “აფხაზეთა სამეფოს” ჩამოყალიბებამდე. “არაბობის” ხანაში, ქართლიდან დევნილი ერისმთავრები მირი და არჩილი თავს აფარებენ აფხაზეთის საერისთავოს. იმხანად, ეს საერისთავო, როგორც ვთქვით, ბიზანტიის შემადგენელი ნაწილია. ჯუანშერი, მოგვითხრობს რა მურვან “ერუს” შემოსევის შესახებ, პირდაპირ წერს, რომ “შეველო ყრუმან კლისურა, რომელი მას ჟამსა იყო საზღვარი საბერძნეთისა და საქართველოსა (ხაზგასმა ჩვენია-შ.გ.)” [ჯუანშერი: 1955, 235]. მაშასადამე, ქართლში არაბთა ბატონობის პერიოდში, ქართლის იმდროინდელი უზენაესი ადგილობრივი ხელისუფალნი, ერისმთავრები მირი და არჩილი, გადადიან ფაქტობრივად ბიზანტიის დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე. აფხაზეთი იმ დროს ბიზანტიის საერისთავო



იყო. აქ აშკარად საერთო ქართულ-ბიზანტიური არაბული ერთიანი ალიანსის შექმნასთან გვაქვს საქმე. მაგრამ, როგორც ჩანს, ქართული სახელმწიფოებრიობის მოშლის ფონზე, არაბთაგან ნაკლებად კონტროლირებად დას. საქართველოს ტერიტორიაზე, ახალი სახელმწიფოს ჩამოყალიბების მცდელობაც ამავე პერიოდიდანაა სავარაუდო. აფხაზეთში მყოფი მირი და არჩილი, ადგილობრივ ერისთავ ლეონ I-თან ერთად (რომელიც კეისრის მოხელე-ერისთავია), ბიზანტიის ხელისუფალს უკავშირდებიან. ჯუანშერის ცნობით: *“იქმნა მას ქამსა გარწყუნილ ქუეყანა ქართლისა, სომხითისა და რანისა და არღარა იპოვებოდა ნაშენები, არცა საჭამადი კაცთა და პირუტყუთა ყოვლადვე და წარავლინეს მოციქული წინაშე ბერძენთა მეფისა მირ და არჩილ და ლეონ, ერისთავმან აფხაზეთისამან, და აუწყეს ესე ყოველი”* [ჯუანშერი: 1955, 239]. მირს და არჩილს ბიზანტიის იმპერატორისაგან სრული მხარდაჭერა მიუღიათ. ამის თაობაზე საინტერესო ცნობას გვაწვდის ჯუანშერი, კერძოდ, იმპერატორს გამოუგზავნია ორი გვირგვინი მირისთვის და არჩილისთვის. როგორც ჩანს, ბიზანტიამ მხარი დაუჭირა მირისა და არჩილის ქართული სახელმწიფოს უზენაეს ხელისუფლებაში ყოფნას; ფაქტობრივად, ბიზანტიამ გამოაცხადა მზადყოფნა და ხელშეწყობა ახალი ქართული სახელმწიფოს ჩამოსაყალიბებლად. ჯუანშერის ცნობით, ბერძენთა მეფემ *“წარმოსცა ორი გვირგვინი და გუჯარი მირსა და არჩილს, და მოსწერა მათ თანა, ვითარმედ: “თქუენი იყო მეფობა, სიმკნე და სიბრძნე ქართლსა შინა . . .”* [ჯუანშერი: 1955, 239]. “არაბობის“ ხანაში, მირი და არჩილი ფაქტობრივად იწყებენ საკუთარი გავლენის აღდგენისათვის ბრძოლას, ქართული სახელმწიფოს ახალი ფორმით აღდგენას და საამისოდ ბიზანტიასთან მოხდა დაკავშირება. “აფხაზთა სამეფო“ უფრო გვიან პერიოდში ჩამოყალიბ-

ბდა, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ამ სამეფოს საბოლოო სახით ჩამოყალიბება სწორედ მირისა და არჩილის მიერ დაწყებული პროცესის დასასრული ეტაპია. ბუნებრივია, ახალი სამეფოს შექმნა ერთჯერადი აქტით ვერ განხორციელდებოდა, საამისოდ აუცილებელი იქნებოდა არაერთი პრობლემის გადაჭრა და ამ ყველაფერს დრო სჭირდებოდა. მთავარი ერთია: არაბთაგან მოშლილ ქართულ სახელმწიფოს აღდგენა და ახალი ფორმით ჩამოყალიბება ესაჭიროებოდა. სწორედ, ამ პროცესს იწყებენ მირი და არჩილი.

ბიზანტიის იმპერატორმა აფხაზეთში საკუთარ ერისთავ ლეონ I-საც გაუგზავნა წერილი, რომელშიც ვკითხულობთ: *“შენდა მიბრძანებებს ერისთაობა აფხაზეთისა და შეილთა შენთა და მომავალთა შენთა მიუკუნისამდე. არამედ კეთილად პატივსცემდი მეფეთა და ერთა მაგათ ქართლისათა, და ამიერთგან ნულარამცა კელგეწიფების ვნებად მათდა და საზღვართა მათთა ეგრისათა, ვიდრემდის იყვნენ მანდა ანუ განვიდენ მანლით”* [ჯუანშერი: 1955, 240]. როგორც ვხედავთ, აფხაზეთის ერისთავმა ბიზანტიის იმპერატორისაგან მიიღო ბრძანება დახმარებოდა მირსა და არჩილს. ამის სანაცვლოდ, ლეონ I-ს საგამგებლო - აფხაზეთის საერისთავო - მემკვიდრეობით მფლობელობაში გადასცა. სავარაუდოა, რომ მირთან და არჩილთან მოკავშირეობით ბიზანტია ვარაუდობდა მთელ ეგრისზე ძველი გავლენის აღდგენას.

ამ პროცესში ძალიან საინტერესოა საკუთრივ აფხაზეთის ერისთავის - ლეონ I-ის პოლიტიკა. მან, მიიღო რა კეისრის ბრძანება დახმარება აღმოეჩინა მირისა და არჩილისათვის, ფაქტობრივად აღიარა უხენაეს ხელისუფლად და მოგვიანებით არჩილთან გარკვეულ ვასალურ ურთიერთობაშიც შევიდა. ძნელი სათქმელია, ლეონ I-მა ესეც ბიზანტიის დავალებით განახორციელა თუ არა, მაგრამ ამ ეტაპზე, ვფიქ-



რობთ, რომ იმპერია ამის აქტიური მოწინააღმდეგე იქნებოდა. მართალია, ერთი შეხედვით ისე ჩანს, თითქოს აფხაზეთის საერისთავო ჩამოცილდა სუხერენ ბიზანტიას და ვასალურ დაქვემდებარებაში შევიდა ქართლის ხელისუფალთან, მაგრამ რეალურად ბიზანტია შესაძლოა ამ გზით ვარაუდობდა არა მარტო აფხაზეთზე, არამედ საქართველოს დიდ ნაწილზე და განსაკუთრებით მთელ დასავლეთ საქართველოზე გაბატონებას და ამ მხარეზე ძველი გავლენის აღდგენას. ყოველივე ზემოთქმულის თაობაზე ჯუანშერი წერს: მირი *“დამძიმდა წყლულებისა მისგან მოსიკუდიდ“* და ძმას-არჩილს დაუბარა, რომ მისი ქალიშვილები მიეთხოვებინა ერისთავებისთვის: *“მისცენ მათ ასულნი ჩემნი და განუყვენ მათ ქუეყანანი ქართლისანი: ნახევარი შენ და ნახევარი მათ. . .“* [ჯუანშერი: 1955, 241]. მირის გარდაცვალების შემდეგ არჩილმა შეასრულა ძმის ანდერძი და მირის 7 ასულიდან 6 გაათხოვა. შემდეგ, *“მოუწოდა ლეონს და რქუა: კურთხეულ იყავ შენ უფლისა მიერ, რამეთუ კეთილად იღუაწე სტუმრობა ჩუენი, და დამიცვენ ჩუენ ადგილთა შენთა მშვდობით: გარნა აწ უწყიეს შენება ადგილთა ჩუენთა კლისურიტგან აღმართ. წარვაღ და დავეშენები ციხე - გოჯს და ქუთათისს. აწ ითხოვე თავისა შენისათვს რა გნებავს ჩემგან, ნაცვლად კეთილისა მსახურებისა შენისა“* [ჯუანშერი: 1955, 242]. მაშინ ლეონ ერისთავმა უპასუხა: *“. . . მომცა მე კეისარმან ქუეყანა ესე მკვდრობით კეთილად სიმკნითა თქუენითა ხოლო ამიერიტგან არს ესე მამულობით სამკვდრებელ ჩემდა კლისურიტგან ვიდრე მდინარემდე დიდად ხაზარეთად, სადა დასწუდების წუერი კავკასიისა ამის. შემრთე მეცა მონათა შენთა თანა, რომელნი - ესე დღეს ღირს ყვენ შვილად და ძმად შენდა. არა მინდა ნაწილი შენგან, არამედ ჩემიცა ესე შენდავე იყოს“* [ჯუანშერი: 1955, 242]. არჩილმა შერ-



თო მირის მეშვიდე ასული გურანდუხტი ლეონ I აფხაზეთის ერისთავს და მასვე გადასცა ბიზანტიის იმპერატორის მიერ მირისთვის გამოგზავნილი გვირგვინიც, *“და ყვეს აღთქმა და ფიცი საშინელი, ვითარმედ არა იყოს მტერობა შორის მათსა, არამედ ერჩედეს ლეონ არჩილს ყოველთა დღეთა მისთა”* [ჯუჯანშერი: 1955, 242-243]. როგორც ვთქვით, ლეონ I აფხაზეთის ერისთავი ამგვარად შედის არჩილთან ვასალურ ურთიერთობაში. ეს იყო ეგრის-აფხაზეთის გაერთიანება, რაც საფუძვლად დაედო აქ ქართული სახელმწიფოს შექმნას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმდროინდელი აფხაზეთის სამთავრო-საერისთავოს პოლიტიკური ვითარება (VII-VIII საუკუნეებში), ასევე, *“აფხაზთა სამეფოს”* გენეზისიც, დანახულ უნდა იქნას ბიზანტიაში მიმდინარე ღრმა პროცესთან კავშირში. ჩვენი აზრით, ძალზე მნიშვნელოვანია პროფ. შოთა ბადრიძის ერთ-ერთი ნარკვევი, რომელშიც მკვლევარს წამოყენებული აქვს თვალსაზრისი იმის თაობაზე, რომ VII-VIII საუკუნეებში ბიზანტიაში ღრმავდებოდა ფეოდალური ურთიერთობები და მიმდინარეობდა თემების, ე.ი. სამხედრო-ტერიტორიული ოლქების ჩამოყალიბება, რომელთა სათავეშიც *“სტრატეგოსები”* (მხედართმთავრები), ანუ ძველი ქართული ტრადიციის თანახმად, *“ერისთავები”* იდგნენ. ეს პროცესი გვაძლევს საშუალებას გამოვიცნოთ, რომ აფხაზეთიც ერთ-ერთი ასეთი სასაზღვრო თემი უნდა ყოფილიყო [ბადრიძე: 1993, 4]. ეგრისის სამეფოს ჩამოცილებული აფხაზეთის საერისთავო ბიზანტიის იმპერიის საზღვრებში მოექცა. აფხაზეთის *“სტრატეგოსი”* (თემის ჩამოყალიბებამდე *“არხოზტი”*), იგივე *“ერისთავი”*, ბიზანტიის მოხელე ხდება, თუმცა, როგორც ჩანს, მას საკმაოდ დიდი უფლებები ჰქონდა. ჩვენამდე მოაღწია ე.წ. *“ბიჭვინთის ბულამ”*, რომელიც თარიღდება VII-VIII საუკუნეებით. მას აქვს ბერძნული წარწერა:



პირზე აწერია: “ † | KωNC|TANT|INOC|†
 აწერია: “ | ABACΓIAC † “

“ † Kωσταντινος † † Ἀβασυίας † “ კონსტანტინე აფხაზეთის“ (მთავარი) (თ. ყაუხჩიშვილი: 1999, 63-64).

ბულას წარწერაში მოხსენიებულია კონსტანტინე. როგორც ცნობილია, “აფხაზეთში“ იყო მეფე კონსტანტინე, რომელიც მეფობდა 893-922 წლებში, მაგრამ ბულათა ტიპი და წარწერის პალეოგრაფიული ნიშნები, არ იძლევა საფუძველს აღნიშნული წარწერის IX-X საუკუნეებით დათარიღებისათვის. მაშასადამე, აქ მოხსენიებული კონსტანტინე არის არა “აფხაზეთა მეფე“, არამედ აფხაზეთის ერისთავი კონსტანტინე I ან კონსტანტინე II [ყაუხჩიშვილი: 1999, 63-64]. მათ შესახებ საუბარია ექვთიმე თაყაიშვილის მიერ აღმოჩენილ ე.წ. “მეფეთა დივანშიც“: “. . . *კ* *ი* *მეფე აფხაზეთისა იყო ანოს: მეორე შვილი მისი ღოზარ, მესამე შვილი მისი ისტვინე: მეოთხე შვილი მისი ფინიკტიოს: მეხუთე შვილი მისი ბარუკ, მეექვსე შვილი მისი დიმიტრი: მეშვიდე შვილი მისი თეოდოსი: მერვე შვილი მისი კონსტანტი (კონსტანტინე I, ხაზგასმა ჩვენია - შ.გ.): მეცხრე შვილი მისი თეოდორე: მეათე შვილი მისი კონსტანტინე (კონსტანტინე II, ხაზგასმა ჩვენია - შ.გ.), მეათერთმეტე ძმა მისი ლეონ: რ ნ (რომელმან) დაყო მეფობასა შინა თვისსა წელიწადი ორმოცდახუთი (რეალურად პირველი “მეფე აფხაზეთა“ - შ.გ.). . . “ [თაყაიშვილი: 1913, 46-47]. ლეონამდე ჩამოთვლილი პირები, სავარაუდოა, რომ იყვნენ არა მეფეები, არამედ აფხაზეთის მმართველი-ერისთავები (პირველად მეფის ტიტული მიიღო ლეონმა, რაზედაც ქვემოთ დეტალურად გვექნება საუბარი). “მეფეთა დივანისეული“ კონსტანტინე I ან კონსტანტინე II იხსენიება ბიჭვინთის ბულის ზემოთ განხილულ ბერძნულ წარწერაში; ამ დროს აფხაზეთის საერისთავო გამო-*



ყოფილია ეგრისის სამეფოსაგან და ის უშუალოდ დაკავშირებული ბიზანტიის იმპერიასთან, წარმოადგენს მის შემადგენელ ნაწილს. როგორც სავარაუდოა, იმპერატორი აფხაზეთის მმართველ-სტრატეგოსსაც (ქართული ტრადიციით - "ერისთავსაც") გაუგზავნიდა გარკვეულ ბულებს, მაგრამ ჩვენს მიერ განხილული ბულა, რომელზედაც იკითხება აფხაზეთის მთავრის სახელი კონსტანტინე, არის თავად აფხაზეთის მმართველის მიერ გაცემული. თავად ის ფაქტი, რომ არსებობდა იმდროინდელი აფხაზეთის მფლობელის ბულა, ბევრის მეტყველია. მიუხედავად იმისა, რომ VI საუკუნიდან მოყოლებული ეს მხარე ბიზანტიის იმპერიის შემადგენელი ნაწილია, მის მფლობელს, აფხაზეთის ერისთავს, საკმაოდ დიდი სუვერენული უფლებები ჰქონია [Очерки истории Абхазской АССР: 1960, 64]. ბულებით (ბეჭედი, მფლობელის სახის გამოსახულებით ან სახელით) იგზავნებოდა სუვერენული მმართველის მიერ გაცემული სიგელები, გადაწყვეტილებები, ბრძანებები. ბიზანტიაში საკმაოდ გავრცელებული იყო ეს პრაქტიკა; არსებობდა სხვადასხვა სოლიდიანი ბულები. თუ რამდენ სოლიდიანი ბულით გაგზავნიდნენ ამა თუ იმ დოკუმენტს, ამას გაგზავნის დროს ადრესატთა პოლიტიკური რანგის მიხედვით წყვეტდნენ. მაგალითად, კონსტანტინე პორფიროგენეტის მიხედვით (IX საუკუნეში) დიდი არმენიის "ერისთავთ-ერისთავს" ეგზავნებოდა 3 სოლიდიანი ბულა; ხაზარეთის "ხაგანსაც" 3 სოლიდიანი ბულა; ალანიის "ერისთავს", რუსეთის "ერისთავს", თურქთა "ერისთავს" და პაჭანიკთა "ერისთავებს" 2 სოლიდიანი ბულები; რომის პაპს 1 სოლიდიანი ბულა; ალექსანდრიის პაპს (პატრიარქს) 1 სოლიდიანი ბულა; ანტიოქიისა და იერუსალიმის პატრიარქებს 3 სოლიდიანი ბულები; "პროტოსიმბულს", ამირამუშნს (ხალიფას) 4 სოლიდიანი ბულა; ფრანკთა მეფეს 1 სოლიდიანი



ბულა; იბერიის კუროპლატს და აბაზგიის მთავარს შ. სოლიდიანი ბულები [კონსტანტინე პორფიროგენეტი: 1952, 290-295].

მას შემდეგ, რაც ლეონ I-მა აფხაზეთის საერისთავო მიიღო მემკვიდრეობით მფლობელობაში, ამიერიდან იმპერიის ეს სასაზღვრო თემი “სენიორიადაც” შეიძლება ვივარაუდოთ (ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. შ. გლოველი: 2003).

როგორც ზემოთ ვნახეთ, არაბებისგან დევნილი ქართლის ერისმთავრები მირი და არჩილი არ თმობენ პოზიციებს, იბრძვიან ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის და ამ საქმეში ბიზანტიასთან საკმაოდ მტკიცე კავშირს ამყარებენ. ახლა ვნახოთ რას მოგვითხრობს მემატინე დასავლურ-ქართული სახელმწიფოს - “აფხაზთა სამეფოს” ჩამოყალიბებაზე. XI საუკუნის ანონიმური თხზულება “მატიანე ქართლისა” მოგვითხრობს: *“რაჟამს მოუძღურდეს ბერძენნი, გადგა მათგან ერისთავი აფხაზთა, სახელით ლეონ, ძმისწული ლეონ ერისთავისა, რომლისად მიეცა სამევიდროდ აფხაზეთი. ესე მეორე ლეონ ასულისწული იყო ხაზართა მეფისა, და ძალითა მათითა გაადგა ბერძენთა, დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე, სახელ-იდვა მეფე აფხაზთა, რამეთუ მიცვალებულ იყო იოვანე და დაბერებულ იყო ჯუანშერ”* [მატიანე ქართლისა: 1955, 251]. ერთი შეხედვით თითქოს ყველაფერი გასაგებია და წყაროს აღნიშნული მონაკვეთი არ მოითხოვს დამატებით კომენტარს, მაგრამ ზოგი მკვლევარის აზრით, ლეონ II ჯერ გათავისუფლებულა ბიზანტიისაგან, მიუღია მეფის ტიტული და შემდეგ შეუერთებია თავისი სამეფოსთვის ეგრისი [Калфоглы: 1908, 51]. როგორც ვხედავთ, წყაროს ციტირებული ადგილიდან არ ირკვევა მოვლენათა ასეთი თანამიმდევრობა. “მატიანე ქართლისა“-ში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ჯერ მოხდა ეგრის-აფხაზეთის

გაერთიანება და შემდეგ უკვე სამეფოს შექმნა. გარდა ამისა, ყურადღებას იქცევს ერთი გარემოებაც: იმართული სახელმწიფოს საბოლოო სახით ჩამოყალიბება, რასაც საფუძველი ჯერ კიდევ მირმა და არჩილმა დაუდეს, მოხდა “ბერძენთა მოუძღვურების“ დროს, ანუ მაშინ, როდესაც ბიზანტია დასუსტდა და ამით ისარგებლა იმდროინდელმა აფხაზეთის ერისთავმა. საინტერესოა, ის პროცესი, რომელიც მირმა და არჩილმა ქართული სახელმწიფოს შესაქმნელად (ან აღსადგენად) ბიზანტიასთან მოკავშირეობით დაიწყეს, რატომ დასრულდა ანტიბიზანტიური პოლიტიკით? მირისა და არჩილის დაწყებული საქმე დასრულდა აფხაზეთში ლეონ II-ის ერისთავობის დროს და ბიზანტიის “მოუძღვურების“ გამოყენებით. რა მოხდა ბიზანტიასთან ურთიერთობაში ისეთი, რამაც განაპირობა პრობიზანტიური კურსით დაწყებული საქმის ანტიბიზანტიური პოლიტიკით დასრულება? ამის გასარკვევად აუცილებელია ზუსტად განვსაზღვროთ თუ როდის ჩამოყალიბდა საბოლოოდ დასავლურ-ქართული სახელმწიფო, რომელსაც ეწოდა “აფხაზეთი“.

როგორც “მატიანე ქართლისას“ ზემოთ ციტირებული მონაკვეთიდან ვნახეთ, პირველად “აფხაზეთა მეფის“ ტიტული მიიღო ლეონ II აფხაზეთის ერისთავმა. ის ყოფილა ერისთავ ლეონ I-ის ძმისწული, “რომლისად მიეცა სამკვიდროდ აფხაზეთი“. ლეონის გამეფების თარიღთან დაკავშირებით, მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს აკად. ექვთიმე თაყაიშვილის მიერ აღმოჩენილი “მეფეთა დივანი“. ეს არის “აფხაზეთა მეფეების“ ჩამონათვალი. დოკუმენტში მითითებული მეფეთა ინდიკტიონების მიხედვით, ექვთიმე თაყაიშვილმა ერთიანი საქართველოს პირველი მეფის - ბაგრატ III-ის მეფობის წლებიდან უკუანგარიშით, მოგვცა მეფეთა ზეობის ერთგვარი ქრონოლოგია, რომლის მიხედვითაც ლეონს უმეფია 746-791 წლებში [თაყაიშვილი:



1913, 53]. ფაქტობრივად, ასეთივე ქრონოლოგია არა აკად. ივანე ჯავახიშვილმაც [ჯავახიშვილი: 1983, 93]. მაგრამ, “მეფეთა დივანს“ ბევრი ნაკლი აქვს და ამის გამო ჩვენ მარტო მის მონაცემებს ვერ დავეყრდნობით.

ლეონ II-ის გამეფებას 786 წლით ათარიღებდა ისტორიკოსი ვახუშტი ბატონიშვილი [ვახუშტი: 1973, 796]. მკვლევართა ნაწილი, ყოველგვარი დასაბუთებისა და დამატებითი არგუმენტაციის გარეშე, პირდაპირ ეყრდნობა ვახუშტისეულ ამ ქრონოლოგიას [Brosset M.: 1851, 174-175; ბაქრაძე: 1889, 274;]. ამთავითვე აღვნიშნავთ, რომ ჩვენც ვიზიარებთ ლეონ II-ის გამეფების ვახუშტისეულ თარიღს, მაგრამ აუცილებლად მიგვაჩნია ამ მოსაზრების არგუმენტირება.

ლეონის გამეფებისა და, მაშასადამე, “აფხაზთა სამეფოს“ ჩამოყალიბების დროის შესახებ საუბრისას, შეუძლებელია არ განიხილო ამ პერიოდის ბიზანტიის იმპერიაში არსებული მდგომარეობა, რადგანაც ქართულ წყაროში პირდაპირაა მითითებული, რომ ლეონ II-მ ისარგებლა თავისი აქტის განხორციელების დროს ბერძენთა “მოუძღურებით“. ამიტომ, გასარკვევია ბიზანტიის ისტორიის რომელ მონაკვეთზეა წყაროში საუბარი, ანუ როდის “მოუძღურდა“ იმპერია ისე, რომ აფხაზეთის ერისთავმა შეძლო ბიზანტიისაგან სრული დამოუკიდებლობის მოპოვება.

როგორც ცნობილია, 717/719-740/741 წლებში ბიზანტიის იმპერატორი იყო ლეონ III. მან თავისი ვაჟი კონსტანტინე დააქორწინა ხაზართა მეფის ქალიშვილზე, რომელთაც 750 წელს ვაჟი - ლეონი შეეძინათ (ხაზართა ისტორიის შესახებ იხ. **Артамонов: 1936**). ეს ქორწინება ცხადია პოლიტიკური ნაბიჯი იყო საერთო მტრის - არაბების წინააღმდეგ ორი მნიშვნელოვანი



ძალის - ბიზანტიისა და ხაზარეთის გასაერთიანებლად გადადგმული.

კონსტანტინე V-ის (741-775) და განსაკუთრებით ლეონ IV “ხაზარის“ (775-780) იმპერატორობის დროს, ბიზანტიამ საგარეო პოლიტიკაში დიდ წარმატებებს მიაღწია. ძალზე მნიშვნელოვანი იყო 778 წელს ბიზანტიელების მიერ არაბებზე მოპოვებული გამარჯვება გერმანიკუმთან.

ლეონ IV-ის დედა ხაზართა მეფის შვილია, ქართული წყაროს მიხედვით აფხაზეთის ერისთავის - ლეონ II-ის დედაც, ასევე, ხაზართა მეფის ასული იყო. აკად. სიმონ ჯანაშიას აღნიშვნით, ისინი უნდა ყოფილიყვნენ დები, ხოლო აქედან გამომდინარე, იმპერატორი ლეონ IV და აფხაზეთის ერისთავი ლეონ II - დეიდაშვილები [Джанашиа: 1952, 330]. ბიზანტიაში ლეონ IV-ის შემდეგ ტახტზე ავიდა მისი ძე კონსტანტინე [Успенский: 1927, 140-143], მაგრამ ის მხოლოდ 10 წლის იყო და ამიტომ ქვეყნის გამგებლობას შეუდგა მისი დედა - ირინა. იმპერიაში დაიწყო დიდი არეულობა. სამეფო კარზე არაერთი შეთქმულება მოეწყო. უნდა ითქვას ისიც, რომ გამოთქმული მოსაზრებით, ირინას თვითონ უნდა მოეწამლა და მოეკლა საკუთარი მეუღლე - ლეონ IV “ხაზარი“. ბოლოს კი ირინამ საკუთარი ვაჟი კონსტანტინე VI ტახტიდან გადააყენა, დასაჯა და თავი ბიზანტიის იმპერატორად გამოაცხადა. 802 წელს ირინა თავადაც შეთქმულების მსხვერპლი გახდა. აკად. სიმონ ჯანაშია ვარაუდობდა, რომ სწორედ ამ დროს უნდა განეხორციელებინა ლეონ II-ს თავისი აქტი [Джанашиа: 1952, 333], რომ სწორედ ირინას ერთმმართველობის პერიოდი (797-802 წწ.) იყო ხელსაყრელი დრო აფხაზეთის ერისთავისათვის. ერთი სიტყვით, აკად. სიმონ ჯანაშია ქართულ წყაროში ნახსენებ ბერძენთა “მოუძღვრების“ ხანად



თელიდა VIII საუკუნის 90-იანი წლების ბრძოლაში კერძოდ, ირინას ერთმმართველობის პერიოდს.

უნდა ითქვას, რომ საგარეო პოლიტიკაში ირინას იმპერატორობამდე იმპერია წარმატებებს აღწევდა, მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ქვეყნის შიგნით მიმდინარე რთული პროცესი. ირინას ერთმმართველობამდე გაცილებით ადრე, ბიზანტიის წარმატებები არ იყო დამყარებული ქვეყნის შინაგან სიმტკიცეზე. აქ საუბარია იმ მოვლენაზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა იმპერიაში და რომელიც ცნობილია ხატმებრძოლეობის სახელით [Диль: 1948, 59-62; Горянов: 1941, 282]. ეს მოძრაობა ჯერ კიდევ VIII საუკუნის პირველ ნახევარში დაიწყო. ბერძენთა “მოუძღურების“ პერიოდის გარკვევას ხატმებრძოლურ მოძრაობასთან კავშირში ყურადღება მიაქცია პროფ. შოთა ბადრიძემ. იგი “აფხაზთა სამეფოს“ წარმოშობას უკავშირებს “დროის დიდ მონაკვეთს: მე-8 საუკუნის სიღრმიდან ამავე საუკუნის ბოლო ხანამდე“ [ბადრიძე: 1972, 36]. მართლაც, ბიზანტიის შინაგანი დასუსტება VIII საუკუნის დასაწყისიდან თუ არა, ყოველ შემთხვევაში, შუა წლებიდან ნამდვილად შესამჩნევია. ძლიერი იყო ხატმებრძოლეობის გავლენა ქვეყნის პოლიტიკურ სტაბილურობაზე. ბერძენთა “მოუძღურება“ დაიწყო არა იმპერატორ ირინას ერთმმართველობის დროს, არამედ გაცილებით უფრო ადრე. ეს პროცესი თანდათან ძლიერდებოდა და VIII საუკუნის ბოლოს მნიშვნელოვან ფაზას მიაღწია. ასევე, ერთიანი პროცესი იყო “აფხაზთა სამეფოს“ ჩამოყალიბებაც, რომელიც ორი ეტაპისაგან შედგებოდა; უპირველესად მოხდა დასავლეთ საქართველოს გაერთიანება, ხოლო შემდეგ მისი სამეფოდ გადაქცევა. ეს იყო ორი, სხვადასხვა დროს, მაგრამ ბერძენთა “მოუძღურების“ პერიოდში განხორციელებული აქტი.



ეგრისისა და აფხაზეთის გაერთიანება მოხდა ნებაყოფლობით [ვახუშტი: 1973, 795-796; პ. ინგოროყვა: 1954, 189-218; ლორთქიფანიძე: 1990, 10], თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ მოსაზრებას არ იზიარებს ზოგიერთი მკვლევარი. მაგალითად, პროფ. ზურაბ ანჩაბაძე უშვებდა ეგრის-აფხაზეთის ძალისმიერი გაერთიანების შესაძლებლობას და წერდა: ~Недостаток источников не позволяет нам категорически утверждать, что объединение Абхазии и Эгриси в одну политическую единицу было осуществлено только мирным путем при отсутствии какого бы то ни было насилия со стороны абхазского владетеля~ [Анчабадзе: 1959, 101]. რა თქმა უნდა, არ არის გამორიცხული, რომ მართლაც არ ნდომოდა ეგრის-აფხაზეთის გაერთიანება და მოგვიანებით ბიზანტიისაგან სრული განდგომა მსხვილი ფეოდალური წრის ზოგიერთ წარმომადგენელს, მაგრამ, ჩვენი აზრით, ლეონ II ეგრისელთა მხარდაჭერის გარეშე, მხოლოდ ბერძენთა “მოუძღვრების” გამოყენებით, ვერ შეძლებდა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიების გატარებას, როგორც იყო მის მიერ განხორციელებული აქტი. ეგრისსა და აფხაზეთს შორის რაიმე სერიოზული დაპირისპირება რომ ყოფილიყო, ამას, უეჭველია, პირველ რიგში, აფხაზეთის საწინააღმდეგოდ გამოიყენებდა ბიზანტიის იმპერია; იგი ამის გაკეთებას ადვილად შეძლებდა, რადგანაც ამ დროისათვის იმპერიის დასუსტება, ანუ წყაროს ენით რომ ვთქვათ - “მოუძღვრება” მართალია დაწყებულია, მაგრამ ჯერ არ არის იმ ზღვარს მიღწეული, რომელსაც მან VIII საუკუნის ბოლოს, “აფხაზთა სამეფოს” საბოლოოდ ჩამოყალიბების დროს მიაღწია. ჩვენ ხელთ არსებული წყაროებიდან არ ჩანს არც ეგრისელთა და არც აფხაზეთის საერისთავოს წარჩინებულთა წინააღმდეგობა დასავლეთ საქართველოს გაერთიანებისას. ასე რომ ეგრის-აფხაზეთის გაერთიანება გამოწვე-



ული იყო საერთო ინტერესებით. რაც შეეხება ამერიკაში რთიანებაში და შემდგომ სამეფოს ჩამოყალიბებაში ხაზართა მონაწილეობას, აქ საქმე შემდეგშია: როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, “მატიანე ქართლისა” გადმოგვცემს, რომ ლეონ II ხაზართა ძალით “გაადგა ბერძენთა, დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე, სახელ-იღვა მეფე აფხაზთა“. ამ ადგილის ისე გაგება, თითქოს ლეონ II ხაზარებს იყენებს ეგრისის დასაპყრობად, როგორც ეს ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნდა [Калфоглы: 1908, 51], დიდი შეცდომაა. აქ საუბარი სულ სხვა რამეზეა. ამერიკავკასიაში ერთმანეთს მკვეთრად უპირისპირდებოდა ბიზანტიისა და ხაზარეთის ინტერესები. სწორედ ამიტომ იყენებს ლეონ II ხაზარებს როგორც ბიზანტიის წინააღმდეგ დასაყრდენ ძალას. მკვლევარმა ია ჯიჭონაიამ სამართლიანად შენიშნა, რომ იმ დროის ბიზანტია-ხაზარეთის ურთიერთობების ისტორიის შესასწავლად დიდია “მატიანე ქართლისას“ წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობა [ჯიჭონაია: 2003, 5]. ლეონ II ხაზართა ძალას ეგრის-აფხაზეთის გაერთიანებისას უპირისპირებს არამის მოწინააღმდეგე ეგრისელებს, არამედ ბიზანტიის იმპერიას. რაც შეეხება წყაროში ნახმარ ტერმინს - “დაიპყრა“, აქ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ძველ ქართულ ენაში სიტყვა “დაიპყრა“-ს თანამედროვე ქართულში, ხშირ შემთხვევაში, შეესატყვისება “დაეუფლა“, რაც სავსებით სწორადაა შენიშნული ქართულ ისტორიოგრაფიაში.

როდესაც ლეონ I დაქორწინდა მირის ასულზე და ამ საქმეში გადამწყვეტი როლი ითამაშა არჩილ ერისმთავარმა, ფაქტობრივად ამით საფუძველი ეყრება ეგრის-აფხაზეთის გაერთიანებას. შემდეგ, როდესაც “მატიანე ქართლისას“ ავტორი მოგვითხრობს “აფხაზთა სამეფოს“ ჩამოყალიბების შესახებ, ფაქტობრივად გადმოგვცემს სურათს, თუ როგორ დაეუფლა



ლეონ II უკვე გაერთიანებულ ეგრის-აფხაზეთს. ავტორი "დაპყრობაში" ხელისუფლების აღებას, "დაუფლებას" გულისხმობს, ამიტომაც, რომ ის ერთნაირ კონტექსტში იხსენიებს აფხაზეთსაც და ეგრისსაც. აქ რომ თანამედროვე გაგებით დაპყრობაზე იყოს საუბარი, მაშინ ლეონ II-ს აფხაზეთი მაინც არ ექნებოდა დასაპყრობი, ის ხომ ისედაც აფხაზეთის ერისთავი იყო [ლორთქიფანიძე].

ისტორიკოსთა შორის არის აზრთა სხვადასხვაობა ეგრის-აფხაზეთის გაერთიანებასთან დაკავშირებით; კერძოდ, მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს გაერთიანება მოხდა ბიზანტიის იმპერიის სანქციით. როგორც პროფ. ზურაბ ანჩაბაძე წერდა: "Объединение Абхазии и Эгриси под властью Леона Абхазского..... могло в тот период даже соответствовать интересам правящей византийской верхушки, поскольку создавалось относительно мощное, зависимое от Византии, буферное государство между византийской империей, с одной стороны, и хазарским хаканатом и арабскими владениями в восточной Грузии, - с другой" [Анчабадзе: 1959, 101-102]. პროფ. ზურაბ ანჩაბაძე ეგრის-აფხაზეთის გაერთიანებას ათარიღებს 778 წლით. მისი აზრით, ეს უნდა მომხდარიყო ბიზანტიის იმპერიის სანქციით, ვინაიდან ამ დროს იმპერიამ დიდ წარმატებებს მიაღწია (საუბარია გერმანიკუმთან 778 წელს არაბებთან ბრძოლაში მოპოვებულ გამარჯვებაზე) და ამის გამო მისცა ლეონ II-ს უფლება ეგრისის საზღვრების ხარჯზე სამფლობელოს გაფართოებისა [Анчабадзе: 1959, 102].

მოსაზრებას ეგრის-აფხაზეთის საიმპერატორო კარის სანქციით გაერთიანებაზე არ იზიარებდა პროფ. შოთა ბადრიძე [ბადრიძე: 1972, 38, სქ.]. ჩვენ ზემოთ განვიხილეთ წყაროს ცნობა ეგრის-აფხაზეთის გაერთიანების თაობაზე. როგორც დავინახეთ, ლეონმა ეგრის-აფხაზეთის დაუფლების დროს, ისევე როგორც



შემდეგ, თავის მეფედ გამოცხადებისას, ხაზართა ძალა. ეს ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ ეგრის-აფხაზეთის გაერთიანება, ისევე როგორც “აფხაზეთა სამეფოს“ საბოლოოდ ჩამოყალიბება, არ იყო მისაღები ბიზანტიის იმპერიისათვის. ვერ გავიზიარებთ პროფ. ზ. ანჩაბაძის იმ მოსაზრებას, რომ ეგრის-აფხაზეთის გაერთიანება მოხდა 778 წელს არაბებთან ბრძოლაში გამარჯვებული ბიზანტიის საიმპერატორო კარის სანქციით. როგორც ვნახეთ, ეგრის-აფხაზეთის გაერთიანება გაცილებით ადრე მოხდა, ჯერ კიდევ არჩილ ერისმთავრის მოღვაწეობის დროს, ხოლო, ამ უკვე გაერთიანებული დას. საქართველოს ხელისუფლების დაუფლებისას, ლეონ II-მ ისარგებლა არა ბიზანტიელთა 778 წლის გერმანიკუმთან მოპოვებული გამარჯვებით, არამედ, ამ პერიოდისათვის იმპერიაში უკვე დაწყებული და საგრძნობლად შესამჩნევი “მოუძღურების“, დასუსტების პროცესით, რაზეც გარკვევითაა საუბარი ქართულ წყაროში.

ჩვენთვის საინტერესოა თუ რატომ ხდება ეგრის-აფხაზეთის გაერთიანება და მოგვიანებით, უკვე ლეონ II-ის დროს, “აფხაზეთა სამეფოს“ შექმნა ბიზანტიელთა “მოუძღურების“ პერიოდის გამოყენებით მაშინ, როდესაც არჩილის მიერ განხორციელებული ქორწინების (ლეონ I-ისა და მირის ასულის) დროს ყოველივე თითქოს ბიზანტიის ხელშეწყობითა და ბიზანტიასთან მოკავშირეობით მიმდინარეობდა. გავყვეთ მსჯელობას და გავაგრძელოთ საუბარი ეგრის-აფხაზეთის გაერთიანებისა და “აფხაზეთა სამეფოს“ ჩამოყალიბების დროის შესახებ. ამ მხრივ, ძალზე საინტერესოა ქართველი მწერლის იოანე საბანისძის თხზულება “აბო ტფილელის მარტვილობა“. მასში აფხაზეთის სათავეში მდგომი პიროვნება “მთავრად“ იხსენიება [იოანე საბანისძე: 1935, 65]. მაშასადამე, ის ჯერ კიდევ არ არის “მეფე“. აფხაზეთის მფლობელი დგას დამო-

უკიდებლობის გზაზე, მაგრამ საბოლოო მიზანი არ არის მიღწეული. თხზულების ავტორი აფხაზეთის “მთავარს“ იხსენიებს ქართლის ერისმთავრის – ნერსეს ხაზარეთიდან აფხაზეთში ჩასვლასთან დაკავშირებით. ამ ფაქტს ადგილი ჰქონდა VIII საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში, ხოლო თხზულება VIII საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს დაიწერა (უკანასკნელ პერიოდში პროფ. ზაზა ალექსიძემ ნერსე ერისმთავრის ცხოვრებასთან დაკავშირებით მოგვცა დათარიღების მისეული ვარიანტი. მისი თქმით “ნერსე ერისმთავარი აფხაზეთიდან ქართლში დაბრუნდა 781 წელს . . . და აღესრულა, ალბათ უფრო დაჰკარგა ერისმთავრობა, 782 წელს . . . “ [ალექსიძე: 2001, 314]. ძალზე საინტერესოა, რომ საბანისძეს მინიშნებაც კი არა აქვს ეგრისზე. VIII საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში უკვე სახელწოდება “აფხაზეთი“ ფართო ცნებადაა ქცეული და ფაქტობრივად მთელ ლიხთიმურეთს აღნიშნავს, ხოლო ეგრისის თუ აფხაზეთის (საერისთავოს) სახელწოდებანი, როგორც ცალ-ცალკე ადრე არსებულნი, დავიწყებასაა მიცემული [ბადრიძე: 1972, 37]. მაშასადამე, VIII საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისისათვის (781/882 წელს) უკვე გაერთიანებული დასავლეთ საქართველოს სათავეში დგას “მთავარი“ და არა “ერისთავი“, მაგრამ ჯერ კიდევ არა “მეფე“.

მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ეგრის-აფხაზეთის გაერთიანება და “აფხაზეთა სამეფოს“ წარმოქმნა დასავლურ-ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესის სხვადასხვა ეტაპებს ასახავს. ეგრისისა და აფხაზეთის გაერთიანებით დასავლეთ საქართველოს არ მიუღწევია ბიზანტიის იმპერიისაგან სრული დამოუკიდებლობისათვის. “აფხაზეთა სამეფოს“ შექმნა იყო გარკვეული პროცესის დასასრული ეტაპი. ამ პროცესის სახით კი ჩვენ საქმე გვაქვს დასავლეთ საქართ-



ველოს ბიზანტიის იმპერიისაგან განმათავისუფლებულ მოძრაობასთან. სწორედ ამ მხრივ ყველაზე მისაღებია პავლე ინგოროყვას დებულება, რომ მოხდა “განთავისუფლება როგორც აფხაზეთისა, ისე დასავლეთ საქართველოს დანარჩენი ტერიტორიებისა ბიზანტიის იმპერიის ბატონობისაგან” [ინგოროყვა: 1954, 116]. რაც შეეხება ამ პროცესის უკანასკნელ ეტაპს, ანუ სამეფოს საბოლოოდ ჩამოყალიბებას, ეს უნდა მომხდარიყო VIII საუკუნის 80-იანი წლების შუა ხანებში. ჯერ კიდევ პროფ. შოთა ბადრიძემ თავის გამოკვლევაში აჩვენა, რომ აფხაზეთის გაერთიანებული წარმონაქმნი არსებობდა VIII საუკუნის 80-იან წლებშივე და ამ წარმონაქმნის მეთაური იმთავითვე იყო ლეონ II, ჯერ მთავარი, შემდეგ კი მეფეც [ბადრიძე: 1972, 31-40]. მაგრამ, ჩვენ გვსურს უფრო დავაკონკრეტოთ ეს საკითხი. ლეონის გამეფებასთან დაკავშირებით “მატიანე ქართლისას” ავტორი წერს, რომ ლეონმა “სახელ-იდვა მეფე აფხაზთა, რამეთუ მიცვალებულ იყო იოვანე და დაბერებულ იყო ჯუანშერ” [მატიანე ქართლისა: 1955, 251]. ვახუშტის მიხედვით იოანე გარდაიცვალა 786 წელს, ხოლო ჯუანშერი - 787 წელს [ვახუშტი: 1973, 127]. თუ ვახუშტის ამ ცნობას გავიზიარებთ და შევადარებთ “მატიანე ქართლისას” ციტირებულ მონაკვეთს, გამოდის რომ ლეონ II გამეფებულა 786/787 წლებში (იოანეს გარდაცვალებიდან ჯუანშერის გარდაცვალებამდე პერიოდში). მაშასადამე, VIII საუკუნის 70-იანი წლების ბოლო პერიოდამდე ან 80-იანი წლების დასაწყისამდე (781/782 წლამდე) ლეონი იყო აფხაზეთის ერისთავი, ამავე პერიოდიდან დაახლოებით 786/787 წლამდე - გაერთიანებული ეგრის-აფხაზეთის მთავარი, ხოლო 786/787 წლიდან უკვე “აფხაზთა მეფე” [გლოველი: 1994, 31-34].

ფაქტობრივად არა გვაქვს საფუძველი იმისა, რომ არ გავიზიაროთ ლეონ II-ის გამეფების ვახუშტი-



სეული თარიღი - 786 წელი და არ დავეთანხმებით იმ მკვლევართ, რომელთაც სათანადო არგუმენტაციის საფუძველზე მიიღეს ვახუშტისეული ქრონოლოგია [გუნბა: 1962, 222-223; ბადრიძე: 1972, 31-40]. ერთი სიტყვით, ჩვენი აზრით, "აფხაზთა სამეფო" საბოლოოდ ჩამოყალიბდა არა იმპერატორ ირინას ერთმმართველობის დროს (797-802 წწ.), როგორც ეს მიაჩნდა აკად. სიმონ ჯანაშიას, არამედ უფრო ადრე, როცა ირინა შვილის - კონსტანტინეს მცირეწლოვანების გამო ფაქტობრივად განაგებდა ქვეყანას. სწორედ ირინასა და კონსტანტინეს ერთად მოღვაწეობის პერიოდში (780-797 წწ.) ისე "მოუძღურდა" იმპერია შინაგანი არეულობით, რომ ლეონ II-ს მიეცა ბიზანტიის საწინააღმდეგო მოქმედების საშუალება; ხოლო 797 წლიდან, ანუ ირინას ერთმმართველობის დროიდან, იმპერიის დასუსტებამ VIII საუკუნისათვის უმაღლეს წერტილს მიაღწია, რამაც საბოლოოდ გაამყარა ამ დროისათვის უკვე ჩამოყალიბებული "აფხაზთა სამეფოს" მდგომარეობა.

ჩვენ განვიხილეთ "აფხაზთა სამეფოს" ჩამოყალიბების პროცესთან დაკავშირებული ძირითადი ასპექტები, ანუ ეგრისისა და აფხაზეთის გაერთიანების და საბოლოოდ "აფხაზთა სამეფოს" ჩამოყალიბების საკითხები. ვნახეთ, რომ ქართლის ერისმთავრები მირი და არჩილი "არაბობის" პერიოდში ბიზანტიასთან მოკავშირეობით აქტიურ ნაბიჯებს დგამენ ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის. არჩილისა და აფხაზეთის ერისთავ ლეონ I-ის მოკავშირეობით, მირის ასულ გურანდუხტისა და ლეონ I-ის ქორწინებით, საფუძველი ეყრება ეგრისისა და აფხაზეთის გაერთიანებას. არჩილის მემკვიდრეების - იოანესა და ჯუანშერის შემდეგ აწ უკვე გაერთიანებულ ეგრის-აფხაზეთს დაეუფლა ლეონ II, ძმისწული ლეონ I-ისა, მაგრამ ამჯერად ეს პროცესი ბიზანტიასთან დაპირის-



პირების ფონზე მიმდინარეობს. რა შეიცვალა ბიზანტიასთან ურთიერთობის თვალსაზრისით არჩილ ერისმთავრის პოლიტიკიდან მოყოლებული ლეონ II-ის დას. საქართველოში გამეფებამდე? როგორც ვთქვით, “აფხაზთა სამეფოს“ ჩამოყალიბება დაკავშირებულია ბიზანტიელთა “მოუძღურებასთან“; აღვნიშნეთ, რომ ამ “მოუძღურების“ პერიოდად ჩვენც მიგვაჩნია იმპერიაში მიმდინარე ხატმებრძოლეობის ხანა. 730 წელს ბიზანტიის იმპერატორ ლეონ III-ის დროს გამოიცა სპეციალური ედიქტი, რომლის ძალითაც იმპერიის ტერიტორიაზე ხატმებრძოლეობა უკვე ოფიციალურ რელიგიურ მიმდინარეობად გამოცხადდა. ხატების თაყვანისცემა ოფიციალურად აიკრძალა. ეს იყო პირველყოვლისა რელიგიური გადაწყვეტილება, რასაც მნიშვნელოვანი სახელმწიფო ინტერესები ედო საფუძვლად. ხატმებრძოლეობა, გარდა წმინდა რელიგიური მომენტისა, უკავშირდება ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარებას, საეკლესიო მსხვილ მიწათმფლობელობას და სახელმწიფოებრივად მრავალ მნიშვნელოვან საკითხს, მაგრამ, უმთავრესად ეს იყო რელიგიური, საეკლესიო გადაწყვეტილება. სახელმწიფოებრივად იმდროინდელი აფხაზეთი, როგორც ვთქვით, VI საუკუნიდან მოყოლებული, თანდათან ეყოფა ეგრისს და ბიზანტიის იმპერიის შემადგენელი ნაწილი ხდება. აფხაზეთის ეკლესია, ისევე როგორც მთელი დას. საქართველოს (ეგრის-აფხაზეთის) საეკლესიო ცენტრები, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაშია. ბუნებრივია, როდესაც იმპერიაში ეკლესია დაადგა ხატმებრძოლეობის გზას, მის იურისდიქციაში შემავალი დასავლურ-ქართული ეკლესიაც ან ამ გზას უნდა დადგომოდა, ან მთლიანად გამიჯვნოდა მას. როგორც შემდგომი მოვლენები ცხადყოფენ, აფხაზეთი (სახელმწიფოებრივად ჯერ კიდევ ბიზანტიის შემადგენელი ნაწილი - საერისთავო) დარჩა ხატთა-

ყვანისმცემელი, ანუ ეკლესიური განხეთქილება სასახე-
ზეა და აშკარადაა შესამჩნევი. აფხაზეთის იმდროინ-
დელმა ერისთავმა ლეონ I-მა ბიზანტიისგან მიიღო
აფხაზეთი მემკვიდრეობით მფლობელობაში. ჯუანშე-
რის ცნობით, ის გარკვეულწილად ვასალურ ურთიერ-
თობაში შედის ქართლის ერისმთავარ არჩილთან
ურთიერთობაში. საფიქრებელია, რომ ლეონ I ბიზან-
ტიისგან აფხაზეთს მემკვიდრეობით მფლობელობაში
იღებს იმპერიაში ხატმებრძოლეობის ოფიციალურ რე-
ლიგიურ მიმდინარეობად გამოცხადებამდე, ხოლო
ხატმებრძოლეობის დროს შედის არჩილთან ვასალურ
ურთიერთობაში (ლეონ I აფხაზეთის ერისთავის, არ-
ჩილისა და მირის იმდროინდელი მოღვაწეობის და
მათთან იმპერატორ ლეონ III ისავრიელის ურთიერ-
თობის ქრონოლოგიური საკითხების დეტალური
ანალიზი იხილეთ [სანაძე: 2001, 71-88], ჩვენი აზრით,
ხატმებრძოლეობამ, აფხაზეთისა და კონსტანტინო-
პოლის ეკლესიების დაპირისპირებამ და ერთიანი ეკ-
ლესიური ორგანიზმის სავარაუდო გახლეჩამ, ან სე-
რიოზულმა საეკლესიო კონფლიქტმა, ლეონ I-ს
უბიძგა აფხაზეთის საერისთავოს ბიზანტიის იმპერიი-
საგან პოლიტიკური დამოუკიდებლობისაკენაც და
სწორედ ამ პროცესის დასაწყისად არჩილ ერის-
მთავართან ვასალური კავშირის დამყარება მიგვაჩნია.
არჩილის აქტიურმა ქმედებამ (აღედგინა ქართული
სახელმწიფოებრიობა) და ბიზანტიის ხატმებრძოლე-
ობამ, განაპირობა აფხაზეთის საერისთავოს კვლავ
ეგრისთან გაერთიანება. ხატმებრძოლეობამ იმპერია
დიდ წინააღმდეგობებს შეახვედრა. კონსტანტინოპოლ-
ის საპატრიარქოსაც საკმაოდ სერიოზულად შეერყა
პოზიცია. ფაქტობრივად, შეირყა კონსტანტინოპოლის
საპატრიარქოს დაქვემდებარებულ ეკლესიათა ერთი-
ანობა. ეკლესიათა ნაწილმა (და მათ შორის ეგრის-
აფხაზეთის ეპარქიებმა) კონსტანტინოპოლის საპა-



ტრიარქოს ხატმებრძოლური კურსი “მწვალებლობად” აღიქვა და ბუნებრივია, სამომავლოდ ამგვარ ეკლესიასთან ერთიანობა შეუძლებელი იქნებოდა. ლეონ II აფხაზეთის ერისთავად VIII საუკუნის II ნახევრიდან მოიაზრება. ამ დროს ბიზანტიაში ხატმებრძოლეობა ჯერ კიდევ აქტიურ ფაზაშია. ჩანს, ლეონ II-მ გააგრძელა არჩილის და ლეონ I-ის პოლიტიკა. მაგრამ თუ არჩილი თავდაპირველად ქართული სახელმწიფოს აღდგენისთვის ბიზანტიასთან, ხაზს ვუსვამთ - ხატთაყვანისმცემელ ბიზანტიასთან მოკავშირედ გამოდიოდა, შემდეგ უკვე ხატმებრძოლ იმპერიასთან მოკავშირეობა მიუღებელი ხდება როგორც პოლიტიკურად, ასევე, რელიგიური კუთხითაც.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ “არაბობის” ხანაში, ქართლის ერისმთავრები მირი და არჩილი პრობიზანტიური პოლიტიკით იწყებენ აქტიურ მოქმედებას ქართული სახელმწიფოს აღდგენისათვის. ბიზანტიაში დაწყებულმა ხატმებრძოლეობამ, რასაც 730 წელს უკვე ოფიციალური რელიგიური მიმდინარეობის სტატუსი მიეცა, გახლიჩა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებულ ეკლესიათა ერთობა. ამ პროცესმა განაპირობა სახელმწიფოებრივადაც აფხაზთა საერისთავოს ბიზანტიის იმპერიისაგან გამოყოფა და ლეონ I-ის არჩილ ერისმთავართან ვასალური დამოკიდებულება. დინასტიური ქორწინებით გაერთიანებული ვერის-აფხაზეთი უკვე ანტიბიზანტიურ კურსს დაადგა. VIII საუკუნის II ნახევარში ლეონ II-მ გააგრძელა არჩილის და ლეონ I-ის პოლიტიკა და ის წარმატებითაც დაასრულა. მან დაასრულა დასავლურ-ქართული სახელმწიფოს აღდგენა-ჩამოყალიბების პროცესი, რასაც საფუძველი მირისა და არჩილის დროს ჩაეყარა. ბიზანტიაში მიმდინარე ხატმებრძოლეობამ განაპირობა, რომ მირისა და არჩილის დროს პრობიზანტიური პოლიტიკით დაწყებული



ქართული სახელმწიფოს აღდგენის პროცესი დასრულდა ლეონ II-ის დროს უკვე ანტიბიზანტიური პოლიტიკის ფონზე, "აფხაზთა სამეფოს" ჩამოყალიბებით.


ლიტერატურა


1. აბდალაძე ა., ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა ურთიერთობა IX-XI საუკუნეებში, თბ., 1988.
2. ალექსიძე ზ., აბო თბილელის მარტვილობის თარიღი და მასთან დაკავშირებული ქართლის ერისმთავართა ქრონოლოგია, კრ. “მრავალთავი“, ფილოლოგიურ - ისტორიული ძიებანი, XIX, თბ., 2001.
3. ბადრიძე შ., აფხაზთა სამეფოს წარმოშობის დროისა და პირობების შესახებ, თსუ შრომები, 4 (143), თბ., 1972.
4. ბადრიძე შ., ახალი ქართული სამეფო-სამთავროების წარმოქმნა VIII-IX სს, გაზ. “ნერგი“, 23 ივლისი, 1993.
5. ბაქრაძე დ., ისტორია საქართველოსი, ტფ., 1889.
6. გლოველი შ., “აფხაზთა სამეფო“ და სენიორალური სისტემა, კრ. “საისტორიო შტუდიები“, თბ., 2003.
7. გლოველი შ., ეგრის-აფხაზეთის სამეფოს ჩამოყალიბების ისტორიიდან, ჟურნ. “არტანუჯი“, №2-3, 1994.
8. გუნბა მ., დასავლეთ საქართველო და ბიზანტია VI-VIII სს, სოხუმი, 1962.
9. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, “ქართლის ცხოვრება“, IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973.
10. თაყაიშვილი ე., რას შეიცავდა ე.წ. აფხაზეთის ისტორია ბაგრატ მეფისა, რომლითაც უსარგებლია იერუსალიმის პატრიარხს დოსითეოსს თავის იერუსალიმის პატრიარხთა ისტორიაში, კრ. “ძველი საქართველო“, საქართველოს საისტო-



რიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებუ-
ლი, II, ტფ., 1913.

11. ინგოროყვა პ., გიორგი მერჩულე, ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა. ნარკვევი ძველი საქართველოს ლიტერატურის, კულტურის და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისტორიიდან, თბ., 1954.
12. იოანე დრასხანაკერტელი, სომხეთის ისტორია, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევიტა და საძიებლებით გამოსცა ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1965.
13. იოანე საბანისძე, წამებად წმიდისა და ნეტარისა მოწამისა ქრისტესისა ჰაბოფისი, რომელი იწამა ქართლს შინა, ქალაქსა ტფილისს, ჴელიტა სარკინოზთაფთა, გამოთქმული იოვანე ძისა საბანისი ბრძანებითა ქრისტეს მიერ სამოელ ქართლისა კათალიკოზისაფთა, ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, რედ. კ. კეკელიძე, ტფ., 1935.
14. კონსტანტინე პორფიროგენეტი, გეორგიკა, IV, ნაკვ, II, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბ., 1952.
15. ლორთქიფანიძე მ., აფხაზები და აფხაზეთი, თბ., 1990.
16. მაკალათია ს., სამეგრელოს ისტორია და გეოგრაფია, თბ., 1992.
17. მატიაწე ქართლისა, “ქართლის ცხოვრება”, I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955.
18. სანაძე მ., ერისმთავრები მირი და არჩილი და ქართლის ცხოვრება, კრ. “მესხეთი“ (ისტორიული კრებული), IV, თბილისი-ახალციხე, 2001.

- 
19. ყაუხჩიშვილი თ., საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი, I, დასავლეთი საქართველო, თბ., 1999.
 20. ყორანაშვილი გ., ეროვნული საკითხი (ზოგად-თეორიული და კონკრეტულ-ისტორიული ასპექტები), თბ., 1997.
 21. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, II, თხზულებანი თორმეტ ტომად, II, თბ., 1983.
 22. ჯიჭონაია, “ქართლის ცხოვრება“ VIII-XII სს. საქართველო-ჩრდილოეთ კავკასიის პოლიტიკური ურთიერთობების შესახებ, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 2003.
 23. ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა, “ქართლის ცხოვრება“, I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955.
 24. Анчабадзе З.В., Из истории средневековой Абхазии (VI-XVII вв), Сухуми, 1959.
 25. Артамонов М. И., Очерки древнейшей истории хазар, Л., 1936.
 26. Горянов Б.Т., Иконоборческое движение в Византии, “Исторический журнал“, N 2, 1941.
 27. Джанашиа С.Н., О времени и условиях возникновения Абхазского царства, შრომები, II, თბ., 1952.
 28. Диль Ш., История Византийской империи. Перевод с французского А. Е. Рогинской, под ред. и с предисловием Б. Т. Горянова, М., 1948.
 29. Калфоглы И., Эллины на Кавказе, Афины, 1908.
 30. Лордкипанидзе М. Д., Абхазское царство, Очерки истории Грузии, II, Тб., 1988.

- 
31. **Очерки истории Абхазской АССР**, Гл. редактор Г.А. Дзидзария, Сухуми, 1960.
 32. **Успенский Ф.**, История Византийской империи, II, Л., 1927.
 33. **Brosset M.**, Additions et éclaircissements a' l'histoire de la Georgie, 1851.

The Formation of West Georgian State - "The Kingdom of Abkhazians"

The history of formation of West Georgian state - "The Kingdom of Abkhazians" ("Abkhazta Samepo") and how this state is mentioned in Georgian, foreign historical sources and historiography is given in the article.

The final and complete formation of "The Kingdom of Abkhazians" at the end of the 780es is discussed as the ultimate stage of the process that took place in the middle of the 8th century. Mir and Archil, the rulers of Kartli, persecuted by Arabs, moved to the province of Abkhazeti (Abkhazia). Since the 6th century this province gradually becomes stronger, disintegrates from Egrisi kingdom and becomes the part of the Byzantine empire. When Archil and Mir found a shelter in the mentioned province belonging to Byzantine empire it obviously meant that the rulers of Kartli were establishing anti-Arab union. At that time the ruler of Abkhazeti was Leon I. According to Juansher's (a chronicler) record, the Caesar or suzerain "ordered" him (Leon I) to help the rulers of Kartli. As for Leon I, he got the province in hereditary ownership. After this in Byzantine empire iconoclasm took place, that in fact splited the unity of the churches that were under the subordination of Constantinople and had a negative influence on the statehood of the empire.

It seams that province of Abkhazeti, that should have been one of the border communities of the Byzantine empire, did not receive iconoclasm as official religious trend and remained iconodule. On this grounding rulers: Leon I and Archil put a step towards a new political union. Leon I married a daughter of Mir, Gurandukht and thus, Egrisi and Abkhazeti was united again. Besides, according to Juansher, Leon I becomes in a kind

of vassalage relations with Archil. In author's opinion exactly Archil's mentioned political activity shows that the starting point of united Georgian state formation or its restoring is the "Araboba" period - the rule of Arabians in Georgia.

According to the "Martyrdom of Abo" it seems that at the beginning of the 780es Egrisi and Abkhazeti are already united but the head of this union is still a ruler and not a king. Thus, the process initiated by ruler Archil is not yet completed and the Georgian state is still in its way of formation.

According to "Matiane Kartlisa" (Chronicle of Kartli) ruler of Abkhazeti - Leon II, who took an opportunity of "Greeks' weakening", that means the weakening of the empire of Byzantine, received already united Egrisi and Abkhazeti, politically disaffiliated Byzantine and was called "king of Abkhazians". It meant that the process of West Georgian state formation came to an end that had been started in the ruler Archil's period. The fact that the ruler Archil at the very beginning carried on proto-Byzantine activity for the sake of Georgian statehood on the anti-Arabic background is underscored in the article. But because of iconoclasm the process comes to an end against Byzantine policy.

The process of "Abkhazeti Kingdom" formation and the chronological frames of the activity of king Leon II - the first king of Abkhazians are given in the article.

Till the end of the 70es or the beginning of the 80es of the 8th century (781 - 782) Leon was a ruler of Abkhazeti. From this period, nearly from 786 and till 787 he was a ruler of united Egrisi and Abkhazeti and from 786 - 787 already "King of Abkhazians".

საოჯახო „ოხვამერი“ (სალოცავი) ქვეურის დამტკრების რიტუალის ინტერპრეტაციისათვის

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქართულ ეთნო-გრაფიულ ყოფაში კულტმსახურების ერთ-ერთ ძირითად ადგილს მარანი წარმოადგენდა, სადაც ამა თუ იმ ღვთაებისადმი შესაწირავად და სალოცავად განკუთვნილი ქვეურები იყო ჩაფლული. მარანში შესრულებული საოჯახო რიტუალები თითქმის ბოლო დრომდე სამეგრელოში შემორჩენილი, სადაც სალოცავი ქვეურები მარანში ცალკე იყო ჩაფლული და წლის სხვადასხვა დროს ამა თუ იმ ღვთაებისადმი პატივსაცემად ოჯახის ან გვარის უფროსი ღოცვას აღავლენდა.

საოჯახო რიტუალებზე და საერთოდ ზედაშეს კულტურაზე საკმაოდ ვრცელი სამეცნიერო ლიტერატურა არსებობს და ამ მეტად მნიშვნელოვანი რელიგიურ-ყოფითი მოვლენის შესახებ მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა; კერძოდ ის არის წარმართული, თუ ქრისტიანული ხანიდან მომდინარე ფენომენი [აბაკელია: 1997; გოცირიძე: 2006; თოფურია: 1963].

ამჯერად ზედაშეს წარმოშობის პრობლემების და მასთან დაკავშირებული მთელი რიგი რელიგიურ-რიტუალური მხარის ვრცლად განხილვას არ შევუდგებით და საკითხზე ჩვენი მოსაზრების წარმოჩენას სხვა ადგილას სათანადოდ ვეცდებით, თუმცა აქვე აღვნიშნავთ, რომ მეგრული საოჯახო „ოხვამერი“ და საერთოდ ზედაშეს კულტურა წინაქრისტიანულ ხანაში წარმოშობილ ფენომენად მიგვაჩნია, რის ერთ-ერთ დამადასტურებელ ფაქტადაც წინამდებარე სტატიაში განხილული წეს-ქმედებაც შეგვიძლია მოვიშველიოთ.



ჩვენს მიერ განსახილველად დასმული წეს-ქმედების არსი შემდეგში მდგომარეობს: სამეგრელოში, როდესაც საოჯახო მარანში ჩაფლულ ქვევრებთან ამა თუ იმ მიზეზის გამო ოჯახი ლოცვას შეწყვეტდა, ან ოჯახის უფროსი, რომლის სახელზე მარანში „სამგარიოს“ (სამიქელგაბრიელო) სახელწოდების ცალკე ქვევრი იყო ჩაფლული, გარდაიცვლებოდა, ამავე დროს თუ ოჯახი დიდი ხანი ან გარკვეული დროის განმავლობაში ლოცვას ვერ აღავლენდა, მაშინ ამ ქვევრებს რომელიმე მეზობელს „ჩუმად მოაპარვინებდნენ“; მას ისინი უნდა წაეღო წყლის პირას, ოჯახიდან შორს, ქვევრები უნდა დაემტვრია, წყლისთვის გაეტანებინა ან ღრმა ხრამში გადაეგდო. შემდგომ თუ ოჯახი ისევ გადაწყვეტდა ლოცვის განახლებას, ანუ ახალი სალოცავი ქვევრების მარანში ჩაფლვას, ლოცვის განახლების წინ მათ წინასწარ დათქმული შესაწირავებით უნდა გადაეხადათ „ალობის“ რიტუალი, რაც ლოცვის მიტოვებისათვის და ღმერთის განაწყენებისათვის შეწყალების, პატიების თხოვნის ნიშნად იყო მიმართული.

„ალობის“ სახელწოდების წეს-ქმედება არა მარტო საოჯახო სალოცავებთან მიმართებაში სრულდებოდა, არამედ ის სათემო თუ სასოფლო „ხატისათვის პატიების“ თხოვნის, ანუ „ახსნის“, „შეწყალების“ მიცემის დროსაც იგივე სახელწოდებით იყო ცნობილი [სახოკია: 1940, 164]; ზოგადად ტერმინი „ალობა“ ღრმა თეონიმური დატვირთვის მატარებელი გახლავთ, რაზეც ჩვენ ამჯერად ტერმინოლოგიური თვალსაზრისით არ შევჩერდებით; ზოგადად კი აღვნიშნავთ, რომ „ალობა“, შეწყალებას, პატიების თხოვნას ნიშნავს.

პირველ რიგში, ჩვენს მიერ განსახილველ წეს-ქმედებაში ძირითადი დატვირთვის მატარებელი, ვფიქრობთ, გახლავთ ქვევრის დამტვრევის მომენტი, იმ



ქვეყრისა, რომელიც ღვთაებისათვის იყო მარანში სალოცავად ჩაფლული. რომელი იყო ეს ღვთაება?

უნდა აღინიშნოს, რომ განვითარების გარკვეული საფეხურიდან მომდინარე დღემდე, როგორც განვითარების დაბალ საფეხურზე მყოფ ხალხებში, ისე ტრადიციულ (კლასიკურ) რელიგიებში ყველგან წინა პლანზე ფიგურირებს მიცვალებულის და წინაპრის კულტი, რისი აქ ვრცლად წარმოჩენა ამჟერად ჩვენი მიზნის ფარგლებს სცილდება. ამჟერად ჩვენთვის საყურადღებოა ის მომენტი, რომ ამა თუ იმ მასალისგან დამზადებული ნივთების და უმთავრესად თიხის ჭურჭელის დამტვრევის წესს მიცვალებულის დაკრძალვასთან დაკავშირებით, მსოფლიოს სხვადასხვა ხალხთა არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალებიდან გამომდინარე, ძალზედ დიდი სიმბოლური დატვირთვა გააჩნია და ამ მონაცემებთან პარალელების გავლება ჩვენს მიერ საინტერესო წეს-ქმედებასთან, მიზანშეწონილად მიგვაჩნია.

საქართველოს არქეოლოგიურ კულტურებში, მაგალითად, მტკვარ-არაქსის კულტურის ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრის სამარხებში მიცვალებულს შესაწირავად თან ატანდნენ თიხის ჭურჭელს (სხვა ნივთებთან ერთად) [ჩუბინაშვილი: 1963, 40], ხოლო ერთ-ერთ სამსხვერპლო ნაგებობაზე (ამირანის გორა) ცხოველების დამწვარ ძვლებთან ერთად აღმოჩნდა უამრავი თიხის დამსხვრეული ჭურჭლის ნატეხები, რომელსაც მთლიანობაში სხვა შესაწირავებთან ერთად სარიტუალო დანიშნულება უნდა ჰქონოდა [ჩუბინაშვილი: 1963, 46-47]. ასეთივე სურათი ჩანს თრიალეთის ყორღანულ კულტურაში, სადაც სამარხ ორმოში ჩნდება დიდი რაოდენობით შავპრიალა ჭურჭლის ნატეხები [ჯაფარიძე: 1960, 11]; აქ თითქმის ყველა ყორღანში (საბიდ-ახჩას მიდამოებში) ჭურჭელი მთლიანად იყო დაღეწილი იმდენად, რომ მათი აღ-



დგენა თითქმის ვერ მოხერხდა; ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ თიხის ჭურჭელი შემოწყობილი იყო დასაკრძალავი ეტლის თვალთან [ჯაფარიძე: 1960, 29-30]; საყურადღებოა ისიც, რომ ეტლის შიგნით, უკანა ღერძის პარალელურად, მის მახლობლად იდო წვერ და ყუნწშემოტეხილი ბრინჯაოს სატევრის პირი, რომელზედაც ბ. კუფტინი ფიქრობდა, რომ წვერი და ყუნწი მისთვის უნდა მოეტეხათ დაკრძალვის პროცესში [Куфтин: 1941, 95].

სოფ. მელაანში ძვ. წ. I ათასწლეულის დროინდელ ძეგლებზე ნაცროვან ფენაში აღმოჩნდა ათასამდე თიხის ჭურჭლის ნატეხი, ხოლო ხოვლე გორაზე საკურთხეველის შუაში ჩადგმული იყო თიხის ჭურჭლები, თიხის რკალური ნივთი და სხვ. იგივე სურათი გვაქვს ნაცარგორის ნამოსახლარებზეც [კიკვიძე: 1976, 200-202]. შიდა ქართლში, წეროვანი II სამარხში, დასაკრძალავ ორმოში აღმოჩნდა 40 ათეულზე მეტი თიხის ჭურჭელი, ხოლო სამარხთა უმრავლესობაში გარდაცვლილის ირგვლივ ყველგან თიხის ჭურჭლები იყო ირგვლივ შემოწყობილი [Садрაძე: 1991, 27-29].

რასაკვირველია თვითონ თიხა ძალზედ დიდი სიმბოლურ-რიტუალური დატვირთვის იყო, როგორც ჩანს მისი ფართო პრაქტიკული დანიშნულებისა და სხვა ფაქტორთა გამოც, რომელზეც ცოტა ქვემოთ ვისაუბრებთ, მაგრამ თიხის ჭურჭლის მიცვალებულის დაკრძალვის მომენტში დამტვრევის ფაქტთან ერთად ჩვენ გვაქვს სხვა მასალისაგან დამზადებული ნივთების დაზიანების, დაწვის და ა. შ. ჩვეულება, რომელიც როგორც ჩანს დაკრძალვის რიტუალის დროს მეტად მნიშვნელოვანი იყო და ვფიქრობთ არა მარტო თიხას ჰქონდა ამგვარი ფუნქცია, არამედ ნებისმიერ იმ ნივთს, რომელიც მიცვალებულის საკუთრება იყო.

მაგალითად, საქართველოში ძვ. წ. II-I ათასწლეულების მიჯნის ბეშთაშენის სამარხში ცნობილია

ბრინჯაოს ნივთების გამიზნულად დამტკრევის ნიშნები [Техов: 1977, 66].

კეტებში, მიცვალებულის თავთან დებდნენ მის ფინჯანს, რომელსაც წინასწარ ამტკრევენ [Долгих: 1961, 102]. საერთოდ ისინი საფლავზე ტოვებდნენ სხვადასხვა დამტკრეულ ნივთებს, რომელიც გარდაცვლილის საკუთრება იყო. სასაფლაოზე დადებული იყო ქალის ყუთი დამტკრეული თავსახურავით, გახვრეტილი ჯამი და საჩაიე, დამტკრეული ალუმინის კოვზი, სავარცხელი; იქ სადაც ამტკრევენ ამ ნივთებს, ტოვებდნენ გარდაცვლილის ტანსაცმელსაც, იქვე ტოვებდნენ მარხილსაც, რომლითაც მკვდარი მოასვენეს. ამავე დროს შამანის დაკრძალვის დრო მის ტანსაცმელს ლითონის გამოსახულებებსა და ელარუნებს არდევდნენ, ხოლო დაირას უკეთებდნენ ნახვრეტს, რომელსაც შემდგომ ტყეში წაიღებდნენ და იქვე ტოვებდნენ [Долгих: 1961, 103-105]; ისინი მიცვალებულის შარვალს ჭრიდნენ ქვემოდან ზემოთ, რადგან იქიდან მიცვალებულის სული გამოსულიყო [Долгих: 1961, 102].

პომპონიუს მელა გალების აღწერის დროს აღნიშნავდა, რომ მიცვალებულის დაკრძალვისას წვავენ მისთვის განკუთვნილ ნივთებს და ცხოველებს [Носенко: 1990, 106].

ჩრდილოეთ კავკასიაში, მოშევაია ბალკას ქალის სამარხებში ხშირად იმარხებოდა საქსოვი მანქანის დეტალები და სხვა, რომელიც უმეტეს შემთხვევაში დაკრძალვით წინ გამიზნულად იყო დაზიანებული [Иерусалимская: 1981, 104]. ოსური მასალებით, მიცვალებულის გამოსვენების წინ წვავენ ტანსაცმელს [Смирнова: 1976, 137].

ძველ ინდოეთში რიგვედას ტექსტების მიხედვით, ადრე ჩადენილ დანაშაულის გამოსასყიდლად ასრუ-

ლებდნენ მსხვერპლშეწირვას და მათ სწამდათ, რომ ჩვეულებრივ ცოდვა გადადის ამა თუ იმ საგანზე (თიხის ჭურჭელი, ჯაჭვი), რომელსაც ანადგურებდნენ ან წყალს გაატანდნენ, ხოლო დაკრძალვის დროს ანთებდნენ დასაკრძალავ ცეცხლს, რომელიც საშინაო ცეცხლისაგან იყო აღებული და მიცვალებულთან ერთად საგანგებოდ წვავდნენ ზოგიერთ მის ნივთს, იარაღს და ჭურჭელს [Культура древней Индии: 1975, 83, 89].

მიცვალებულის ნივთების განადგურება და განსაკუთრებით იარაღის და მისი ისრისწვერების მოტეხვით გარდაცვლილისთვის ჩატანება იყო დამახასიათებელი ბაიკალისპირეთის ნეოლით-ბრინჯაოს ხანის სამარხებისათვის [Окладников: 1955, 334-337].

ბრაზილიელ ტომებში (ბორორო), როდესაც ოჯახის წევრი მოკვდებოდა, მის კუთვნილ მთელ ქონებას წვავდნენ და წყალს ატანდნენ, რადგან მიცვალებულს ვერ შეძლებოდა მისთვის უკან დაბრუნება [Штейнен: 1930, 175].

მიცვალებულის ნივთების დაწვის და დამტვრევის წესი გავრცელებული იყო ავსტრალიის ხალხებშიც [Миклухо-Маклай: 1950, 373]. ასევე აფრიკის, ამერიკის, ოკეანის სხვადასხვა ტომებში მიცვალებულის ყოველივე მიწიერ საკუთრებას ანადგურებდნენ, რათა ანახონ მას ის, რომ ერთი მხრივ ცოცხლები არ აპირებდნენ მის გაძარცვას და მეორე მხრივ იმისათვის, რომ ერთდროულად გაენადგურებინათ ყოველივე „მომაკვდინებელი ავადმყოფობის“ მატარებელი ნივთი [Липс: 1954, 395].

ზოგიერთ ხალხში (ტუვინელები), გარდაცვლილის ნივთებს არ ამტვრევდნენ, მაგრამ ყოველივე მათგანს ხვრეტდნენ დანით [Соколова: 1975, 168].

მიცვალებულის ნივთებისადმი მსგავსი დამოკიდებულება (განადგურება, დაწვა, გახვრეტა და ა. შ.)



მსოფლიოს თითქმის ყველა ხალხში იყო გავრცელებული მეტ-ნაკლებად განსხვავებული ფორმით [Семенов: 1966, 399-401]; [Гамреклидзе: 1984, 830-831]; [Антонова: 1984, 121]. ზოგიერთი ხალხი კი იმ საცხოვრებელსაც ანადგურებდა, სადაც ადრე მიცვალებული ცხოვრობდა [Семенов: 1966, 400].

ქართული ეთნოგრაფიული ყოფიდან საინტერესოდ არის შენიშნული ის გარემოება, რომ არხოტის თემში, თუ მიცვალებულის „ტალავარს“ წელიწადი შეუსრულდებოდა და ვერ აიღებდნენ, ის მეორე სიკვდილიანობის გამოწვევას ნიშნავდა. ტალავართ აღებას („ტალავარ აბერტყა“) ერთ წელიწადზე ზევით გადაცილებას „სანაწყევროს“ ეძახდნენ [ბალიაური: 1940, 15].

ზემოთ წარმოდგენილ რიტუალებზე სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეული მოსაზრებები არის გამოთქმული, თუმცა საკითხი ბოლომდე არ არის ნათელი; ი. სემიონოვი, მიცვალებულის ნივთების განადგურება-დაწვას, გადაგდებას, დამტვრევას, სანიტარული მომენტით ხსნის და გადაამდები სნეულებებისაგან თავდაცვის მიზნით მიმართულ ქმედებას მიაწერს [Семенов: 1966, 400-401]; მსგავს აზრს ავითარებს ი. ლიპსი [Липс: 1954, 352-395], თ. გამყრელიძე და ვ. ივანოვი [Гамреклидзе: 1984, 831]. საკითხისადმი მსგავსი მიდგომა ჩვენ არ მიგვაჩნია მართებულად და ზემოთ აღწერილი ქმედებების ამოსავალი რწმენა-წარმოდგენების კონტექსტში უფრო უნდა განვიხილოთ, თუნდაც იმ ფაქტებიდან გამომდინარე, რომ მიცვალებულის ჩასატანებელი ზოგიერთი ნივთი ამა თუ იმ ხალხთა ტრადიციაში მთლიანად კი არ ნადგურდება, არამედ ნაწილობრივ ანუ „სიმბოლურად“ იმტვრევა, მაგალითად დანის და შუბის წვერი, ჯამის ყური და სხვა, რაც გადმონაშთურად კი არ არის შემორჩენილი არამედ,

როგორც ზემოთ წარმოდგენილი მაგალითებიდან მოჩნდა, უძველეს არქეოლოგიურ კულტურებში ფიქსირდება.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ნივთების დაწვის და განადგურების მიზეზი არის შიში მიცვალებულისადმი, განსაკუთრებით ეს ეხება მჭრელი იარაღის პირის გაფუჭება-მოტეხვას, რადგან იყო შიში იმისა, რომ მიცვალებული არ დაბრუნებულიყო და ახლობლებისათვის არ მიეყენებინა ზიანი. ავტორისავე აზრით, ამის დამადასტურებელ ფაქტს წარმოადგენს ჩვეულება, რომლის მიხედვითაც შამანი გზის გასწვრივ ჯვრის დადებას ბრძანებს, რომ მიცვალებულს გზა გადაუკეტოს ანუ არ დაბრუნდეს უკან [Окладников: 1991, 337-339].

ა. იერუსალიმსკაიას აზრით, სხვადასხვა ნივთებისადმი მსგავსი მოპყრობა აიხსნება ადამიანის მიერ დაკრძალვის რიტუალისადმი ფორმალური მოპყრობით ანუ ცნობილი წმინდა თაღლითური მოპყრობით თავისი მკვდრებისა და ღვთაებების მიმართ. მისივე აზრით, ამ სიმბოლიზაციის პროცესის საწყისი მომდინარეობს ადამიანისა და ცხოველების მსხვერპლშეწირვის შეცვლით ამ სიმბოლური საგნებით [Иерусалимская: 1981, 104-105].

საკმაოდ საინტერესო მოსაზრებას ავითარებს ვ. ნოსენკო, კერძოდ ავტორის კვლევით, არსებობდა რამოდენიმე სულის ანუ არასხეულებრივი სუბსტანციების შესახებ რწმენა, რომელზეც მოწმობს არქეოლოგიურ მასალებში დამტვრეული ან გაფუჭებული ნივთები და ეს იმის ნიშანია, რომ საჭირო იყო საგნის „მოკვლა“ და მასში დამწყვდეული სულის გათავისუფლება, რადგანაც მას უნდა გაეცილებინა მფლობელის სული საიქიო სამყაროში [Носенко: 1990, 112].



ზემოთ წარმოდგენილი მოსაზრებები საკითხთან მიმართებაში ძალზედ საყურადღებოა, ამჯერად კი ისინი ჩვენთვის საინტერესოა უფრო კონკრეტულად სამეგრელოში ფიქსირებული ზემოთ წარმოდგენილი ქვევრის დამტკრევის წესთან დაკავშირებით, რომელი ქმედებაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვფიქრობთ, ახლოს დგას და იდენტური რწმენის გამოძახილია ზემოთ წარმოდგენილ მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული მსოფლიოს სხვადასხვა ხალხებში ფიქსირებულ ნივთების განადგურების წესთან.

პირველ რიგში ამ ქმედებასთან მიმართებაში (ქვევრის დამტკრევა) საინტერესოდ მიგვაჩნია თიხის სიმბოლური დატვირთვის მოკლედ წარმოჩენა. შუამდინარეთის ხალხების წარმოდგენით, ადამიანი თიხისაგან იყო შექმნილი და არა მარტო შექმნილი, არამედ თიხად იქცეოდა სიკვდილის შემდგომ. როგორც ვარაუდობენ, თიხის ნამტკრევეები წარმოადგენდნენ ემბრიონის ნიშნებს. თიხა იყო ქალური ბუნების, თვითონ თიხა მიწის ნაწილია, ხოლო მიწა ქალთან არის გაიგივებული¹. საერთოდ მეთუნეობა ქალების საქმიანობად ითვლებოდა ხოლო ხელოსნობის ღვთაებებს შორის პირველ ადგილზე მეთუნეობის ღვთაებაა. ასევე აღსანიშნავია ის მომენტი, რომ ძველინდური ტრადიციით, მათ სალოცავებში ჭურჭელს ცვლის ღვთაების გამოსახულება [Антонова: 1984, 122-123, 136]. ზემოთ წარმოდგენილ მასალაში ჩვენთვის პირველ რიგში საინტერესოა არა თიხის სქესობრივი ბუნება, არამედ ის, რომ თიხა ზოგადად ადამიანთან და ღვთაებ-

¹ ამ მხრივ საინტერესოა მეგრული დიხა-მიწა და ქართული თიხის ურთიერთმიმართება, რაც სემანტიურ-მორფოლოგიურად იდენტურია, ხოლო მიწა ქართველთა სარწმუნოებაში ქალური ბუნების მატარებელია.



ასთან არის გაიგივებული, რაც შესაძლოა მისი პრაქტიკული მნიშვნელობიდან გამომდინარე ღვთაების რანგშია აყვანილი და უდიდესი რელიგიურ-რიტუალური დატვირთვა გააჩნია, ის ცვლის წინაპარს, მიცვალებულს, რომელიც განასახიერებს ღვთაებას და რომელსაც შეუძლია როგორც ბედნიერების, ისე უბედურების მოტანა ცოცხალთათვის.

ძველებერძული ტრადიციის მიხედვით, ცოდვების გამოსასყიდად მიტანილი შესაწირავების დროს ის თიხის ჭურჭელი, რომელშიც ეს მსხვერპლი იხარშებოდა აუცილებლად უნდა დაემტვრიათ, ხოლო თუ ჭურჭელი ლითონის იყო, გარეცხვაც საკმარისად მიიჩნდათ. ე. ანტონოვას აღნიშვნით, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ეს მომენტი, ლითონის ჭურჭელთან შედარებით, თიხის ჭურჭლის სიიაფით იყო გამოწვეული; თუმცა, განაგრძობს ავტორი, სწორედ თიხის ჭურჭლის დამტვრევას უფრო ღრმა აზრი უდევს საფუძვლად და თიხის ჭურჭელი ცვლის ცოცხალ არსებებს (არა მარტო ცოცხალ არსებებს, არამედ მიცვალებულებსაც, რომელთაც სიკვდილის მერეც უნდა განაგრძონ სიცოცხლე საიქიო სამყაროში - დ. ჭ.), რომლის განხილვაც არ შეიძლება ცალკე იმისაგან, რომ ძველადმოსავლური ტრადიციით ადამიანები თიხისაგან არიან შექმნილნი [Антонова: 1984, 121].

სწორედ მარანში ჩაფლული თიხის ჭურჭელი შესაძლოა ცვლის წინაპარს, მიცვალებულს და ამავე დროს ის ცოცხალი ოჯახის უფროსი წევრის სალოცავად ითვლებოდა, სწორედ ის ადავლენდა ღოცვას თავისი გარდაცვლილი წინაპრის წინაშე და მხოლოდ ეს უფროსი ადამიანია უფლებამოსილი ამ რიტუალის ჩატარება-ხელმძღვანელობისა, რადგან მას როგორც ასაკით და გამოცდილებით უფროსს გადაეცა წინაპართაგან სიბრძნე და ოჯახის შეუწყვეტელობის იდეის



არსი; მან ეს მისია ლოცვაში უნდა გამოხატოს და ვალი მოიხადოს წინაპართა წინაშე.

საერთოდ მარანი და იქ ჩაფლული „ოხვამერი“ ქვევრები, გარკვეულ ტაბუირებულ ადგილს წარმოადგენდა, სადაც ყველა წესი სათანადოდ სრულდებოდა. როგორც აღნიშნულია, ტაბუს გაგება ზოგიერთ ხალხში ემთხვევა ღვთაებრივის, სიწმინდის გაგებას, ამავე დროს დემონური არსებების წინაშე შიშს. თავის მხრივ ტაბუ ინარჩუნებს მბრძანებლური მცნების ხასიათს რომლის დარღვევაც გამოსყიდული უნდა იქნას, მაგრამ მთლიანობაში ტაბუ შედგება არა მცნებებისაგან, არამედ აკრძალვებისაგან, რაც შემდეგში მდგომარეობს: „გეშინოდეს დემონების რისხვის გადაკიდებისა“ [Вундт: 1910, 280-291].

ქვევრის დამტვრევის რიტუალში ჩვენ შესაძლოა საქმე გვაქვს სწორედ ტრადიციულად მომდინარე ტაბუირებულ წეს-ჩვეულებასთან, რომლის საწყისი გარკვეული ღვთაებისადმი ცოცხალთა მიერ უპატივცემლობის შემთხვევაში, მათი ცხოვრებისათვის საშიშროების მომტანი ძალების წინააღმდეგ იყო მიმართული. სწორედ აქედან გამომდინარე უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მომენტი და საერთოდ ქვევრთან ლოცვის ძირითადი ნიუანსები მიცვალებულის კულტთან უნდა იყოს კავშირში. ფიუსტელ დე კულანჟის აღნიშვნით, ადამიანი სიკვდილის შემდგომ ითვლებოდა ღვთაებრივ და ნეტარ არსებად, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, როცა ცოცხლები მას მთავრად მუდმივად დადგენილ სასაფლაო შესაწირავს და თუ ეს შესაწირავი წყდებოდა, მაშინ მიცვალებულს ზიანს აყენებდნენ და ის ეცემოდა უბედურების დონეზე, იქცეოდა ავის მქნელ დემონად [Фюстель: 1906, 46]. აკრძალვების ანუ ტაბუს დარღვევის ჭრილში მსგავსადვე განიხილავს ამ მომენტს ზ. ფრეიდი და ცოცხალთა მიერ ზიანის

თავიდან აცილების შიშს უკავშირებს [Фрейд: 46-47] სწორედ რომ ვფიქრობთ, ქვევრის დამტვრევით ცდილობდა ადამიანი მოეშორებინა მისთვის ავის მქნელი არსებები, რომელიც, განსაკუთრებით სახიფათონი იყვნენ მას შემდეგ, რაც მათ მიმართ პატივისცემა არ გამოიჩინა და უპატრონოდ დატოვა (შესაწირავები შეუწყვიტა). ყველაზე სავარაუდო თაყვანისცემის ობიექტი უნდა ყოფილიყო მიცვალებული ანუ ღვთაების დონეზე აყვანილი წინაპარი რომლის ადგილსამყოფელს და სულის მატარებელ ობიექტს ქვევრი წარმოადგენდა. სწორედ ძველი განაწყენებული, დემონად ქცეული ღვთაების მოცილების შემდგომ, ადამიანს მაინც აწუხებს შესაძლოა „სინდისის ქეჯნა“, შესაძლოა მის მიმართ შიში და ვალდებულების გრძობა თავისი მიცვალებულის და წინაპრის მიმართ, რაც ადამიანის ფსიქოლოგიური განწყობის მომენტთანაც არის მჭიდრო კავშირში, ის ისევ ცდილობს რეაბილიტირებას ღვთაების წინაშე და ხელახლა ევედრება ღმერთს, რომ შეიწყალოს ანუ იხდის „ალობას“, რომლის შემდგომაც მას ისევ შეეძლო ახალი სალოცავი ქვევრის გაჩენა და ღვთაებისადმი თაყვანისცემა ანუ ადამიანი ისევ გამოთქვამს ღმერთთან ახლოს ყოფნის სურვილს და ამით ებრძვის გარეშე ძალებს არსებობისათვის ბრძოლაში.

განვითარების საწყის სტადიაზე კი, კერძოდ ზემოთ ჩვენს მიერ მოყვანილი მაგალითებიდან, რომელიც მიცვალებულის ჩასატანებელი ნივთების დამტვრევას და განადგურებას უკავშირდება, ჩანს ის მომენტი, რომ მიცვალებულის სიცოცხლეში ნაქონი ნივთები ცოცხალთა შორის სახიფათოდ ითვლებოდა, რაც შესაძლოა ისევ და ისევ სიკვდილისგან გამოწვეულ შიშს უკავშირდება, ანუ იმის თავიდან აცილებას, რომ სწორედ შესაძლოა ეს ნივთები ატარებდნენ იმ მომაკვდინებელ ძალას, რომელმაც სიკვდილი გა-

მოიწვია. შესაძლოა აქ საქმე გვექონდეს სულის ანუ თვით მიცვალებულის უკან არდაბრუნების შესახებ. შეიშანაც, კერძოდ იმასთან, რომ მას უკან დასაბრუნებლად არავითარი მოტივაცია არ ჰქონდა, რადგან ცოცხალთა შორის მას არანაირი ცხოვრებისეული მატერიალური თუ სულიერი დოვლათი არ ელოდებოდა.

ასევე შესაძლოა აქ საგნის უწმინდურობაზეც ვისაუბროთ, რადგან ადამიანს სწამდა რომ ღოცვის მიტოვებისათვის სწორედ იმ საგანზე ანუ ქვევრზე გადადიოდა ადამიანთა ცოდვა და ცდილობდნენ, რომ ეს ცოდვილი საგანი ანუ დემონად და მავნედ ქცეული ნივთი მოეშორებინათ ჩუმად, ისე რომ, სულს არ გაეგო ამის შესახებ და პირველი შესაძლებლობისთანავე შეეცვალათ ის ახლით.

ჩვენთვის საინტერესო საკითხთან მიმართებაში და საერთოდ ზედაშეს წარმოშობა-განვითარების პრობლემებთან დაკავშირებით, საყურადღებოდ მიგვაჩნია ძვ. წ. VII-VI საუკუნეებიდან მოყოლებული საქართველოსა და მთელს ამიერკავკასიაში მიცვალებულის ქვევრში დაკრძალვის არქეოლოგიურად ფიქსირებული ფაქტი, რაც ასევე, ყოველ შემთხვევაში რიტუალური კუთხით, მჭიდრო კავშირშია მსოფლიოს სხვადასხვა ხალხებში უფრო ადრეული ეპოქებიდან (მათ შორის მტკვარ-არაქსის და თრიალეთის კულტურებში) ფიქსირებულ ურნებში დაკრძალვით წესთან. ამ საკითხზე უამრავი ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებებია გამოთქმული მეცნიერთა მიერ და მათზე ჩვენ სხვა ადგილას ვფიქრობთ ვრცლად ყურადღების გამახვილებას, მაგრამ აღვნიშნავთ, რომ ქვევრში დაკრძალვის იდეა არ უნდა იყოს შემთხვევითი და ის მარტო მისი, როგორც მიცვალებულის დასაკრძალვად პრაქტიკულად კარგად გამოყენებადი ჭურჭლის ფუნქციით არ უნდა განისაზღვროს, რადგან შემდგომ



ეპოქაში, როდესაც მსგავსი დაკრძალვის წესი ქრება მასში ისხმება ის წმინდა ღვინო, რომელიც საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფას ბოლო დრომდე შემორჩა და ის „ზედაშეს“, „ოხვამერის“, „სალოცვილის“, „საწირავის“, „შესაწირავის“ სახელწოდებით არის ცნობილი, ღვინო კი როგორც წმინდა სასმელი, რომელიც პირველ რიგში მიცვალებულის კულტთან არის ესე მჭიდრო კავშირში, არქეოლოგიურად ფიქსირებულ ქართველ ტომთა უძველეს საკულტო ნაგებობებში ქვევრში ჩასხმული ფორმით ჯერ კიდევ ძვ. წ. II ათასწლეულში დასტურდება [კიკვიძე: 1976, 226-228].

ზემოთქმულიდან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ ქვევრის დამტკრევის წესში ნათლად ჩანს ადამიანის შიში მასზე განაწყენებული ღვთაებებისადმი, რომელიც ისევ და ისევ ცოცხალთა „დაუდევრობის“ მიზეზით იყო გამოწვეული და ეს ღვთაებები მჭიდრო კავშირშია მიცვალებულის და წინაპრის კულტთან და შესაძლოა პირდაპირ ასახავენ მათ.

1. აბაკელია ნ., სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში, თბ., 1997.
2. ბაღიაური მ., მაკალათია ნ., მიცვალებულის კულტი არხოტის თემში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, თბ., 1940, ტ. III.
3. გოცირიძე გ., ზედაშეს კულტურა საქართველოში, ქართველური მემკვიდრეობა, X, ქუთ., 2006.
4. თოფურია ნ., ღვინის ზედაშეები, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XII-XIII, თბ., 1963.
5. კიკვიძე ი., მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, თბ., 1976.
6. სახოკია თ., მიცვალებულის კულტი სამეგრელოში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, თბ., 1940, ტ. III.
7. ჩუბინაშვილი ტ., ამირანის გორა, თბ., 1963.
8. ჯაფარიძე ო., არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, თბ., 1960.
9. Антонова Е. В. Очерки культуры древних земледельцев Передная и Средней Азий, М. 1984.
10. Вундт В. Миф и религия, СПб. 1910.
11. Гамкрелидзе Т. В. Иванов Вяч. Вс. Индоевропейский язык и индоевропейцы, Тб. 1984, т. II.
12. Долгих Б. О. О похоронном обряде кетов, Советская археология, М. 1961, №3.
13. Иерусалимская А. А. Археологические параллели этнографически засвидетельствованным культам Кавказа (по материалам могильника машевая балка, Советская этнография, М. 1981, №1.
14. Культура древней Индии, М. 1975.
15. Куфтин Б. А. Археологические раскопки в Триалети, Тб. 1941.
16. Липс Ю. Происхождение вещей, М. 1954.



17. Миклухо-Маклай Н. Н. Собранные сочинений, М-Л. 1950, т. II.
18. Носенко Е. Э. Представление кельтов о загробном мире (дохристианская эпоха), Вестник древней истории, М. 1990, №3(194).
19. Окладников А. Б. Неолит и бронзовый век прибайкаля, ч. III (глодковское время), Материалы и исследования по археологии СССР, Л. 1955, №43.
20. Садрадзе В. Г. Мцхета в XV-XIII вв. до нашей эры, Тб. 1991.
21. Семенов Ю. И. Как возникло человечество, М. 1966.
22. Смиронова Я. С. Старое и новое в современной погребальной обрядности народов северного Кавказа, Полевые исследования института этнографии, М. 1976.
23. Соколова З. П. Новые данные о погребельном обряде северных хантов, Полевые исследования института этнографии, 1974, М. 1975.
24. Техов Б. В. Центральный Кавказ в XVI-X вв до н. э. М. 1977.
25. Фрейд З. Тотем и Табу, Психология первобытной культуры и религии, М-П.
26. Фюстель де Куланж, Гражданская община древнего мира, СПб. 1906.
27. Штейнен К. Среди диких народов Бразилии, М-Л. 1930.

For the Interpretation of the Ritual of Broking Family “Okhvameri” Pitcher

The interpretation of the ritual of broking family “okhvameri” (that means: veneration, pray) - pitcher buried in “marani” (wine-cellar. “Marani” may be in the open air as well) - is discussed in the article. When a certain family in Samegrelo for some reasons had to stop prayer and veneration at a pitcher buried in a family wine-cellar, or the had of the family on who’s name a special pitcher - “samgario” (dedicated to archangels: Michael and Gabriel) - buried in wine-cellar died, if family for a long time or for some time could not pray and observe the ritual, than a neighbor used “to steal” the pitchers “secretly” by owner’s request. The neighbor should take the stolen pitchers to the any kind of water (river, spring...) side and broke them or let the water take them or through them in a deep precipice. Lately, if the family decided to restore the ritual of prayer, that means burying in wine-cellar new pitchers for this purpose, they should perform a special ritual named “aloba”. The ritual should have been performed by chosen beforehand offerings, that was performed for restoring the prayer and for seeking forgiveness from God.

On the basis of ethnological and archeological materials about the above mentioned ritual it is stated that clay among Georgians as well as in the religious mentality of many peoples of the world was believed as sacred, as deity. It substituted dead and ancestor. The author thinks that the above mentioned ritual may be a kind of taboo action and if a human being express his or her disregard towards a certain deity, the sacred principal of the mentioned ritual may prevent dangerous forces and defense transgressor. It is also mentioned that the main nuances of the prayer at pitcher are connected with cult of dead. The main

object of veneration should have been dead, the ancestor equal to deity. Its dwelling place and the bearer of its soul was pitcher and if an owner of pitcher did not pray and venerate it, deity-ancestor should become demonic, evil-working creature. That's why a human being had fear and had an intention to get rid of it. After performing "aloba" ritual he or she repented sins and used to buy new pitcher and renew prayer.

The question of relationship of this ritual and generally rituals performed in "marani" (wine-cellar) and pitchers used for burials, that were widely spread in Georgia and all over the Caucasus, is also put forward in the article.



„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ძირითადი ხატები ისტორიული მეხსიერების კონტექსტში

ისტორია დღეს განიხილება, როგორც მეხსიერების ხელოვნება, რომლის მთავარი ამოცანაა წარსულის არა მხოლოდ აღწერა, არამედ იმ სახით აღდგენა, როგორც ის წარსულში განიცდებოდა [Хаттон: 2003, 402]. უნდა მოხერხდეს კოლექტიურ და ისტორიულ მეხსიერებას შორის განსხვავებების კონცეპტუალური გააზრება. გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ ხსოვნის შინაარსი არის არა იმდენად წარსულის მოვლენები, რამდენადაც მათი ამსახველი ხატები [ხიდაშელი: 2005, 16].

აქ შევეხებით იმ ეპოქას, როდესაც ნაციად ჩამოყალიბების გზაზე მყოფი ქართული საზოგადოება გამოკვეთს ერის გამაერთიანებელ სიმბოლოს, თვითმყოფადობის ხატებს, რის საფუძველზეც იქმნება „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ - საქართველოს პოლიტიკური, სოციალური და მენტალური ისტორიის ამსახველი წერილობითი წყარო, რომელიც მოიცავს დროის თვალსაზრისით დიდ ეპოქას - ძვ. წ. IV საუკუნიდან - ახ. წ. VII საუკუნის II-ნახევრამდე.

უცნობი ავტორის ქრონიკა „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ შექმნილი უნდა იყოს VII საუკუნის I ნახევარში (იხ. „ქართლის სოციალური და პოლიტიკური ისტორია ძვ. წ. IV ს.-ახ. წ. VII ს. I ნახევარი - მ. გოგოლაძე). ავტორი აღადგენს წარსულის სახეებს, რისი საშუალებითაც ახდენს ეროვნული ფასეულობების ფოკუსირებას, რაც მისაღებია და აუცილებელია მისი თანამედროვე სიტუაციისათვის. ისტორიული მეხსიერებისთვის დამახასიათებელი შერჩევითობით იგი



აქცენტებს აკეთებს ცალკეულ ისტორიულ მოვლენებზე და კონკრეტულ ისტორიულ პერსონებზე, რითაც შესაძლებელს ხდის მათ შეფასებას და მის წინაშე დასახული მიზნების მიღწევას.

უპირველესად უნდა განვსაზღვროთ, როდის იქმნება თხზულება და, აქედან გამომდინარე, ავტორის მიზანდასახულობა რომელიმე სოციალური ჯგუფის ინტერესებს გამოხატავს, ეპოქის დაკვეთას ასრულებს თუ ინტერესთა თანხვედრასთან გვაქვს საქმე, რაც ზოგადეროვნული ცნობიერების ველს ქმნის?

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“, ვფიქრობთ, იქმნება ქართულ-სომხური საეკლესიო განხეთქილების ერთ-ერთი მონაკვეთის თანადროულად. ამ კონფლიქტის ოფიციალური მიზეზები რელიგიურ-დოგმატური საკითხებია, თუმცა წამყვანი ამ დაპირისპირებაში პოლიტიკური მხარეა. მიუხედავად იმისა, რომ ქართლმა სომხეთთან და ალბანეთთან ერთად 506 წლის დვინის საეკლესიო კრებაზე ხელი მოაწერა დიოფიზიტ-მონოფიზიტთა შემარიგებელ „ჰენოტიკონს“, გარკვეული პერიოდის შემდეგ მოუხდა სარწმუნოებრივი ორიენტაციის გადასინჯვა, რაც დაკავშირებული იყო მის საგარეო პოლიტიკასთან. „VI საუკუნის დასასრულსა და VII საუკუნის დასაწყისში ახლო აღმოსავლეთში ისეთი პოლიტიკური სიტუაცია შეიქმნა, რომ ქართლს ირანის რელიგიური ზეგავლენისგან გამოსვლა და საეკლესიო დამოუკიდებლობის შენარჩუნება მხოლოდ ქალკედონიტობის ოფიციალური აღიარებით შეეძლო“ [ვახტ. ითონიშვილი: 2003, 54]. მით უფრო, მას შემდეგ, რაც ქართლში აღმდგარია ეროვნული ხელისუფლება და ქართული ეკლესიის სათავეში დგება ისეთი მასშტაბის ეროვნული მოღვაწე, როგორც კირიონ ქართლის კათალიკოსია, რომელმაც მიზნად დაისახა შერეული მოსახლეობის სრული გაქართველება და იდეოლოგიური ნიადაგის მომზადება საქართველოს ერთიანობი-



სათვის. ამავე დროს, სპარსული აგრესიული პოლიტიკის პარალელურად იკვეთება სომხეთის საერო და სასულიერო წრეების ინტერესები ქართლში. „სომხეთმა ირანში დაშვებული ქრისტიანული მიმდინარეობა ანუ მონოფიზიტიზმი აღიარა თავის მრწამსად. სომხებს ეს ხელს აძლევდა, რადგან, გარდა იმისა, რომ შაჰის ხელისუფლება მათდამი ლოიალური იყო, ამ უკანასკნელის ხელშეწყობით სომხური ეკლესია, რომელიც საკმაოდ ძლიერ ორგანიზაციას წარმოადგენდა, ცდილობდა თავისი კულტურული გავლენა ამიერკავკასიის სხვა ქვეყნებზეც გაეგრძელებინა. ეს კი, ერთი მხრივ, ნიშნავდა ირანის პოლიტიკური გავლენის გაგრძელებასაც ქართლზე“ [მუსხელიშვილი: 2003, 250]. მაგრამ ქართლმა, მიუხედავად არასტაბილური მდგომარეობისა საგარეო ფრონტზე, მაინც წარმატებით გაუძლო პოლიტიკურ-რელიგიურ ექსპანსიას და აღმავლობის გზას დაადგა. იგი კურსს ბიზანტიაზე იღებს, მაგრამ ისე, რომ სპარსეთს მკვეთრად არ დაუპირისპირდეს. VII საუკუნის პირველ წლებში ქართლი ძლიერი სახელმწიფოა და მასზე ხელი არ მიუწვდება არც ბიზანტიას და არც სპარსეთს. ხოლო ბიზანტიის იმპერატორ ჰერაკლეს დროს ფაქტობრივად ბოლო მოეღო ქართლზე სპარსეთის გავლენას და ერთმნიშვნელოვანი გახდა ბიზანტიის გამარჯვება [ალექსიძე: 1968, 195].

ასეთია მოკლედ ქართლის იმდროინდელი პოლიტიკური ვითარება. „ყოველი ქართლის“ იდეას იდეოლოგიური ფონი სჭირდება, რასაც ავტორი, მისთვის დამახასიათებელი ლაკონურობით, ერის მეხსიერებაში არსებული ქვეყნის გამაერთიანებელი, თვითმყოფადობის გამომხატველი სიმბოლოების წინ წამოწევით საინტერესოდ წარმოაჩენს.

რა არის ქრონიკის ავტორის მიზანი? – ნინოს როლის უძველესი ტრადიციის გამოკვეთით დაუპირი-



სპირდეს ქართლის გამაქრისტიანებლის ალტერნატიულ ვერსიას, რომლის სახეც არის სომეხთა განმანათლებელი გრიგოლ პართელი და, შესაბამისად, ირანულ-სომხურ პოლიტიკას და მათ ინტერესებს ქართლში.

და რა არის მემატიანის იდეა? – ერთიანი ქართული ცნობიერების ფორმირების იდეოლოგიური განმტკიცება, რომელიც უნდა გახდეს წანამძღვარი ქართული ხალხის ნაციად ჩამოყალიბების ისტორიული პროცესისა. ამისთვის აუცილებელია მეხსიერების იმ ხატების, იდეების წარმოჩენა, რომელიც ძლიერი სახელმწიფოებრივი, ეროვნული და კულტურული იმპულსის მატარებელია. მეხსიერების ასეთ ხატებად ავტორი გამოკვეთს ქართლის პირველ მეფეს – არიან ქართლის მეფის ძეს აზოს და ქართველთა გამაქრისტიანებელს ნინო კაპადოკიელს.

ვინ არის აზო? „მოქცევათ“ იგი არის არიან ქართლის მეფის ძე, ალექსანდრე მაკედონელის მოკავშირე, რომელიც არიან ქართლიდან მოდის მცხეთაში და ჯდება მეფედ: „ესე იყო პირველი მეფე მცხეთას შინა, აზოე, ძმ არიან ქართველთა მეფისაჲ“ [„მოქცევათ ქართლისაჲ“: 1963, 82]. მას მოჰყავს კერპები გაცი და გა, რომელნიც ერთიანი ქართული წარმართული პანთეონის წევრები ხდებიან.

მემატიანე, თავისი ეპოქის მოთხოვნების გათვალისწინებით კონცეპტუალურად წარმოადგენს ქართული სახელმწიფოს გაერთიანების იდეას, რომელიც მოდის არიან ქართლიდან და რომელსაც მოკავშირედ ჰყავს ისეთი რანგის პოლიტიკური მოღვაწე, როგორც ალექსანდრე მაკედონელია.

აზო, როგორც ჩანს, საზოგადოების მეხსიერებაში მყარად მკვიდრდება, განფენილია დროის დიდ მონაკვეთზე, როგორც მისაღები სახე ქართული სახელმწიფოებრივი მენტალობისა, იმდენად, რომ VII საუ-




კუნის ისტორიკოსი მას უწოდებს პირველ ქართულ მეფეს, რის საფუძველსაც სავარაუდოდ, უნდა აძლევდეს, როგორც მის ხელთ არსებული ნარატიული წყარო (თუ წყაროები), ასევე, ზეპირ (მეხსიერებით) ტრადიციაში შენახული ხსოვნა აზოს შესახებ. ეს ხსოვნა-ტრადიცია დადასტურებულია (ირიბად) უფრო ადრეულ ნარატივში, „წმინდა ნინოს ცხოვრების“ ვრცელ რედაქციაში: „და მარჯულ მისა დგა კერპი ოქროისაჲ და სახელი მისი გაცი, და მარცხელ მისა – კერპი ვეცხლისაჲ და სახელი მისი გა, რომელნი იგი ღმრთად ჰქონდეს მამათა თქუნთა არიან ქართლით“ [„მოქცევაჲ ქართლისაჲ“: 1963, 119-120]. იქვე ვკითხულობთ „კერპნი სამეფონი: გაცი და გა“ [„მოქცევაჲ ქართლისაჲ“: 1963, 126]. ნიშანდობლივია აგრეთვე, მირიან მეფის სიტყვები: „ძუელნი ღმერთნი მამათა ჩუენთანი, გაცი და გა“ [„მოქცევაჲ ქართლისაჲ“: 1963, 132]. მაშასადამე, გაცი და გა არიან ქართული წარმართული პანთეონის კერპები, ხოლო არიან ქართლი ქართული ეთნო-პოლიტიკური სივრცის ნაწილი. აზო რომ, „ქართლის ცხოვრების“ ტრადიციის საპირისპიროდ, არ არის ალექსანდრეს ნათესავი და ქართველია, უნდა მეტყველებდეს თვით „ქართლის ცხოვრების“ ცნობა: „ხოლო ამან აზონ დაუტევა სჯული ალექსანდრეს მოცემული, იწყო კერპთმსახურებად და შექმნნა ორნი კერპნი ვეცხლისანი: გაცი და გაიმ“ [„ქართლის ცხოვრება“: 1955, 20]. ამ ცნობის მიხედვით ალექსანდრეს გარდაცვალების შემდეგ აზო უბრუნდება თავის წინაპართ მრწამსს, ეროვნულ ფესვებს და ეს ფესვები ქართულია.

მეფე აზო, „მოქცევაჲს“ ავტორისთვის არის ხატი-იდეაც. იგი, როგორც ქართული ტერიტორიების გაერთიანების ინიციატორი, ალექსანდრეს მოკავშირეობას წარმატებით იყენებს ამ მიზნისთვის და, რაც ასევე მნიშვნელოვანია მემატიაანესთვის, აზო ასრუ-



ღებს ერთგვარი ხიდის ფუნქციას, ვისი საშუალებით
თაც დასავლური სამყარო შემოდის ქართულ პოლი-
ტიკურ თუ მენტალურ სივრცეში.

ნინო კაპადოკიელი წარმოადგენს მეხსიერების
ხატს, როგორც ქრისტიანობის გამაფრცვლელბელი -
ქართული ქრისტიანობის სიმბოლო, 



ენციკლის საკითხში, რაც გულისხმობს ბიზანტიის-თან ურთიერთობას.

ამგვარად, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ავტორი გამოკვეთს ისტორიული მეხსიერების ორ ძირითად ხატს - აზოს და ნინოს - ქრისტიანობამდელი და ქრისტიანული ეპოქების ქართული ცნობიერებისთვის მისაღები პოლიტიკური და კულტურული ნიშნების მატარებლებს - ნაციონალური ერთიანობის და დასავლური (ბერძნულ-ბიზანტიური) პრიორიტეტების განმსაზღვრელებს.

შემდგომში აზოს სახე ტრანსფორმაციას განიცდის, „ქართლის ცხოვრებაში“ (XI ს.) ის წარმოდგენილია, როგორც არაქართველი და ქართლის დამპყრობელი. XI საუკუნეში აზო (წარსულის სახე) არ აღდგა ისე, როგორც საუკუნეების განმავლობაში აღიქმებოდა, არამედ, როგორც იმდროინდელ წარმოდგენებს შეესაბამებოდა, რაც კონკრეტული ჯგუფის სოციალური როლის გავლენით შეიძლება აიხსნას.

ამდენად, დიდი მნიშვნელობა აქვს იმის შესწავლას, თუ როგორ იწერებოდა შუა საუკუნეების ისტორია და როგორია პოლიტიკური კონიუნქტურის როლი ისტორიული თხზულების შექმნაში. მათი შესწავლა შეძლებისდაგვარად გასცემს პასუხს კითხვაზე - რატომ განიცადა აზოს ხატმა ტრანსფორმაცია საპირისპირო კონტექსტით?

- რომელია ის საკითხები, რომლებიც...
- როგორ უნდა განვიხილოთ...
- რატომ უნდა მივიჩნიოთ...
- იგივე ეტყობოდა...
- რთულებად მიიღოთ...

1. ალექსიძე ზ., ეპისტოლეთა წიგნი, „მეცნიერება“, თბ., 1968.
2. ითონიშვილი ვახტ., ნარკვევები ქართული ქრისტიანობის ისტორიიდან, თბ., 2003.
3. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წგნ. I, 1963.
4. მუსხელიშვილი დ., საქართველო IV-VIII საუკუნეებში, თბ., 2003.
5. „ქართლის ცხოვრება“, ტ. I, თბ., 1955.
6. ხიდაშელი მ., რიტუალი და სიმბოლო არქაულ კულტურაში, თბ., 2005.
7. Хаттон П, История как искусство памяти, С-Петербург, 2003.

Medea Gogoladze

Historical Memory and the Main Images of “Kartlis Tskhovreba”

The main events of “Moktsevai Kartlisai” (“The Conversion of Kartli”), the monument written by unknown author, are comprehended and interpreted in the article by the images denoting the mentioned events that are ideologically in harmony with the epoch they took place as well as with the period of the author.

The period of the history of Georgia when the images denoting the individuality of the nation has a special importance



for the formation of “Koveli Kartli” is discussed in the article. In the author’s opinion such images are: Azo, son of the king of Arian Kartli and St. Nino of Kappadokia, the enlightener of Georgia.

The author of the monument restores the images of the past. This helps him to focus the national values that is of great importance for his current situation.

“Moktsevai Kartlisai” was written in the I half of the 7th century simultaneously with one of the periods of Georgian-Armenian church schism that was a long term process. The author of the chronicle aims to emphasize the ancient tradition connected with St. Nino to oppose the alternative version of conversion of Kartli, St. Gregory Parthian the illuminator of Armenia and thus Iran-Armenian policy in Kartli. The idea of the author is to establish the ideology of common Georgian mentality formation. For this aim, the memory images, that are bearers of strong state, national and cultural impulses are to be represented in the chronicle. The author believes that Azo and St. Nino are such images.

Azo is a symbol of the state unification ancient tradition, that is rooted in Arian Kartli (the ancient name of Kartli Kingdom). The chronicler calls him the first king of Kartli.

St. Nino of Kappadokia is a symbol of Georgian Christianity. Monotheistic cult, Christianity is a foundation symbol of the united state of Georgia and the link with western political and cultural values as well.



**დროის კონცეფციები თანამედროვე
მედიევისტიკაში
(ჟაკ ლე გოფი და ისტორიის დრო)**

ისტორიის დროის პრობლემატიკა, ისტორიკოსების მიერ გამოყენებული დროის ცნება უკანასკნელი ორმოცი წლის მანძილზე ძირეულად განახლდა. ძირითადი კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური სიახლე თანამედროვე ისტორიულ აზროვნებაში იყო უნიტარული, ხაზოვანი, ობიექტური, მათემატიკურად დანაწილებადი დროის თვალსაზრისის შეცვლა მრავალმხრივი, შექცევადი, სუბიექტური დროის კონცეფციით, უფრო თვისებრივით, ვიდრე რაოდენობრივით, სადაც თვით დროის ცნება ხშირად უთმობდა ადგილს ხანგრძლივობის უფრო მოქნილ ცნებას. „ანალების“ სკოლის მესამე თაობის წარმომადგენელმა ჟაკ ლე გოფმა არაერთი ნოვატორული შრომა მიუძღვნა ისტორიის დროის პრობლემატიკას, სადაც თავი მოუყარა და განაზოგადა ფრანგული და, არა მარტო ფრანგული, ისტორიული სკოლების სიახლეები და მიღწევები ამ სფეროში. ყველაზე მნიშვნელოვან ისტორიოგრაფიულ მოვლენად ამ თვალსაზრისით თვით ჟ. ლე გოფი ფერხან ბროდელის კლასიკად ქცეულ სტატიას თვლიდა: „ისტორია და სოციალური მეცნიერებები. დიდი ხანგრძლივობა“, სადაც ფ. ბროდელმა ისტორიული დროის სამი ფენა, სამი რიტმი გამოყო [Braudel: 1958, 725-753]. ბროდელისეული კლასიფიკაციით, ყველაზე უფრო შესამჩნევი, ზედაპირული მათ შორის „მოკლე“ დროა, რომელიც ერთდროულად სწრაფი, ეფემერული და წარმავალია. მეორე ამ დროთაგან – „კონიუნქტურის რეჩიტატივი“ ციკლების და ციკლთაშორისი პე-



რიოდების თანამიმდევრობას წარმოადგენს, რომელიც ეკონომიკის ისტორიკოსების მიერ იყო აგებული, მაგრამ მას სოციალურ ურთიერთობათა ისტორიკოსებიც მისდევენ, და ბოლოს, მესამე, დიდი ხანგრძლივობის დრო, რომელიც ძალიან ნელა იცვლებოდა და მრავალსაუკუნოვანი სტრუქტურების დონეა. [Le Goff: L'Occident... 1999, 403-404]*.


ბროდელის აზრით, ისტორია ამ სამი დროის შეერთებით იყო შექმნილი. მოვლენების აღმწერი დროის მიმართ, ისტორიკოსი აშკარა უნდობლობით იყო გამსჭვალული. მისი თქმით, ამ ხანგრძლივობებს შორის მოკლე დრო ყველაზე ჭირვეული და მაცდუნებელი იყო. სამაგიეროდ, დიდ ხანგრძლივობას თავისი უპირატესობები ჰქონდა, გრძელი დროის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე საუბრისას, ფ. ბროდელი ამტკიცებდა, რომ ყველაფერი მის გარშემო ტრიალებდა, მის ორბიტაში იყო მოქცეული. ჟაკ ლე გოფის აზრით, დიდი ხანგრძლივობის არსში ფ. ბროდელი ეკონომიკური სტრუქტურების გრძელ დროსა და მატერიალური ცივილიზაციის ძალიან გრძელ დროს კი არ ჭერებოდა, არამედ სივრცეს, გეოგრაფიას, რომელიც ისტორიულ ევოლუციას ფუნდამენტური მონაცემებით ამარაგებდა. გეოგრაფია კი, ჰეროდოტედან ბროდელამდე, ჟ. ლე გოფის თქმით, ისტორიის დიდი ხანგრძლივობის ტრადიცია, კერძოდ, ისტორიისა და გეოგრაფიის

* სტატიის დაწერისას ვისარგებლეთ ჟ. ლე გოფის შრომათა ერთი გამოცემით, რომლის სახელწოდებაა "Un Autre Moyen Âge". ეს წიგნი გამომცემლობა Quarto Gallimard-მა 1999 წელს გამოსცა და მასში თავმოყრილია ისტორიკოსის სხვადასხვა დროს დაბეჭდილ ნაშრომთა გარკვეული ნაწილი (სულ 1400 გვერდს მოიცავს). ამ ტიპის გამოცემები ბიბლიოთეკებისთვის არის განკუთვნილი (ავტ. შენიშვნა).

ერთობის ფრანგული ტრადიცია იყო [Le Goff, L'Occident... 1999, 404].

ბროდელისეული თეორიის შეჯამებისას ჟ. ლე გოფი მიუთითებდა, რომ ისტორიის სამი რიტმი არ უნდა ყოფილიყო გაგებული როგორც მექანიკური მოდელი. ფაქტობრივად, ორი დრო – ზღვარს შორის, რომლებიც ისტორიის ორ სიმეტრიულ საშიშროებას წარმოადგენდა, უძრაობაში გაშეშებული გრძელი დრო, ისტორია აღარ იყო, ხოლო მოვლენების აღმწერ, ძალიან მოკლე დროს დრო არ ჰყოფნიდა, ისტორია რომ გამხდარიყო. მეორე მხრივ, როდესაც დასავლურ ისტორიოგრაფიაში „მოვლენის დაბრუნებაზე“ საუბრობენ, ეს, არსებითად, მოვლენაზე ახალ შეხედულებას გულისხმობს. ამგვარ მაგალითად ესახება ჟ. ლე გოფს ჟორჟ დიუბის წიგნი ბუენის ბრძოლის შესახებ, სადაც მოთხრობილია საფრანგეთის მეფის ფილიპ ავგუსტუსის გამარჯვებაზე 1214 წლის აგვისტოში. ამ ნაშრომში ისტორიკოსმა აჩვენა, რომ ეს მოვლენა მხოლოდ აისბერგის მწვერვალია, ხელოვნების, თმისა და ტურნირის ეკონომიკის, მონარქიული იდეოლოგიის ევოლუციის პროდუქტი და რომ მისი მნიშვნელობა, იმ მომენტიდან მოყოლებული, როცა თავი გამოავლინა, ძირითადად სიმბოლურია. ჟ. ლე გოფის თქმით, მოვლენების აღწერითმა ისტორიამ დიდ ხანგრძლივობაში ხელახლა მონახა ფესვები.

რაც შეეხება თვით ხანგრძლივი დროის ფენომენს, აღსანიშნავია, რომ ჟაკ ლე გოფი ბროდელისეულ „დიდი ხანგრძლივობის დროის“ თეორიის მონახაზს ჯერ კიდევ მარკ ბლოკის 1924 წ. გამოცემულ ნაშრომში აფიქსირებდა. მხედველობაში გვაქვს ფრანგული „ახალი ისტორიული მეცნიერების“ ფუძემდებლის ერთ-ერთ ადრეული გამოკვლევა „სასწაულთმოქმედი მეფეები“. ეს წიგნი 1983 წელს ხელახლა დაისტამბა პარიზში, რომლის შესავალში ჟაკ ლე გოფი



მიუთითებდა მარკ ბლოკის შრომის მნიშვნელობის შესახებ ისტორიის სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტების შემდგომი კვლევის საქმეში [Bloch: 1983, XI-XII]. მარკ ბლოკმა დიდი ხანგრძლივობის ფენომენის გარკვევისას სამეფო სასწაული შეარჩია, საფრანგეთისა და ინგლისის მეფეების მიერ საყმაწვილოთი დაავადებულთა სასწაულებრივი განკურნების რწმენა. „სასწაულთმოქმედი მეფეების“ დრო XI-დან XVIII ს-მდე გრძელდებოდა. საფრანგეთში ლუი VI-ის დროს (1108-1137) დადასტურებული პრაქტიკა, ბოლოს შარლ X-ის ეპოქაში, 1825 წელს განხორციელდა. ფაქტობრივად, მ. ბლოკმა აჩვენა, რომ ეს „წმინდა ხელისუფლება“ ემყარებოდა რწმენას, რომელიც მენტალობის შემადგენელი ნაწილი იყო [Le Goff: Pour un... 1999, 449]. მართალია, ამის შემდეგ მ. ბლოკი აღარ დაბრუნებია მენტალიტეტის კვლევას, მაგრამ დღესაც „ახალი ისტორიული მეცნიერების“ წარმომადგენლები საფრანგეთშიც და სხვა ქვეყნებშიც, რომლებიც ბლოკს ისტორიული ანთროპოლოგიის მამამთავრად თვლიან, პირველ რიგში მის „სასწაულთმოქმედ მეფეებს“ მიუთითებენ [Гуревич: 1987, 29-31].

დასავლეთის ისტორიკოსების მიერ უკანასკნელი ორმოცი წლის მანძილზე შემუშავებული დროის კონცეფციების ევოლუციის მიმოხილვისას, ჟ. ლე გოფმა ძირითადი მომენტები გამოყო. მისი დაკვირვებით, ისტორიკოსებმა ციფრული ქრონოლოგიის გვერდით სუბიექტური, განვლილი, ისტორიის მოწმეების მიერ გადმოცემული დრო მიიღეს. ისტორიოგრაფიის ახალმა განვითარებამ კოლექტიური მეხსიერება ისტორიაში ჩართო, ისტორიკოსთათვის კიდევ ერთხელ ცხადი გახდა, რომ ისტორიული დრო არ არის „ბუნებრივი“ ფენომენი, იგი კულტურული ფენომენია [Le Goff: L'Occident... 1999, 405].



ამასთან, ისტორიის მიერ წამოწყებულმა დიდი
 გმა სოციალურ მეცნიერებებთან, გაამდიდრა და გაა-
 რთულა ისტორიის დროის კონცეფცია, ხოლო ეთნო-
 ლოგიამ და ანთროპოლოგიამ, თავის მხრივ, ისტორი-
 კოსს ინტერესი გაუღვიძა ნელი „თითქმის უძრავი“
 დროის მიმართ. მედიევისტებს, ისევე როგორც ძველი
 პერიოდის ისტორიკოსებს, ანთროპოლოგია უფრო
 მეტ, მათთვის საჭირო ცოდნას სთავაზობს მითიური
 დროების შესახებ, რადგან ანტიკური და მედიევალურ
 საზოგადოებები, ჟ. ლე გოფის აზრით, სულაც არ
 უნდა მომდინარეობდეს იმ ევოლუციიდან, რომელსაც
 საზოგადოებათა უმრავლესობა მითიდან ისტორიისა-
 კენ მიჰყავს.

ეკონომიკის, ვაჭრობის და სამრეწველო განვითარება
 მძლავრად დაასვა დადი ახალ საზომებსა და
 ახალ მეცნიერებებს დროისა და ხანგრძლივობის მი-
 მართ. თვით საბუნებისმეტყველო მეცნიერებებმაც გა-
 ვლენა იქონია ისტორიკოსების დროისადმი დამოკიდებ-
 ულების ევოლუციაზე. მართლაც, მათემატიკისა და
 ფიზიკის განვითარებამ მნიშვნელოვანი როლი ითამა-
 შა ტექნოლოგიურ გამოგონებაში, რამაც დროის გა-
 ზომვის პროგრესი განაპირობა, მექანიკური კოშკურა
 საათიდან კვარცის საათამდე, მყარი, თანაბარ ნაწი-
 ლებად გაყოფადი ხანგრძლივობის საათის ცნებიდან
 წამამდე.

ისტორიის დროის ეს ახალი კონცეფციები ჟ. ლე
 გოფმა დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეებს მიუსა-
 დაგა, რომელიც, მისი თქმით, ყველაზე ხელსაყრელი
 პერიოდია ამ ახალი ცნებების გამოსაყენებლად. თუმ-
 ცა, ამ შემთხვევაში მეცნიერი შუა საუკუნეების ტრადიციული,
 ჰუმანისტების მიერ დამკვიდრებული განსა-
 ზღვრით (V-XV სს.) შემოიფარგლა, მიუხედავად ადრე
 შემოთავაზებული თამამი ინტერპრეტაციისა ხანგრძ-
 ლივი შუა საუკუნეების შესახებ, რომლის მიხედვით-



აც მსოფლიო ისტორიის ეს პერიოდი რომაული სამყაროს კრიზისიდან (II-III სს-ში) XIX ს-ის სამრევნო რევოლუციამდე გრძელდებოდა [Le Goff: L'imaginaire... 1999, 433]. დროის ახალი ასპექტების გათვალისწინებით დასავლეთის ტრადიციულ შუა საუკუნეებში მან ოთხი დრო გამოყო, რომელიც ცვლილებათა ოთხ ჯგუფს შეესაბამება [Le Goff: L'Occident... 1999, 407].

ლე გოფისეული პერიოდიზაციის პირველი დრო, ქრისტიანული, იგივე ეკლესიის დრო IV-VIII სს. მოიცავს. შუა საუკუნეების ისტორიის ეს პერიოდი, რომელსაც მკვლევარი გვიან ანტიკურ ხანასაც უწოდებს, ახალი რელიგიის დამკვიდრებით აღინიშნა. ქრისტიანობამ ყველაფერი დაიპყრო: კულტურისა და იდეოლოგიის ყველა სფერო, სოციო-ეკონომიკური სისტემა, პოლიტიკური ინსტიტუტები, ფასეულობები. ეკლესიაში მოწყობილი დომინანტური ჯგუფი – კლერკები, თვალყურს ადევნებდნენ სამღვდელთა უპირატესობის შენარჩუნებას. ეს უპირატესობა დროზეც ვრცელდებოდა. ეს არის პირველი დამახასიათებელი ნიშანი შუა საუკუნეების დროისა – ის დაქვემდებარებულია ქრისტიანული რელიგიისა და ეკლესიისადმი. გარდა ამისა, ქრისტიანულ დროს ორი დიდი სიახლე მოაქვს, რომელიც განამტკიცებს ეკლესიის ბატონობას დროზე. ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ამ ინოვაციათაგან, არის 7 დღედ დაყოფილი დრო, კვირა, ბიბლიისა და იუდაიზმის მემკვიდრეობა, მითიური შესაქმის დროის მიბაძვით დამკვიდრებული, რომელიც აგრეთვე დასვენების დღით – კვირით მთავრდება. კვირა, როგორც უფლის დღე, ტაბუს დღე, როცა მუშაობა აკრძალულია ღმერთის მიერ შესაქმის დროს, მეშვიდე დღეს დასვენების აღსანიშნავად [Le Goff: L'imaginaire... 1999, 408.].



ამ ყოველკვირეულმა რიტმმა, რომელმაც შეცვალა ანტიკური კალენდრის ათდღიანი რიტმი, ადამიანის საქმიანობასაც სახე უცვალა. უკ ლე გოფი მიიჩნევს, რომ 15 საუკუნეზე მეტ ხანს ეფექტური შრომისათვის იდეალური რიტმი არსებობდა: 6 სამუშაო დღე + 1 დასვენების დღე, დროებითი ერთიანობა, რამაც ხელი შეუწყო ეკონომიკის ნაყოფიერებას დასავლეთში. თავის მხრივ, უფლის დღემ, კვირამ, მღვდლების მიერ აღნიშნულმა ყველასათვის სავალდებულო მესამე კლესიას საშუალება მისცა რეგულარულად გაეკონტროლებინა ეკონომიკური და სოციალური დრო. კლესიის ხელში იყო აღდგომის დღესასწაულის გასაღებიც, მთვარის ფაზებთან დაკავშირებული ამ მოძრაი დღესასწაულის თარიღის გამოთვლა ცოდნას საჭიროებდა, რაც მხოლოდ სასულიერო პირებს ჰქონდათ. 525 წელს ბერი დენის მიერ შედგენილი აღდგომის გამოთვლის წიგნი და ანგლო-საქსი ბერის, ბუდას 725 წლის ტრაქტატი დროის გამოთვლის შესახებ, პასქალური კალენდრის საფუძველი გახდა.

როგორც ცნობილია, რომაელებს ისტორიული, ხაზოვანი დრო ჰქონდათ, რომლის სათავე რომის დაარსების ლეგენდარული თარიღი იყო. ქრისტიანებმა, რომელთა რელიგიაც კიდევ უფრო მყარად იყო ისტორიაში დამკვიდრებული, დასაბამის ორგვარი დათარიღება მიიღეს: სამყაროს შექმნის თვითნებურად დადგენილი თარიღი და მიახლოებით გამოთვლილი ქრისტეს დაბადების, ინკარნაციის წელი. მაგრამ რომაელებისაგან განსხვავებით, ქრისტიანებმა დროს დასასრული დაუდეს. ღმერთმა თავის შექმნილ სამყაროს დღე, ზღვარი დაუდგინა. ამ დღეს, ქრისტეს მსგავსად ყოველი კაცის სხეული მკვდრეთით აღსდგება და ადამიანები მარადისობაში შევლენ: რჩეულთათვის, ვინც სამოთხეში წავა, ბედნიერი მარადისობა, ხოლო ბანკიცხულთათვის, რომლებიც ჯოჯოხეთში დაიდებ-



ენ ბინას – უბედური მარადისობა საშინელი სამსჯავროს შემდეგ. ამ პერიოდთა ერთობლიობა, რომელიც სამყაროს დასასრულს წინ უძღვის, განსაკუთრებულ დროს – „ბოლო ჟამს“, ანუ ესქატოლოგიურ დროს ქმნის [Le Goff: L'imaginaire... 1999, 409].

შუა საუკუნეების ადამიანი განვლილი დროის განსაკუთრებულ შემადგენელ ნაწილში, მოლოდინის დროში ცხოვრობდა. ეს შიშის მოლოდინი იყო: ანტიქრისტეს, საშინელი სამსჯავროს, მარადიული განკიცხვის შიშისა. ფაქტობრივად, შუა საუკუნეების ადამიანმა შიშის დროში შეაბიჯა და თუ სიკვდილი მათ წარმოსახვაში, პრაქტიკასა და შემოქმედებაში ასეთი განუყოფელი იყო, ეს იმიტომ, რომ ადამიანებს სიკვდილის შემდგომი, ჯოჯოხეთის ტანჯვების მარადიულობა აფრთხობდათ.

ციკლურმა, რელიგიურმა და ლიტურგიულმა დრომ ქვედროები წარმოშვა, რომლებიც შუა საუკუნეების ადამიანებზე გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის. ყველაზე მნიშვნელოვანი მათ შორის, ჟაკ ლე გოფისათვის ჟან-ლუი ფლანდრენის მიერ „კოცნის დროდ“ წოდებული დროა. ეკლესია მამაკაცებს და ქალებს, და განსაკუთრებით მეუღლეებს, წელიწადის გარკვეულ დროსა და გარკვეულ დღეებში, სქესობრივ ურთიერთობებს უკრძალავდა.¹ შუა საუკუნეების ადამიანებს სჯეროდათ, რომ ამ პერიოდში ჩასახული ბავშვები კეთროვანები იქნებოდნენ [Flandrin: 1983, 8-9]. ჟ. ლე გოფის მიხედვით, სქესობრივი დრო წყვეტილი

¹ დასავლეთის სქესობრივი მორალის კვლევისას ჟ.ლუი ფლანდრენმა გამოთვალა, რომ ღვთისმოსავ მეუღლეებს წელიწადში მხოლოდ 91-93 დღე შეეძლოთ სქესობრივი კავშირი აკონოდათ. ამ დღეებში არ შედის ქალის უწმინდურების პერიოდი (დღდათა წესი, ორსულობა, მშობიარობის შემდგომი პერიოდი).

იყო და როგორც კალენდარი, რომელიც მას ადგენდა, შედარებით თანამიმდევრული. ეს დრო ხაზს უსვამდა შუა საუკუნეების ადამიანების მიდრეკილებებს აშკარა კონტრასტებისადმი გრძნობებსა და დამოკიდებულებებში. ამგვარი ბიძგი უკიდურესობისაკენ ღვთისმოსაობით იყო გამაგრებული. მეუღლეთათვის სქესობრივი ასკეზა დიდი სათნოება იყო. როგორც ჟ. ლე გოფი შენიშნავს, საფრანგეთის მეფე ლუი წმინდა და მისი მეუღლე ცოლქმრული დროის ვირტუოზები იყვნენ [Le Goff: L'Occident... 1999, 410].

ეკონომიკურ და სოციალურ სტრუქტურებთან დაკავშირებული VII-XI სს-ის დრო ჩართულია დასავლეთის შუა საუკუნეების ფეოდალიზაციის პროცესში. ეს არის სწორედ ლე გოფისეული ფეოდალური დრო. ამ პერიოდის განმავლობაში ეკლესიის გამარჯვებული ნაწილი ბერმონაზვნობაა. დასავლეთის ბერებმა, მიუხედავად განმარტობული, ასკეტური ცხოვრებისა, ზოგადად მიიღეს სათემო ცხოვრება მონასტერში. ისინი დაემორჩილნენ წესებს, რომლებიც ყოველდღიურ განრიგს აკისრებდა. რეგლამენტაციისა და დროის ეს ტიპი, მიიჩნევეს ლე გოფი, რომელიც ნელ-ნელა დასავლეთის მთელ საზოგადოებაზე გავრცელდა, ზუსტი დროის დამკვიდრებაში მნიშვნელოვანი წვლილი იყო. რა თქმა უნდა, დიდი ხნის განმავლობაში ეს განრიგი მხოლოდ ბერებს ეხებოდა და მუშაობის, წირვისა და დასვენების დროს განსაზღვრავდა. იგი დღეს მეტ-ნაკლებად თანაბარ, დაახლოებით სამსაათიან შუალედებად ყოფდა. ეს „კანონიკური“ საათები იყო, რომელიც სეზონების მიხედვით ვარირებდა და „ბუნებრივ“ დროსთან, მზის ჩასვლა-ამოსვლასთან იყო დაკავშირებული. თუმცა, შეტყობინება დროის ახალი მაჩვენებლის, ზარის საშუალებით ხდებოდა, რომელიც VI-VIII სს-ში ფართოდ გავრცელდა. ზარს მეტ-ნაკლებად მაღალ კოშკზე, სამრეკლოზე



ათავსებდნენ. იტალიაში ხშირად ეკლესიის სიახლოვეს განცალკევებული სამრეკლო, დანარჩენ ქრისტიანობაში ეკლესიის ნაწილი გახდა. ამგვარად, დროის გაზომვა და უწყება რელიგიურ ნაგებობებში შევიდა. როგორც არასდროს, ეს ეკლესიის დროა, ხმოვანი დრო, რომელიც შორსაც ისმის და ერისკაცებსაც ამქვეყნიურ საქმიანობაში ეხმარება.

ერისკაცნი, ვისაც ეს ზარი უხმობდა, ძირითადად გლეხები იყვნენ, ყველაზე უფრო მრავალრიცხოვნი

XII-XIV სს-ის ქალაქის, იგივე ვაჭრის დრო, ახალი ტიპის ქალაქების გამრავლებით აღინიშნა. ანტიკური ქალაქისაგან განსხვავებით, ეს უკვე სამხედრო-პოლიტიკური ცენტრი, პურისა და თამაშების მომხმარებელი მოსახლეობის აგლომერაციაა. უკ ლე გოფის თქმით, ქალაქელი ადამიანი წონის, ზომავს, წერს. ის დროს ზომავს, რომლის განმავლობაში მუშები სახელოსნოებში მუშაობენ; დრო, რომელიც მაუდს ახალი ბაზრების დასაპყრობად იყენებს, ან თუნდაც ის დრო, დაბანდებულ ან გასესხებულ ფულს მოგებით რომ უბრუნებს, ერთი სიტყვით, პროცენტის დრო [Le Goff: L'Occident... 1999, 412]. რაც შეეხება ქალაქის სამეურნეო დროს, ის უფრო და უფრო ზუსტი გამოთვლის საგანი ხდება, იმდენად რომ ეკლესიის ზარის ნაცვლად სხვა მზომს მოითხოვს. ასე დაიბადა ქალაქის ზარი, რომელსაც ასევე კოშკზე ათავსებდნენ. 1335 წელს, ამიენში, საფრანგეთის მეფემ ფილიპ VI-მ ნება დართო ქალაქის მერს და მუნიციპალიტეტის ჩინოსნებს, ქალაქის სათვალთვალო კოშკზე ყველასგან განსხვავებული ზარი დაეკიდათ, რომელიც მუშებს სამუშაოს დაწყების, შესვენების და დამთავრების დროს ამცნობდა. ამგვარად, ეკლესიის სამრეკლოს რელიგიური დროის გვერდით, ქალაქის სათვალთვალო კოშკის ზარის საერო, სამუშაოს დრო დამკვიდრდა. თუმცა უ. ლე გოფი შენიშნავს, რომ ამ ზარს, რომელიც ადამიანების გადაწყვეტილებით და მათი საქმიანობის გამო რეკავდა, არ მოჰყოლია სიზუსტე და ახალი ეკონომიკური წყობილების დამახასიათებელი რეგულარულობა. სწორედ ამ საჭიროების პასუხად, XIII ს-ის ბოლოს ჩნდება და XIV ს-ის განმავლობაში ყველაზე პატარა ქალაქებშიც კი ვრცელდება მექანიკური კოშკურა საათი, რომელიც მხოლოდ დროთა სვლის თვალყურის დევნების საშუალება კი



არ იყო, არამედ ადამიანთა მოქმედებების სინქრონიზაციის საშუალებაც [Le Goff: L'Occident... 1999, 413].

ე.წ. „ახალ დროში“ ისტორიკოსი კიდევ ორ დიდ სიახლეზე ამახვილებს ყურადღებას. XII ს-დან ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროში გამოიკვეთა და განვითარდა თანამიმდევრული, უწყვეტი, ინდივიდუალური ისტორიის თხრობის დრო. ქრონიკების გვერდით რომანი გაჩნდა, რომელიც ინტრიგას და ხშირად გმირის ცხოვრებას აღწერდა. განვლილმა დრომ თავის აპოგეას XIII ს-ში, მრგვალი მაგიდის რომანებთან ერთად მიაღწია. მოთხრობის დროის წარმატება კი მოკლე ნარატიულ ჟანრებს: ლეს, exempla-ს, იტალიურ ნოველას უკავშირდება. მოთხრობის დრო გავრცელდა ნარატიული ფრესკების დიდ ციკლებშიც, სადაც იესოსა და წმინდანების ცხოვრება იყო გადმოცემული.

1200 წლისათვის დათვლის, გამოთვლის მანიამ, არითმეტიკის ვნებამ შეიპყრო დასავლეთის ადამიანები. დაახლოებით ამ დროისათვის თეოლოგებმა გამოიგონეს საიქიოს მესამე ქვეყანა – განსაწმენდელი, სადაც მხოლოდ განსაზღვრულ დროს რჩებიან მისატევებელ ან მონანიებისას წარუშლელ ცოდვათაგან განსაწმენდად [Le Goff: La naissance... 1999, 775-76]. განსაწმენდელში გატარებული დრო პირდაპირპროპორციულია სიკვდილის დროს მიუტევებელი ცოდვების სიმძიმისა და არაპირდაპირპროპორციულია რელიგიური აქტების მნიშვნელობისა (ლოცვები, მოწყალება, მესები), რომლებსაც გარდაცვლილის მშობლები და მეგობრები ასრულებენ. იმის გამო, რომ ეს დრო ინდულგენციებით არის გამოსყიდული, რომელიც განსაწმენდელში გატარებული რამდენიმე წლის ტოლფასია, საიქიოს დროით ვაჭრობა იწყება. მიწიერ დროსა და მარადიულ დროს შორის განსაწმენდელის ინდივი-



დუალური დრო მკვიდრდება, რომელიც ჟაკ ლე გოფის თქმით, მხოლოდ „ბიოგრაფიის დამატებაა“ [Le Goff: L'Occident... 1999, 414].

განსაწმენდელის ინდივიდუალური დროის გაჩენა უმნიშვნელოვანესი მომენტია ლე გოფისეულ დროის კონცეფციაში. „ახალი დროის“ ეს სიახლე ისტორიკოსს მისეულ მეოთხე პერიოდშიც გადააქვს. ეს არის კერძო სამსჯავრო, რომელიც სიკვდილის მომენტიდან ადამიანს განსაწმენდელის ინდივიდუალურ დროს მიუსჯის. დრო ინდივიდის კერძო საკუთრება ხდება.

ჟ. ლე გოფის „თანამედროვე დროში“, რომელიც XIV-XV სს-ს მოიცავს, მექანიკურ კოშკურა საათთან და დროზე ახალ მაკონტროლებლებთან ერთად, საზომისა და დროის პრაქტიკის ახალი ფორმები განვითარდა. დრო უკვე ხელისუფლება და ფულია. ახალი დროის წყალობით, ორი ტიპის ხელისუფალნი გაჩნდნენ. პირველი ქალაქის ბურჟუაზიაა. ის არის ქალაქის ზარის ბატონი, რომელიც მხოლოდ სამუშაო დროის პატივისცემას არ ემსახურება. ეს ზარი ბურჟუაზიას ქალაქის უსაფრთხოების დასაცავად, აგრეთვე სენიორების, გრაფების თუ მეფის წინააღმდეგ ასაჯანყებლად მოუწოდებს. მაგრამ დროის საზომი ყველაზე რევოლუციური მანქანა, მექანიკური კოშკურა საათი, ცენტრალური ხელისუფლების (უფლისწული, მეფე) იარაღი უფროა, ვიდრე ბურჟუაზიისა. ჟ. ლე გოფის დაკვირვებით, კოშკურა საათის გავრცელება ქრისტიანულ ერებში სახელმწიფოს დაფუძნების თანამედროვეა. მაგალითად, საფრანგეთში, 1370 წ. შარლ V-მ დაადგინა, რომ პარიზის ყველა საათი Palais Royal-ის საათზე უნდა ყოფილიყო მომართული. ისევე როგორც სამეფოში მხოლოდ მეფის მონეტას შეეძლო მიმოქცევა, დედაქალაქშიც სამეფო დრო მოქმედებდა [Le Goff: L'Occident... 1999, 416]. ამრიგად, ახალ ხელის-



უფალთა ხელში დომინანტური, უნიფიცირებული უწყვეტი, ზუსტი, არითმეტიკულად და ავტომატურად ზომვადი დრო მკვიდრდება.

XV ს-ის ბოლოდან, განსაწმწნდელთან ერთად გაჩენილი ინდივიდუალური დრო კიდევ უფრო ხელშესახები ხდება. კოშკურა საათების საჯარო დროს უკვე მაჯის/უბის საათის კერძო დრო შეესაბამება. ამიერიდან, დრო ან ფულია, ანდა მას ფასი არა აქვს.

ამგვარად, ისტორიკოსი დაასკვნის, რომ XV ს-დან ჩვენს დრომდე დრო უნიფიცირდა. ობიექტური დრო სულ უფრო და უფრო ზუსტად იზომება. სპორტულმა დრომ რეკორდების დრო მოიტანა, ხოლო მათ გასაზომად – ზედმიწევნით ზუსტი ქრონომეტრი. ეკონომიკის, ურთიერთობებისა და ინსტიტუტების ინტერნაციონალიზაცია ერთადერთი კალენდრისკენ ისწრაფვის. სუბიექტური დროც უფრო და უფრო სწარფად გადის [Le Goff: L'Occident... 1999, 417]. თუმცა, იგი შენიშნავს, რომ დღეს დროის კონცეფციები თავდაყირა დადგა. ისტორიკოსი მგრძნობიარე გახდა ხანგრძლივობის ყოველგავრი დანაწევრების მიმართ, მეცნიერებმა კი სამყაროს სტრუქტურაში დროში წყვეტილობა და სიმრავლე იპოვეს. ლე გოფის თქმით, მეცნიერებამ ხელახლა აღმოაჩინა ისტორიკოსის მრავალმხრივი დრო.

1. Bloch M., Les Rois Thaumaturges, étude sur le caractère surnaturel attribué à la puissance royale particulièrement en France et en Angleterre, nouvelle édition, préface de Jacques Le Goff, Paris, Gallimard, 1983.
2. Braudel F., "Histoire et sciences sociales. La longue durée", in Annales E.S.C., 1958, n 3.
3. Flandrin J.-L., Un temps pour embrasser. Aux origines de la morale sexuelle occidentale (VI^e-XI^e siècle), Paris, Le Seuil, 1983.
4. Le Goff J., L'Occident médiéval et le temps, Paris, Gallimard, 1999.
5. Le Goff J., L'imaginaire médiéval, Essais, Préface à la première édition, 1985, Paris, Gallimard, 1999.
6. Le Goff J., La naissance du purgatoire, Paris, Gallimard, 1999.
7. Le Goff J., Pour un long moyen âge, Paris, Gallimard, 1999.
8. Гуревич А.Я., Предисловие, в сб.: Культура и общество в средние века: Методология и методика зарубежных исследований, выпуск II, М., 1987.

Conceptions of time in the Modern Medievalism (Jacques Le Goff and the Time of History)

The present paper is concerned with the study of the time of history. The problems of the time of history were deeply changed during the last forty years. One of the brilliant representatives of the "School of Annales", Jacques Le Goff presents the outline of this changes with reference of western historiography (especially french historiography) and his own experience. The object of his research is the history of occidental middle ages.

The main conceptual and methodological innovation in the modern historical thought was the changing of unitary, linear, objective interpretation of time with the conception of various, reversible and subjective time.

These new aspects of the time in the middle ages Jacques Le Goff divided in four group of changes: 1. Appearance of new authorities controlling the time: the Christian church (fourth-eighth centuries), city (eleventh-twelfth centuries), state (thirteenth-sixteenth centuries); 2. Emergence of new measurers of time: bells (sixth-eighth centuries), mechanical tower clock (end of the thirteenth-fourteenth centuries) and its diminutive form – watch (end of the fifteenth century); 3. Development of exhausting economics (thirteenth-fifteenth centuries) and measuring the time (thirteenth-fourteenth centuries); 4. Flourishing of new mentality and sensitivity in respect of time (thirteenth- fifteenth centuries).

It is shown in the article that, since the fifteenth century time is unified. Objective time is measured more and more precisely. The internationalization of the economics, relations and institutions aspires to the only calendar.



ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელება ოსებში და ბრძოლა მისი განმტკიცებისათვის

ზოგიერთი ცნობით, ქრისტიანობა ალანებში პირველი საუკუნიდან გავრცელდა, კავკასიაში მოქადაგე მაცხოვრის წმიდა მოციქულების ანდრია პირველწოდებულის და სვიმონ კანანელის მოღვაწეობის ეამს. მესამე საუკუნის დიდი ღვთისმეტყველის ორიგენის (183-254) ცნობა შემოგვინახა საეკლესიო ისტორიის მამამ, ევსები კესარიელმა (+339), რომლის თანახმად, ~Фома получил после жребия в свой 'апостольский удел~ Парфию, Андрей – Скифию, Иоан – Азию. Здесь они и начали свою деятельность~ [კუზნეცოვი: 1978, 26]. ორიგენის ცნობის უგულებელყოფა ადვილად არ შეიძლება. „იგი ემყარება მსოფლიო ეკლესიის გადმოცემას, რომლის გასაცნობად ორიგენმა განგებ მოიარა და ინახულა იმ დროის საქრისტიანოს ცენტრები: რომი, პალესტინა, მცირე აზია [თარხნიშვილი: 1994, 407]. ამდენად, წმ. ანდრია მოციქულს სკვითია ერგო მოსაქცევად. სპეციალურ ლიტერატურაში აღიარებულია, რომ ირანულენოვანი სკვითები, სარმატები და ალანები, ისევე როგორც ადგილობრივი კავკასიელები, ოსების ეთნოგენეზში მონაწილე ეთნოსებია. ქართული მატინეს მიხედვით, ანდრია პირველწოდებული ოსთა განმანათლებლად ითვლება. „ხოლო დიდი ანდრია სვიმონითურთ შევიდეს ქვეყანასა ოვსეთისასა და მიიწივნეს ქალაქად, რომელსა ფოსტაფორ ეწოდების, სადა იგი დიდნი სასწაულნი აღასრულნეს და ერნი ურიცხვნი მოაქცივნეს და განანათლნეს“ [საბინინი: 1882, 36]. ცხადია, წმ. ანდრიას მიერ ალან-ოსების გაქრისტიანებას დიდი ისტორიული მნიშვნელობა უნდა მიე-



ცეს, მაგრამ მიუღებელია „ოსეთის დღევანდელი ერის და ეკლესია, საქართველოს ეკლესიასთან ერთად ჩაითვალოს უხუცეს ანუ სამოციქულო ეკლესიად“ [ჭიჭინაძე: 1915, 43]. ქართველი ერის ეროვნული ცნობიერება მართლმადიდებლურ მოძღვრებაში განსახიერდა, მაგრამ განა ყველგან მართლმადიდებლობას თაყვანისცემის ამგვარი მასშტაბები ჰქონდა?! „ქრისტიანობას ყველა ეროვნულ სინამდვილეში ერთნაირი ნიადაგი არ დახვედრია და შესაბამისად არც ერთნაირ სარწმუნოებრივ ინსტიტუტებში თუ მორალურ იმპერატივებში უპოვნია თავისი პრაქტიკული განხორციელება“ [გეგეშიძე: 2002, 88].

ზოგიერთი მკვლევარი ფაქტობრივი მონაცემების გარეშე ცდილობს იმის დამტკიცებას, რომ ქრისტეს ნათელი ოსეთს (ჩრდილოეთს და სამხრეთს) ჯერ კიდევ წმ. ნინოს მოღვაწეობისას მოეფინა [ლაგოვი: 1883, 200]. უეჭველია, რომ ბარიდან ქრისტიანობა შევიდა კავკასიის მთებში და არაქართველებშიც გავრცელდა. ამის თვალსაჩინო მაგალითია დღემდე შემონახული მატერიალური კულტურის ძეგლები, მაგრამ წმ. ნინოს მოღვაწეობის ხანაში, ოსეთის ორად გაყოფას, მხარს არ უჭერს არც ერთი ისტორიული ცნობა. არსებობს აგრეთვე შეხედულება, რომ ოსები ქრისტიანობაზე V ს-ში ქართველთა მეფემ ვახტანგ გორგასალმა მოაქცია: „Однако христианство не могло пустить глубоких корней, так как учение Христа противоречило нравственным понятиям осетин, сложившимся веками в родовом быту; догматы же христианской религии им совершенно непонятны“ [კრასილნიკოვი: 1919, 35].

არახელსაყრელი გარემოებები, როგორცაა მღვდელმსახურთა სიმცირე და ხშირი ომიანობა, ალანებში ქრისტიანული მოძღვრების განმტკიცებას აფერხებდა. სახარების მოძღვრების ის მკრთალი შუქი თან-

დათან გაქრებოდა, რომ VI ს-ში ბიზანტიიდან ქრისტიანობას არ შემოეღწია.

ოსეთის გეოგრაფიული მდებარეობა და ნაკლებად განვითარებული კლასობრივი ურთიერთობები, ქრისტიანობის გავრცელებას კვლავ აბრკოლებდნენ. ამ საქმის წარმატებას ხელს უშლიდა სპარსეთი, ქრისტიანობის დაუძინებელი მტერი, რომელიც ბიზანტიას ებრძოდა. 562 წელს, ბიზანტიის იმპერატორმა იუსტინიანემ (527-565) დაიპყრო კავკასიის მთის ხალხები: ჩერქეზები, აფხაზები და სხვა. შესაბამისად, მათ შორის ქრისტიანობა გაავრცელა. ბიზანტიის იმპერატორს დიდი გავლენა მოუხდენია ალანებზე, რომლებიც იუსტინიანეს წმინდანად თვლიდნენ და „იუს“ უწოდებდნენ. „იუსტინიანეს პერიოდის ეკლესიათა რიცხვს შეიძლება მიეკუთვნოს ე.წ. იუს ძუარი, რომელიც დიგორიაში მდებარეობს“ [კუხეციანი: 1871, 8]. ქრისტიანობა ალანიაში სხვადასხვა გზით შედიოდა. კერძოდ, ბიზანტიის სამღვდელმთავრებამ VII ს-ში წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტერი დაარსა, ძირითადად იმ ნაწილში, რომელიც აფხაზეთს ესაზღვრებოდა „Миссионерская активность Византии объясняется рядом далеко идущих политических расчетов, основным из которых явилось стремление к превращению алан в послушных военных вассалов“ [კუხეციანი: 1978, 36].

არსებული წყაროების პირდაპირი თუ ირიბი მონაცემები საკმარისი არ არის ოსების წინაპრები უძველეს ქრისტიანებად გამოცხადდნენ, მაგრამ „ბიზანტიის მიერ ოსთა გაქრისტიანება ერთ-ერთი ნაბიჯი იყო მსოფლიო იმპერიის შექმნის გზაზე. VI ს-ის შემდეგ ეს ინტერესი შენედა, რადგან ოსთა სამეფო ძალა დასუსტებული იყო“ [გვასალია: 1997, 17].

X ს-ში ოსთა გაქრისტიანების ბიზანტიური პოლიტიკა კვლავ დღის წესრიგში დადგა. 921-925 ქრისტიანობა ალანებში ოფიციალურ რელიგიად გამოცხადდა.



დდა. ალანებში ქრისტიანობის გავრცელება კონსტანტინეპოლის პატრიარქის ნიკოლოზ მისტიკოსის და აფხაზთა მეფის გიორგის სახელს უკავშირდება. მეფე გიორგი ნათლავს ალანეთის მმართველს და დიდებულებს. ალანთა მოქცევის თაობაზე კონკრეტული ცნობები კონსტანტინეპოლის პატრიარქის, ნიკოლოზ მისტიკოსის ეპისტოლეთა კრებულში მოიპოვება. აღნიშნული საკითხის შესახებ, ბერძნულმა პატროლოგიამ სამი წერილი შემოინახა. ეპისტოლეებიდან ირკვევა, რომ „ალანთა შორის პირველ მქადაგებლად გამოსულა ოლიმპის ბერმონაზონი ევთიმე, რომლის მოღვაწეობას დიდი ნაყოფი არ გამოუღია. მაშინ თვითონ აფხაზთა მეფეს თავს უღვია ეს საქმე და ალანების განსანათლებლად ქართველი მოციქულები გაუგზავნია. მოუქცევია და მოუნათლავს მათი მთავარი, სხვა მრავალ ალანებთან ერთად. რაკი ალანთა ქვეყანა იერარქიულად ბიზანტიის საპატრიარქოს ფარგლებში შედიოდა, ამიტომ თვითონ ნიკოლოზ მისტიკოსს საკუთარი ხელდასხმით დაუდგენია მათთვის პირველი მთავარეპისკოპოსი, სახელად პეტრე“ [თარხნიშვილი: 1994, 409]. საერო ხელისუფლების ძალისხმევითა და ადგილობრივი არისტოკრატის აქტივობის მიუხედავად, ოსების მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ წარმართად რჩებოდა. „ალანთა ეპარქია პირველად X ს-ში გვხვდება, ნიკოლოზ მისტიკოსის დროს, როგორც სამთავარეპისკოპოსო, შემდეგ კი – სამიტროპოლიტოდ გადაიქცა, რომელიც კონსტანტინეპოლის საპატრიარქოში შედიოდა. ალანთა ეპარქიამ XIII საუკუნემდე, ე.ი. ალანეთში მონღოლების შემოსევამდე იარსება“ [კალოვეი: 1971, 284].

მოგვიანებით, ალან-ოსებზე ბიზანტიის იდეოლოგიურ გავლენას უკვე საქართველოს ქრისტიანული კულტურის ზეგავლენა ენაცვლება. „საქართველოს ფეოდალური მონარქიის ძლიერების ხანაში, ქართველ

და ოს ხალხებს შორის დამყარებული მჭიდრო პოლიტიკური ურთიერთობა, დინასტიური ნათესაობა ამ ქვეყნების მმართველ წრეებს შორის, XI-XIII საუკუნეების მთელ მანძილზე ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა ოსეთში ქართული კულტურის გავრცელებისათვის [თოგოშვილი: 1969, 225].

ოსებზე ქართული ეკლესიის გავლენა განსაკუთრებით თამარის (1184-1213) მეფობისას გამოჩნდა. ოსეთში „ძუელადვე არიან ციხენი, კოშკნი, ეკლესიანი ქვიტკირისანი, მეფეთაგან ნაშენნი და უმეტეს იტყვან თუთ იგინივე თამარ მეფისაგანსა“ [ბატონიშვილი: 1973, 640]. ოსურ ხეობათა აღწერისას ვახუშტი ბატონიშვილი ეკლესიებს ასახელებს. ეკლესიათა მისი ჩამონათვალი სრული არ არის. თამარის დროინდელი ნაშთები ჩვენს დრომდე შემორჩა. თუმცა ოსები ყველა ეკლესიას „თამარ დედოფლის“ აშენებულს ეძახიან, მაგრამ თამარ მეფის აშენებული ეკლესიები, როგორც სტილით, ისე სიძველით დიდად განსხვავდებიან ძველი დროის ნაშთებისაგან. „მის მიერ აშენებულ ეკლესიათაგან ცოტა დარჩა მრთელი – გვამცნობს გაზ. „დროების“ კორესპოდენტი. – ერთი ეკლესია მდებარეობს სოფ. ნუზალში და მეორე სოფ. მახჩინში. ამ სოფლების ეკლესიებში ეხლაც წირავენ“ [ჩოჩიშვილი: 1883, 2] ი. რაინეგსი ქართულ საისტორიო ტრადიციაზე დაყრდნობით შენიშნავდა, რომ „ყველა ოსი თამარ მეფის მიერ იქნა დამორჩილებული და გაქრისტიანებული. ეს სარწმუნოება საკმაოდ შორს უნდა ყოფილიყო გავრცელებული, რადგან ოსების მთებში აქა-იქ კიდევ გვხვდება ქვის ძველი ეკლესიები და პატარა სამლოცველოები. მაგრამ ქრისტიანობამ ოსებს ალბათ, არც ბედნიერება მოუტანა და არც განწმენდა, რადგან მალე კვლავ თავის ძველ ჩვევებს და უვიცობას დაუბრუნდნენ და ქრისტიანობა დაივიწყეს“ [რაინეგსი: 2002, 211].



ოსეთში ქრისტიანობის განმტკიცება, რომელსაც ქართველთა მეშვეობით მომხდარა, ამაზე მეტყველებს ოსურ ენაზე არსებული ქრისტიანული ტერმინოლოგია, რომელიც ქართული ენიდან არის შესული. კერძოდ, ძუარ – ჯვარი, კუირი – კვირა, თარანჯელოს – მთავარანგელოზი, მარხო – მარხვა, მაირამ – მარიამი, ჩირისტი – ქრისტე, დეკანოზი – დეკანოზი და ა.შ. ნიშანდობლივია, რომ აფხაზურშიც ანალოგიურ ვითარებასთან გვაქვს საქმე. „ძირითადად ქრისტიანულ ცნებათა აღმნიშვნელი ტერმინების უმრავლესობა აფხაზურს ნასესხები აქვს უშუალოდ ქართული სამწერლობო ენისაგან ან კოლხური ენის მეგრული დიალექტისაგან. ... რაც მთავარია აფხაზურ ენაში არ ჩანს კვალი იმისა, რომ მას ბერძნული ქრისტიანული ტერმინები უშუალოდ ამ ენიდან შეეთვისებინოს. ეს გარემოება ფრიად საყურადღებო დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევა: ამჟამინდელ აფხაზთა წინაპრებს ქრისტიანული სარწმუნოება მიუღიათ არა უშუალოდ ბერძნებისაგან, არამედ ქართველებისაგან“ [გვანცულაძე: 2000, 56, 58]. ქართული კულტურის გავლენა ოსებზე მხოლოდ რელიგიურ ტერმინოლოგიაში არ გამოვლენილა. საქართველოდან ოსეთში გავრცელდა ქართული ხუროთმოძღვრული სტილი. „ნუხალის ტაძარი მდ. არდონის ხეობაში, რექომი ცეის ხეობაში, ძივგისის ტაძარი ქურთათინის ხეობაში და სხვები, ოსეთზე ქართული კულტურის გავლენის მაჩვენებელია“. [გვასალია: 1997, 17].

XIII-XIV სს-ში, მონღოლების გამოჩენის შემდეგ, ოსეთში ქრისტიანობა დასუსტდა. XVI-XVII საუკუნეებში, ოსებს შემოესივნენ ყაზარდოელები, რის შედეგადაც აქ ისლამმა შემოადგინა, თავდაპირველად, ყაზარდოს მეზობლად მყოფ დიგორში. „ჩრდილო კავკასიის ბარის ზოლს, რომელიც ოსებს ეკავათ, ყაზარდოელები ეუფლებიან. ოსები იძულებული ხდებიან



მთებს შეაფარონ თავი. ხეობათა გამოსასვლელებს ყაბარდოელები აკონტროლებდნენ. აქ ოსების გამოჩენა იწვევდა მათ ფიზიკურ განადგურებას, დატყვევებას ან ძარცვას. ამიტომ ეს უკანასკნელნი მთის ზოლში მტკიცედ ჩაიკეტნენ. აქ შეიქმნა მათი სასოფლო ტერიტორიული ერთეულები, თემები, ძირითადი ხეობების მიხედვით“ [გამყრელიძე: 1997, 26]. ისეთი სიტუაცია იქმნება თითქოს „ერთი მხრივ ყაბარდოელებმა, მეორე მხრივ ქართველებმა, მრავალი საუკუნის მანძილზე ჩაკეტეს ოსები თავიანთ პირქუშ აულებში და ბარში არ უშვებდნენ არც სავაჭროდ და არც სხვა ხალხთან შესარევად“ [მარკოვი: 1887, 193]. აქედან გამომდინარე ოსები რუსებს შეხვდნენ, როგორც განმანთავისუფლებლებს [კოკიევი: 1926, 80]. მკვლევართა მიერ ზემოთაღნიშნულ შთამბეჭდავ შეფასებას საჭიროა რეალობა დაუპირისპიროთ. კერძოდ, საქართველოს ხარჯზე, როგორც დაწინაურებული მიწათმოქმედების ქვეყანაზე, „постоянно жилились разбойничьи горские племена“ [ანისომივი: 1916, 12].

ოსეთში შექმნილი ისტორიული პირობები, არც ერთი რელიგიის დამკვიდრებისათვის არ იყო ხელსაყრელი. აღარც ის საგარეო ძალები იყვნენ იმ დონეზე, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ ოსეთის რელიგიური ორიენტაციით. საქართველო ცალკეულ სამეფოსამთავროებად დაიშალა, ბიზანტია სულ გაქრა ისტორიული ასპარეზიდან და ქრისტიანული რელიგიის დასაყრდენი ბაზა საგრძნობლად დასუსტდა. მაგრამ „არც ყაბარდო იყო იმდენად ძლიერი და ორგანიზებული, რომ მაჰმადიანობა ფართოდ გაეცვრცელებინა ოსეთში. თუ აქაურმა სოციალურმა ზედაფენებმა მაინც მიიღეს იგი, ეს აიხსნებოდა უკანასკნელთა კლასობრივი ინტერესებით – მაჰმადიანობის მეშვეობით უზრუნველყოთ ყაბარდოელი ფეოდალების კლასობ-

რივი მხარდაჭერა თანამოქმეთა სოციალური ფილმების საქმეში“ [თოგოშვილის: 1977, 39].

ოსთა სარწმუნოებრივ ინდივიდუალობაზე მეტად სრულყოფილია ვახუშტი ბატონიშვილის უტყუარი შეფასება: „სარწმუნოებით არიან ძუელად ქრისტიანენი და სამწყსონი ნიქოზლისანი და უფროს დუალნი. არამედ აწინდელთ ჟამთა დუალნი სახელით ოდენ ქრისტიანენი, რამეთუ იმარხვენ დიდმარხუასა, ხატთა, ეკლესიათა და სამღუდელთა პატივსა უყოფენ და თაყვანსსცემენ და სხვსა სრულიად უმეცარნი. არა უვისთ მღუდელი და უნათლისღებონი არიან, თუნიერ რომელნი ქართლსა და რაჭას მოინათლვიან. ხოლო თაგაურნი, ქურთაულნი, ვალაგირი, ფაიქომი, დიგორელნი და ბასიანელნი, რომელთა თავნი და წარჩინებულნი მათნი არიან მაჰმადიანნი და დაბალნი გლეხნი ქრისტიანენი, გარნა უმეცარნი ორივეს რჯულისანი, რამეთუ გარჩევა მათი არს ესე: რომელნი სჭამენ ღორსა, არიან ქრისტიანენი და რომელნი სჭამენ ცხენსა, ესე არიან მაჰმადიანნი [ბატონიშვილი: 1973, 638]. მემადიანე სამართლიანად მიიჩნევს დუალებს უძველეს ქრისტიანებად, ხოლო თანადროულ ეპოქაზე მიანიშნებს: „სახელით ოდენ ქრისტიანენი“. ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში შემუშავებულია დებულება, რომ კავკასიის მთავარი ქედის ჩრდილოეთით მდებარე ისტორიული საქართველოს პროვინციაში – დვალეთში ოსების შემოსახლება XV ს-დან იწყება. XVII საუკუნეში, დვალეთში დასრულდა დვალეების ასიმილაცია ოსების მიერ. გვიანშუასაუკუნეების ხანაში დვალთა გაოსებაში „უთუოდ დიდი წვლილი შეიტანა ქრისტიანობის დაკარგვამ და ოსური წარმართული სარწმუნოების შეთვისებამ“ [ჯაფარიძე: 1997, 20].

XVI-XVII სს-ში ჩრდილო კავკასიელ ოსებზე ქართველთა პოლიტიკური და კულტურული ზეგავლენა ოსმალეთის მიერ მაჰმადიანობის გავრცელების შედეგად



გად საკმაოდ შესუსტდა, მაგრამ კავშირი მაინც არ გაწყვეტილა. ამ ეპოქაში ე.წ. სამხრეთელი ოსები უკვე ქართველებთან უშუალო მეზობლობაში იყვნენ, ვინაიდან „XVII ს-ის დასაწყისიდან იწყება ოსთა ჩამოსახლება“ [გვასალია: 1997, 39].

ოსეთში ქრისტიანობის გავრცელების შემდეგი პერიოდი დაკავშირებული XVIII-XIX სს-ის მისიონერულ მოღვაწეობასთან, რომელსაც „მეტად ფორმალური ხასიათი ჰქონდა“ [ტოკარევი: 1958, 267].

XVIII ს. 40-იანი წლებიდან, ოსეთი რუსეთის პოლიტიკური წრეების გაძლიერებული ინტერესის საგნად იქცა და ამის შედეგად მრავლდება კონკრეტული ცნობები ოსთა შესახებ. ოსთა შორის ქრისტიანობის გავრცელებისათვის სპეციალური კომისიის შექმნის იდეა ქართველებმა წარმოაყენეს. „1742 წლის ნოემბერში მოსკოვში მყოფმა ქართველმა მღვდელმთავრებმა – მოსკოვის ზნამენსკის მონასტრის წინამძღვარმა, არქიეპისკოპოსმა ნიკოლოზმა (ვახტანგ VI-ის ამალიდან) და არქიეპისკოპოსმა იოსებმა, რუსეთის იმპერატრიცას, ელისაბედ პეტრეს ასულს მოხსენება წარუდგინეს: ოსეთში შერყეული ქრისტიანობის აღსადგენად, ქართველი სასულიერო პირების გაგზავნის მიზანშეწონილობის შესახებ. მათი ცნობით, ძველად ოსები მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმსარებელი იყვნენ. ამაზე მეტყველებს ოსეთში არსებული ქვის ეკლესიები წმიდა ხატებით და ქრისტიანული მარხვის შენახვის ჩვეულება“ [ისტორია: 1826, 72-73]. მოგვიანებით რუსეთის იმპერატორი ქმნის ე.წ. ოსეთის სასულიერო კომისიას, რომლის „ძირითადი ამოცანა იყო ქრისტიანული რელიგიის გავრცელების გზით ოსეთში რუსული პოლიტიკური ორიენტაციის განმტკიცება და მისი გადაქცევა თავისი კავკასიური პოლიტიკის დასაყრდენად“ [თოგოშვილი, ხაბალაშვილი: 1989, 14]. ოსეთის სასულიერო კომისია სინოდის დავა-



ლებით და ქართველი არქიმანდრიტი პახომის მეთაურობით, სამისიონერო საქმიანობას აქტიურად შეუდგა. კომისიის წევრები ქართულიდან ოსურ ენაზე, ქართული ანბანის გამოყენებით, საეკლესიო ხასიათის წიგნებს თარგმნიდნენ, ოსებს ქართულ წერა-კითხვას ასწავლიდნენ. მათი ინიციატივით, მოზდოკში ოსებისთვის სკოლა გაიხსნა, რომელიც პირველი სკოლა იყო მთელ ჩრდილო კავკასიაში. მათი ასეთი აქტივობათითქოს მიმართული იყო ოსების ქართული გავლენის ორბიტაში მოსაქცევად: „ოსეთის სასულიერო კომისიის მეთაურობისას, ქართველები დაკავებულნი იყვნენ თავიანთი პირადი საქმეებით, ვინაიდან ქართველ სამღვდელობას სურდა რუსეთის მთავრობის ყურადღება დაემსახურებინა. თორემ ოსები არასოდეს არ იყვნენ განსაკუთრებით რელიგიურები და არასდროს არ ჰქონდათ განსაზღვრული სარწმუნოება არც მაშინ, არც მანამდე და არც შემდეგ“ [კოკიევი: 1926, 95]. აღნიშნული კომისიის ქართველი სასულიერო პირებით დაკომპლექტებას სხვა საფუძველი ჰქონდა. საქმე იმაშია, რომ 1739 წელს, რუსეთსა და თურქეთს შორის დადებული ზავით ყაბარდო ამ ორ ქვეყანას შორის ბარიერად – ნეიტრალურ ზონად გამოცხადდა. „რამდენადაც ოსეთი ნომინალურად ყაბარდოზე დამოკიდებულ ქვეყანად ითვლებოდა, ისიც ამ ნეიტრალურ ზონაში მოყვა. ასეთ პირობებში რუსეთის მთავრობა, თურქეთთან ურთიერთობის გამწვავების შიშით, თავს იკავებდა ოსეთში უშუალო საქმიანობის გაჩაღებისაგან და გადაწყვიტა ოსთა გაქრისტიანების საქმე ქართველი სამღვდელოების ხელით მოეგვარებინა [თოგოშვილი: 1969, 236]. რუსული მხარისათვის ცნობილი იყო აგრეთვე, რომ ქართველები ოსებში დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ. კარგად იცნობდნენ მათ წეს-ჩვეულებებს, გასაჭირს, ადგილობრივ პირობებს.



კომისიამ ქართული შემადგენლობით 1771 წლამდე იარსება, ვიდრე რუსეთ-თურქეთის ომში, რუსების გამარჯვების შემდეგ, თურქეთთან ურთიერთობის გამწვანების თავიდან აცილების ამოცანა არ მოიხსნა. შემდეგ კი - რუსეთის მთავრობამ ქართველი სასულიერო პირები რუსი სამღვდელოებით შეცვალა. „ქართული სასულიერო პირებისა და ოსეთის სასულიერო კომისიის მცდელობას უნაყოფოდ არ ჩაუვლია. მათ მიერ 1745 წლიდან 1771 წლამდე 8,199 ადამიანი მოინათლა“ [მიმოხილვა: 1910, 82].

ქრისტიანობის განმტკიცების დადებითი შედეგია, კავკასიის მთიელებში დამწერლობისა და საეკლესიო ხუროთმოძღვრების გავრცელება, მაგრამ რუსეთისათვის მთავარი ქრისტიანობის გავრცელება კი არ იყო, არამედ „ისლამის დათრგუნვით კავკასიის მთიელი მოსახლეობის საბოლოო დამორჩილება. დაპყრობილი ტერიტორიების შემომტკიცების საქმეში სამღვდელობას დიდი როლი უნდა ეთამაშა“ [ცურცვაძე 1996 : 9].

თუ XVIII საუკუნის მანძილზე ქართული ეკლესიები და მონასტრები რელიგიის დანერგვასთან ერთად, ხელს უწყობდნენ ოსეთში წიგნიერებისა და კულტურის გავრცელებას, „XIX ს-ის დასაწყისში ეკლესიის ამ ფუნქციების წინააღმდეგ გამოვიდა მეფისნაცვალთა გენერალი ციციანოვი, რომელმაც საქარველოს კათალიკოსს კატეგორიულად დაავალა ქართველ საეკლესიო მსახურთა რაოდენობის მაქსიმალურად შემცირება და რუსეთის მეფის თვითმპყრობელობისადმი ეკლესიის სრული დამორჩილება“ [სარიშვილი: 1956, 48].

რუსეთის სასულიერო მთავრობის დიდი ძალისხმევის მიუხედავად, XVIII ს-ის II ნახევარსა და XIX ს-ის I ნახევარში, ჩრდილო ოსეთში ქრისტიანობის გავრცელებას უმნიშვნელო წარმატებები ჰქონდა. „რუსი მისიონერები ამ უკანასკნელი ოცი წლის განმავ-



ლობაში, თაგაურში, ქურთათში, ვალაგირსა და ანანურში არწმუნებდნენ ოსებს, რომ მონათლულიყვნენ. საერთოდ, რაც აფხაზებზე ვთქვი, ეხება ოსებსაც. ე.ი. ქრისტიანული რელიგია, რომლის კვალს წარმოადგენენ ძველი ეკლესიები, დიდმარხვის შენახვა და სხვა, მოუგვარებელი, ველური წყობილების გამო გაქრობილ იქნა. ისე რომ მის მაგივრად ახალი რელიგია არ მიუღიათ“ [გიულდენშტედტი: 1964, 59].

1792 წელს ოსეთის სასულიერო კომისიის მუშაობა ფაქტობრივად შეწყდა. 1815 წ. რუსეთის იმპერატორმა, ალექსანდრე I, კვლავ აღადგინა კომისიის მუშაობა და მოზდოკიდან ქ. თბილისში გადმოიტანა. იმჟამად, კომისიას სათავეში ჩაუდგა ეპისკოპოსი დოსითეოს ფიცხელაური. მის დროს 11 445 ოსი მოინათლა, ხოლო 1820 წლის პირველი ივნისისათვის მონათლულთა რაოდენობამ 31 997 ადამიანს მიაღწია [ნარკვევები: 1969, 218]. ქრისტიანობის მიღების პირობად ეპისკოპოსი დოსითეოსი ოსებში ძალიან პოპულარულ იდეას, მებატონეთაგან განთავისუფლებას და სახაზინო გლეხების კატეგორიაში ჩარიცხვას ჰპირდებოდა. „ქართველებსაც სურდათ რომ „ოსებად“ წოდებულიყვნენ. რატომ? იმის გამო, რომ რუსულმა ხელისუფლებამ გაქრისტიანებისათვის ჯილდო დააწესა და ეს ჯილდო ძალზე დიდი იყო. ქრისტიანობის მიღების პირობად რუსული ხელისუფლება ოსური ეროვნების (და არა სხვა) გლეხებს ბატონისაგან განთავისუფლებას და მიწის მიცემას პირდებოდა“ [ჯაფარიძე: 1997, 20]. უეჭველია, ქართველთა გაოსების ერთ-ერთი მიზეზი, რელიგიური ფაქტორით შენიღბულ სოციალურ თავისუფლებაში უნდა ვეძიოთ. მონათლულების რიცხვი დღითიდღე იზრდებოდა, ვინაიდან თითოეული მოსანათლი 2-3 ვერცხლის მანეთს და ერთ წყრთა ტოლოს საპერანგედ იღებდა. „ღატაკ ოსს, რომელსაც ხელში არასოდეს სჭერია ვერცხლის მანეთიანი და

არასოდეს შემოსილა საჭიროებისამებრ, გარდა ცხოველის ტყავისა, მისთვის არაფერს არ წარმოადგენდა რაღაც ფორმალობა შეესრულებინა და ამდენი სიმდიდრე მიეღო“ [კოკიევი: 1926, 95]. აღნიშნული შეღავათების გამო, ხშირად ერთი და იგივე ოსები სხვა სოფლებშიც ანათლინებდნენ თავს. „გარდა ამისა, მღვდელი მათ არწმუნებდა, რომ მონათვლის შემდეგ სიკვდილის არ უნდა ეშინოდეთ. ამის გამო მათ სჯერათ, რომ არც ერთ ქრისტიანს მათი მოკვლა არ შეუძლია ისე, რომ თვით არ ეწამოს. თვითონ ოსები მიდიოდნენ მღვდელთან და ძალით, შემართული დამბაჩით მოითხოვდნენ მისგან მონათველას“ [აიხვალდი: 2005, 238]. რწმენის ასეთი პრიმიტიულობა, ქრისტიანულ მსოფლმხედველობას ვერ დაამკვიდრებდა. ოსებს ღმერთთან სიახლოვის შინაგანი აუცილებლობა არ ჰქონდათ. ისინი მხოლოდ სიტუაციის კარნახით მოქმედებდნენ. შედეგამაც არ დააყოვნა. „ქრისტიანობასთან დამოკიდებულებაში იგივე დარჩნენ, როგორც მათი წინაპრები იყვნენ, ასი და ორასი წლის უკან“ [ჩურსინი: 1926, 46].

ამრიგად, ოსები ცვალებადი სარწმუნოების იყვნენ. ისინი სხვადასხვა რელიგიურ მოძღვრებას მისდევდნენ ისე როგორც ახსოვდათ და როგორც სჭირდებოდათ. საბოლოოდ, ქრისტიანულ მსოფლმხედველობასთან შედარებით ორგანული კავშირი წარმართულ სარწმუნოებასთან აღმოაჩნდათ. წარმართობა ცხადია ძლიერ განსხვავდებოდა მართლმადიდებლობისაგან, მაგრამ „ამავე დროს თავისი სიმარტივისა და უბრალოების გამო, კავკასიელი მთიელების ნაწილზე დიდი ზეგავლენა მოახდინა“ [ჯაფარიძე: 1997, 19]. ბუნებრივია, ოსთა რწმენა – წარმოდგენები და კულტის მსახურება ცალკე კვლევას მოითხოვს.

1. აიხვალდი ე., საქართველოს შესახებ, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გ. გელაშვილმა, თბ., 2005.
2. Анисимов С., Кавказ. Тифлис. 1916.
3. ბატონიშვილი ვ., აღწერა სამეფოსა საქართველოსა, „ქართლის ცხოვრება“, IV, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბ., 1973.
4. გვასალია ჯ., ქართულ-ოსური ურთიერთობის ისტორიიდან, ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“, 1997.
5. გვასალია ჯ., შიდა ქართლი და ოსური საკითხი, თბ., 1997.
6. გვანცელაძე თ., ქართველური ქრისტიანული ტერმინების აფხაზურ ენაში სესხების დროის საკითხისათვის, ჟურნალი „არტანუჯი“, №10, 2000.
7. გამყრელიძე ბ., უქმნიდით ერთმანეთს ზიანს, ვითარცა მტერნი, ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“, 1997.
8. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, ტ. II, თბ., 1964.
9. გეგეშიძე თ., გეგეშიძე დ., ქრისტიანობა და ქართული სინამდვილე, ჟურნალი „რელიგია“, №1-2-3, 2002.
10. თარხნიშვილი მ., წერილები, თბ., 1994.
11. თოგოშვილი გ., საქართველო-ოსეთის ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში, თბ., 1969.
12. თოგოშვილი გ., ხაბალაშვილი ი., ოსეთის მოსახლეობა. ცხინვალი, 1989.
13. История грузинской иерархии с присовокуплением обращения в христианство Осетии и других горских народов Москва, 1826.



14. Кузнецов В., Христианство в Алании до X в. Известия Юго-осетинского научно-исследовательского института АН ГССР, Вып. XXIII, 1978.
15. Красильников Ф., Кавказ и его обитатели, Москва, 1919.
16. Калоев Б., Осетины, Москва, 1971.
17. Кокиев Г., Очерки и истории осетин, Ч. I. Владикавказ, 1926.
18. Лавров Д., Заметки об Осетии и осетинах, сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. III, 1883.
19. Марков Е., Очерки Кавказа, Санкт-Петербург, 1887.
20. Очерки истории Юго-Осетии, т. 1, Цхинвали, 1969.
21. Обзор деятельности общества восстановления православного христианства на Кавказе за 1860-1910 гг., Тифлис, 1910.
22. Пфаф Б., Материалы для истории Осетии, сборник сведений о Кавказских горах, Тифлис, вып. V, 1871.
23. რაინეკსი ი., მოგზაურობა საქართველოში, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გ. გელაშვილმა, თბ., 2002.
24. სარიშვილი ტ., სკოლა და სახალხო განათლება რევოლუციამდელ ოსეთში, თბ., 1956.
25. საბინინი გ., საქართველოს სამოთხე, პეტერბურდი, 1882.
26. Токарев С., Этнография народов СССР, Москва, 1958.
27. ჩოჩიშვილი გ., სარწმუნოება ოსეთში, გაზეთი „დროება“, №82, 1883.
28. Чурсин Г., Осетины этнографический очерк, Тифлис, 1925.
29. ცერცვაძე კ., ჩერქეზების გადასახლება და XIX საუკუნის ქართული პრესა, თბ., 1996.
30. ჭიჭინაძე ბ., ოსეთი ქართული წიგნებით, ტფილისი, 1915.

31. ჯაფარიძე ანანია, XIX საუკუნე ქართველთა მისიონერული საქმიანობა. ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“. 1997.



Irma Kvashilava

The Spreading of Christianity Among the Osetians and the Fight for its Establishment

The subject of the given article is the study of spreading Christianity among the Alans by the apostles: St. Andrew and St. Simon who preached in the Caucasus. The historic meaning and the different viewpoints on the subject are evaluated in the article. Different ways of spreading Christianity among the Alans and historical preconditions of its establishment as state religion are also discussed in the article.

The cardinal subjects of the study are: the political and cultural influences of Byzantine and Georgia on the Alan-Osetians, the establishment of Georgian Christian culture in the epoch of St. king Tamar, the weakening of Christianity in the following period, the intrusion of Islam, the political background of religious orientation and changes of religion.

The issues of founding the special Commission of Spreading Christianity Among the Osetians, the contribution of Georgians in this missionary activity and generally the positive results of spreading Christianity among the Osetians are analyzed. The article deals with the problem of receiving social independence, that meant liberation from serfdom only for ethnical Osetians, veiled by Christian factor. More organic relations of the Osetians as well as the other Caucasian highlanders with paganism than with Christianity is also given in the article.



ევრაზიის ისტორიული ეთნოგეოგრაფია

დედამიწაზე ხალხთა განსახლების და კულტურათა გავრცელების ხანგრძლივი პროცესის თავისებურებანი ისტორიკოსთა, ეთნოგრაფთა, ენათმეცნიერთა დიდ ყურადღებას იმსახურებს. მას შემდეგ, რაც ენათა ლექსიკური და განსაკუთრებით ფონეტიკურ-მორფოლოგიური მსგავსების მიხედვით, მსოფლიოს ხალხთა მონათესავე ოჯახებად დაჯგუფება მოხერხდა და ამის შესაბამისად პირველი ეთნიკური შინაარსის რუკებიც შედგა, ხალხთა განსახლების სტრუქტურის მიმართ მეცნიერთა ინტერესი არ განელებულა. რა ისტორიულმა პროცესმა თუ გეოგრაფიულმა ფაქტორებმა განაპირობა ევრაზიის სივრცეებზე ეთნოსთა განლაგების თანამედროვე სურათი. რამ გამოიწვია ასეთი უცნაურობა, რომ მაგალითად ევროპის ცენტრში მცხოვრები უნგრელი ხალხი არ ენათესავენ არცერთ მეზობელ ხალხს. უნგრელთა ენა ნათესაურ კავშირს ავლენს დუნაის დაბლობიდან ათასობით კილომეტრის დაშორებით მცხოვრებ: ესტონელთა, ფინელთა, კომელთა, მარიელთა, უდმურტთა, მორდველთა, ხანტელთა და სხვათა ენებთან. რით აიხსნება: პორტუგალიელთა და ინდოელთა, ნორვეგიელთა და ქურთთა, რუსთა და ოსთა ენების ერთი ოჯახის წევრობა და სად უნდა ვივარაუდოთ ამ ენობრივი ოჯახის ხალხთა ბუდე-პირველსაცხოვრისი? როგორ მოხდა, რომ ბასკთა და კავკასიელთა ენებს პარალელური ექებნებათ ერთმანეთთან და კიდევ: პირინეის, აპენინის, ბალკანეთის და ახლო აღმოსავლეთის მკვდარ ენებთან. ამ გამოცანების ამოსახსნელად ხალხთა განსახლების რთულ და ხანგრძლივ პროცესს თვალი



უნდა გავადევნოთ იმ უძველესი დროიდან, როდესაც დედამიწაზე მთავრდება ბოლო, რიგით მეოთხე გამყინვარება. ეს იყო დაახლოებით 12 000 წლის წინ. მაშინ დაწყებული დათბობის პროცესი დღემდე გრძელდება. ყოველი ათასწლეულის განმავლობაში თხელდებოდა არქტიკული და ანტარქტიკული ყინულის საფარის სისქე, მცირდებოდა ყინულით დაფარული ტერიტორიების ფართობი, მოკლდებოდა მყინვართა ენები: პირინეის, ალპების, კავკასიის, ჰინდიყუშის, პამირის, ტიბეტის, ალტაის მთებში, მაღლდებოდა მსოფლიო ოკიანის დონე, იცვლებოდა კონტინენტების კონფიგურაცია, რბილდებოდა, უფრო ტენიანი და თბილი ხდებოდა კლიმატი დედამიწაზე.

ძველი წელთაღრიცხვით X ათასწლეულში ახლო აღმოსავლეთში, კერძოდ შუამდინარეთში: ნაყოფიერი ნიადაგის, ხელსაყრელი კლიმატის, მრავალფეროვანი ფლორის და ფაუნის პირობებში, ადგილობრივი პალეოლითელი ადამიანი იწყებს მცენარეთა გაკულტურებას და ცხოველთა მოშინაურებას [ბინგემი, ჩენდლერი, თეფლენი: 2006, 108]. აქ შუამდინარეთის ჩრდილოეთში ადამიანი პალეოლითური, მიმთვისებლური მეურნეობიდან თანდათან გადადის ნეოლითურ, მწარმოებლურ მეურნეობაზე. აქ მოიშინაურა ადამიანმა რქოსანი პირუტყვი, გამოიყვანა მარცვლეულის, ბოსტნეულის და ხილის მრავალი სახეობა. ეს იყო წალკოტი, შემკული ბუნების ყველა სიკეთით, ამქვეყნიური საზოთხე იგივე ედემი. შეიძლება ითქვას, დედამიწაზე ნეოლითი ძველით X ათასწლეულში დაიწყო ევფრატი-ტიგროსის სათავეებში ანუ ედემში. შემდგომ ათასწლეულში ედემიდან დაწყებული მიწათმოქმედების კულტურა გავრცელდა დასავლეთით პირინეის ნახევარკუნძულამდე და აღმოსავლეთით ინდოსტანის ნახევარკუნძულამდე. ედემს და მის მიმდებარე ტერიტორიებს: სამხრეთ-დასავლეთით ხმელთაშუაზღვის ნაპირ



რებს, ქანაანს და სამხრეთ-აღმოსავლეთით შუამდინარეთს და ზაგროსის მთიანეთს ერთად არქეოლოგები „ნაყოფიერ ნახევარმთვარეს“ უწოდებენ. სამეცნიერო ლიტერატურაში გვხვდება პარალელური ტერმინებიც: „კურთხეული ნახევარმთვარე“, „მადლიანი ნახევარმთვარე“ [ალექსანდერი: 2003, 10]. „ნაყოფიერი ნახევარმთვარის“ ტერიტორიაზე. ედემის მიწათმოქმედ ტომებში იწყება დემოგრაფიული აფეთქება, რაც მწარმოებელ საზოგადოებაში საკვების სიუხვესთან იყო დაკავშირებული. გამრავლებული მოსახლეობა ახალ ტერიტორიებს ითვისებდა [სუში: 1981, 4]. დაიწყო ედემის მიწათმოქმედთა კულტურის გავრცელება ოთხივე მიმართულებით, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს კულტურა უფრო დასავლეთ-აღმოსავლეთის დერძის გასწვრივ განვითარდა ვიდრე ჩრდილოეთ-სამხრეთის მიმართულებით და ეს ბუნებრივია დედამიწაზე კლიმატური ზონების განედურ გავრცელებას თუ გავითვალისწინებთ. ედემის ნეოლითური კულტურა გავრცელდა ყველგან სადაც კლიმატი ამის საშუალებას იძლეოდა პირინეიდან ინდოსტანამდე და კავკასიიდან ეგვიპტემდე. ეს იყო მიწათმოქმედების და მესაქონლეობის კულტურა. ეს იყო ერთი ბუდიდან გამრავლებული და განსახლებული, ერთი ფუძე-ენიდან განშტოებული, მონათესავე ენებზე მოსაუბრე ტომთა გავრცელების არეალი.

ედემის ნეოლითური კულტურის განვითარების პარალელურად მიმდინარეობდა გლობალური დათბობის თანამდევი რთული გეოგრაფიული პროცესები. კლიმატის ცვლილებასთან ერთად იცვლებოდა ლანდშაფტი და ყინულის დნობის შედეგად, ზღვის დონის მატებასთან ერთად იცვლებოდა სანაპირო ზოლის მოხაზულობა.

ძველი წელთაღრიცხვის VIII ათასწლეულში ოკეანის წყალი შევიდა ლა-მანშის დაბლობში და ბრიტა-



ნეთი კონტინენტისგან განცალკევდა. ოკეანის^{კონტინენტის} დაღმარება გადააჭარბა გიბრალტარის ვიწრობის ფსკერის ნიშნულს და ოკეანის წყალმა თანდათან შემოდინება დაიწყო დღევანდელი ხმელთაშუაზღვის დაბლობში, სადაც იმ დროს სავარაუდოდ: დიდი, გაუდინარი, მტკნარი ტბა უნდა ყოფილიყო. გიბრალტარიდან ოკეანის წყლის შემოდინება და ხმელთაშუა ზღვის დაბლობის ამოვსება ძველი წელთაღრიცხვის VIII-VII ათასწლეულების განმავლობაში მიმდინარეობდა. წყალმა დაფარა ადრიატიკის და ეგეოსის დაბლობები. ეგეოსის მთათა მწვერვალები კუნძულებად იქცა.

ძველი წელთაღრიცხვით VII ათასწლეულში ეგეოსის ზღვის წყალმა შეაღწია დარდანელის ვიწრობში და ამოავსო დღევანდელი მარმარილოს ზღვის დაბლობი. ნუ დაგვავიწყდება, რომ ძველი წელთაღრიცხვის VIII-VII ათასწლეულებში ადამიანი უკვე ცხოვრობდა ეგეოსის და მარმარილოს დაბლობებზე. ნეოლითელი, ცივილიზებული, ისტორიული მეხსიერების მქონე ადამიანი გვყავს მხედველობაში, თორემ პალეოლითელი, ჯერ კიდევ „ბუნების შვილი“ ადამიანი მთელ მსოფლიოში იყო გავრცელებული ბევრად უფრო ადრე. ეგეოსის ჩაძირული დაბლობის გაღმა-გამოღმა ნაპირებზე და ეგეოსის ზღვის კუნძულებზე შემორჩენილი მოსახლეობა იმ დაბლობის ძველი მოსახლეობის შთამომავალი იყო, რომლის თვალწინაც მიმდინარეობდა უზარმაზარი ეკოლოგიური კატასტროფა. რა გასაკვირია, რომ ამ ხალხის მითოლოგიაში არსებობდა მითი ძველი ქვეყნის, ატლანტიდის ჩაძირვის შესახებ, ისევე როგორც გასაკვირი არ არის მსოფლიო წარღვნის ლეგენდის გაჩენა შუამდინარეთის ხალხებში, ქვეყანაში სადაც წყალუხვი მდინარეები ვრცელი დაბლობის დონესთან შედარებით მაღალ კალაპოტში მიედინებოდნენ, სადაც ყოველ წყალდიდობას კატასტროფული შედეგები მოსდევდა.

ქველი წელთაღრიცხვით VI ათასწლეულში, როცა მარმარილოს, ეგეოსის და ხმელთაშუაზღვის დონე, ოკეანის დონეს გაუსწორდა, ხოლო როგორც ჩანს მსოფლიო ოკეანის დონე ყოველ ათასწლეულში საშუალოდ 60 მეტრით მაღლდებოდა, მარმარილოს ზღვის წყალმა ბოსფორის ნაპრალი გაიარა და დღევანდელი შავ ზღვის დაბლობზე გადაიღვარა. იმხანად შავი ზღვის დაბლობზე შედარებით მცირე ზომის მტკნარწყლიანი ტბა იყო ჩაგუბებული, რომლის დონე 1600 მეტრით დაბლა იყო მარმარილოს ზღვის დონესთან შედარებით.

წყალქვეშა არქეოლოგიის მონაცემებით დადგენილია, რომ ქველი წელთაღრიცხვის IV ათასწლეულისათვის მსოფლიო ოკეანის დონე დაახლოებით 120 მეტრით ამაღლდა ქველი წელთაღრიცხვის VI ათასწლეულის დონესთან შედარებით.

ქველით V-IV ათასწლეულებში მიმდინარეობდა შავი ზღვის დაბლობის ამოვსება და მსოფლიო ოკეანის დონესთან გათანაბრება. ამ დროს განცალკევდნენ მცირე აზიის და ბალკანეთის ნახევარკუნძულები.

ედემის ნეოლითური, მწარმოებლური, მესაქონლეობა-მიწათმოქმედების კულტურა, როგორც უკვე ითქვა დასავლეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით მეტად გავრცელდა, ხოლო სამხრეთ-ჩრდილოეთის მიმართულებით მხოლოდ იმდენად გავრცელდა, რამდენადაც კლიმატი საშუალებას იძლეოდა. უფრო სამხრეთით მეტი სიციხის და უფრო ჩრდილოეთით მეტი სიცივის გამო ედემის მიწათმოქმედება ვერ გავრცელდა. გავრცელდა მხოლოდ მესაქონლეობა. სამხრეთის მესაქონლეთა ტომებმა ედემში მოშინაურებული რქოსანი პირუტყვის მოშენების გარდა აქლემის მოშინაურება და მოშენებაც დაიწყეს. მათ შექმნეს სამხრეთის მესაქონლეთა მომთაბარული, ედემის მიწათმოქმედი ბინა-



დარი კულტურისაგან სრულიად განსხვავებული კულტურა.

ძველი წელთაღრიცხვით V ათასწლეულში სამხრეთის მესაქონლეთა ტომებში საკვების სიუხვით განპირობებული დემოგრაფიული აფეთქება დაიწყო. გამრავლებული სამხრეთელი მომთაბარენი მოედნენ არაბეთის ნახევარკუნძულის და ჩრდილოეთ აფრიკის სივრცეებს. მათმა უზომოდ გამრავლებულმა ჯოგებმა გადაძოვეს სამხრეთის საძოვრები. გადაჭარბებულმა ძოვებამ კი ოდესღაც საძოვრების გაუდაბნოება გამოიწვია. ძველით III ათასწლეულში ჩნდება საჰარის და რუბ-ელ-ჰალის უდაბნოები [ბრომლეი: 1982, 132]. ეს იყო პირველი ეკოლოგიური კატასტროფა დედამიწაზე, ადამიანის ჩარევის შედეგად დაჩქარებული.

საჰარა და რუბ-ელ-ჰალი ტროპიკული სარტყელის ზონაშია. გლობალური დათბობის პირობებში ამ ადგილების გაუდაბნოება მინც მოხდებოდა. მაგრამ ეს მოხდებოდა ერთი-ორი ათასწლეულის დაგვიანებით, რომ არა ადამიანის ჩარევა.

სამხრეთის ვრცელი საძოვრების გაუდაბნოების შემდეგ მესაქონლე, მომთაბარე ტომებმა უდაბნოთა პერიფერიებში გადაინაცვლეს. მათი ოდესღაც საერთო ფუძე-ენა, ტომთა ტერიტორიული დაშორების შედეგად სხვადასხვა მონათესავე ენებად დაიშალა. იგივე დაემართა რაც მანამდე ედემის ბინადარ – მიწათმოქმედთა ფუძე-ენას დაემართა. შემდგომ ათასწლეულში უდაბნოს მომთაბარე-მესაქონლეებმა თანდათან დაიკავეს ედემის ბინადარ – მიწათმოქმედთა მიწები: ნილოსის ნაპირებზე, ქანაანში და შუამდინარეთში. ედემის ხალხებთან ასიმილაციის შედეგად უდაბნოს ხალხები ამ რეგიონში თავადაც ბინადარ ცხოვრებზე გადავიდნენ. ისწავლეს მიწათმოქმედება და შექმნეს უძველესი სახელმწიფოები. ესენი იყვნენ ძველი ეგვიპტელები, ჰიქსოსები, ამორეველები, ფინიკიელები.

ებრაელები, ასირიელები, ქანანელები, აქადელები და სხვანი და სხვანი [მელიქიშვილი: 1988, 45].

ძველი წელთაღრიცხვის III ათასწლეულში ედემის ბინადარ – მიწათმოქმედ ტომებს უკვე ეთნიკური სახე გააჩნდათ: პირინეაზე მათ იბერები ერქვათ, დღევანდელ სამხრეთ საფრანგეთში – ლიგურები, ალპებში – რიოტები, აპენინზე – ეტრუსკები, ბალკანეთზე და ეგეოსის კუნძულებზე – პელასგები, მცირე აზიაში – ხათები, შუამდინარეთში – შუმერები, ამათგან სამხრეთ-აღმოსავლეთით – ელამელები. ედემის კულტურულ არეალში შედიოდნენ: ხმელთაშუაზღვის კუნძულების, კავკასიის, ელბურსის, ზაგროსის მთიანეთის და ინდის დაბლობის ხალხები.

ძველი წელთაღრიცხვის III ათასწლეულში ედემიდან ჩრდილოეთით, კავკასიონს გადაღმა სტეპებში იწყება ედემის ნეოლითური კულტურის შეღწევა, მხოლოდ მესაქონლეობის სახით. მაშინდელი კლიმატური პირობები ჩრდილოეთის სტეპებში მიწათმოქმედების გავრცელების საშუალებას არ იძლეოდა. სტეპების მოსახლეობამ ისწავლა ედემში მოშინაურებული რქოსანი პირუტყვის მოშენება. ამასთან მოიშინაურა და მოაშენა ცხენი. ცხენის მოშინაურება სტეპის მესაქონლეთა დამსახურებაა.

ისევე, როგორც ოდესღაც ედემის მიწათმოქმედ ტომებს და მოგვიანებით უდაბნოს მესაქონლე ტომებს დაემართათ, მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლასთან ერთად სტეპის მესაქონლეობაშიც დაიწყო დემოგრაფიული აფეთქება. სტეპის გამრავლებული მოსახლეობა თავისი მრავალრიცხოვანი ჯოგებით იწყებს დასავლეთით შავიზღვისპირეთის და დუნაის დაბლობის საძოვრების ათვისებას, ხოლო აღმოსავლეთით კასპისპირეთის და შუა აზიის საძოვრებისას. შუა აზია ჯერ კიდევ არ იყო გაუდაბნოებული.



ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულში ღუნაის დაბლობიდან სტეპის მომთაბარე-მესაქონლე ტომები ბალკანეთში შეიჭრნენ აქაველთა (ბერძნების წინაპრები) ეთნიკური სახით, სადაც დამხდურ მოსახლეობასთან ედემელ - მიწათმოქმედ პელასგებთან მოუწიათ ასიმილირება. ამავე ათასწლეულში ღუნაის სტეპებიდან მომთაბარე-მესაქონლე ხურიტები და ხეტები მცირე აზიაში შემოდინან და ადგილობრივ ედემელ-მიწათმოქმედ ხათებთან იწყებენ ასიმილირებას [ბრომლეი, მარკოვი: 1982, 63]. აღმოსავლეთში შუა აზიის გაუდაბნოების შემდეგ სტეპის მომთაბარე-მესაქონლენი, სამხრეთ-აღმოსავლეთის, სამხრეთის და სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით გადაადგილდნენ. არიელებმა (ინდოელების წინაპრები) ინდის დაბლობზე შეადწიეს [მელიქიშვილი: 1988, 434], ფარსებმა (ირანელების წინაპრები) სპარსეთის ყურის ნაპირებს მიადწიეს, ხოლო მიდიელებმა (ქურთების წინაპრები) ზაგროსის მთიანეთის საძოვრები დაიკავეს.

ტომთა დიდ სივრცეებზე განფენილობის გამო განშტოვდა და მონათესავე ენებად დაიშალა სტეპის ხალხთა ოდესღაც საერთო ფუძე-ენა.

მოგვიანებით სტეპის ხალხები, დნეპრის და ვისლას დაბლობებზე განსახლებულნი ვენელების (სლავების წინაპრები) ეთნიკური მასის სახით ჩამოყალიბდნენ, ხოლო დასავლეთით ელბა-რეინის აუზებში განსახლებული ტომები გერმანელთა ეთნიკურ მასად ჩამოყალიბდნენ, უფრო დასავლეთით კელტ-გალთა ტომებმა მოიკიდეს ფეხი. პირინეის ნახევარკუნძულზე შეჭრილი კელტების ადგილობრივ იბერებთან ასიმილირების შედეგად ნახევარკუნძულის შიდა რეგიონებში ჩამოყალიბდა კელტ-იბერების ეთნიკური ერთობა. პირინეის ნახევარკუნძულის ყველა სანაპიროზე ძველი წელთაღრიცხვით I ათასწლეულის შუახანებში ჯერ კიდევ იბერთა ტომები ცხოვრობდნენ.



აკენინის ნახევარკუნძულზე დუნაის სტეპებზე შესახლებულმა ლათინთა და იტალიკთა წინაპრებმა ასიმილირება განიცადეს ადგილობრივ ედემელ-მიწათმოქმედ ეტრუსკებთან. ბრიტანეთის კუნძულებზე ჯერ კელტები შესახლდნენ, შემდეგ ისინი გერმანულენოვანმა ანგალებმა და საქსებმა შეაფიწროვეს.

აღმოსავლეთში სტეპის ხალხებმა მესაქონლეობის კულტურა გადასცეს ურალის და ალტაის მონგოლოიდური რასის ხალხებს. ურალის ხალხთა დემოგრაფიულ აფეთქებას შედეგად მოჰყვა მათი განსახლება ჩრდილო-აღმოსავლეთ ევროპის უზარმაზარ ტყიან მასივებში ბალტიკიდან ურალამდე და ურალს გადაღმა დასავლეთ ციმბირის ტაიგაში. ურალის ხალხებს უფრო ტყის მესაქონლენი შეიძლება ეუწოდოთ.

ალტაის ხალხების დემოგრაფიული აფეთქების შედეგად უკვე ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე ათვისებულ იქნა ცენტრალური აზიის, სამხრეთ ციმბირის, ყაზახეთის და შუა აზიის სივრცეები. ახალი წელთაღრიცხვის I ათასწლეულის შუახანებში დაიწყო დიდი დემოგრაფიული პროცესი, რომელიც ისტორიაში „ხალხთა დიდი გადასახლების“ სახელითაა ცნობილი. ეს პროცესი გამოწვეული იყო ჰუნების საერთო სახელით ალტაის ხალხთა დიდი მასების გადაადგილებით აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. არალ-კასპიის პირა, აზოვ-შავიზღვისპირა და დუნაისპირა სტეპების მიმართულებით მოძრაობა ალტაის ხალხებმა, რომლებიც გზად ყველას და ყველაფერს ანადგურებდნენ, წინ გაირეკეს ურალის ხალხთა ნაწილი მადიარები (უნგრელების წინაპრები) და სტეპის ხალხები: ალანები (ოსების წინაპრები), სარმატები (დაკების, თრაკიელების, ილირიელების წინაპრები), ანტები (ბალკანეთის სლავების წინაპრები), და მრავალი გერმანელი ტომი: გოთები, ფრანკები, ვანდალები, ლანგობარდები და სხვანი აიძულეს ევროპაში უფრო

დრმად შეჭრილიყვნენ. აღანთა ნაწილი კავკასიის მთებს შემოეხიზნა. ხალხთა დიდი გადასახლებების შემდეგ ჩრდილო კავკასიის სტეპებში სტეპის მომთაბარემესაქონლე ხალხები, აღტაის მომთაბარემესაქონლე ხალხებით შეიცვალა: ჰუნებით, პაჭანიკებით, ყივჩაღებით.

ახალი წელთაღრიცხვის II ათასწლეულის დასაწყისიდან შუა აზიაში დაბუდებულმა თურქულენოვანმა აღტაის მესაქონლეებმა გავრცელება დაიწყეს: სამხრეთ კასპიისპირეთში, აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში და მცირეაზიის ნახევარკუნძულზე: თურქი სელჩუკების, თურქი ოსმალების და ყიზილბაშების სახით. ეს უკანასკნელნი კავკასიელ ბინადარ-მიწათმოქმედ აღბანელებთან ასიმილირების შემდეგ ჩამოყალიბდნენ დღევანდელ აზერბაიჯანლებად.

ახალი წელთაღრიცხვის II ათასწლეულის II ნახევარში ჩამოყალიბდა მსოფლიოს ხალხთა განსახლების თანამედროვე სურათი. როგორც დავინახეთ უძველესი ნეოლითური კულტურის, ედემის მიწათმოქმედი ხალხების უმეტესობა ასიმილირდა უდაბნოს და სტეპის მესაქონლე ხალხების მიერ. ათასწლეულების განმავლობაში უდაბნოს ხალხები ჩამოყალიბდნენ მონათესავე ენებზე მოლაპარაკე სემიტურ-ქამიტური ოჯახის ხალხებად. ასევე სტეპის ხალხები ჩამოყალიბდნენ მონათესავე ენებზე მოლაპარაკე ინდო-ევროპული ოჯახის ხალხებად, ხოლო ედემის ხალხთაგან დღემდე მოაღწიეს პირინეის იბერთა ერთმა ტომმა ბასკებმა [ძიძიგური: 1975, 168] და კავკასიაში შემორჩენილმა ხალხებმა: ქართველებმა, აფხაზ-ადიღებმა და ნახებმა. ედემის ხალხების ეს მცირე ჯგუფები რომელნიც ათასწლეულებს გადაურჩნენ, დღეს მონათესავე ენებზე მოლაპარაკე იბერიულ-კავკასიური ოჯახის ხალხებად ჩამოყალიბდნენ.




საყურადღებოა სტეპიდან მოსული ინდო-არიელების მიერ ინდოსტანის ნახევარკუნძულის სამხრეთში შევიწროებული ინდის დაბლობის ძველი ბინადარი-მიწათმოქმედი მოსახლეობის, დღევანდელი დრავიდების ენათა ნათესაური კავშირები ელამელთა და შუმერთა მკვდარ ენებთან.

მიგვაჩნია, რომ იბერიულ-კავკასიური ოჯახის და დრავიდული ოჯახის ენათა სიახლოვის დადგენა სიძნელეს არ წარმოადგენს, თუ მათ შორის შუალედურ რგოლად ედემის კულტურული არეალის გადაშენებულ ხალხთა ენებს გამოვიყენებთ [ძიძიგური: 1975, 98, 169; ალექსანდერი: 2003, 308].

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ისტორიული ეთნოგრაფიის სფეროში, კვლევის კარტოგრაფიული მეთოდის გამოყენება დიდად გვეხმარება ხალხთა განსახლების რთული და ხანგრძლივი პროცესის ნათლად წარმოსადგენად. ეს მეთოდი მომავალშიც მოგვცემს მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანის საშუალებას.


1. ედემი. ძვ. წ. IX ათასწლეული



2. ნაყოფიერი ნახევარმთვარე ძვ. წ. VIII ათასწლეული



3. ძვ. წ. VII ათასწლეული



4. ძვ. წ. VI ათასწლეული



5. ძვ. წ. V ათასწლეული



6. ძვ. წ. IV ათასწლეული



1. ბინგემი ჯ., ფ. ჩენდლესი, ს. თეფინი, მსოფლიო ისტორიის ენციკლოპედია, თბ., 2006.
2. ბიბლიის ენციკლოპედია, რედაქტორი პ. ალექსანდერი, თბ., 2003.
3. ძიძიგური შ., საენათმეცნიერო საუბრები, თბ. 1975.
4. ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, რედაქტორი გ. მელიქიშვილი, თბ., 1988.
5. Этнография, под редакцией Ю. Бромлея и Г. Маркова, М., 1982.
6. Amlas zur geschichte, red. G. Suchy. Leigzig 1981.

Alexander Nazghaidze

For the Historical Ethno - Geography of Eurasia

The process of people's settlement on the territory of Eurasia is shortly discussed in the article. The starting point of the Neolithic civilization is stated. The place, that was "made" because it should have to become a cradle of civilization on the earth by its soil, climate, flora and fauna, is the starting point of the rivers: Tigris and Euphrates.

In our opinion, the name of the mentioned place is Eden. This is the place of "population explosion", the spring place of many Near East nations. In our opinion Eden is a word, term denoting that the very place carries in itself the memory of pre-homeland in their mythology.

In the 8th millennium B.C. "Eden" was transformed into "fertile crescent". In the 6th millennium B.C. the fertile crescent was expended from Danube till Indus. Than in the 3rd millennium B.C. the peoples of Eden and the culture of Eden reached

the West, Pyrenees peninsula and in the 3rd millennium B.C. Hindustan peninsula in the East. We believe that "The peoples of Eden" are: Iberians, Ligurians, Pelasgians, Hattis, the Caucasian peoples, Caspians, Sumerians, Casits, Elamits, Dravidas etc. The peoples of Eden used to lead settled way of life. Agriculture and stockbreeding were the branches of their economy.

In the 5th millennium B.C. the culture of stockbreeding was passed from Eden people to "the people of desert" and in the 3rd millennium B.C. to "the people of the steppe" in the North.

The population explosion started among nomads of desert and than the steppe. They occupied the greatest part of the territories populated by Eden peoples and assimilated with them. The new comers were studding agriculture and the settled way of life.

Lately (the 2nd millennium B.C.) culture of stockbreeding was passed from "the people of the steppe" to the population of Ural and in the 1st millennium B.C. to the population of Altai that caused the population explosion peculiar to production economy.

During the millenniums, as a result of "the peoples great migrations", the modern picture of Eurasian ethno-geography was formed. Nowadays "Eden peoples" are the peoples of the Iberian-Caucasian family (we mean Iberians of Pyrenees and not ancestors of Georgians). "The peoples of desert" we know as the peoples belonging to Semitic - Hamitic family and "the peoples of the steppe" to Indo - European family.

The maps, showing from one hand the coast changes of the world oceans connected with the rise of ocean - level during last 12000 years and on the other hand showing the permanent changes of the settlement areas of the peoples belonging to a certain culture and language families, are attached to the article.

პოლონეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან

ქართულ-პოლონური ურთიერთობის ისტორია XV საუკუნის ბოლოდან იწყება და დაახლოებით ხუთას წელიწადს ითვლის. ისტორიაში ბევრი როდია ორ გეოგრაფიულად ასე დაშორებული და ეთნიკურად ასე განსხვავებული ხალხის ამგვარი ურთიერთობის მაგალითები. „ამ ორ ხალხს ხასიათისა და ისტორიული ბედის მსგავსებასთან ერთად საერთო სულიც აახლოებდათ. „დამოუკიდებლობა“ და „თავისუფლება“ ორივე ხალხისთვის ყოველთვის უმთავრესი ცნებები იყო, ხოლო ბრძოლა მათთვის განსაზღვრავდა ეროვნული ყოფის სიღრმისეულ არსს“ [კრებული: 2004, 5].

სწორედ განსაკუთრებულმა მიზიდულობამ განაპირობა ამ ორი ქვეყნის ურთიერთობები. ამ ურთიერთობათა ხანგრძლივ ისტორიაში იყო სხვადასხვა პერიოდები. ამ ურთიერთობათა ისტორიის ყველაზე დრამატული და დაძაბული ფურცლები მაინც XIX საუკუნეში დაიწერა. XIX საუკუნის 30-იან წლებში საქართველოში გადმოასახლეს პოლონელი პატრიოტი ალექსანდრე ხოძკო, რომელმაც თბილისში ორი წელი გაატარა. იგი გაეცნო საქართველოს ისტორიასა და ქართულ ლიტერატურას, შეისწავლა ქართული ენა. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ პოლონელმა ხალხმა გაიცნო შოთა რუსთაველის უკვდავი ქმნილება „ვეფხისტყაოსანი“. 1833 წელს ალ. ხოძკომ ლონდონში პოლონურ ენაზე გამოსცა წიგნი, რომელშიც ერთ-ერთ ნარკვევს ეწოდებოდა – „შოთა რუსთაველი - ქართველი პოეტი“. ეს ნარკვევი რუსულად თარგმნა პოლონელმა მთარგმნელმა დუბროვსკიმ. ნარკვევში



ლაპარაკია არა მარტო შოთა რუსთაველზე, არამედ მოკლედ გადმოცემულია საქართველოს ისტორიაც.

1833 წელს პოლონურ ენაზე გამოიცა იულიუმ ნოვაციის შრომა „საქართველო, მისი ბუნება, ლიტერატურა და მოკლე ისტორია“.

„პოლონური ლიტერატურის ისტორიაში ხშირად გვხვდება ტერმინი „კავკასიელ პოეტთა ჯგუფი“ აქ იგულისხმება პოლონელი პოეტები, რომლებიც ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ კავკასიაში. ისინი აქტიურად ჩაერთვნენ კავკასიის ცხოვრებაში, უკეთესად გააცნეს თანამემამულეებს ეს მხარე და სამუდამოდ დაუკავშირეს თავისი ბედი საქართველოს [ფილინა: 2004, 7]. პოლონელებს მნიშვნელოვანი წვლილი აქვთ შეტანილი საქართველოს კულტურისა და მეცნიერების ყველა სფეროში. განსაკუთრებით აღსანიშნავია თადეუშ ლადა-ზაბლოცკის (1813-1847) მოღვაწეობა. თადეუშ ლადა-ზაბლოცკი იცნობდა ნიკოლოზ ბარათაშვილს, ეკატერინე დადიანს, ნინო ჭავჭავაძეს, მიხეილ თუმანიშვილს. მიხეილ თუმანიშვილმა ქართულად თარგმნა თადეუშ ლადა-ზაბლოცკის „ალაზნის ველი“. თადეუშ ლადა-ზაბლოცკიმ კი პოლონურად თარგმნა მიხეილ თუმანიშვილის „თასი“ [მეტრეველი: 2004, 18].

თადეუშ ლადა-ზაბლოცკიმ პოლონელ საზოგადოებას გააცნო საქართველო და ქართული კულტურა, მისი „ნარკვევები ქართველ მწერლებზე“ პოლონურ ენაზე გამოიცა 1847 წელს. თავადი ვორონცოვის ბრძანებით, ლადა-ზაბლოცკი კულპის მარილის საბადოზე დანიშნეს მმართველად, სადაც ის იმავე წელს გარდაიცვალა ქოლერისაგან.

„ნიჭიერმა პოლონელმა პოეტმა ვლადისლავ სტეფლინცკიმ თავის კრებულში „პოეზია“, ფართოდ გამოიყენა ქართული ლექსები და თქმულებები. იგი

1846 წელს გარდაიცვალა 26 წლის ასაკში. ლუღია თბილისში.

პოეტმა ლეონ იანიშვილმა (1810-1861) თავის ცხოვრების ბოლო 20 წელი თბილისში გაატარა. იგი ავტორია ნაწარმოებისა - „კავკასიაში მოგზაურობის თანამედროვე სურათები და შთაბეჭდილებები“. პოლონელმა პოეტმა ქსავერი პეტრაშკევიჩმა საქართველოს მიუძღვნა თავისი „კავკასიური სონეტები“ [ვოუნიაკი: 2001, 86].

ცნობილია, რომ 1830 წლის ნოემბერში პოლონეთში დაიწყო ცარიზმის წინააღმდეგ მიმართული აჯანყება. ამ აჯანყების ჩახშობის შემდეგ 3000-მდე პოლონელი პატრიოტი გადმოსახლეს კავკასიაში. საქართველოში ისინი ცხოვრობდნენ თბილისში, ქუთაისში, გურიაში, კახეთში. ქართველებსა და პოლონელებს შორის მალე დამყარდა მეგობრული ურთიერთობა. ქართველებმა იცოდნენ პოლონელების გადმოსახლების მიზეზი და ამიტომ თანაუგრძნობდნენ მათ. პოლონელებმა მალე შეისწავლეს ქართული ენა და ხშირად სტუმრობდნენ ქართულ ოჯახებს.

პოლონეთში ქართველთა გამოჩენა დაკავშირებული იყო 1832 წლის შეთქმულების გამოაშკარავებასთან.

პოლონელი გადმოსახლებულების ბედი გაიზიარა ცნობილმა ქართველმა მწერალმა გიორგი ერისთავმა. 1834 წელს მეფის მთავრობამ მწერალი პოლონეთში გადაასახლა. თავიდან იგი ქალაქ კონოში ცხოვრობდა, შემდეგ ვოლნოში, სადაც უნივერსიტეტში ლექციებს ისმენდა. შემდეგ იგი ცხოვრობდა ჯერ ბუღასტოკში, შემდეგ კი ვარშავაში. მან შეისწავლა პოლონური ენა და გაეცნო პოლონურ კულტურას. განსაკუთრებული ინტერესი კი ადამ მიცკევიჩის პოეზიის მიმართ გამოიჩინა და ქართულ ენაზე თარგმნა ა. მიცკევიჩის მთელი რიგი სონეტები: „პილიგრიმები“, „ბა-



ხისარაი ღამით“, „აიუდალ“. ა. მიცკევიჩის ერთ-ერთი
 ლექსი „ფარისი“ ქართულად თარგმნა 1832 წლის შე-
 ტქმულებს მონაწილემ სოლომონ რაზმაძემ.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ გიორგი ერის-
 თავემა გაიცნო პოლონელი ლიტერატორი კაზიმეჟ
 ლაპჩინსკი, რომელმაც დიდი ინტერესი გამოხატა ქა-
 რთული ლიტერატურის და საქართველოს მიმართ.

კ. ლაპჩინსკისა და გ. ერისთავის შემოქმედებითი
 თანამშრომლობის ნაყოფად იქცა პოლონურ ენაზე
 შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ პროზაული
 თარგმანი. კაზიმეჟ ლაპჩინსკიმ 1866-1867 წლებში პო-
 ლონურ ენაზე გამოსცა ქართულ ანდაზათა კრებული.

შეიძლება უამრავი მაგალითის მოტანა, რომლე-
 ბიც ქართველი და პოლონელი მოღვაწეების მეგობ-
 რობას მოწმობენ. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია
 ქართველი მეცნიერის ივანე თარხნიშვილისა და პო-
 ლონეთში ფიზიოლოგიის ფუძემდებლის ნაპოლეონ
 ციბულსკის მეგობრობა.

საქართველოში მოღვაწეობდნენ გედეონ პრჟიალ-
 კოვსკი, სიღვესტერ პლეშკოვსკი, ივან მანკევიჩი და
 სხვები. ს. პლეშკოვსკი თავიდან თბილისში მუშაობდა
 (1835) შემდეგ კი შვიდი წლის განმავლობაში მუშა-
 ობდა ოზურგეთში ექიმად.

„XX საუკუნის დასაწყისში 1903 წლისათვის პო-
 ლონეთის უმაღლეს სასწავლებელში მრავალი ქართ-
 ველი სტუდენტი იღებდა განათლებას.

ვარშავის კონსერვატორიაში სწავლობდა ქართუ-
 ლი კლასიკური მუსიკის ერთ-ერთი წარმომადგენელი
 ანდრია ყარაშვილი.

1890-1905 წლებში ვარშავის ვეტერინალურ ინსტი-
 ტუტში სწავლობდა შიო არაგვისპირელი (დედაბრიშ-
 ვილი), რომელიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა 1893
 წელს ვარშავაში დაარსებულ, „საქართველოს განთა-
 ვისუფლების ლიგის“ მუშაობაში.



1910 წელს ვარშავის უმაღლეს სასწავლებელში ორმოცდაათზე მეტი ქართველი სტუდენტი იყო [ქართობინი: 2001, 99].

ვარშავული პრესა დროდადრო წერდა საქართველოდან ჩამოსულ ცნობილ პიროვნებებზე, მაგალითად, XIX საუკუნის 80-იან წლებში წერდნენ ვარშავაში ჩამოსულ „ჭლეჭისა და კიბოს“ მკურნალ ექიმებაზე. ვარშავის პრესამ დიდი ყურადღება დაუთმო ცნობილი ქართველი კომპოზიტორის მელიტონ ბალანჩივაძის კონცერტს. დამატებით შეიძლება ითქვას ქართულ-პოლონურ ეკონომიკურ ურთიერთობებზე. XIX ს-ის ბოლოს ვარშავაში იყიდებოდა არა მარტო კავკასიური აბრეშუმი და ვერცხლის ნაკეთობა, არამედ ქართული კონიაკი და ღვინო. ვარშავაში იყო ქართული ღვინის რამდენიმე საწყობი. ასევე დიდი მოთხოვნილება იყო კავკასიურ მინერალურ წყლებსა და სამკურნალო „კეფირზე“ – წერს გაზეთი „ვარშავსკი კურიერ“ [იუსტინსკაია: 2001, 4].

საქართველოს თეატრებში უკვე იდგმებოდა პოლონელ ავტორთა პიესები.

საქართველოში მცხოვრებ პოლონელთა შთამომავლობის ნაწილმა შეითვისა ქართული ზნე-ჩვეულებანი. მაგალითად, ქართველი მწერალი გიორგი მაიაშვილი (ზდანოვიჩი) ცნობილი პოლონელი მოღვაწის ფელიქს ზდანოვიჩისა და ქართველი ქალის მაია მიქელაძის შვილი იყო. დედისადმი განსაკუთრებული სიყვარულისა და პატივისცემის გამო გიორგი ზდანოვიჩმა ფსევდონიმად აირჩია „მაიაშვილი“. გიორგი ზდანოვიჩმა სახელი გაითქვა თავის რევოლუციური ბიოგრაფიით მთელ რუსეთის იმპერიაში. ის იყო ნაროდნიკი, მარქსისტი, სოციალისტი, ეწეოდა პუბლიცისტურ საქმიანობას, თანამშრომლობდა რუსულ და ქართულ რევოლუციურ-დემოკრატიულ პრესაში. იყო ცნობილი „50-იანელთა პროცესის“ მონაწილე. ორი

საუკუნის მიჯნაზე მცხოვრებმა (1855-1917) ამ ადამიანმა შთამბეჭდავი კვალი დატოვა ქართველი ხალხის ცხოვრებაში, ბევრი რამ შემატა არა მარტო ქართულ კულტურას, არამედ მის სოციალურ-ეკონომიკურ ყოფასაც.

„მამით პოლონელმა და დედით ქართველმა პატრიოტმა უამრავ ქართულ საქმეს ჩაუყარა საფუძველი, დიდი წვლილი შეიტანა ქართველი ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლაში. ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის აღდგენაში. პატრიოტიზმი, დაჩაგრული ხალხის სიყვარული და თანაგრძნობა, მჩაგვრელისადმი უსაზღვრო ზიზღი, იქნებ მისი გენეტიკური თვისებაც იყო. მამამისი, ეროვნებით პოლონელი ფელიქს ზდანოვიჩი, ასეთივე სიძულვილით იყო განმსჭვალული პოლონეთის დამპყრობლებისადმი. რუსული კოლონიალიზმი ხომ ერთიანად ტანჯავდა პოლონელ და ქართველ ხალხს. თავისუფლებისმოყვარე ქართველი ერი, მისი ლიტერატურა და ისტორია, მისი მდიდარი კულტურა ძალზე ხიბლავდა უსაზღვროდ განათლებულ და მეზობლი ბუნების ფელიქს ზდანოვიჩს. იგი მეფის არმიაში მსახურობდა ექიმ სტომატოლოგად. ჰქონდა შტაბსკაპიტნის სამხედრო ჩინი. სამსახურის მიტოვების შემდეგ მან ცოლად შეირთო ქუთაისელი ქალი მაია მანუჩარის ასული მიქელაძე და ქუთაისში დასახლდა. შეეძინა შვილი გიორგი. 5 წლის შემდეგ კი იგი გარდაიცვალა [პუცოვა: 2001, 115].

„თბილისის სამხატვრო ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო ფერმწერი და არქიტექტორი ჰენრიხ გრინეესკი (1869-1937) დაიბადა ქალაქ ქუთაისში, იქვე დაამთავრა გიმნაზია, სწავლობდა გერმანიასა და იტალიაში, შემდეგ კი კვლავ დაუბრუნდა საქართველოს და მას დაუკავშირა მთელი თავისი შემოქმედებითი ბიოგრაფია. უძღვებოდა ხატვისა და ფერწერის კურს-



ებს „კავკასიის სახვითი ხელოვნების მხარდამცემ საზოგადოებასთან“ არსებული ფერწერისა და ქანდაკების სკოლაში, ხატავდა ილუსტრაციებს თბილისის ჟურნალ-გაზეთებისათვის. მანვე გააფორმა საოპერო თეატრის რამდენიმე სპექტაკლი. გრინევსკი ქართული ლიტერატურის კლასიკოსის ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებების პირველი ილუსტრატორი იყო. 1914 წელს მხატვარი დაჯილდოვდა პირველი პრემიით „ქართული სათავადაზნაურო ბანკის“ ინტერიერის გაფორმების პროექტისათვის. თბილისის სამხატვრო აკადემიის დაარსების დღიდანვე (1922) გრინევსკი ფერწერას ასწავლიდა თავდაპირველად როგორც პედაგოგი, შემდეგ კი როგორც პროფესორი. მან გამოსცა „პრაქტიკული სახელმძღვანელო ხაზობრივი პერსპექტივის შესახებ“. 1937 წელს პიოტრ გრინევსკი პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლი გახდა. სამწუხაროდ იგივე ბედი გაიზიარა მისმა წარმოშობით იტალიელმა მეუღლემ მარია პერინიმ, რომელიც თბილისის საბალეტო სტუდიას უძღვებოდა. მარია პერინის აღზრდილები იყვნენ საქართველოს გამოჩენილი არტისტები: ვახტანგ ჭაბუკიანი, ლილი გვარამაძე, ირინა ალექსიძე და სხვები. რეპრესიების დროს ნიჭიერი მხატვრის მდიდარი შემოქმედებითი მემკვიდრეობის დიდი ნაწილი განადგურებული იქნა. თუმცა საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ფონდში შემორჩენილია რამდენიმე ნამუშევარი [ჭუმბურიძე: 2008, 106].

ძმები კირილე და ილია ზდანევიჩები პოლონეთში 1863 წლის ამბოხებაში მონაწილეობის გამო ამიერკავკასიაში გადმოსახლებული პოლონელის შთამომავლები იყვნენ. მათი მამა მიხეილ ანდრიას ძე წლების განმავლობაში ასწავლიდა ფრანგულ ენას თბილისის გიმნაზიებში. დედა ვალენტინა კირილეს ასული გამყრელიძე იყო შესანიშნავი პიანისტი, პ. ი. ჩაიკოვსკის მოსწავლე.



„კირილე ზდანევიჩი (1892-1969) – ნიჭიერი მხატვარ-გამფორმებელი, ავტორი რამდენიმე წიგნისა და ფიროსმანზე, ყოველთვის თბილისისა და მოსკოვის კულტურული ცხოვრების ცენტრში იყო. უმცროს ძმა ილიასთან ერთად უდიდესი წვლილი მიძღვის ნიკო ფიროსმანის აღმოჩენასა და მისი ნახატების პოპულარიზაციაში.

კ. ზდანევიჩის შემოქმედებას დიდად აფასებდა პიკასო. კ. ზდანევიჩს მძიმე ცხოვრება ჰქონდა, გამოიარა ვორკუტის ბანაკები და მაინც კეთილისმსურველ, მოკრძალებულ ადამიანად დარჩა. რომელმაც ბოლომდე უერთგულა თავისი გამოჩენილი მეგობრებისა და თანამედროვეების ლ. გუდიაშვილის, ზ. ვაღლიშვესკის, ტ. ტაბიძის, პ. იაშვილის, ს. ჩიქოვანის ხსოვნას [პოლინსკი: 1990, 111].

კ. ზდანევიჩი დაკრძალულია თბილისში. მისი ნახატები კი ინახება საქართველოს, პოლონეთის, რუსეთის, საფრანგეთის, ამერიკის, ინგლისისა და კანადის მუზეუმებსა თუ კერძო კოლექციებში.

ზდანევიჩის შვილიშვილი ქსანა აგრძელებს რა ოჯახურ ტრადიციას, მოღვაწეობს პარიზში, მეორე შვილიშვილი გამოჩენილი მხატვარი ყარამან ქუთათელაძე კი თბილისის სამხატვრო აკადემიის ლექტორია.

კირილეს უმცროსი ძმა ილია ზდანევიჩი (1894-1975) მოღვაწეობდა როგორც პოეტი, ისტორიკოსი, ხელოვნების კრიტიკოსი, არქეოლოგი, დიზაინერი და წიგნის გამომცემელი ფსევდონიმით „ილიაზდ“ ქართული, რუსული და ფრანგული კულტურის ისტორიაში შევიდა როგორც ფუტურისმის ერთ-ერთი თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი ლიდერი. ილია ზდანევიჩი ფიროსმანის პირველი ბიოგრაფი იყო, რომელმაც 1913-1914 წლებში თბილისის პრესაში გამოაქვეყნა რამდენიმე პუბლიკაცია ნიკალას შესახებ. ძმა და თანამოაზრე კირილესთან ერთად ჩამოაყალიბა მხატვრ-

ულ-ლიტერატურული ჯგუფი “41 გრადუსი“
წლიდან ზდანიევიჩი პარიზში ცხოვრობდა. 1966 წელს
მას კირილე ეწვია, რომელსაც ძმა თითქმის ნახევარი
საუკუნე არ ენახა. ეს მათი ბოლო შეხვედრა იყო.
ილია ზდანიევიჩი დაკრძალულია პარიზთან ახლოს,
ლევინ-სურ-ორჟეს ქართული სათვისტომოს სასა-
ფლაოზე.

პოლონეთში არსებობდა როგორც ოფიციალური,
ასევე საზოგადოებრივი ქართული და ქართულ-პოლო-
ნური ორგანიზაციები. 1920 წლამდე ქართული ემიგ-
რაცია მცირერიცხოვანი იყო და ისინი ჩამოყალიბდ-
ნენ, როგორც თვითდახმარების ქართული კომიტეტი,
რომელსაც ხელმძღვანელობდა თავადი სიდამონ ერი-
სთავი – დემოკრატიული საქართველოს რესპუბლიკის
ელჩი პოლონეთში. კომიტეტმა შეწყვიტა არსებობა
ბოლშევიკების მთავრობაში მოსვლისა და სიდამონ
ერისთავის ვარშავიდან გამგზავრების გამო.

პოლონურ-ქართული კულტურული კავშირები ამ-
ჟამად განვითარების ახალ ეტაპზეა. 1998 წელს კავ-
შირმა „პოლონიამ“ თბილისის სახელმწიფო უნივერ-
სიტეტთან ერთად ჩაატარა ა. მიცკევიჩის დღეები თბი-
ლისში. ა. მიცკევიჩმა, რომელიც უკვე საუკუნენახევა-
რია წარმოადგენს საქართველოსთვის პოლონურ სუ-
ლის სიმბოლოს, შეკრიბა პოლონელი და ქართველი
მეცნიერები. ამავე დროს გამოქვეყნდა სესიის მასალებ-
ი, დაიბეჭდა ორენოვანი ტომი „კურთხევა“, რომელ-
შიც შევიდა 150 წლის მანძილზე შეგროვილი ქართუ-
ლი თარგმანები. ეს იყო პირველი წიგნი კავკასიაში
პოლონურ ენაზე. 1999 წელს კავშირმა ჩაატარა შოპენ-
ის იმპროვიზირებული ფესტივალი. იმპროვიზირებუ-
ლი იმიტომ, რომ განზრახული იყო ერთი კონცერტის
ჩატარება, მაგრამ პოლონური მუსიკა ისე ორიგინა-
ლურად შეერწყა ქართველი ხალხის ცხოვრებას, რომ
იუბილეს შეუერთდა ათობით და ათასობით თაყვანის-



მცემელი. ხუთი კონცერტი შედგა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ და მცირე დარბაზებში, საქართველოს მუსიკალურ საზოგადოებაში ჩატარდა კონკურსი კონსერვატორიის სტუდენტებს შორის. პოლონური კულტურის ეს დღესასწაული დასრულდა შოპენისა და სლოვაკის დღით საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა პოლონელი რომანტიკოსის ლირიკის კრებულის „ჩემი ანდერძის“ პრეზენტაცია. მიცკევიჩისა და შოპენისაგან განსხვავებით, სლოვაკი საქართველოში ცნობილი არ იყო. იგი თარგმნა 25 პოეტმა, დაწყებული პოეზიის ოსტატებიდან დამთავრებული უნივერსიტეტის სტუდენტებით. საქართველო-პოლონეთის კულტურული ურთიერთობა დღესაც გრძელდება. 2000 წლის 26 ოქტომბერს თბილისში პოლონეთის დელეგაციამ და თსუ რექტორმა, აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა ხელი მოაწერეს ვარშავისა და თბილისის უნივერსიტეტებს შორის ურთიერთ თანამშრომლობის ხელშეკრულებას. განისაზღვრა შემდგომი თანამშრომლობის შესაძლებლობები და პერსპექტივები. ხშირად იმართება საერთო კონფერენციები, სამეცნიერო სიმპოზიუმები. 2001 წლის მაისში ლუბლიანას უნივერსიტეტში შედგა კონფერენცია „პოლონელები საქართველოში“. იგი ერთ-ერთი იყო, რომელიც ჩაატარა პოლონელებისა და სულიერი მეურვეობის შემსწავლელი ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორმა პეტერმა ედუარდ ვალევანდერმა. მასში მონაწილეობა მიიღეს პოლონელმა, ქართველმა და იტალიელმა მეცნიერებმა და აგრეთვე, საქართველოში 25 წლის განმავლობაში ნამუშევარმა პატერმა იან შელჩინსკიმ, თბილისის კათოლიკური ტაძრის წინამძღვარმა ადამ ოხალმა. გადაწყვეტილება მიიღეს ორ ენაზე გამოცემულიყო კონფერენციის მასალები. შეიძლება ითქვას, რომ ასეთი მოცულობის სამეცნიერო გამოცემა პოლონურ და ქართულ ენებზე

პირველია ორი ხალხის ურთიერთობის ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში.

ასეთია მოკლე მიმოხილვა პოლონელი და ქართველი ხალხის კულტურული ურთიერთობისა XIX-ს-დან დღემდე.

ლიტერატურა

1. ანჟეი ვოჟნიაკი, „ქართული ემიგრაციის საზოგადოებები და ორგანიზაციები პოლონეთში“, ჟურნალი, „ახალი პოლონეთი“, ვარშავა, №1, 2001.
2. ირინა პუცოვა, პოლონელი მხატვრები საქართველოში, ჟურნალი „ახალი პოლონეთი“, ვარშავა, №1, 2001.
3. მარიამ ფილინა, „პოლონურ ქართული კავშირები“, თბ., 2004.
4. მეტრეველი რ., „პოლონეთ-საქართველოს ურთიერთობათა ისტორიიდან“, საქართველოს პოლონელთა კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი „პოლონია“, თბ., 2004.
5. პოლინსკი, „ვარშავის კურიერი“, ვარშავა, №10, 1990.
6. პოლონელების 200 წელი კავკასიაში, ქართულ-პოლონური ურთიერთკავშირები, საქართველოს პოლონელთა კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი „პოლონია“, თბ., 2004.
7. რობერტ კარბინი, „ქართველი ოფიცრები პოლონურ ჯარში“, ჟურნალი „ახალი პოლონეთი“, ვარშავა, №1, 2001.
8. ჭუმბურიძე დ., ისტორიული პორტრეტები, დასაწყისი XX საუკუნისა, გიორგი ზდანოვიჩი, თბ., 2008.

9. პენრიეტა იუსტინსკაია - პოლონელი მხატვრები საქართველოში, ჟურნალი „ახალი პოლონეთი“, ვარშავა, №1, 2001.

Caca Chkhartishvili

From the History of Georgia-Poland Cultural Relations

During the millenniums, especially the last tow centuries, Polish-Georgian relations became deeply rooted.

And still, the most dramatic and tense period of these relations was the 19th century. The authorities of those days “took care” to extend the contacts between these tow peoples who had been related with deep friendly ties. After rebellions thousands of Poles were exiled in the Caucasus. They were assigned to different Caucasian regiments as common solders.

The results of the Tsarism’s “reforming” activity were unexpected. A kind of spiritual unity established between punished political figures and Georgian intelligentsia. A group of Polish “Caucasian poets ” was formed. Exiled Poles became actively involved in the life of the Caucasus. They introduced better the region of their new habitation to their compatriots and connected links forever with Georgia. At the end of the 19th and the beginning of the 20th centuries representatives of different social layers and professions used to arrive in Georgia of their own free will.

In fact, Poles had a significant contribution in development of culture and all spheres of science in Georgia.

თამაშების ისტორიისათვის საქართველოში (აზარტული თამაშები წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური არტეფაქტების მონაცემებით)

საქართველოში ნარდის, ზარის, შაშისა და სხვა თამაში საუკუნეებს ითვლის, მაგრამ მიუხედავად მათი ასეთი პოპულარობისა ქართულ ენაზე არ არსებობს სამეცნიერო ნაშრომი ესოდენ მიმზიდველი თამაშების შესახებ. ინტერესმოკლებული არ იქნებოდა საქართველოში აზარტული თამაშების ისტორიის შესახებ არსებული წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური მასალების განხილვა.

¹სამორინე - სულხან-საბა ორბელიანთან განმარტებულია, როგორც სახლი მენარდეთა. სამორინე არის სახლი, სადა ნარდთა და მისთანათა იმდერიან [სულხან-საბა 1993; 40]. მღერა ძველ ქართულში თამაშობას ნიშნავდა, თამაშობა ქართულად მღერა-შექცევათა სახელია, წერს სულხან-საბა ორბელიანი [სულხან-საბა 1991; 298]. ის ამბობს: “თამაშობაცა განიყოფებიან ექვსად: ასპარეზობად, მღერად, ფუნდრუკად, ხუნტრუცად, როკვად და შექცევად.

მოასპარეზობა არის თამაშობა მხედართა მიერ ანძათა ისართა სრევა, ბურთთა ყვანჭითა ცემა, საგანთა სროლა და ეგვეითარნი; მღერა არის ესენიცა და ჭადრაკთა, ნარდთა, ბიანქოთა და ყოველთა სამორინოთა თამაშობა და ოროლთა მრავალგვარად ბრუნებათა მღერადვე იტყვიან: ფუნდრუკი არის ვაჟებთა მიერ თამაშობა, რომელნი რბიან ხლდებიან და დღისით და ღამით მრავალთა რასმე იქმენ სხვადასხვაობათა; ხუნტრუცი არის ქალთა მიერ ფუნდრუკი ძალისაებრ მათისა; როკვა არის თამაშობა, სამა, ცეკვა ბუქნა, კოჭა, ფერხული, მრგვალთა წყობა და რაოდენნი ებანთა ფანდურთა და ტყველვათა მიერ იქმნების: შექცევა არის ესენიცა და კენჭებითა და ჩხირებითა და ვევითა და სხვისი ღონისძიებითა ჭმუნვა განიქარვონ [სულხან-საბა 1991; 299].



ძველ მსოფლიოში ფართოდ იყო გავრცელებული სხვადასხვა ტიპის თამაშები, მათ შორის აზარტულიც (საერთაშორისო ტერმინი “აზარტი” არაბული სიტყვა (al zahr-ძვალ) “ზართან” არის დაკავშირებული და ქართულში კამათლის სინონიმად იხმარება). კოჭაობა, ზარი, შაში, ნარდი და მისთანანი, რომელთა გამოგონებას ჰეროდოტე ლიდიელებს მიაწერს [ჰეროდოტე: 1975, 72] ლიდიელები ამტკიცებენ, რომ თამაშები გავრცელებული მათთან და ელინებთან, მათი გამოგონებაა. ლიდიელებმა გამოიგონეს ეს თამაშები სწორედ იმ დროს, როცა გადასახლდნენ ტირსენიაში..... ისინი ჰყვებიან ასე: მანესის ძის, მეფე ატიის დროს მთელ ლიდიაში (პურის მოუსავლიანობის გამო) დაიწყო ძლიერი შიმშილი. ლიდიელები ჯერ ითმენდნენ ჭირს, მაგრამ შემდეგ, როცა უფრო და უფრო გაძლიერდა, მათ დაიწყეს ხსნის ძებნა სხვადასხვა საშუალებების გამოყენებით, რათა ჩაეკლათ შიმშილის გრძნობა, ისინი იქცეოდნენ ასე: ერთი დღე სულ თამაშობდნენ, საჭმელზე რომ არ ეფიქრათ მეორე დღეს წყვეტდნენ რა თამაშს, ჭამდნენ საჭმელს. ასე იცხოვრეს ლიდიელებმა 18 წელიწადს, მაგრამ შიმშილი არ მთავრდებოდა, ამიტომ მეფემ გაყო მთელი ხალხი ორ ნაწილად და ბრძანა, რომ მათ კენჭი ეყარათ ვინ დარჩენილიყო და ვის ქვეყნის დატოვება მოუწევდა [ჰეროდოტე -1975; 72].

ძველი ბერძნები და რომაელები ერთობოდნენ ნარდის მსგავსი თამაშით “Ludus diodecim scriptorum-ის სახელწოდებით (Encyclopedia Britannica -1959). ამ თამაშის გამოგონებას ზოგიერთი წყარო მიაწერს მეფე არდაშირს (ძვ.წ. III ს.). ზოგი გადმოცემით კი ეს თამაში გამოიგონა განთქმულმა ვეზირმა ბოზორგმეჰრმა ძვ.წ. VI ს-ში [გიუნაშვილი: 1967, 730].



ნარდის გასაგორებელ კენტებს სპარსულშიც და ქართულშიც არაბული სახელი ჰქვია “კამათელი” (ქა-ბათეინ) ნიშნავს ორ კუბს, ორ გასაგორებელ ქვას. ქართულ ენაში სპარსულის მეშვეობითაა შემოსული [ანდრონიკაშვილი: 1965, 315]. სპეციალისტების აზრით ამავე სიტყვიდანაა ნაწარმოები ქართული “კამათი” “თამაში” “მოკამათე”, “მოთამაშე”, “მეტოქე” და სხვა.

ალი აქბარ ნაფისისთან ვკითხულობთ: “ქა-ბათეინ”.. ნარდის თამაშის ორი კოჭი “ქა-ბა’ - ესე იგი კუბური სხეული, მათი საშუალებით ნარდს თამაშობენ და ვინაიდან ორი ცალია ამიტომ ქა-ბათეინს უწოდებენ [გიუნაშვილი: 1967, 73] “ყიასაულ ლოყათში” ვკითხულობთ: ”ქა-ბათეინ ორი პატარა კოჭი..... მათი საშუალებით ნარდს თამაშობენ [Jonson: 1852, 308].

ბერძნებს ჰქონდათ აზარტული თამაშის ძველი ტრადიცია, რომელიც პავსანიოსის ცნობით, ტროას ომის დროიდან იყო გავრცელებული. მისი თქმით, ტროას ათწლიანი ომის დროს დაღლილი მეომრები თავისუფალ დროს, ეძებდნენ რა მოწყენილობისაგან გამოსავალს, კამათლით თამაშობდნენ [Гутер Полунов Ю.А. -1980;73].

იმის შესახებ თუ როგორ ატარებდა წინათ თავისუფალ დროს ხალხი, პლუტარქე წერს: “ჰერკულესის ტაძარში იყო ერთი მსახური. მას, როგორც ჩვეულებრივ ხდება, ბევრი თავისუფალი დრო ჰქონდა და ის მთელ დღეებს ატარებდა კოჭისა და კამათლის თამაშში” [პლუტარქე: 1975, 383].

ალექსანდრე.... კამათელს ეთამაშებოდა მედიოსს, როცა ციებ-ცხელება ჰქონდა, მაგრამ გაიგო რა მან, რომ ზოგი მისი ამხანაგი თამაშობს კამათელს



არა გასართობად, არამედ სერიოზულად, მან დააჯიშა რიმა ისინი [პლუტარქე: 1975, 389].

რომის იმპერატორი ავგუსტუსი თამაშობდა სიბერეშიც, არა მარტო დეკემბერში (ე.ი. სატურნალიებზე, როდესაც ყველანაირი გართობა დაშვებული იყო), არამედ სხვა დღესასწაულებზეც. თავის წერილში იგი წერს ასე: “სადილის დროს, ძვირფასო ტიბერიუს, ისევე ის სტუმრები იყვნენ, კიდევ მოვიდნენ ვინიციუსი და სილიუს უფროსი. ჭამის დროს გუშინაც და დღესაც ვთამაშობდით ბებრულად: ვაგდებდით კამათელს და ვისაც გამოუვიდოდა “ძალი” ან ექვსიანი”, ის დებდა დინარს ყოველ კამათელზე და ვისაც გამოუვიდოდა “ვენერა”, ის იღებდა ფულს [Гай Светоний Транквил: 1964, 62].

სხვა წერილში ავგუსტუსი გვამცნობს, “ძვირფასო ტიბერიუს, ჩვენ გავატარეთ დრო დიდი სიამოვნებით, ვთამაშობდით ყოველდღე ისე, რომ დაფა არ ცივდებოდა. შენი ძმა თამაშის დროს ძალიან ფიცხდებოდა, მაგრამ საბოლოოდ ბევრი არ წაუგია: ის დიდ წაგებაში იყო, მაგრამ მერეც ცოტ-ცოტა გამოძვრა. რაც შემეხება მე, წავაგე 20 ათასი მხოლოდ იმიტომ, რომ ვთამაშობდი ხელგაშლილად, როგორც ყოველთვის, რომ მოვითხოვო ყველაფერი, რაც სხვას დავუთმე და დავიბრუნო ყველაფერი, რაც ყველას ვასესხე. 50 ათასით მოგებაში დავრჩებოდი, მაგრამ მე ეს არ მჭირდება. სჯობს ჩემმა ხელგაშლილობამ სახელი გამოთქვას: ქალიშვილს კი იგი სწერს ასე: გიგზავნი 250 დინარს, როგორც ყველა სტუმარს, იმ შემთხვევისათვის, თუ ვინმეს სადილის დროს მოუნდება კამათლის თამაში [Гай Светоний Транквил: 1964, 63].

აზარტულ თამაშებში ქალთა მონაწილეობას ადასტურებს აგრეთვე ჰერკულანუმში აღმოჩენილი

ზარის მოთამაშე ახალგაზრდა ქალის მარმარილოზე შესრულებული გამოსახულება. [Верман: 1903, 550].

კამათლის თამაში უბრალო ხალხშიც იყო გავრცელებული. ამიანე მარცვლინე “გასული მოვლენების” 31 წიგნში წერდა: “ეხლა კი გადავდივარ უსაქმურ და ზარმაც ბრბოზე. მთელ თავის ცხოვრებას ეს ხალხი ატარებს ღვინის სმაში და კამათლის თამაშში, გართობებში და სანახაობებში” [ამიანე მარცვლინე: 1961, 161].

“ძველი ხალხი თამაშობდა, შეთანხმებით, უფრო ხშირად ფულზე ან ქალებზე” [პლუტარქე: 1975; 387].

კამათელი გამოიყენებოდა აგრეთვე მკითხაობამისნობისათვის: იმპერატორი ტიბერიუსი ლაშქრობის დროს ეწვია ორაკულს, “და მას მოუვიდა მითითება, თავის კითხვებზე პასუხისათვის ჩაეგდო ოქროს კამათლები აპონის ნაკადულში და, როცა მან ეს შეასრულა, კამათლები დაჯდა ყველაზე ბედნიერი სვლით, ისინი ახლაც შეიძლება ნახოთ იქ, წყლის ქვეშ” [Гай Светоний Транквилл: 1964, 68].

კამათლის თამაშის დროს ხშირად თაღლითობდნენ და დანაშაულსაც კი ჩადიოდნენ. რომის იმპერატორი გაიუს კალიგულა “კამათლის თამაშისაგანაც კი არ თაკილობდა მოგების მიღებას, მიდიოდა, რა თაღლითობასა და ცრუ ფიცზე. ერთხელ კი მან დაუთმო თავისი რიგი მომდევნო მოთამაშეს, გავიდა სასახლის ატრიუმში და, დაინახა რა ორი მდიდარი რომაელი მხედარი, ბრძანა მაშინათვე დაეჭირათ ისინი და ჩამოერთმიათ ქონება, შემდეგ კი დაუბრუნდა თამაშს ტრაბახით, რომ არასოდეს ყოფილა ასეთ მოგებაში”. [Светоний: 1964; 69].

მოყვანილი ნაწყვეტებიდან ჩანს, რომ აზარტულ თამაშებს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა რომაელების

ცხოვრებაში, ეჭვის გარეშეა, რომ ასეთი ვითარება უნდა ყოფილიყო ცივილიზებული სამყაროს ყველა სხვა კუთხეში, მათ შორის საქართველოშიც.

ნარდი სპარსული სიტყვაა. ასევე მისი თამაშისას ხმარებული ტერმინებიც: იაქე, დუ, სე, ჩარი, ფანჯი, შაში, ყველა სპარსულია, მაგრამ თუ მოხვდა ხუთიანი და ექვსიანი ანუ შაშიბეში (შაშ-უ-ბეშ), აქ თურქული ბეშ (ხუთი) არის გარეული, როგორც ჩანს, ეს მოგვიანო ხანისაა. ნარდის თამაში ფართოდაა გავრცელებული აღმოსავლეთის ქვეყნებში და თითქმის ყველგან მას “ნარდს” უწოდებენ. არაბულში “ნარდ” თამაშს ჰქვია, ხოლო “ნარდემირ” კამათლებს [F. Jonson: 1852, 395], სიტყვა “ნარდ” სპარსულში ნიშნავს “ხისტანს” [F. Jonson: 1852, 417], ზოგი მკვლევარის აზრით სიტყვა “ნარდ” ძველი ინდური წარმოშობისაა, სანსკრიტში “nart”-ნიშნავს “ცეკვას, თამაშს”, ხოლო “nard”-ძახილს, ყვირილს, ღრიალს [გიუნაშვილი: 1967, 13].

ამჟამად, თამაშისას იყენებენ 30 ქვას და ორ კამათელს, მაგრამ როგორც ჩანს ნარდის თამაშის წესებს დროთა განმავლობაში გარკვეული ევოლუცია განუცდია. კლასიკური პერიოდის ლიტერატურულ ძეგლებში ვხვდებით მითითებებს მოთამაშეების მიერ სამი კამათლის გაგორების შესახებ, თუმცა ქვების რაოდენობა უცვლელია [გიუნაშვილი: 1967, 81].

არსებობს ნარდის თამაშის ასეთი სახეობა – “კენტი ნარდის” სახელწოდებით: წყვილი კამათელი, მაგ. ორი ექვსიანი არავითარ პრივილეგიებს არ ანიჭებს მოთამაშეს.

ნარდის თამაში, ისე როგორც სხვა სახის თამაში, ყოველთვის და ყველგან ერთნაირი არ ყოფილა, არამედ იცვლებოდა ეპოქების და ქვეყნების მიხედვით. ჯ. გიუნაშვილმა გამოარკვია, რომ ნარდს ერთ



დროს სპარსეთში სამი კენჭით თამაშობდნენ ერთით, როგორც ეხლათ მიღებული ირანშიც და საქართველოშიც [გიუნაშვილი: 1967, 71].

სათამაშო კუბიკ-ტესერებს (tessera) ჰქონდა ციფრული აღნიშვნები ექვსივე მხრიდან ერთიდან ექვსამდე. სათამაშო კუბიკ-ტალუსს (talus) ციფრებით აღნიშნული ჰქონდა მხოლოდ ოთხი მხარე, ერთი, ორი, სამი და ოთხი. საუკეთესო სვლად ითვლებოდა ვენერა (venys) ე.ი. ისეთი, როცა თითოეულ კამათელზე სხვადასხვა ციფრი მოდიოდა, ყველაზე ცუდი იყო-კანის (canis) ანუ ძაღლი - სვლა, როდესაც კამათლებზე აღმოჩნდებოდა ერთი და იგივე ციფრი. სპეციალურ ტიქაში მოთავსებული კამათლები შენჯღრევით ირეოდა და ირყეოდა სწორ ზედაპირზე. ესქილე გვაძლევს კამათლით თამაშის საჭირო ნაკრების მითითებებს: -რამდენიმე სათამაშო კამათელი, მათთვის ტიქა და სხვა ნაწილები ამ თამაშისა.

სათამაშო კამათელი (ტესერის ჯგუფის) კლასიფიცირებული იქნა მათი ფორმის მიხედვით, სათამაშო კამათლის პირველ ტიპს პარალელოპიპედის ფორმა აქვს, კამათლის მეორე ტიპს-კუბის ფორმა. მათ ორ სახეობად ჰყოფენ. პირველი სახეობის კამათელი მასიურია, მეორე - შიგნიდან ცარიელი. მათ ამზადებდნენ ძვლისაგან, სპილოს ძვლისაგან ან სხვა მასალისაგან. ცნობილია, როგორც ოქროს, ასევე გამომწვარი თიხისაგან გამოჭრილი კამათლები. სათამაშო კუბიკები მზადდებოდა ასევე სხვადასხვა ლითონისაგან, სხვადასხვა ჯიშის ქვისაგან, ასევე ხისაგან. ეს უკანასკნელი არ არის შემონახული [Блаватская: 1983]. ტესერის ჯგუფის პირველი ტიპის კამათელი არ იყო მრავალრიცხოვანი.

ტესერის ჯგუფის მეორე ტიპის სახეობის სათამაშო კამათლები, რომლებსაც კუბის ფორმა აქვს და



შიგნიდან ცარიელია, მრავლად გვხვდება რომაული ხანის პანტიკაპეიონში, ოლბიაში, ბოსფორის აზიურ ნაწილში და სხვა. [Наливкина: 1940, 197; Блаватский: 1964, 124]. ფუყე კუბიკს ორი მხრიდან თავსახური ეხურებოდა, რომელთა გასწვრივ 2-4 ღერძზე მოძრავობდა სიმძიმე და ეს ციფრები უფრო ხშირად მოდიოდა. ასეთი კუბიკი თამაშის დროს არაპატიოსან მოთამაშეს შეუძლო შეეცვალა.

შედარებით უკეთაა შესწავლილი აზარტული თამაშები ანტიკური ხანის ჩრდ. შავიზღვისპირეთში. აქ აღმოჩენილ კამათლებს ეძღვნება კ. კოსციუშკო-ვალუჟინიჩის (1902;108), გ. როსტოვცევის (1904 109), ტ. ბლავატსკის (1981; 129); ბ. პეტერსის (1986;103) და სხვათა ნაშრომები, რომელშიც გამოქვეყნებულია არქეოლოგიური მასალა და რომლებიც მოიცავენ ბევრ საინტერესო დასკვნას. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ ტ. ბლავატსკისა და პეტერსის ნაშრომები [Блаватская: 1981, Петерс: 1986].

პირველი საუკუნეების ჩრდილო შავიზღვისპირეთის არქეოლოგიურ მასალებში გვხვდება ძვლის კამათლები, მეტად ფაქიზად დამუშავებული, სადაც რიცხვის აღმნიშვნელი წერტილები უმთავრესად კონცენტრირებული წრეებითაა გადმოცემული. მოგვიანებით მსგავსი ძვლის კამათლები გავრცელებული ჩანს შუა აზიაში კიდევ უფრო მოგვიანებით ძვლის კამათლებს ვხვდებით დვინის ნაქალაქარის გათხრების დროსაც [Кафадарян: 1952, 174].

საქართველოს ტერიტორიაზე ძვლის კამათლები აღმოჩენილია ქარელის რაიონში (დედოფლის გორაზე. ძვ.წ. I ს.) [გაგოშიძე, კვიციანი: 1999, 112], ურბნისში (VI-VII სს-ის, ჭილაშვილი: 1964, 129), დმანისში- XII ს-ის [კერესელიძე: 1978, 79], არმაზისხევში - XI-XIII ს-ის [ლომთათიძე: 1955, 210].



დედოფლის გორაზე აღმოჩენილი კამათლები კლასიფიკაციის მიხედვით ტესერის ჯგუფის შუორეტიპის პირველ სახეობას მიეკუთვნება, ანუ ყველა კამათელი კუბური ფორმისაა და მთლიანი ძვლისგანაა დამზადებული. კამათლების წახნაგებზე დატანილია წერტილ-წრეები ერთიდან ექვსამდე. 10 კამათელზე წერტილები “კანონიკურადაა” განლაგებული, ისე როგორც თანამედროვე კამათლებზეა, ე.ი. მოპირდაპირე წახნაგებზე ამოკვეთილი წერტილების ჯამი შეადგენს 7-ს. (6+1; 5+2; და 4+3), მაგრამ ერთი კამათელი განსხვავებულია, აქ ექვსწერტილიანი წახნაგის მოპირდაპირე წახნაგზე ამოკვეთილია სამი წერტილი (ჯამი შეადგენს 9); ხუთ წერტილიანის პირდაპირ 1 და ოთხ წერტილიანის პირდაპირ 2 (ე.ი. აქ ჯამი შეადგენს 6).

ამ კამათელს ანალოგი ვერ მოვუძებნეთ, თუმცა ცნობილია, რომ ძველად, მაგალითად ეტრურიაში ციფრების განლაგება კამათლის წახნაგებზე არ იყო მკაცრად რეგლამენტირებული [Майяни: 1966, 70].

ქართულ წერილობით წყაროებში ყველაზე ადრინდელი ცნობა ნარდისა და კამათლის შესახებ გვხვდება შოთა რუსთაველის “ვეფხისტყაოსანში” კაბათენის და მღერა ნარდისა – ფორმით [რუსთაველი: ვეფხისტყაოსანი – 1953, 379].

“მეფესა ესე ამბავი უჩს, ვითა მღერა ნარდისა”
 უხარის ეგრე სიკეთე მისისა განაზარდისა”.

აგრეთვე: “ამად შევმართენ საქმენი ჩემნი საკამათენია
 ადრე გამიტყდა სოფელი, მართ ვითა კაბათენია”

ქართული სათამაშო ტერმინები (ფიგურების სახელწოდებები და სხვა) პირველმა გაგვაცნო მეფე პოეტმა თეიმურაზ II-მ ლექსში “ყუმარზე”. ზმა ლექსად თქმული მეფე თეიმურაზ მეორისაგან: “განჯაფა, ჭადრაკისა და ნარდისა” (მეფე თეიმურაზ II)

ცნობილია ხალხური ბრძნული გამონათქვამი: “ნარდი ბედია, ჭადრაკი ჭკუა, ბანქო ცუდია, განჯაფა ტყუა”.

XVII-XVIII საუკუნეებში ჩვენში ჭადრაკისა და ნარდის სათამაშოდ უკვე ჰქონიათ საგანგებო სახლები, რომლებსაც სამორინე ერქვა.

ცნობილი იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი, რომელიც 1631-1649 წლებში საქართველოში ცხოვრობდა, თავის წიგნში “სამეგრელოს აღწერა” (1654) წერს: “სამეგრელოში დროის გასატარებლად ბევრი სხვადასხვა თამაშობაა გავრცელებული..... პირველთაგანია ჭადრაკი, ნარდი და ბანქო”.

ჭადრაკსა და ნარდს უფრო ქალები ეტანებიან, ვიდრე კაცები და ისე მარდად და ხელოვნურად თამაშობენ, რომ საუცხოო სანახავია, ბანქო იშვიათია და მხოლოდ უდიდებულესი თავადები თამაშობენ მას” [არქანჯელო ლამბერტი: 1938, 151].

მკვლევართა აზრით ჭადრაკის თამაში პირველად ინდოეთში შემოიღეს და იქიდან მთელს დედამიწაზე გავრცელდაო. ჩვენში იგი უთუოდ სპარსეთიდან არის შემოსული, რაც იქიდან ჩანს, რომ ჭადრაკის ტერმინებს რომ ვხმარობთ, ზოგი მათგანი სპარსულია [შანიძე: 1968; 13].

როგორც ჩანს ქართველი ხალხი იცნობდა ჭადრაკს ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე საქართველოში არაბები შემოიჭრებოდნენ.

ჭადრაკის ტრადიციულმა სახელწოდებამ “ჩატურანგამ” ფეხი მოიკიდა და იგი დღემდე დარჩა თითქმის ყველა ხალხში. ირანში მას უწოდებენ “ჩატრანგს”, არაბულ ქვეყნებში – “შატრანჟს”, საქართველოში – “ჭადრაკს”.

ჭადრაკი უთუოდ სასანიანთა სპარსულიდან შემოსული ტერმინია “იმ ენიდან, რომელსაც ჩვეულებრივ ფალაური ეწოდება. საინტერესო ფაქტია, რომ

სპარსელებმა ჩვენ გადმოგვცეს ინდური წარმოშობის ტერმინი და თვითონ არაბულიდან შეთვისებული მართანჯ-ზე გადავიდნენ. თუმცა ეს არ არის გასაკვირი, რადგან არაბულმა ენამ უდიდესი გავლენა მოახდინა სპარსულ ენაზე. არ არის გამორიცხული, რომ ეს ტერმინი თვით არაბებს სპარსულიდან ჰქონდეთ ნასესხები და არა უშუალოდ ერთ-ერთი ინდური ენიდან და მერე დაებრუნებინათ მათთვის უკვე არაბული ფორმით, წერს აკ. შანიძე [შანიძე: 1968, 13].

ძველადევა ნასესხები ქართულში ჭადრაკის უმცირესი ფიგურის სახელი პაიკი, რომელიც ფალაურიდანვე უნდა იყოს შემოსული, ამჟამად მას სპარსულად „ფიდა“ ჰქვია, რაც „ქვეითს“ ნიშნავს.

ჭადრაკის თამაშის ტერმინებს შორის წმინდა ქართულია: მეფე, მხედარი, ეტლი. ქართულია აგრეთვე კუ, რომელსაც როგორც ჭადრაკის ტერმინს სპარსულში „ფილ“ შეესატყვისება, რაც „სპილოს“ ნიშნავს.

საქართველოში ჭადრაკის გავრცელების უძველესი ხანა, რომელიც ჯერჯერობით ჩვენთვის მისაწვდომი ხდება, არის I საუკუნე. ყველაზე ადრინდელი ცნობა ჭადრაკის შესახებ გვხვდება მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანში“. ამ თხზულების 142-ე გვერდზე შემონახულია მეტად ძვირფასი და მნიშვნელოვანი ცნობა: „მოჭადრაკესა ყველასა ამირ იამანელი სჯობდა“ [ამირან-დარეჯანიანი: 1934].

ამ ცნობის დიდმნიშვნელოვნება იმაში მდგომარეობს, რომ იგი არა მარტო ადასტურებს X საუკუნის საქართველებში საკუთარი ტერმინის („ჭადრაკის“) არსებობას, არამედ იხსენიებს იმდროინდელი გამოჩენილი მოჭადრაკის სახელს და გვარს.

საჭადრაკო ტერმინები გვხვდება XI საუკუნის ლიტერატურულ ძეგლში – ფახრ-ედ-დინის სპარსული რომანის ქართულ თარგმანში „ვისრამიანში“, როცა

ქართველი მთარგმნელი თარგმნის იმ ადგილებს, სადაც ჭადრაკის თამაშზეა ლაპარაკი ან სპარსულ მოთქმას – “წავიდა ის დრო, როცა სპილო ჰკლავდა ორ ეტლს, ხმარობს არა ირანულს, არამედ საკუთარ, ქართულ საჭადრაკო ტერმინოლოგიას, უწოდებს რა შახმატს ჭადრაკს, სპილოს-კუს, ხოლო ეტლს-შარუსს.

ამ ტერმინოლოგიამ სრული გამოხატულება ჰპოვა მეფე თეიმურაზ II-ის ერთ-ერთ ლექსში, სადაც ყოველი სტრიქონის დასაწყისში მოტანილია ესა თუ ის საჭადრაკო ტერმინი [ვადბოლსკი: 1968].

საჭადრაკო მოტივებს ვხვდებით მეფე არჩილ-II-ის შრომებში. ჭადრაკის განმარტება სულხან საბა ორბელიანის ლექსიკონში შემდეგნაირია: ჭადრაკი – სამორინეა (გრიგოლის ცხოვრება) [სულხან საბა: 1993; 397], სამორინე- კი მისივე განმარტებით, სახლი მენარდეთა “სამორინე არის სახლი სადა ნარდთა და მისთანათა იმღერიან [სულხან საბა: 1993; 40].

საქართველოს ტერიტორიაზე გათხრილ არქეოლოგიურ ძეგლებზე, გარდა კამათლებისა დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი ცხვრისკოჭები – ასტრაგალები, გრავირებული ძვლის ფირფიტები, ასევე ცხოველთა ძვლებისაგან (ირემი, სპილო) გამოთლილი საჭადრაკო ფიგურები [გაგოშიძე, კვიციანი: 1999, 112].

წერილობითი წყაროები და არქეოლოგიური არტეფაქტები იმის მტკიცებაა, რომ ძველ საქართველოში ძალზედ გავრცელებული ყოფილა სხვადასხვა ტიპის თამაშები: ნარდი, ზარი, ჭადრაკი, შაში და სხვა.

1. ამიანე მარცვლინე, გეორგიკა, I, თბ., 1961.
2. ამირანდარეჯანიანი, 1939.
3. ანდრონიკაშვილი მ., არაბული სიტყვების სპარსული გზით შემოსვლის შესახებ ქართულში. თსუ შრომები ტ. 105, თბილისი 1965.
4. არქანჯელო ლამბერტი, “სამეგრელოს აღწერა” თბ., 1938.
5. გაგოშიძე ი., წოწელია მ., არამეული წარწერიანი ფირფიტები დედოფლის გორიდან ამიერკავკასიის ისტორიის პრობლემები თბ., 1988.
6. გაგოშიძე ი., კვიციანი ზ., კამათელი ანტიკური ხანის საქართველოში. კრ. კულტურის ისტორიის საკითხები. ტ. VI. თბ., 1999.
7. გიუნაშვილი ჯ., “ჩაპარ”-“მაყალეს” ერთი ადგილის გაგებისათვის თსუ. შრომები ტ. 118 1967.
8. ვაძბოლსკი მ., ჭადრაკი 1400 წლის მანძილზე”, 1968.
9. კერესელიძე თ., ძეგლის ნივთების კატალოგი თბ., 1978.
10. ლომთათიძე გ., საქართველოს მოსახლეობის სოციალური და კულტურული დახასიათებისათვის ახ.წ. I-III სს-ში. იიშ. I, 1955.
11. პლუტარქე რჩეული ბიოგრაფიები, თბ., 1975.
12. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I, 1991; ტ. II 1993.
13. შოთა რუსთაველი – ვეფხისტყაოსანი. თბ., 1953.
14. ჭილაშვილი ლ., ნაქალაქარი ურბნისი თბ., 1964.
15. ჰეროდოტე, ისტორია, ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და საძიებელი დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა, ტ. I. თბ., 1975.
16. Блаватская, Игральные кости из Пантикапеи. М., 1971.



17. Блаватский В. Д., Пантикапей: Очерки истории столицы Боспора М., 1964.
18. Верман К., История искусства всех времен и народов. СПб. 1903.
19. Гай Светоний Транквилл – Жизнь двенадцати цезарей. Божественный Август. Литературные Памятники М., 1964.
20. Гутер Р.С., Полунов Ю.Л.- Джираламо Кардано 1980.
21. Кафадарян К.Г., Город Двин и его раскопки, III, Ереван, 1952.
22. Косцюшко-Валюшинин К. – Отчет о раскопках в Херсонесе в 1901г. ИАК 1902 выл. 2.
23. Майяни З., Этруски начинают говорить. М,1966.
24. Манделштам А. М., С. Б. Певзнер - Работы Кафирнигарского отряда в 1952-53 гг. МИА, 66, 1958.
25. Наливкина М.А., Костяные изделия из раскопок Ольвии в 1935-1936гг. в Кн. Ольвия. Киев 1940. ч. I
26. Петерс Б., Косторезное дело в античных государствах северного причерноморья М. 1986.
27. Ростовцев М., Древние костяные шашки с юга России. ИАК 1904 выл. 10.
28. Encyclopedia Britannica V. II Chicago-London-Toronto-1959.
29. F. Jonson. Dictionary Persian, Arabic and English. London, 1852.

Casino in ancient Georgia (Gaming on the basis of written sources and archaeological materials)

The article deals with archaeological material from "Dedophtis Gora" ancient palace in the Kareli district. Special attention has been devoted to 11 dice found there, that are considered to be a subject of particular interest. As of yet antique period dice have not been mentioned in any documents. The antique dice are neatly worked bones with dots and circles depicting numbers. In addition to the find of the dice, the archaeological excavation suggests a large number of engraved bone plates, sheep's ankles-astragals and other items of interest. This fact leads us to believe that a variety of games-some being dice, backgammon, draughts, chess and etc. must have been widely played in ancient Georgia.

ადრეული სინაგოგისა და ადრეული ქრისტიანული ეკლესიის ორგანიზაციის პარალელები

ცნობილია, რომ არც ერთი საზოგადოება არ არსებობს ორგანიზაციის გარეშე და ამ მხრივ, არც ქრისტიანული საზოგადოებაა გამონაკლისი, რომლის ერთობლიობას ქრისტიანული ეკლესია ჰქმნის. ქრისტიანული სარწმუნოების წარმატებულად განვითარებას ბუნებრივად ესაჭიროებოდა მისი ორგანიზაციული მოწყობა. აღნიშნული პროცესი საკმაოდ ხანგრძლივად და მტკივნეულად მიმდინარეობდა; სავარაუდოდ, ეს პროცესი დაახლოებით II საუკუნის მიწურულისათვის დასრულდა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ქრისტიანული ეკლესიის გასახელმწიფოებრიობის შემდგომ მის ორგანიზაციულ მოწყობაში კორექტივების შეტანა არ მიმდინარეობდა.

უამრავ საეკლესიო და საერო ხასიათის წერილობით წყაროებზე დაყრდნობით, საეკლესიო ისტორიოგრაფიაში კარგა ხნის დადგენილია, რომ პირველი ქრისტიანული თემები იერუსალიმში, სრულიად პალესტინაში წარმოიშვა. იგივე წყაროებს მივყავართ დასკვნამდე, რომ ქრისტიანულ ორგანიზაციას იუდაურ სამყაროში იერუსალიმური საღვთისმეტყველო წესრიგით მიეცა დასაბამი, ხოლო მის ფარგლებს გარეთ მიგრირებულ ებრაელების ქრისტიანულ ორგანიზაციას კი სინაგოგებთან მჭიდრო კავშირით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქრისტიანული ორგანიზაციის ფორმირებაში უდავოდ საძიებელია იუდაური თეოლოგიური წესრიგის რიგი ელემენტის ძიება. ამ მიმართულებით ეკლესიას XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან



დაედო სათავე და უამრავი განსხვავებული მოსაზრებაც გამოითქვა, მაგრამ ერთი ფაქტია, რომ მკვლევარები ერთ საერთო დასკვნამდე მივიდნენ - ქრისტიანული ეკლესიის ორგანიზებაში წამყვანი ადგილი დაიკავა იმ სულიერმა ღირებულებებმა და წესებმა, რომლებშიც ეკლესიას დაედო საფუძველი და, რომლის პირველი მრევლი ებრაელები იყვნენ. წარმოდგენილ ნაშრომში მოცემულია ამ ელემენტთა ახლებური ხედვა და მათი მეცნიერული ანალიზი.

იუდაური ელემენტის ადრეულ ქრისტიანულ ეკლესიაზე ზემოქმედების დახასიათებისას, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ებრაული ეთნოსის ლიდერობის ფაქტორი. ცნობილია, რომ იერუსალიმში ადრეული ეკლესიის პირველი 15 ეპისკოპოსი ეთნიკურად ებრაელი იყო. აღნიშნულის ირგვლივ ზუსტ ცნობებს რამდენიმე უძველესი წერილობითი წყარო გვაწვდის: 1). ქრისტიანობის აღიარებული პირველი ისტორიკოსი ევსევი კესარიელი თავის თხზულებაში: „ეკლესიის ისტორია“ გვამცნობს: „იერუსალიმში ეკლესია შედგებოდა წინადაცვეთილების, ებრაელებისაგან, მოგვიანებით მათ წარმართი ქრისტიანები შეუერთდნენ. ასე იყო მოციქულთა ეპოქიდან იერუსალიმის დაცემამდე“ - (Boyle: 1970, 4-6). 2). საეკლესიო მწერალი ეგიზიპი თავის ისტორიულ თხზულებაში აღწერს იერუსალიმის ეკლესიის ეპისკოპოსის იაკობის გარდაცვალების შემდგომ ეპისკოპოსის ტახტისთვის კანდიდატთა ბრძოლის ეპიზოდს და აღნიშნავს ებრაელი ქრისტიანების მიერ სვიმეონის არჩევის ფაქტს [Boyle: 1970, 4-6]; 3). ეპიფანე თავის ისტორიულ ჩანაწერებში გადმოსცემს ბარ-კოხბის ამბოხებამდე (132-135 წწ.) პერიოდს და ასახელებს იერუსალიმის ეკლესიის 14 ებრაელ წინამძღვარს: იუსტინეს, ზახეს, თობიას, ბენიამინს, იოანეს, მათეს, ფილიპეს, სენეკას, იუსტინეს,



ლევის, ევრემს, იოსებს და იუდას [Boyle: 1970, 5]. ადრეული ეკლესიის ზემოჩამოთვლილი წინამძღვრები იწოდებოდნენ ე.წ. „მემკვიდრეებად“ და იღვევებოდნენ, როგორც დავითის შთამომავლები და მესიის ნათესავნი.

იერუსალიმის ეკლესიის პირველი ეთნიკური ებრაელებით, ქრისტეს მოციქულებით აბსოლუტური დაკომპლექტება განაპირობებდა მის პირველობას მთელს იუდაურ სამყაროში. ის იუდაველთა ყველა ეკლესიის ღიდურია და თავისი უპირატესობაც აქვს წარმართ ქრისტიანულ პირველ ეკლესიებზე. მოციქულები ახალმოქცეულ ქრისტიანებში ღვთის სიტყვას სინაგოგებიდან ქადაგებდნენ. აღნიშნულის დასტურია იერუსალიმის ეკლესიის მიერ ბარნაბა მოციქულის მივლინება ანტიოქიის ქრისტიანულ თემში ქრისტიანული წესების დაცვისთვის მეთვალყურედ: „ხმა, ამის შესახებ მივიდა იერუსალიმის ეკლესიამდე, და გაგზავნეს ბარნაბა ანტიოქიაში“ (საქმე 11.22), ხოლო იერუსალიმის თემის მითითებით, იერუსალიმის ეკლესიის განჩინებათა ანტიოქელთათვის გაცნობის მიზნით გაიგზავნენ სილა და იუდა: „მაშინ მოციქულებმა და უხუცესმა მთელს ეკლესიასთან ერთად კარგად მიიჩნიეს და ამოარჩიეს თავიანთი წრიდან კაცები ანტიოქიაში წარსადგენად პავლესა და ბარნაბასთან ერთად: იუდა, რომელსაც ბარნაბა ეწოდა და სილა, კაცები, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ ძმებს შორის“ (საქმე 15. 22-32).

იერუსალიმის ქრისტიანული თემის მთელს ეკლესიებზე უპირატესობა იმითაც ვლინდება, რომ მისი ეკლესია იღებს ყველა საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებას იუდაურ-ქრისტიანული თემებისათვის [Постнов: 1964, 109]. პავლე მოციქულის სისტემატური ურთიერთობა იერუსალიმის თემთან, მისი მისიონერული

ანგარიშის წარდგენა ეკლესიის წინაშე ზემოაღნიშნულის უტყუარი დასტურია.

არაებრაელი წინამძღვრის დანიშვნა ქრისტიანული პირველი ეკლესიის ხელმძღვანელად უკავშირდება დაახლოებით იმპერატორ ადრიანეს (117-138 წწ.) მმართველობის შემდგომ პერიოდს. მეორე იუდაურ ომს შედეგად მოჰყვა რომაელთა მიერ ებრაელებისათვის იერუსალიმში შესვლის 100 წლით აკრძალვა. ამ დრამატული მოვლენების დროს ებრაელ ქრისტიანთა დიდმა ნაწილმა იორდანias შეაფარა თავი და, როგორც მათე მახარებელი აღნიშნავს: „მაშინ, ვინც იუდეაშია, მთებში გაიქცნენ“ (მათე, 24:16). ამ დროიდან, ლტოლვილმა ებრაელებმა ადგილობრივი ეკლესიის ცხოვრებაზე აიღეს პასუხისმგებლობა, რომლის მრევლი იმ ეტაპზე უკვე ქრისტიან ებრაელებთან ერთად წარმართი ქრისტიანებიც იყვნენ. ამ უკანასკნელის რიცხოვნობამ სიმრავლემ გადაწყვიტა ადრექრისტიანული ეკლესიის სათავეში ეთნიკურად არაებრაელი მარკოზი მოეყვანათ. იორდანის მრევლი, მიუხედავად არაებრაელი ხელმძღვანელისა მკაცრად იცავდა ყოფილი ეპისკოპოსების იაკობისა და სვიმეონის მიერ დადგენილ ძველი ეკლესიის ტრადიციებს [Gould: 1036, 35].

სინაგოგასთან იუდეველთა ქრისტიანული თემის საფუძვლიანმა კავშირმა განაპირობა მისი საკმაოდ გვიანი გამიჯვნა ამ უკანასკნელთან და დამოუკიდებლობის გზაზე საკმაოდ მოგვიანებით დადგომა, ვიდრე ამას წარმართ ქრისტიანებში ჰქონდა ადგილი. იერუსალიმის დაცემამ (69-70 წწ.) დააჩქარა იუდეველი ქრისტიანები აბსოლუტურ დამოუკიდებლობის გზას დადგომოდნენ და ეზრუნათ ებრაული ელემენტისაგან განთავისუფლებული საეკლესიო ორგანიზაციული მოწყობისათვის [Поснов: 1964, 110-111]. მანამდე კი, უადრეს ქრისტიანულ ეკლესიაში აშკარად შეინიშნე-

ბა იუდაიზმისათვის დამახასიათებელი ელემენტები და ფორმები, რაზეც ქვევით გვექნება საუბარი. პროფ. ესორი ჰარნაკი აღნიშნავდა: „ასეთ შემთხვევაში ძნელია დაბეჯითებით ითქვას, რომ თანამედროვე ქრისტიანული ორგანიზაცია თავისთავადია, რადგან მასში მოიძიება იუდაური და ბერძნული ტიპის ანალოგები“ [Gould: 1036, 112].

იერუსალიმიდან ებრაელი ქრისტიანების გასახლებაამდე, ე.ი. I საუკუნეში იერუსალიმის ეკლესია იუდაიზმის ნაწილად მოიაზრებოდა, ხოლო მისი სასულიერო იერარქიები კი ებრაელთა ცხოვრების აქტიური მონაწილენი იყვნენ. I საუკუნეში რომ ფაქტობრივად თითქმის არ არსებობდა გამიჯვნა ეკლესიისა სინაგოგისაგან, ამაზე ქრისტეს გაფრთხილებაც მოწმობს, ის მიმართავს მრევლს, რომ მოერიდონ იუდაიზმის სხვა მიმართულების მქადაგებელთ: „მოერიდეთ ადამიანებს, ვინაიდან ისინი გადაგცემენ სამსჯავროებში და თავიანთ სინაგოგებში გაგშოლტავენ თქვენ“ (მათე, 10:17). ცნობილია, რომ დასჯის ისეთი ფორმა, როგორიც იყო გაშოლტვა, ნორმატიული იუდაიზმიდან გადახრას არ ნიშნავდა და არაერთგზის იხსენიება ადრეულ რაბინისტულ ლიტერატურაშიც [Epstein: 1948, 9-11].

ადრეულ ეკლესიაში ადგილობრივი სინაგოგის სტრუქტურის კალკირებაზე მეტყველებს სასულიერო იერარქიის აბსოლუტური მსგავსებაც, უხუცესის, დიაკვნის და მოძღვრის სოციალურ ინსტიტუტებს ვხვდებით როგორც სინაგოგაში, ისე ადრექრისტიანულ ეკლესიაშიც (5). მაგალითად, თუ სინაგოგის ხელმძღვანელი უხუცესი, იგივე ნასი იყო, ქრისტიანულ ადრეულ ეკლესიაში უხუცესს პრესვიტერი ერქვა. ასეთი სახელწოდებებით იხსენიებდა 150 წელს ეკლესიის და სინაგოგის წინამძღვარს არაებრაელი ავტორი იუსტი-

ნე წამებული [Gould: 1036, 117-119; Roberts: 1948, 186].
 ებრაულ სინაგოგაში საგანგებო შემთხვევების დროს,
 როგორც იყო: თანხის განაწილება, ქურდობა-ძარცვა,
 უხნეობა, პროზელიტიზმი, ხელდასხმა და სხვ. დგე-
 ბოდა 3 უხუცესისგან დაკომპლექტებული სასამართ-
 ლო. სამკაციანი ჯგუფი ძველ წყაროებში „სინაგოგის
 ხელმძღვანელების“ სახელით არის მოხსენიებული.
 მათ კომპეტენციაში შედიოდა სინაგოგის ყოველი სა-
 პასუხისმგებლო საქმის მოგვარება. აღნიშნულ ტერ-
 მინს არაერთგზის ვხვდებით იესოს მოძღვრებაშიც.
 მაგალითად „და აი, მოვიდა კაცი, სახელად იაიროსი,
 რომელიც სინაგოგის მთავარი იყო; დაემხო იესოს
 ფეხებთან და ევედრებოდა თავის სახლში წაჰყოლო-
 და“ (მათე, 9,18; მარკოზი. 5. 22; ლუკა, 8,41); ან კიდევ,
 პავლე მოციქულის პირველი ეპისტოლე კორინთოს
 წარმართი თემისადმი, როდესაც ის იძლეოდა ღვთიუ-
 რი და მიწიერი გასამართლების განმარტებას: „რო-
 გორ გაბედავს ვინმე თქვენგანი, მეორესთან რომ აქვს
 დავა, გასამართლდეს უსამართლოთა წინაშე და არა
 წმინდანებთან? ნუთუ არ იცით, რომ წმინდანები გაა-
 სამართლებთ ქვეყნიერებას, განა მცირე საქმეთა გა-
 სამართლების ღირსნი არ ხართ?“ (1 კორინთელთად-
 მი, 6, 1-4); „მოციქულები და უხუცესები შეიკრიბნენ
 ამ საქმის განსახილველად“ (საქმე, 15.2-6) და ა.შ.

უხუცესის გარდა, სინაგოგაში მოღვაწეობდა სა-
 ზოგადოებრივი მსახური – ხაზანი, რომლის ფუნქცი-
 ებში შედიოდა ღოცვა-ქადაგება, თემის წევრთა საჭი-
 როებებით უზრუნველყოფა და, რაც მთავარია, პასუ-
 ხისმგებლობა კანონის სწორად კითხვისა. ხაზანი ყო-
 ველი კვირის ბოლოს არჩევდა 7 მკითხველს: მღვდლ-
 ის, ლევიტელის და 5 რიგითი ებრაელისაგან: „მოვიდა
 ნაზარეთს, სადაც აღზრდილი იყო, შაბათ დღეს თა-
 ვისი ჩვეულების მიხედვით შევიდა სინაგოგაში და წა-
 მოდგა წასაკითხავად“ (ლუკა, 4, 16). ეკლესიის მსახუ-



რებაში ეპისკოპოსის ფუნქცია სინაგოგის ხაზანის მოვალეობებს უტოლდება. ეკლესიის პირველი ეპისკოპოსები თავად მოციქულები იყვნენ, რომელთა დასახმარებლად, იგივე თანამოსაუბრეთ 7 კაცს ირჩევდნენ, რომელთაც პრესვიტერები ერქვათ. ე.წ. პრესვიტერთა კოლეგია ვიდრე მოციქულთა კრებაამდე ფუნქციონირებდა. ეს ინსტიტუტი ებრაელ ქრისტიანთა თემამდე წარმართ ქრისტიანებს შორის არსებობდა პავლე მოციქულის დამსახურებით. მოციქულთა ეპოქის დასასრულს პრესვიტერთა კოლეგიის ფუნქციები გადანაწილდა ეპისკოპოსისა და დიაკვნის ინსტიტუტებს შორის (3, 112-115).

ძველ სინაგოგაში მოქმედი 3 კაციანი ჯგუფი, რომელიც მრევლის კეთილდღეობაზე ზრუნავდა და მოწყალებას ანაწილებდა, მიესადაგება პირველი ეკლესიის პრესვიტერთა კრებულს. მათი მოვალეობა იყო ღარიბ-ღატაკთა და უძლურ-სნეულთა დახმარება-შემწეობა. სინაგოგაში არსებული ამ თანამდებობიდან სავარაუდოდ მომდინარეობს ქრისტიანული ეკლესიის იერარქია-დიაკნობა. შვიდკაციანი ჯგუფის ირგვლივ საქმენი იუწყება: „მაშ, ასე, ძმებო, ამოირჩიეთ თქვენგან შვიდი დამოწმებული სულიწმინდით და სიბრძნით სავსე, ისინი დაენიშნოთ ამ საქმეზე“ (საქმე, 6:3). სინაგოგის შვიდკაციანი ჯგუფის მსგავსად რიგი მკვლევარი მიიჩნევს, რომ პირველი ორი თანამდებობა ეკლესიაში ეპისკოპოსსა და დიაკვანს შორის ნაწილდებოდა. სინაგოგაში პირველი შეესატყვისებოდა უხუცესს, მეორე ხაზანს; დანარჩენი სამი კი წიგნის მკითხველი იყო. ზემოაღნიშნული თანამდებობები ადრეული ეკლესიის პრაქტიკული საქმიანობის მოგვარებისათვის შეიქმნა, რათა მოციქულებს მეტი და უკეთესი პირობები ჰქონოდათ განმანათლებლური საქმიანობისათვის.



მეორე მსახურებას ძველ სინაგოგაში უძღვებოდა შალიახი, ანუ იგივე გამოცხადებული; სწორედ უკანასკნელისგან წარმოიშვა სიტყვა მოციქული, რაც ნიშნავს გამოგზავნილს სახარების განმარტებისათვის. აღნიშნული თანამდებობა თანამედროვე მისიონერის როლის შესატყვისია [Epstein: 1948, 114]. ეს სიტყვა საღვთო წერილში სამგზის გვხვდება: მეორე ეპისტოლეში კორინთელთადმი, გამოცხადებაში, ეპისტოლეში ეფესელებისადმი: „და მან დააყენა ერთნი მოციქულებად, მეორენი წინასწარმეტყველებად, ზოგნი მახარებლებად, ზოგნი მწყემსებად და მასწავლებლებად“ [ეფეს. მიმართ, Epstein: 1948, 11]. მისიონერის, იგივე ევანგელისტის შესატყვისი იყო ძველ სინაგოგაში თანამდებობა მაგიდი, ანუ მოხეტიალე ევანგელისტი (I ს.), რომელიც სხვადასხვა ხასიათის ნაუცბათვე შეკრებებზე ღვთის სიტყვას ქადაგებდა. ადრეულ ეკლესიაში წარმოშობილი ევანგელისტის თანამდებობა ქარიზმატულ მსახურებას უკავშირდებოდა და მას პროფესორი ჰარნაკი მეორეხარისხოვან მოციქულებად იხსენიებს [Gould: 1063, 113].

ებრაული ტრადიციისამებრ სინაგოგაში ღვთის მსახურება მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩატარდებოდა, თუ მას მინიმუმ 10 კაცი ესწრებოდა, ე.ი. უფალთან კავშირისათვის მორწმუნეთა გარკვეული ჯგუფი იყო საჭირო [Longtfoot: 1979, 89-99]. დასაშვებია, რომ იესო ქრისტე, როგორც ამ ტრადიციაზე აღზრდილი, იზიარებდა ამ მოსაზრებას, როცა აღნიშნავდა: „ვინაიდან, სადაც ორი ან სამია შეკრებილი ჩემი სახელით, მეც იქ ვარ მათ შორის“ (მათე, 18:20).

სინაგოგაში მნიშვნელოვანი თანამდებობა იყო კანონის მსახური, რომელიც ღვთის სახელით შეკრებილთა კრებას უძღვებოდა, აღნიშნული ქრისტიანულ ეკლესიაში მღვდლის, დეკანოზის თანამდებობის შე-



სატყვისია. კანონის მსახური, ანუ რაბინი ასრულებდა ბაბილონში ებრაელთა გადასახლების შემდგომი პერიოდის წინასწარმეტყველის როლს. მისი მოვალეობა იყო მრევლის განსწავლა, ქადაგებისა და ნათლობის ჩატარება: „ხოლო, ვინც წინასწარმეტყველებს, ის ადამიანებს ელაპარაკება ასაშენებლად, შესაგონებლად და სანუგეშებლად“ (1 კორინთ. 14:3).

ორგანიზაციულ სტრუქტურასთან ერთად, ქრისტიანობას საწყის პერიოდში ადრეული ეკლესიის სინაგოგის არა ერთი ზნე-ჩვეულებაც აქვს შეთავსებული. ყველა ქრისტიანი ებრაელი იყო, ან დაბადებით, ან იუდაიზმის მიღებით, ე.ი. როგორც ჩანს, პირველი 10 წლის მანძილზე მაინც პირველი ეკლესიის წევრები წარმართნი არ უნდა ყოფილიყვნენ. აღნიშნულს ადასტურებს არა ერთი უძველესი ტექსტი. საქმენის მეთე თავში გადმოცემულია ქრისტეს ამალლებიდან დაახლოებით 10 წლის შემდგომი პერიოდის თხრობა, სადაც იესო პეტრე მოციქულს სამგზის უბრძანებს წარმართის ოჯახში მისვლას. ჩანს პეტრეს უჭირდა ბრძანების აღსრულება, რამეთუ ებრაული ეკლესია პურს ტეხდა და იკრიბებოდა მხოლოდ ებრაულ ოჯახში: „ყოველდღე გამუდმებით, ერთსულოვნად ტაძარში იყვნენ, და კარდაკარ ტეხდნენ პურს, ღებულობდნენ საკვებს მხიარულებით და გულუბრალოებით“ (საქმე, 3:41-46); ან კიდევ „თქვენ უწყით, რომ იუდეველ კაცს ეკრძალება ურთიერთობა და დაახლოება უცხო ტომებთან; მაგრამ მე მიჩვენა ღმერთმა, რომ არც ერთ ადამიანს არ ეწოდოს ბილწი ან არაწმინდა“ (საქმე, 10:28). ებრაული ტრადიციების ძლიერი ზემოქმედება იუდეას ქრისტიანებში დასტურდება უფლის ამალლებიდან 25-ე დღეს პავლე მოციქულის იერუსალიმში მისიონერობიდან დაბრუნების პროცესით, როდესაც მას ეკლესიაში დახვდა ებრაელი გაქრისტიანებული მრევლი კანონების ზედმიწევნითი დაცვის



ჩვეულებით: „ხედავ, ძმაო, რამდენი ათასი მორწმუნეა იუდეველთა შორის! და ყველანი სჯულის მოშურნენი არიან“ (საქმე, 21:20).

ებრაული ელემენტის ზეგავლენა ადრეულ ეკლესიაში ებრაული სახელწოდებებითაც გამოიხატება. როგორც აღნიშნეთ არა მხოლოდ იერუსალიმში უძველესი ებრაული ეკლესიის პირველი 15 უხუცესი იყო ებრაელი, არამედ ადრეული თემების სახელწოდებაც ებრაული იყო. სახელწოდება მინიმი, რაც „ერეტიკოსს“ ნიშნავს, გამოიყენებოდა ახალმოქცეულთა სახელად ზოგიერთ ებრაულ თემში. გამოცხადების 21-ე თავში საუბარია ღვთისკენ მიმავალი გზის შესახებ და ის სრულად ნასესხებია ესაია წინასწარმეტყველის მოწოდებიდან „მოემზადონ ღვთისკენ გზას, რომ დაადგნენ“. სახელწოდება მესიანელი მომდინარეობს ებრაული სახელიდან მესია. ეპიფანეს ისტორია გვასწავლის, რომ სანამ ახალმოქცეულებს ქრისტიანებს დაუძახებდნენ მათ სამყარო მესიანელებად იცნობდა. ეს სახელი ხსნის იდეას უკავშირდება და როგორც თითქმის ყველა ებრაული წარმომავლობის სიტყვა, ისიც ძველი აღთქმის ტექსტს უკავშირდება [Pritz: 1992, 13]. სიტყვა ქრისტიანი შედარებით გვიანი ელემენტია, მომდინარეობს ბერძნული ენიდან და ნიშნავს მირონცხებულს. ეს სიტყვა იერუსალიმის პირველ ეკლესიაში საერთოდ არ იხმარებოდა. ეს სახელწოდება პირველად წარმართი ქრისტიანებისადმი გამოიყენეს ანტიოქიაში დაახლოებით 20-25 წლებში: „და ხდებოდა ასე, მთელ წელიწადს იკრიბებოდნენ ისინი ეკლესიად, ასწავლიდნენ დიდძალ ხალხს, და ანტიოქიაში პირველად ეწოდათ მოწაფეებს ქრისტიანები“ (საქმე, 12: 26). აღნიშნული იმაზე მიგვითითებს, რომ ახალმოქცეულთა ქრისტიანები იმ მიზნით უწოდეს, რომ განესხვაგვებინათ ისინი წარმართებისგან და იუდაიზმის სხვა მიმართულებების წარმომადგენლებისა-

გან. ქრისტიანულ წყაროებში და საეკლესიო ისტორი-
ოგრაფიაში დღემდე არ არსებობს მტკიცებულება,
რომ ადრეულ ეკლესიასთან მიმართებაში გამოიყენე-
ბოდა სიტყვა ქრისტიანი, ან ქრისტიანობა. ეს სიტყვა
მხოლოდ სამგზის არის ნახსენები ახალ აღთქმაში:
ერთი უკვე აღვნიშნეთ საქმენის მე-12 თავში; „აგრძელებ
უთხრა პავლეს: ცოტაც და დამარწმუნებ გავხდე ქრი-
სტიანი“ (საქმე, 26:28) და პეტრეს პირველ ეპისტოლე-
ში მორწმუნეთადმი: „და თუ როგორც ქრისტიანს –
ნუ შერცხვება, არმედ ადიდოს ღმერთი ამის გამო“ (1
პეტრეს, 4: 16).

სიტყვა ქრისტიანი, როგორც დამოუკიდებელი,
თვითმყოფადი სახელწოდება ჩნდება „დიდაქეში“ (9).
აღნიშნული სიტყვის ხმარებისაგან თავშეკავება უდავ-
ოდ საძიებელია ქრისტიანებისადმი ხელისუფლების
უმკაცრეს დამოკიდებულებაში. ამის ახსნის შესანიშ-
ნავი ნიმუშია პლინიუს უმცროსის წერილი იმპერა-
ტორ ტრაიანესადმი, რომელიც დაიწერა დაახლოებით
112 წელს. წერილი პირდაპირ ასაბუთებს, რომ ვინც
ქრისტიანებად იწოდებოდნენ სიკვდილით სჯიდნენ
[Freedom: 1992, 926].

ადრეულ ქრისტიანულ ეკლესიაში იუდაური ელემ-
ენტის ძიებისას აუცილებელია ერთმანეთისაგან გან-
ვასხვაოთ ჯანსაღი ზემოქმედებითი ფაქტორი გადა-
ხრითი ელემენტისაგან, რომლებსაც უხვად ჰქონდა
ადგილი II საუკუნის დასაწყისში (10,925-926). მაგრამ
ფაქტია, რომ ადრეული ეკლესია მოიცავდა იმათ, ვის-
აც კარგად ჰქონდა გააზრებული ქრისტიანობის არსი,
ჭეშმარიტი ქრისტიანები იყვნენ და, იმათაც, ვისთვისაც
წამყვანი იყო ტრადიციისადმი ერთგულება. კერ-
ძოდ ეს უკანასკნელნი ინახავდნენ შაბათს და იცავდ-
ნენ მოსეს რიგ კანონს. აღნიშნული სერიოზულად
განასხვავებდა მათ გაქრისტიანებულ არაებრაელთა-
გან. ებრაული ტრადიციებისადმი ერთგულებამ გაა-



ღრმავა პირველ ეკლესიაში იუდაური ელემენტის მატარებელი ხინჯად დანერგვის პროცესი, რამაც თავის მხრივ უამრავი ერესი დაბადა.

ლიტერატურა

1. Boyle I. Eusebius.Ecclesiastical History, trans, London, 1970.
2. Поснов М.Э., История Христианской Церкви (до разделения церквей – 1054г.), Брюссель, 1964г.
3. Gould B., Schjnfilds History, Lost and Hostile Histiry, London, 1036.
4. Epstein I., Soncino Talmud, Sanh. 9:6; yev. 90, London, 1948
5. Jerusalem Talmud, Meg. 3:1; ket. 105a; Sot. 7:7,8; yoma 7:1, London, 1948.
6. Roberts A., Anti-Nicene Fathers, vol I, London, 1948
7. Longtfoot j., Commentary on the New Testament from the Talmudand Hebraica, Hendrickson, 1979
8. Pritz R., Nazarene Jewish Christianity, Ierusalem, 1992.
9. Chichkolz, Dodache, 12:4, London, 1989
10. Freedom L., ed., Pliny Letters 10:96, Anchor Bible Listionary, vol I, New – York, 1992.

The Organization Problems of Early Synagogue and Christian Church

The influence of Judaic element on early Christian Church was a natural phenomenon that was mainly determined by its conceiving within the Judaic world. From the Judaic aspects we must single out following elements: the prevalence of Judaic national element in the early church; the influence of synagogue on the organization structure of the early church; the existence of Judaic rights and rituals in the early church and Judaic terms used in the early church. The ancient written sources and theological texts are witnesses of existence of the above mentioned Judaic elements in the early Christian Church.

The Judaic element in organizing of the Christian Church arraignment played positive as well as negative role. In our opinion positive influence of Judaic element was extremely sophisticated structure of synagogue. Mixing of Judaic and Christian element with the Christian Church that was on its way of formation was negative influence that gave a birth to a lot of heresies among the baptized Jews at the end of the 1st and the beginning of the 2nd century; among those Judeo-Christians that were thoroughly observing rites of Moses' law together with confession of the new religion.



**საქართველოს სამოციქულო
მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის
დაკანონების საკითხისათვის XX ს. 20-იან
წლებში და ეპისკოპოსი სტეფანე ბოდბელი
(ვასილ კარბელაშვილი)**

საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლამ რთული და წინააღმდეგობებით სავსე გზა განვლო. როგორც ცნობილია, მისი თვითმოწესება საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ გაუქმდა (1811 წ. ივნისი), როდესაც საქართველო რუსეთის უზარმაზარი იმპერიის შემადგენლობაში შევიდა და მისი მმართველობა რუსეთის უწმიდესი სინოდის გამგებლობის ქვეშ მოექცა. აღნიშნული ფაქტით უხეშად იქნა დარღვეული მსოფლიო მართლმადიდებლური საეკლესიო კანონმდებლობა და შესაბამისად საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ძალადობრივი შეწყვეტა არანაირი იურიდიული აქტით არ დადასტურებულა. რუსეთის ეკლესიის დაქვემდებარებაში მყოფმა საქართველოს ეროვნულმა ეკლესიამ დაკარგა ავტოკეფალური ეკლესიის არსებობისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშან-თვისება და ის რუსული საეკლესიო პოლიტიკის განხორციელების იარაღად იქცა. მით უფრო, რომ მას 117 წლის განმავლობაში, უმთავრესად რუსეთიდან მოვლინებული ეგზარქოსები განაგებდნენ. საქართველოს საეგზარქოსომ, რომელიც უწმიდესი სინოდის სახელისუფლებო საეკლესიო ორგანოს წარმოადგენდა, მეტად უხეში და ძალადობრივი მეთოდუ-



ბით დაიწყო საქართველოს ეკლესიის რეფორმაცია რუსული საეკლესიო მმართველობის შესაბამისად. რის შედეგადაც, თანდათანობით ქართული ეროვნული ეკლესიის იერ-სახის წაშლა უნდა მომხდარიყო. აღნიშნული პერიოდიდან იწყება საქართველოს ეკლესიის გამოჩენილ სასულიერო პირთა განუწყვეტელი ბრძოლა მშობლიური ეკლესიის თვითმოწესეობის აღსადგენად. ეს უკანასკნელი აქტიურ ფაზაში რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის (1905-1907) დროს შევიდა, ხოლო მისი აღიარება 1917 წლის 12 მარტს, ცნობილი ისტორიული საეკლესიო კრების შედეგად განხორციელდა. ავტოკეფალიის საკითხი საქართველოს ეკლესიისათვის ამ მნიშვნელოვანი ფაქტით არ დაგვირგვინებულა. მის დაკანონებასთან დაკავშირებული ბრძოლა, პოლიტიკური ამინდის შეცვლის შესაბამისად, სხვადასხვა რეალობის წინაშე აყენებდა ეკლესიის ავტოკეფალიისათვის მებრძოლ სასულიერო კრებულს.

ჩვენი ნაშრომის მიზანია აღნიშნული საკითხის მნიშვნელოვანი ასპექტების წარმოჩენა XX ს. 20-იან წლებში, როდესაც რუსეთის ყოფილ იმპერიაში, ახალი ტოტალიტარული რეჟიმის დამყარების პირობებში, საბჭოთა რუსეთზე პოლიტიკურად დამოკიდებული საქართველო მის ნაწილად მოიაზრებოდა და შესაბამისად, მისი ეკლესიაც, მასთან დაკავშირებული პრობლემებით, ერთიან საბჭოურ სივრცეში უნდა განხილულიყო. თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში დაიწყო იმ მტკივნეული პროცესების შესწავლა-გაანალიზება, რომლებიც საბჭოთა ანტირელიგიური, ათეისტური პოლიტიკის განხორციელების ფონზე მიმდინარეობდა და ეჭვქვეშ აყენებდა არა მხოლოდ საბჭოთა იმპერიაში შემავალი ეკლესიების თვითმოწესეობას, არამედ მისი არსებობის საკითხსაც კი. ჩვენს მცდელობას შეადგენს XX ს. 20-იანი წლების რუსეთსა და



საქართველოს ეკლესიებში მიმდინარე წინააღმდეგობების ფონზე, აღნიშნული პერიოდის თვალსაჩინო სასულიერო პირის, ეპისკოპოს სტეფანე ბოდბელის (ვასილ კარბელაშვილის) მოღვაწეობის ზოგიერთი მნიშვნელოვანი დეტალის გაშუქება-გაანალიზება, რაც ვიმედოვნებთ, წინგადადგმული ნაბიჯი იქნება საქართველოს ეკლესიის ესოდენ რთული მონაკვეთის შესწავლის თვალსაზრისით.

საქართველოს ეროვნული ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლამ, ეპოქათა მონაცვლეობის შესაბამისად, განვითარების სხვადასხვა ეტაპები განვლო და მისთვის მეგრძოლი სასულიერო იერარქებისაგან განსაკუთრებულ სიმტკიცეს, სიფრთხილეს და დიპლომატიას მოითხოვდა. ეპისკოპოსი სტეფანე ბოდბელის ბრძოლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად ჩვენს მიერ შესწავლილია რუსეთის თვითმპყრობელობის, რუსეთის დროებითი მთავრობისა და საქართველოს დემოკრატიული მთავრობის მმართველობის პერიოდებში (3). ვინაიდან აღნიშნული ბრძოლა კომუნისტური მმართველობის წლებშიც გრძელდებოდა და ეპოქის თავისებურებებიდან გამომდინარე განსაკუთრებით მძიმე პირობებში აყენებდა ქართველ ავტოკეფალისტებს, ამიტომ მნიშვნელოვნად მიგვაჩნია მისი მოღვაწეობის სწორედ ამ მონაკვეთის სიღრმისეული შესწავლა-გაანალიზება.

ოქტომბრის გადატრიალებისთანავე (1917), ხელისუფლების სათავეში მოსული ბოლშევიკების ამოცანას კომუნისტური იდეალებით გაჯერებული ახალი „რწმენის“ ფორმირება შეადგენდა. მათ დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადეს ზოგადად რელიგიას და განსაკუთრებით ტრადიციულ მართლმადიდებლურ ეკლესიას, რადგან მათთვის კარგად იყო ცნობილი ეკლესიის უზარმაზარი ავტორიტეტი ხალხში და მისი ფართომასშტაბიანი, ღრმა ზემოქმედების უნარი მასებ-

ზე. კომუნისტებმა აქტიურად დაიწყეს ხალხში ეკლესიის ავტორიტეტის დაცემის მიმართულებით მუშაობა, მისი ისტორიული ფუნქციის – სახელმწიფო იდეოლოგიის როლის მოშლა [პავლიაშვილი: 2008, 441]. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ (1921 წ. თებერვალი), რადგან საქართველო პოლიტიკურად საბჭოთა რუსეთზე დაქვემდებარებული აღმოჩნდა, დღის წესრიგში დადგა მისი ეკლესიის რუსეთის ეკლესიაზე დაქვემდებარების საკითხიც. მთელი საბჭოთა იმპერიის მასშტაბით მიმდინარე ფართო ანტირელიგიური კამპანია, ბუნებრივია, ერთმნიშვნელოვნად აისახებოდა საქართველოს ეკლესიის ბედ-იღბალზეც. საქართველოს ეკლესიისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი შეიქმნა ბრძოლის ისეთი ტაქტიკის შემუშავება, რითაც თავიდან აიცილებდა არა მხოლოდ ფიზიკურ განადგურებას, არამედ ბიზანტიის იმპერიის საეკლესიო ისტორიული მოდელის შესაბამისად დაიკანონებდა და შეინარჩუნებდა თვითმოწესებობას ტერიტორიული ნიშნით. ეს უკანასკნელი უაღრესად მნიშვნელოვან საკითხად განიხილებოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადებისთანავე, რადგან რუსეთის ეკლესია იმთავითვე არ აღიარებდა მის თვითმოწესებობას ტერიტორიული ნიშნით და მას ეროვნულ ასპექტში განიხილავდა. ყოველივე ზემოაღნიშნული საქართველოს ეკლესიის დაშლა-დანაწევრებას უწყობდა ხელს და მას ფილექტიზმისკენ (ეკლესიათა დაყოფა ეროვნული ნიშნით) უბიძგებდა, რაც მსოფლიო საეკლესიო კანონმდებლობიდან გამომდინარე, პრინციპულად მიუღებელი გახლდათ.

ვიდრე აღნიშნული საკითხის განხილვას შევეუბნებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ გავაშუქოთ რუსეთისა და საქართველოს ეკლესიებში მიმდინარე პროცესები, რაც საბჭოთა ხელისუფლების უშუალო ჩარევითა და ინსპირირებით ხდებოდა. 1922 წლიდან,



საბჭოთა რუსეთის ახალი იმპერიის მასშტაბით განხორციელებული ანტირელიგიური კამპანიის მოღვაწეობაში და ძალადობრივი ფორმებიდან თავისი განვითარების ახალ საფეხურზე გადავიდა, რაც სტალინური საეკლესიო პოლიტიკის დასაწყისად არის მიჩნეული. სახელმწიფო მეთაურის წინაშე დადგა საკითხი ეკლესიის სფეროში რეფორმების გატარებისა, რომელსაც უნდა უზრუნველყო საეკლესიო ორგანიზაციის არსებობა და მისი საბჭოთა მშენებლობაში ჩართვა [პავლიაშვილი: 2008, 445]. ახალ მოდერნიზებულ ეკლესიას საბჭოური ავტორიტარული სისტემის იდეოლოგიის ფუნქცია უნდა ეტვირთა, რომლის ფორმირება განუხრელად უკავშირდება რუსეთის ეკლესიის წიაღში წარმოქმნილ „განმაახლებელთა მოძრაობას“ – ე. წ. „ობნოვლენობას“. ამ უკანასკნელის განვითარების წინარე ისტორია ჯერ კიდევ რუსეთის თვითმპყრობელური რეჟიმის დროიდან იღებს სათავეს და თავისი არსით ძირეულად ეწინააღმდეგება ტრადიციულ ქრისტიანულ სწავლებას. „განმაახლებელთა“ იდეური დასაყრდენი „ქრისტიანული სოციალიზმის“ რუს იდეოლოგებში: ფ. მ. დოსტოევსკისა და ლ. ნ. ტოლსტოის სოციალურ-ფილოსოფიურ შეხედულებებშია საძიებელი, რომლებიც ქრისტიანობის ისტორიულ მისიას ექსპლოატაციის, სოციალური უთანხმოების, პოლიტიკური და ეკონომიკური უთანასწორობის მოსპობაში, ე. ი. დედამიწაზე სოციალური სამართლიანობის დამყარებაში ხედავდნენ [Шишкин: 1970, 134-138]. 1917 წლის რუსეთის ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, „განმაახლებელთა“ იდეების „განხორციელების“ ხელსაყრელი პირობები შეიქმნა, ვინაიდან მათი შეხედულებები ახლო კავშირში აღმოჩნდა ხელისუფლების სათავეში მოსული ბოლშევიკების იდეოლოგიურ მრწამსთან. სწორედ მათი მეშვეობით ესწრაფოდა საბჭოთა ხელისუფლება ხალხში დიდი

ავტორიტეტის მქონე ტრადიციული მართლმადიდებლური სარწმუნოების აღმოფხვრასა და მისი ეკლესიის დაშლა-დანაწევრებას. ზემოაღნიშნული სტალინური საეკლესიო პოლიტიკა, რომელიც წინააღმდეგობაში მოდიოდა ლენინ-ტროცკის საეკლესიო პროგრამასთან (ლენინ-ტროცკის ანტისაეკლესიო პოლიტიკა რელიგიასთან ბრძოლის უხეშ და ძალადობრივ ფორმებში გამოიხატებოდა) „განმაახლებლებისაგან“ არა მხოლოდ პოლიტიკური ვითარების შესაბამისად მოქმედებას გულისხმობდა, არამედ ზოგადად ქრისტიანული სწავლების შინაარსისა და ხასიათის შეცვლა-შეღამაზებას კომუნისტური იდეალებით. 1922 წლის 16 (29) მაისის კრებაზე „განმაახლებლების“ მიერ გატარებულ იქნა: ლიტურგიკული, კანონიკური და სამრევლო რეფორმები [Шишкин: 1970, 198-200], რომლებიც თავდაყირა აყენებდნენ ქრისტიანული სწავლების შინაარსს, რომ არაფერი ვთქვათ მის გარეგნულ ფორმებზე. როგორც მოსალოდნელი იყო, ასეთი პოლიტიკის წყალობით, რუსეთის ეკლესიაში განხეთქილება (სქიზმა) ჩამოყალიბდა და იგი ტრადიციული მართლმადიდებლური სარწმუნოების აღმსარებელ ე. წ. „ტიხონოველებად“ და „ობნოვლენებად“ გაიყო. 1922 წლის 28 თებერვალს გამართული ყრილობის შემდეგ, ამ უკანასკნელის სხვადასხვა მიმართულების მწვალებლურ ეკლესიებად ფორმირება მოხდა: „ცოცხალი ეკლესია“, „სახალხო ეკლესია“, „წითელი ეკლესია“, „დემოკრატიულ სამღვდელთა და საეროთა კავშირი“ და სხვ.

ამ უმძიმეს წლებში, როდესაც საქართველოს ეკლესიის უმაღლესი იერარქის მიერ საბჭოთა ხელისუფლებისადმი მკვეთრად რადიკალური პოზიციის დაფიქსირების შედეგები იმთავითვე თვალსაჩინო გახდა (იგულისხმება კათალიკოს-პატრიარქ ამბროსის (ხელაია) მიერ გენუის საერთაშორისო კონფერენციაზე გაგზავნილი მემორანდუმი – ს. ა.), საქართველოს ეკლეს-



სიის შიგნითაც ოპოზიციურად განწყობილი სამღველოთა ფრთა ჩამოყალიბდა, მაგრამ მათ არაფერი ჰქონიათ საერთო რუსეთის ეკლესიის „განმაახლებლებთან“, ამ უკანასკნელისაგან რადიკალურად განსხვავებული ინტერესების გამო. მათ ეკლესიის გადარჩენის ერთადერთ საშუალებად საბჭოთა ქვეყნისა და მთავრობის ინსტრუქციების გათვალისწინება მიაჩნდათ [პავლიაშვილი: 2008, 447]. ქართველი სამღველოების ოპოზიციურად განწყობილმა ნაწილმა, რომელიც იძულებული იყო ეღიარებინა საბჭოთა ხელისუფლება, დაიწყო მასთან საერთო ენის გამონახვის გზებისა და საშუალებების ძიება. ზემოაღნიშნულის გამოხატულებას წარმოადგენდა მათ მიერ 1926 წლის 24-25 დეკემბერს ქ. ქუთაისში მოწვეული საეკლესიო კრება, რის გამოც მათ კომუნისტები „ქუთათურებად“, „პროგრესისტებად“ და „რეფორმატორებად“ მოიხსენებდნენ. მის აქტიურ მონაწილედ ეპისკოპოსი სტეფანე ბოდბელიც გვევლინება. საქართველოს ეკლესიის წარმომადგენელთა მხრიდან საბჭოთა ხელისუფლებისადმი გარკვეულ კომპრომისზე წასვლა დროის მოთხოვნით იყო ნაკარნახევი. ამასთან გასათვალისწინებელია ის საფრთხეც, რაც საქართველოს ეკლესიას ემუქრებოდა რუსეთის ეკლესიის შიგნით მიმდინარე უმძიმესი პროცესებიდან გამომდინარე. ახალი ობნოვლენური ეკლესიის წარმომადგენლები საქართველოში, რომლებიც არაქართულ სამრევლოებში მოღვაწეობდნენ, ეცდებოდნენ აღნიშნული პროცესის საქართველოს ეკლესიაში გადმონერგვას. საფრთხის თავიდან აცილება კი ორგანულად იყო დაკავშირებული საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალური უფლებების ტერიტორიალური პრინციპით დაკანონებასთან.

1922 წლამდე საქართველოს ეკლესიის არაქართული სამრევლოები პატრიარქ ტიხონის მიერ კავკასიის ეგზარქოსად დანიშნული ეპისკოპოსი პავლეს

(ვილკოვსკი) დაქვემდებარებაში იმყოფებოდნენ. რუსეთის ეკლესიაში მომხდარი განხეთქილების შემდეგ შესაბამისად საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი არაქართული სამრევლოებიც ორ ნაწილად გაიყო: „ტიხონოველებად“ და „განმაახლებლებად“. ამ უკანასკნელთა ლიდერს საქართველოში დეკანოზი იოანე (ლოხოვოი) წარმოადგენდა. მისი მეთაურობით, 1922 წლის ნოემბერში, „რუსული მართლმადიდებელი სამრევლო საბჭოების საბჭო“ ჩამოყალიბდა, რომელიც „განმაახლებელთა“ უმაღლეს საეკლესიო მმართველობას აღიარებდა. 1924 წლის ზაფხულში დეკანოზ იოანემ (ლოხოვოი) „განმაახლებელთა“ უმაღლესი საეკლესიო საბჭოს წინაშე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ტერიტორიალური ნიშნით აღიარების საკითხი დააყენა. როგორც მკვლევარი ი. არაბიძე აღნიშნავს, საკითხის წამოყენება და მისი დადებითად გადაწყვეტა განპირობებული იყო არა კანონიერების დაცვის მოთხოვნილებით, არამედ იმ სირთულეებით, რომლებსაც „განმაახლებლები“ წააწყდნენ საქართველოში თავიანთი გავრცელების პროცესში [არაბიძე: 2005, 56]. თავის მხრივ, საქართველოს ეკლესიის წარმომადგენელთა (კონკრეტულ შემთხვევაში იგულისხმება „პროგრესისტები“ – ს. ა.) მხრიდან აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის დაწყება განპირობებული იყო არა იმ გარემოებით, რომ ისინი სცნობდნენ „განმაახლებელთა“ მწვალებლურ ეკლესიას და მათ პოზიციას, არამედ სურდათ, რომ მოცემული სიტუაცია საქართველოს ეკლესიის სასარგებლოდ გამოეყენებინათ. ამასთანავე, კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული, მათ მიერ გადადგმული თითოეული ნაბიჯის პასუხისმგებლობა და იმის აუცილებლობა, რომ მათი ყოველი მოქმედება მსოფლიო საეკლესიო კანონმდებლობით ყოფილიყო შემოფარგლული. რუსეთის ეკლესიის „განმაახლებელთა მოძრაობის“ სინოდის (ასე იწოდებოდა



იგი 1923 წლის აგვისტოდან) გადაწყვეტილებით მელიც მოკავშირე რესპუბლიკათა პოლიტიკურ მოწყობის მაგალითისამებრ, საქართველოს ეროვნული ეკლესიის საეკლესიო ცხოვრების მოწყობას რუსეთის ეკლესიასთან ერთობით მოიაზრებდა, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარება, მით უფრო ტერიტორიული ნიშნით, ფიქციად ცხადდებოდა. აღნიშნული შემოთავაზება ქართველი სამღვდელოებისათვის მიუღებელი გახლდათ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისინი მაინც აგრძელებდნენ მოლაპარაკებებს საკუთარი პოზიციის მტკიცე დაცვით. „პროგრესისტი“ სამღვდელოების აღნიშნული ფრთა აგრეთვე ითვალისწინებდა იმ რეალობას, რომ რუსეთის ეკლესიის „განმაახლებლებთან“ გარკვეულ დონეზე კავშირი ჰქონდათ მსოფლიო მართლმადიდებელ პატრიარქებს, აღნიშნული კი საქართველოს ეკლესიის მესვეურებს გზას უხსნიდა მათთან მოსალაპარაკებლად. ჩვენი მოსაზრებით, სწორედ ამ გარემოებით აიხსნება სრულიად საქართველოს ეკლესიის დროებით მმართველობის მხრიდან მოლაპარაკებების გაგრძელება ავტოკეფალიის ტერიტორიალური ნიშნით დაკანონებასთან დაკავშირებით. ეპისკოპოსი სტეფანე ბოდბელი, როგორც სრულიად საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის თავმჯდომარის მოადგილე, კათალიკოს-პატრიარქის მოსაყდრის, მიტროპოლიტ ქრისტეფორეს (ციციქიშვილი) პოზიციას იზიარებდა და ამ მოვლენების ეპიცენტრში იმყოფებოდა. ამის დასტურია მისი უშუალო მონაწილეობა 1926 წლის დეკემბერში სრულიად საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის კრებაზე განხილულ პროექტში [სსცსა, კარბელაშვილი: 119]. პროექტი, სადაც ჩამოყალიბებულ იქნა საქართველოს ეკლესიის პოზიცია მისი ეკლესიის ავტოკეფალიის დაკანონების შესახებ ტერიტორიალური პრინციპის გათვალისწინებით და მსოფლიო



საეკლესიო კანონმდებლობის სრული დაცვით, განხილულ იქნა რუსეთის „განმაახლებელთა მოძრაობის“ წმიდა სინოდის საერთო კრებაზე მოსკოვში. აღნიშნული კრება 1927 წლის 30 იანვრიდან 5 თებერვლამდე მიმდინარეობდა და მას მსოფლიო პატრიარქის, სინას მთავარეპისკოპოსის და ალექსანდრიის პატრიარქის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. კრებაზე, სადაც საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლები არც კი მიიწვიეს, მოსმენილ იქნა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის შესასწავლად შექმნილი სპეციალური კომისიის (მოსკოვის მიტროპოლიტ სერაფიმეს (რუჟნცევი) თავმჯდომარეობით) მოსაზრებანი. „განმაახლებელთა“ მოძრაობის წმიდა სინოდის ნებისმიერი მოსაზრება, რამდენადაც იგი საბჭოთა ხელისუფლების ნების აღმსრულებლად და გამტარებლად მოიაზრებოდა, საბჭოური ინტერესების ჩარჩოებში უნდა განთავსებულიყო. ამიტომ მოცემულ კრებაზე გამოტანილი დადგენილებაც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დაკანონებასთან დაკავშირებით, აღნიშნული წესის გათვალისწინებით მოხდა: მათ ფიქტიურად აღიარეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია ტერიტორიალური ნიშნით თბილისისა და სოხუმის ეპარქიის ჩათვლით. თბილისის საეპარქიო მმართველობა გადაკეთებულ იქნა რუსულ მართლმადიდებელ სამრევლოთა საეკლესიო მმართველობად საქართველოს საკათალიკოსოს ფარგლებში ცინცაძის ფონდი: საბ. 102, 274]. ამ გადაწყვეტილებით რუსეთის ეკლესია იტოვებდა კონტროლის უფლებას საქართველოს ეკლესიაზე და მას მხოლოდ შინაური საქმეების მოწესრიგების უფლებას აძლევდა. შესაბამისად, აღნიშნულ გადაწყვეტილებას ქართული სამღვდელთა მხრიდან მძაფრი რეაქცია მოჰყვა. მათ წერილობით აცნობეს „განმაახლებელთა მოძრაობის“ წმიდა სინოდს თავიანთი პრინციპული მოსაზრება იმასთან და-



კავშირებით, რომ რუსეთის მხრიდან ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებას კანონიკური მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებოდა, თუ ის აღიარებდა რუსული სამრევლოების საქართველოს ეკლესიაზე დაქვემდებარებას. ეპისკოპოსი სტეფანე ბოდბელი აღნიშნავდა, რომ არაქართულ სამრევლოთა დაქვემდებარება საქართველოს ეკლესიაზე უნდა მომხდარიყო არა მათ მიერ ავტონომიურად გამომუშავებული დებულებით, არამედ მხოლოდ რუსული წყობის შენარჩუნებით [სსცსა, კარბელაშვილი: 272, 70]. 1927 წლის 19 აპრილის №88 მოხსენებაში სრულიად საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობისადმი, იგი მიუთითებდა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული რუსული სამრევლოების დეკანოზები: სმირნოვი, ლოხოვოი და სხვანი, ღვთისმსახურების დროს კათალიკოს-პატრიარქის მოსაყდრის ნაცვლად, რუსეთის სინოდსა და მიტროპოლიტ პეტრეს იხსენიებდნენ. აღნიშნულის გამო იგი შესაბამის რეაგირებას ითხოვდა სრულიად საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობისაგან და დასძენდა, რომ თუ რუსული სამრევლოები მოისურვებდნენ საკათალიკოსო საბჭოში თავიანთი წარმომადგენელი ჰყოლოდათ, იგი აუცილებლად ქართული ენის მცოდნე უნდა ყოფილიყო [სსცსა, კარბელაშვილი: 55, 216]. საქართველოს ეკლესიაში რუსული სამრევლოების მხრიდან ბზარის შეტანის საფრთხის შესახებ ეპისკოპოსი სტეფანე ბოდბელი ჯერ კიდევ 1925 წლის ნოემბერში აღნიშნავდა: „...დღეს ჩვენს ტერიტორიაზე ბევრი ურჩი ეკლესია ეჩეკება ჩვენს პატრიარქ-კათალიკოსს... ავტონომია და ავტოკეფალიაში ავტოკეფალობა? ვისაც ასხენ ყურნი სმენად ისმინონ და გულისხმაჰყონ [სსცსა, კარბელაშვილი: 68, 59].

კათალიკოს-პატრიარქ ამრობოსის (ხელაია) გარემოცვა, ქართველი სამღვდელოების ოპოზიციური

ფრთისაგან განსხვავებით, ავტოკეფალიის დაკანონების საკითხში უფრო კატეგორიულ პოზიციაზე იდგა იმდენად, რამდენადაც „განმაახლებლური მოძრაობის“ სინოდთან ურთიერთობა მათ მიერ არაკანონიკურ მოვლენად განიხილებოდა. აღნიშნული ნათლად ჩანს მიტროპოლიტ კალისტრატეს (ცინცაძე) სიტყვებში, რითაც მან მიმართა ბაქოს კათედრის მიტროპოლიტ პეტრეს (სერგეევი) 1926 წლის 25 დეკემბერს კათალიკოს-პატრიარქ ამბროსისთან (ხელაია) სტუმრობის დროს: „...ვინ ვინ უნდა იცნოს? თუ დამიჯერებთ, ჩვენ დიდი ხანია ცნობილნი ვართ. მართალია ჩვენი დამოუკიდებელი არსებობა 1811 წელში შეწყვიტა საერო მთავრობამ, მაგრამ იმავე მთავრობამ არ აღადგინა დამოუკიდებლობა 1917 წელში? რომელმა აღმოსავლეთის პატრიარქმა და რომელი აქტით დაადასტურა ჩვენი ავტოკეფალიის შეჩერება, ან ეხლა რა საჭიროა აღმოსავლეთის პატრიარქების განსაკუთრებული აქტი ჩვენი ცნობისათვის... მსოფლიო ეკლესიას არ სწამს თქვენს მიერ დამყარებული ფილექტიზმი. სულ სხვა მდგომარეობაში ბრძანდებით თქვენ. რუსეთის ეკლესია გაიყო ორ ბანაკად: ერთი მათგანი დიდი ხანია ცნობილია კანონიკურად, მეორეს შესახებ ჯერ კიდევ საბოლოო სიტყვა არ უთქვამს ყველა დამოუკიდებელ ეკლესიებს. ამის გამო თქვენთვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს სხვა მართლმადიდებელი ეკლესიების თვალში: ხართ თუ არა ცნობილნი თქვენს გვერდით საკავშირო ტერიტორიაზედ მოქმედ ერთ-ერთ უძველეს ეკლესიის მიერ კანონიკურად“ [ცინცაძის ფონდი: 102, 117].

რასაკვირველია, საკითხის ამგვარი დაყენება ისტორიულ სინამდვილეს ეფუძნება და მსოფლიო საეკლესიო კანონმდებლობიდან გამომდინარეობს, მაგრამ მიგვაჩნია, რომ არსებულ რეალობასთან შესაბამისობაში, ქართველი სამღვდელოების ოპოზიციური ფრთ-



ის მოღვაწეობა ამ მიმართულებით უფრო დიპლომატიურ და ლავირებულ ჩარჩოებში თავსდება. მიუხედავად იმისა, რომ მათი მხრიდან „განახლების მოძრაობის“ სინოდთან ურთიერთობა არაკანონიკურად განიხილება, იგი მაინც დადებით მოვლენად და წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს. მართალია, „განმაახლებელთა“ მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ტერიტორიალური ნიშნით აღიარების შედეგად ფილექტიზმის აღმოფხვრა მხოლოდ გარეგნული ნიშნით მოხერხდა, რადგან მასზე კონტროლს „განმაახლებელთა მოძრაობის“ სინოდის მიერ შექმნილი რუსულ მართლმადიდებელ სამრევლოთა საეკლესიო მმართველობა ახორციელებდა, მაგრამ ეს მოვლენა, თავისთავად წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დაკანონების გზაზე. საქართველოს ეკლესიის დაქვემდებარებაში არაქართული სამრევლოების შემოერთებით, თავიდან იქნა აცილებული მის შიგნით „განახლების“ იდეების გავრცელება, რაც უდავოდ ქართველი სამღვდელოების გამჭრიახი პოლიტიკის შედეგად იქნა მიღწეული. არაქართულ სამრევლოებში „განმაახლებელთა მოძრაობის“ წარმომადგენელთა მცდელობის მიუხედავად, საქართველოს ეკლესიაში მწვალებლობამ ფეხი ვერ მოიკიდა. როგორც ცნობილია, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის სრულად აღიარების შესახებ მოლაპარაკების დაწყება საერო ხელისუფლების ხელშეწყობით მოხდა, რადგანაც ამ უკანასკნელის მიზანს შეადგენდა საქართველოს ეკლესიას მხარი დაეჭირა „განმაახლებელთა მოძრაობისათვის“, მაგრამ მიტროპოლიტმა ქრისტეფორემ (ციციქიშვილი) თავის მომხრე სამღვდელოებასთან ერთად, ეს ნაბიჯი საქართველოს ეკლესიის სასარგებლოდ გამოიყენა.

ამრიგად, XX საუკუნის 20-იანი წლების საქართველოში, საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დამყა-



რების პერიოდში, მისი ტრადიციული მართლმადიდებლური ეკლესიის არსებობისა და ავტოკეფალური უფლებების დაკანონებისათვის ბრძოლის საკითხი უაღრესად მძიმე პირობებში განიხილებოდა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პერიოდის საქართველოს ეკლესიაში მოღვაწე სასულიერო კრებული, ბრძოლის განსხვავებული მეთოდ-ხერხების გამო, ორ ბანაკად აღმოჩნდა გაყოფილი, საქართველოს ეკლესიის არსებული ჩიხიდან გამოყვანა მაინც ორივე მხარის გამჭრიახი და წინდახედული პოლიტიკის წყალობით განხორციელდა. საბოლოო ჯამში, ქართველი სამღვდელოების ორივე ფრთის ბრძოლის ტაქტიკა ერთგვარად ავსებდა ერთმანეთს და მთლიანობაში საქართველოს ეკლესიის ერთიანობის დაცვასა და მისი ეკლესიის ავტოკეფალიის დაკანონებას ემსახურებოდა. მნიშვნელოვანია ამ პროცესებში ეპისკოპოს სტეფანე ბოდბელის მოღვაწეობა და ძალისხმევა, რომელიც იმ გამოჩენილ სასულიერო პირთა შორის მოიაზრება, რომელთა მეშვეობითაც საქართველოს ეკლესიამ გაუძლო დროს და მოახერხა თავისი ადგილის დამკვიდრება მსოფლიო მართლმადიდებლურ სივრცეში.

1. ქ. პავლიაშვილი, საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია (1800-1945), ნაწ. I, თბ., 2008.
2. Шишкин А. А., Сущность и критическая оценка «обновленческого» раскола русской православной церкви, Казан, 1970.
3. ს. ანდღულაძე, ეპისკოპოსი სტეფანე ბოდბელი (ვასილ კარბელაშვილი), თბ., 2006.
4. ი. არაბიძე, „განახლების მოძრაობა“ საქართველოს ეკლესიაში XX ს. 20-30-იან წლებში, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თბ., 2005.
5. საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, პოლიეექტოს კარბელაშვილის ფონდი 1461, საქმე 119.
6. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კალისტრატე ცინცაძის ფონდი, საბუთები №№102, .274.
7. იქვე, ვასილ კარბელაშვილის ფონდი, საბუთები №№55, 68, 272.

For the Problem of Legalization of the Autocephaly of the Orthodox Church of Georgia in the 1920s and the Bishop of Bodbe Stephane (Vasil Karbelashvili)

In the 1920s Georgia, in the period of establishing totalitarian regime, the problem of the traditional Orthodox Church of Georgia survival and legalization of its autocephalous rites were discussed in extremely difficult circumstances. In accordance with the terms of time, the group of Georgian clergy, who were public figures at the same time, had to choose a special strategic course that could able not only physical survival of the centuries old Church of Georgia, but the fight for the legalization of its autocephaly. Despite the split of the mentioned clergy, that was determined by difference of methods and ways of solving the problem, their wise and foreseeing policy had broken the deadlock. However, the difference in the ways of reaching the goal were somehow complemented one and the other and served the aim of protecting the Church of Georgia. It is worth to be mentioned that the role and activity of the Bishop of Bodbe Stephane in this process is significant. It must be mentioned that the bishop Stephane was among those outstanding clergymen that able the Church of Georgia to stand the difficulties of the time and gain his personal place among the Orthodox Churches of the world.



ვეძღვნი ღოქტ. პერბერტ ძებიშისა და პროფ. აკაკი ურუშაძის ნათელ ხსოვნას

კოლხური ოქროლამწერლობის ნიმუშის – ფესტოსის დისკოსა და მისი მონათესავე ლამწერლობების გაშიფვრის შესახებ*¹

0. წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია ფესტოსის დისკოს გექსტის გაშიფვრა და შემდეგი საკითხები:

1. ცნობები კორიბანტების, კირბებისა და ამ სიგყეების ეტიმოლოგიის შესახებ;
2. ცნობები კოლხური ოქროლამწერლობის შესახებ;
3. ცნობები კოლხური ენის შესახებ;

* კრებულში კვლავ იბეჭდება გ. კვაშილავეას ნაშრომი, რომელიც შეეხება ფესტოსის დისკოს. სტატია უდავოდ საინტერესოა და ვთვლით, რომ მას უნდა გაეცნოს სამეცნიერო საზოგადოება, თუმცა რედკოლეგია პასუხს ვერ აგებს ნაშრომში გამოთქმული მოსაზრებებზე.

¹ ამ ნაშრომის ინგლისური ვარიანტი წაკითხული იქნა საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც მიეძღვნა ფესტოსის დისკოს აღმოჩენის 100 წლისთავს. კონფერენცია გაიმართა 2008 წლის 31 ოქტომბერსა და 1 ნოემბერს ლონდონში, სიძველეების შემსწავლელთა საზოგადოებაში (ხელოვნების სამეფო აკადემია, ბერლინგტონის სასახლე). კონფერენციას ორგანიზება და სპონსორობა გაუწია ძველი ხელოვნებისა და არქეოლოგიის საერთაშორისო ეურნალ „მინერვას“ რედაქციამ.

4. ფესტოსის დისკოს ნახაგ-ნიშანთა ჯგუფების ამოკითხვის მიმართულების დადგენა;
 5. ფესტოსის დისკოს ნახაგ-ნიშანთა ამოკითხვის ალგორითმი;
 6. ჩემი კვლევის შედეგები;
 7. ჩემ მიერ დისკოს ტექსტის ამოკითხვის მართებულობის დამადასტურებელი ლინგვისტური მასალა;
 8. დისკოზე ამოტვიფრული სიგყვების ამოკითხვის მაგალითები;
 9. არქალოხოროს ცულის, მალიის ქვის ბლოკისა და ფესტოსის ლარნაკის ნახაგ-ნიშანთა ამოკითხვა;
 10. დისკოს ნახაგ-ნიშანთა ფონეტიკური მნიშვნელობები, ტექსტის ორიგინალი თარგმანითურთ;
- დასკვნა.



ფესტოსის დისკოს A მხარე



ფესტოსის დისკოს B მხარე

1. სწოებები კორიბანტების, კირებებისა და ამ სიტყვების ეტიმოლოგიის შესახებ

სტრაბონი (X,3,19) ძველ წყაროებზე დაყრდნობით წერდა, რომ კორიბანტები (Κορύβαντες/Κόρυβαντες, Κορύβαντες/Κόρυβαντες), პელიოსის ვაჟიშვილები და კოლხეთის მეფის, აიგის ნახევარძმები კრეტაზე, ებეაზე, სამოთრაკეზე, ხმელთაშუა ზღვის სხვა კუნძულებსა და ფრიგიაში კოლხეთიდან იყვნენ მოსულნი (Parada 1993). თეოპომპოს ქიოსელის (Jacoby 1927, IIB, 526-617; Müllerus 1885, I, 278), თეოფრასტოს ერესოსელის (Fortenbaugh 1984, გვ. 59), აპოლოდოროს ათენელის (Müllerus 1885, I, 432), ფოტიოსისა (Photius 1864, I, გვ. 360) და სვიდას ცნობათა მიხედვით, კრეტელ კორიბანტებს კირების (κίρβις, κίρβις) – საკრალური სახის წარწერების შექმნა მიეწერებათ (Dobson 1828, I, გვ. xxxiv). კრაგინოსის, ლისიასის,

პლაგონის, არისგოგელეს, გიმეოსის, აპოლონიოს როსტომის, არისგოფანესის, პლუტარქეს, ძენობიოსის, კომეგასისა და სხვათა ცნობების მიხედვით, ეს წარწერები სრულდებოდა თიხის ან სპილენძის ფირფიტებზე, ხის დაფებზე, სტელეებსა და სვეტებზე.

დიოდოროს სიცილიელის (V,49,2-3) მიხედვით, სიგყვა „კორიბანტი“ მიღებულია დიდი დელაღვთაება რეა-კიბელეს შვილის სახელიდან, კორიბასიდან (Drummond 1826, III, გვ. 200); ხოლო Etymologicon Magnum-ის (1816) მიხედვით, Κορύβαζ/Κύριβαζ-ი (კორიბასი/კირიბასი) – ზმნისგან κρύβα (= κρύπτω, κρύψω), რაც ნიშნავს „დავმალაჲ“, „დავფარაჲ“, „დავიცაჲ“. ვფიქრობ, რომ ეს ეტიმოლოგია ასახავს კორიბანტთა მისტერიების ფარულ ხასიათს.

თეოპომპოს ქიოსელის, თეოფრასტოს ერესოსელის, აპოლოდოროს ათენელისა და სვიდას ცნობების მიხედვით, სიგყვა κρύβιζ-ის ეტიმოლოგია დამაჯერებლად არის დაკავშირებული სიგყვა Κύριβαζ – კირბასთან/კორიბასთან (Wilamowitz-Moellendorff 1893, I, 45,7; Boisacq 1950, გვ. 415).

კ. რიგერი ამბობდა, რომ „კირბეის“-ი იყო ფირფიტები და მათ კოლხები იყენებდნენ (ჭყონია 1896, გვ. 124-125). ძველ ბერძნულ წყაროებზე დაყრდნობით, აკ. ურუშაძე (1964, გვ. 154) ვარაუდობდა, რომ „კირბის“-ი არის მკვრივი და მაგარი მასალა. ვლ. სიჭინავას (1953, III, გვ. 81-101) მოსაზრებით, სიგყვა „კირბის“-ი დაკავშირებულია კოლხური „კირიბი“ ფორმასთან, რომელსაც ქართულად შესაბამება *კრაჰი>კრაჲ ([ჰ]/[ბ] მონაცვლეობისთვის იხ. გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965, გვ. 111). რ. შმიგ-ბრანდტი (2002-a, გვ. 101) B ხაზოვანი დამწერლობის ნიშანს Რ [qi] – „ცხვარს“ აკავშირებს „კირიბი“ ფორმასთან. ვფიქრობ, რომ „კირიბი“ შესაძლებელია დავაკავშიროთ B ხაზოვანი დამწერლობის სავარაუდო *qi-ri-bo>*κῠριβο>κῠριδ – „ცხვარი“ ფორმასთან (შეად. გორდემიანი 2007, II, გვ.



206). იმავე ფუძის არის კოლხური სიგყვა „ლოკირობა“² რაც, ვფიქრობ, ნოგიო თიხის ფირფიტებზე ნახაგ-ნიშნების მიჯრით ყალიბებით ამოგვიფერას ანუ დაბეჭდვას ნიშნავს.

2. ცნობები კოლხური ოქროდამწერლობის შესახებ

ძველი ბერძნული წყაროებიდან ცნობილია, რომ ქურუმ-ღვთაებებს – კორიბანტებს² ძველთაგანვე ჰქონდათ საკრალური დამწერლობა, რომელსაც საიდუმლოდ ინახავდნენ (Dobson 1828, I, გვ. xxxiv; Drummond 1826, III, გვ. 199-200). ძველი ბერძნები ამ დამწერლობას *χρυσωγραφία*-ს ანუ ოქროდამწერლობას უწოდებდნენ. მის შესახებ ცნობები გვხვდება ევსტათიოს თესალონიკელთან, რომელიც განმარტავს დიონისიოს პერიეგეტესის თხზულებაში დაცულ ინფორმაციას „ოქროს საწმისის“ შესახებ, სადაც დამოწმებულია ხარაქს პერგამონელის გადმოცემა, რომელიც, თავის მხრივ, ევჰემეროსისა და პალეფაგოსის თხზულებებს ემყარებოდა (Jacoby II, 482-493; Müllerus III, 636-645; ურუშაძე 1964, გვ. 150).

პ. ინგოროყვა (1939, გვ. 169-170) და შ. ნუცუბიძე (1983, გვ. 99) გამოთქვამდნენ მოსაზრებებს, რომ ხარაქს პერგამონელის გერმინი „ხრისოგრაფია“ ნიშნავს ოქროს მეშვეობით წერას. ეს იყო წერის განსაკუთრებული და სპეციფიკური ხელოვნება, რომელიც კოლხეთში გამოიყენებოდა. მათი აზრით, მისი შესრულების წესები აღწერილი იყო ვერძის გყავზე და არგონავტებმა სწორედ ამ მეგად მნიშვნელოვანი კოლხური ხელოვნების შესათვისებლად იმოგზაურეს საბერძნეთიდან კოლხეთში.

2. კორიბანტები სტრაბონთან (X,3,12;19) გაიგივებულნი არიან მკედლობის ღვთაებებთან, კაბირებთან და კურეგებთან. პეროდოტე (III, 37) ამბობს, რომ კაბირები ჰეფესტოსის შვილები იყვნენ. უ. დრუმონდის აზრით (1826, III, გვ. 199), კაბირი გაიგივებულია მერკურთან.

3. სწოება კოლხური ენის შესახებ

აპოლონიოს როდოსელი (IV, 729-731) წერდა: „[კირკეს] სურდა ქალწულის, ნათესავი ქალიშვილის ხმა გაეგონა... მართლაც, მრისხანე აიეგის ასულმა [მედეამ კირკეს] მშვიდად უამბო ყველაფერი კოლხურ ენაზე (Κολχίδα γῆρυσ ἰεῖσα)“; ასევე, დიოდოროს სიცილიელი (IV, 52-3) მოგვითხრობს: „[მედეა] კოლხური ენით (Κολχίδι διαλέκτῳ) გრძელი ლოცვის წარმოთქმას შეუდგა“.

ლ. ჰერვასი და აკ. შანიძე (1960; 1973, I, გვ. 631) ჭანურ-მეგრულს კოლხურ ენას უწოდებდნენ. ძველ ბერძნულ წყაროებზე დაყრდნობით, თ. გამყრელიძე (1998; 1999; 2002, გვ. 45-46; 2004) გამოთქვამს მოსაზრებას, რომ წინაოლიმპიელი გიგანების, ჰელიოსისა და ოკეანოსის ქალიშვილის პერსეის შვილები: კუნძულ აიაიას ქალღვთაება კირკე, კრეგის მეფის, მინოსის მეუღლე, დედოფალი პასიფაე, აია-კოლხეთის მეფე აიეგი (Apoll. of Athens 1997, I,9,6; ჰეროდოტე, I,2; VII,193,197) და მისი მემკვიდრენი: მედეა, ქალკიოპე და აფსირგოსი მეგყველებდნენ დასავლეთ-ქართველურ – კოლხურ ენაზე, რომლის დღევანდელ გაგრძელებად ითვლება მეგრული და ლაზური (ჭანური).

მეგრულ-ლაზური შედის ქართველურ (სამხრეთ-კავკასიურ) ენათა ჯგუფში. ამჟამად ამ ენაზე მეგყველებს ხალხი, რომელიც სახლობს სამხრეთ კავკასიაში და შავი ზღვის სანაპიროს აღმოსავლეთ ნაწილში: დასავლეთ საქართველოში, სამეგრელოსა და აფხაზეთის რეგიონში და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ თურქეთში, ლაზეთში. მეგრელები თავიანთ ენას უწოდებენ „მარგალურ ნინას“, ლაზები – „ლაზურ ნენას“. ჭანები მეგრელებს უწოდებდნენ „მაკრონებს“ (ჩიქობავა, 1926; ჯავახიშვილი, 1979, გვ. 452; ჩუხუა, 2000-2003, გვ. 84).

როგორც ქვემოთ ვნახავთ, ჩემი კვლევის შედეგები საუბრედ მადლებს, რომ კოლხური მივიჩნით პროტო-ქართველურ ენად.



დამატებით მსურს ავლენიშნო, რომ წინაბერძნული მოსახლეობის ენისა და კავკასიური ენების ნათესაობის შესახებ ჰიპოთეზები წამოაყენეს: ლ. ჰერვასმა, ვ. ფ. ჰუმბოლდტმა, პ. კრეჩმერმა, ან. პ. მეიემ, ად. ღირმა, ედ. შვიცერმა, მ. სერგიევსკიმ, ფრ. შახერმაირმა, ს. ყაუხჩი-შვილმა, ს. ჯანაშიამ, გ. ჩიგაიამ, გ. დეეგერსმა, არნ. ჩიქობავამ, აკ. ურუშაძემ, პ. ბერაძემ, ედ. ი. ფურნემ, თ. გამყრელიძემ, რ. შიგ-ბრანდტმა, რ. ს. პ. ბეეკსმა, რ. გორდემიანმა, პ. რ. ძებიშმა, მ. გამსახურდიამ და სხვებმა.

4. შუბტოსის დისკოს ნახაგ-ნიშანთა ჯგუფების ამოკითხვის მიმართულების დაღვენა



4.0. ლ. პერნიეს, სერ არ. ევანსის, ჯ. ჩედვიკის, ლ. გოდარის, ე.-პ. ოლივიეს, ე. ფოკუნოს, ივ დიუოს, ვ. კეანის, გ. ალ. ოუენსის, გ. გიმის, პ. ძებიშის, კ. მორნიგის, ქ. ჰენკეს, ქ. და ქ. მესის, მ. გ. კორსინის, დ. რუმფელისა და სხვათა გამოკვლევების გათვალისწინებით, ვფიქრობ, რომ დისკოზე ამოგვიფრული ნახაგ-ნიშანთა ჯგუფების ერთობლიობა არის წარწერა.

ქვემოთ განვიხილავ დისკოს ამოკითხვის მიმართულებასთან დაკავშირებულ პრობლემებს და წარმოვადგენ ჩემს არგუმენტებს დისკოს ცენტრიდან პერიფერიისკენ (ანუ მარცხნიდან მარჯვნივ) ამოკითხვის დასამტკიცებლად.

4.1. იეროგლიფური ტიპის წარწერების ამოკითხვის ზოგადი წესის მიხედვით, ამოკითხვა იწყება იქიდან, საითკენაც არის მიმართული წარწერებში მოცემული ყველა ცოცხალი არსების სახე. ასეა, მაგ., ეგვიპტურ, ანაგოლიურ და სხვა წარწერებში, სადაც ყველა ცოცხალი არსების სახე „იქცირება“ ერთი მიმართულებით. ფესტოსის დისკოზე ნახაგ-ნიშანთა ჯგუფების ამოკითხვის მიმართულება ამ ზოგადი წესით ვერ დადგინდება, რადგანაც აქ ზოგი ცოცხალი არსების სახე, მაგ., PhD-2,

29 და 31 ნახაგ-ნიშნები: ☞ „კორიბანტის ბიბილოვანი

თავი“, ☞ „ქუ ლომი“ და ☞ „ქორისებრი არწივი“ სხვადასხვა მხარეს არის მიმართული: გემოთ ან ქვემოთ, მარჯვნივ ან მარცხნივ. ამდენად, დისკოს ნახაგ-ნიშანთა ჯგუფებისთვის ამოკითხვის მიმართულების ზოგადი წესი არ ვრცელდება. ვფიქრობ, რომ ამოკითხვის მიმართულება პერიფერიიდან ცენტრისკენ (მარჯვნიდან მარცხნივ), სპირალის ზოლის გასწვრივ, მისაღები არ არის.



4.2. ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნდა, რომ ნახაგ-ნიშანთა ჯგუფების ამოკითხვის მიმართულება შესაძლებელია განისაზღვროს ბეჭდვისას მათი ჯგუფების გედლების მიმართულებით. მაგრამ ეს არ არის სარწმუნო, რადგანაც დისკოზე ნახაგ-ნიშანთა გედლების მიმართულებაც სხვადასხვაა. მაგ., A18 უჯრაში ერთი მარცხენა ნახაგ-ნიშანი უმნიშვნელოდ ედება გედ მის მარჯვნივ ამოგვიფრულ მეორე ნახაგ-ნიშანს. ასევე დისკოზე გვაქვს საპირისპირო შემთხვევაც, მაგ., დისკოს A27 უჯრაში ☞ „კორიბანტის ბიბილოვანი თავის“ ნახაგ-ნიშნის მარცხენა უკანა წვეტი გედ ედება ☞ „ფარის“ ნახაგ-ნიშნის მარჯვნივ ნაწილს. ამგვარად, დისკოს ნახაგ-ნიშანთა ჯგუფ-



ების ბეჭდვის მიმართულების ცვლის საფუძველზე, ვფიქრობ, რომ მათი ბეჭდვის მიმართულება, იქნება ეს დისკოს პერიფერიიდან ცენტრისკენ თუ ცენტრიდან პერიფერიისკენ, სპირალის ბოლის გასწვრივ, არ შეიძლება ჩაითვალოს ამოკითხვის მიმართულების განმსაზღვრელ კრიტერიუმად.

4.3. თუ დისკოს ნახაგ-ნიშანთა ჯგუფებს ამოიკითხავთ პერიფერიიდან ცენტრისკენ (მარჯვნიდან მარცხენივ), სპირალის ბოლის გასწვრივ, მაშინ შეიქმნება შემდეგი შეუსაბამობა: დისკოს A3, A6, A9, A10, A13, A15, A16, A20, A22, A24, A27, A31 და B30 უჯრებში ცამეტი სიგყვა დაიწყება ☞ „კორიბანგის ბიბილოვანი თავისა“

და ☹ „ფარის“ ნახაგ-ნიშანთა კომპლექსით ანუ, როგორც მე ვფიქრობ, ერთი და იმავე სამ-ოთხმარცვლიანი თავსართით, რაც ნაკლებ სავარაუდოა, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ ლ. პერნიეს, სერ არ. ევანსის, ივ. დიუოს, გ. ალ. ოუენსისა და სხვათა მიხედვით, წარწერა საგალობელია, სადაც ნახაგ-ნიშანთა ერთი და იგივე კომპლექსი უფრო მოსალოდნელია ამ უჯრების ბოლოკიდურ, და არა თავკიდურ პოზიციაში.

სპირალის გასწვრივ, ცენტრიდან პერიფერიისკენ ამოკითხვის დროს, გემოთ ნახსენებ ცამეც უჯრაში ნახაგ-ნიშანთა კომპლექსი ☞ „კორიბანგის ბიბილოვანი თავი“


და ☹ „ფარი“ ბოლოკიდურ პოზიციაში აღმოჩნდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ნახაგ-ნიშნების მიმდევრობა წარმოადგენს სამ-ოთხმარცვლიან დაბოლოებას – რითმას ან რეფრენს, როგორც ეს მოსალოდნელია კიდევაც საგალობელში.

კერძოდ, ამ მიმდევრობაში ☹ „ფარი“ ამოიკითხება როგორც [ფგრე], ხოლო ☞ „კორიბანგის ბიბილოვანი თავი“ ამოიკითხება როგორც [ცო]; ეს საბრძოლო შეძახილი

სამეგრელოში დღესაც არის შემორჩენილი ძველ საომარ სიმღერებში.



ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ნახაგ-ნიშანთა


⊗ კომპლექსი ან საკუთარი სახელია ან ნაცვალსახელი. მე ვფიქრობ, რომ ეს ზოგ შემთხვევაში არის ზმნა, ზოგში კი ბედსართავი სახელი, რომელთაგან ორივე წარმოადგენს პრედიკატის გრამატიკულ კატეგორიას. ეს კომპლექსი იკითხება როგორც [ფრგ-ფო], რაც ნიშნავს: 1. *ლაფარეო, დამალეო; დაიფარეო, დაიცაეო*; 2. *მსგავსი, საღარი, [ღეთის] საღარი*, რაც ირითმება და რეფრენად მეორდება დისკოს ნახაგ-ნიშანთა ცამეგ ჯგუფში.


4.4. დისკოს ნახაგ-ნიშანთა ჯგუფების ამოკითხვის დროს, აუცილებლად მიმაჩნია ზოგიერთი ნახაგ-ნიშნების ქვემოთ მოცემული ვერტიკალური და ირიბი შტრიხების გათვალისწინება. დისკოს A11 და A17 უჯრებში ერთსა და იმავე ნახაგ-ნიშანს, მაგ.,  [მაგ] „მორბენალ ჭაბუკის“ წინ ან უკან გადადგმულ ფეხზე ქვემოთ აქვს ირიბი შტრიხი (დისკოზე ასეთი მაგალითები სხვაც არის).

ზოგიერთი მკვლევარი, რომელიც მხარს უჭერს დისკოს ნახაგ-ნიშანთა ჯგუფების ამოკითხვას პერიფერიიდან ცენტრისკენ (მარჯენიდან მარცხნივ), სპირალის ბოლის გასწვრივ, ამბობს, რომ ეს ირიბი შტრიხები ერთი და იმავე ნახაგ-ნიშნის ქვემოთ წარმოადგენენ ვირამას. ამდენად, ვირამა უნდა იყოს ამოგვიფრული უკანასკნელი ნახაგ-ნიშნის ბოლოს, რადგანაც იგი აღნიშნავს იმას, რომ სიგყვის ბოლო მარცვალში ხმოვანი არ იკითხება. მაშინაც კი, თუ ამოკითხვის მიმართულება არის პერიფერიიდან ცენტრისკენ, შტრიხები მაინც არ არის წარმოდგენილი იმ პოზიციაში, რომელიც განმსაზღვრელია ვირამასთვის. ამგვარად, ამოკითხვის მიმართულებას პერიფერიიდან ცენტრისკენ მხარს არ უჭერს ის დაშვება, რომ ეს შტრიხები არის ვირამა. მე ვფიქრობ, რომ შტრიხები ქმნიან




ნათესაობითი ბრუნვის მორფემას, რომელიც ამოკითხვა როგორც /შ/. შტრიხების პოზიცია, აღნიშნული, მაგ., „მორბენალი ჭაბუკის“ წინ ან უკან გადადგმულ ფეხზე, ფონეტიკურად შეაფესებს სიგყვებს; ამ შემთხვევაში იქნება შემდეგი:  [წგ-შ-მაგ-] „წინმაეალი“ და  [გკგ-შ-მაგ-] „უკანმაეალი“.

4.5. ვეთანხმები ვ. კეანის (1985, გვ. 17, 30-32) მოსაზრებას, რომ დისკოს A გვერდის ცენტრში ამოკეფრული მზის სიმბოლო –  „რვაფურცლიანი რობეტი“, რომელსაც მე ვუწოდებ „აია (ყვავეილი)“, დასაწყისის ნახაგ-ნიშანია, ანუ აღნიშნავს საწყის მარცვალს.

4.6. ლ. პერნიე და სერ არ. ვეანსი (1909, გვ. 274) გამოთქვამდნენ მოსაზრებას, რომ დისკოს A და B გვერდების პერიფერიებზე ამოკეფიფრული სიმბოლო  „ხუთი მსხვილი წერტილი ვერტიკალურ ხაზზე“ დასასრულის ნახაგ-ნიშანია (Godart 1995, გვ. 74). იგი ემსგავსება ეგრუსკულ, იბერიულ, ქართულ ასოთმთავრულ და სხვა დამწერლობებში მოცემულ „განკვეთილობის“ ნიშანს: ერთ ან ვერტიკალურად განლაგებულ ორ, სამ, ოთხ, ხუთ, ექვს ან რვა მსხვილ წერტილს, რაც ამ დამწერლობებში სიგყვის დასასრულს აღნიშნავდა.³ ამის საფუძველზე ვფიქრობ, რომ დისკოს ეს სიმბოლო ნახაგ-ნიშანთა ჯგუფების ამოკითხვის დასასრულს გამოხატავს.

³. „სახარების ხანმეტი გექსტები ცხად-ყოფენ, რომ როგორც განკვეთილობისა, ისევე სასუენი ნიშნები ქართულ მწერლობაში უკვე VI ს-ში უხმარიათ... გიორგი მთაწმიდელს შემოულია განკვეთილობის ნიშნები... ვფრემ მცირემ შემდეგი განკვეთილობისა და სასუენი ნიშნები შემოილო: «მრთწარბილი უკვე – მცირედ სასუენად, მრწარბილი – გასაკუეთელად სიგყსაჲ და სამწარბილი – დიდად სასუენად, მქწწარბილი – სრულიად დასაბოლოებლად და ახლად დასაწყებლად სიგყსაჲ» (ჯავახიშვილი 1949, გვ. 144-146, 315; აგრეთვე იხ. ანტონ I, 1885, გვ. 293; ქორღანია 1892, I, 218).

ამდენად, ფესგოსის დისკოს გეჟსტის დასაწყისი და დასასრული ერთმნიშვნელოვნად არის მითითებული შესაბამისი ნახატ-ნიშნებით: ❀ [აგა] „აია (ყვაველით)“ და [ლგა] „ხუთი მსხვილი წერტილით ვერტიკალურ ხაზზე“.




წარწერა უბისის კოშკის სამშენებლო ქვაზე
1141 წ.

←

D A H A J A • J A Z I A A J : A J A A • Z I A A J
 A A H Y A I D A A • I O Y Z • Y A • J A A Z
 Y Z A A • I Y O A A Z I A A Z • A I A • A A A A
 • I Z A Y O A I A A J A

ებრუკული წარწერა
ძვ.წ. IV ს.



4.7. ასეთია ის არგუმენტები, რომლებსაც წარმოვადგენ ფესგოსის დისკოს ნახაგ-ნიშანთა ჯგუფების ცენტრიდან პერიფერიისკენ (მარცხნიდან მარჯვნივ) ამოკითხვის დასამტკიცებლად. ამასვე აცხადებდნენ ლ. პერნიე, სერ არ. ევანსი (1909, გვ. 274, 280, 282, 289, 290) და სხვები.

5. ფესგოსის დისკოს ნახაგ-ნიშანთა ამოკითხვის ალგორითმი

5.0. დისკოს ნახაგ-ნიშანთა ჯგუფების ამოკითხვის საფუძველი არის ნახაგ-ნიშანთა სხვადასხვაგვარად მობრუნება, ანუ ისინი სპირალის მოლში ამოგვიფრულია ჰორიზონტალურადაც და ვერტიკალურადაც.

აქ მე ვაჩვენებ, თუ რა არის დისკოს ნახაგ-ნიშანთა მობრუნება.

5.1. დისკოს მობრუნებადი და მოუბრუნებადი ნახაგ-ნიშნების საწყისი პოზიციის განსაზღვრა

5.1.1. შემომაქვს დისკოს ნახაგ-ნიშანთა საწყისი პოზიციის ცნება, რომელიც, ჩემი აზრით, არსებითია დეშიფრირებისთვის.

დისკოს ცენტრიდან პერიფერიისკენ მიმართული ნახაგ-ნიშნის საწყისი პოზიცია განისაზღვრება როგორც ამ ნახაგ-ნიშნის ჰორიზონტალური მდებარეობა სპირალის მიმართ, ან სპირალის შიგნით განლაგებული ვერტიკალური ნახაგ-ნიშნების ან ვერტიკალური ხაზების მიმართ, როდესაც დისკოს ვაგრიანობით ამოკითხვის მიმართულების საპირისპიროდ.

5.1.2. დისკოს მოუბრუნებადი ნახაგ-ნიშნის საწყის პოზიციად მივიჩნევ მის ერთადერთ პოზიციას.

5.2. დისკოს მობრუნებადი და მოუბრუნებადი ნახაგ-ნიშნების ამოკითხვის ალგორითმი

5.2.1. ის ნახაგ-ნიშანი, რომელიც დისკოზე ამოგვიფრულია საწყის პოზიციაში, ანუ მისი მობრუნების კუთხე 0° -ია, ამოიკითხება როგორც ორმაცვლიანი სიგყვა. მაგ.,

Ⓒ [ჯელუ] – ლომი.

5.2.2. თუ ნახაგ-ნიშანი საწყისი პოზიციიდან 90° -ით არის მობრუნებული (ამ დროს იგი ვერტიკალურად არის ამოგვიფრული), მაშინ ამოიკითხება შესაბამისი სიგყვის მხოლოდ პირველი მარცვალი. მაგ., Ⓒ [ჯუ].

5.2.3. თუ ნახაგ-ნიშანი საწყისი პოზიციიდან 180° -ით არის მობრუნებული (ამ დროს იგი 5.2.1 საწყისი პოზიციის საპირისპიროდ, გადაბრუნებულად და ჰორიზონტალურად არის ამოგვიფრული), მაშინ ამოიკითხება შესაბამისი სიგყვის პირველი და მეორე მარცვლების ადგილთა გადანაცვლებით მიღებული ახალი სიგყვა. მაგ., Ⓒ [ლჯუ] – სპილენძი.

5.2.4. თუ ნახაგ-ნიშანი საწყისი პოზიციიდან არის მობრუნებული (ამ დროს იგი 5.2.2 პოზიციის საპირისპიროდ და ვერტიკალურად არის ამოგვიფრული), მაშინ ამოიკითხება შესაბამისი სიგყვის მხოლოდ მეორე მარცვალი. მაგ., Ⓢ [ლუ].

5.2.5. ის ნახაგ-ნიშანი, რომელიც დისკომე მოუბრუნებადია, ამოიკითხება მთლიანად, როგორც ორმარცვლიანი სიგყვა.

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ დისკომე წარმოდგენილი ვერტიკალური ნახაგ-ნიშნები სილაბო-გრამებია, ხოლო პორიზონტალური და მოუბრუნებადი ნახაგ-ნიშნები (მაგ., ⊕ „ფარი“, ⊗ „აია“) – ლოგოგრამები. მაშასადამე, დისკოს ნახაგ-ნიშნის სილაბურ თუ ლოგოგრამულ თვისებრიობას განსაზღვრავს მისი პოზიცია.

ჩემ მიერ წარმოდგენილი ალგორითმი ვრცელდება არქალოხოროის ცულისა და მალიის ქვის ბლოკის წარწერებზე. ვფიქრობ, რომ მათ უნდა დაემატოს ფესგოსის ლარნაკის წარწერაც. მაგ., ნახაგ-ნიშანი V , რომელსაც მე ვუწოდებ „კახხა“, ორ პოზიციაში გვხვდება არქალოხოროის ცულზე; ნახაგ-ნიშანი M , რომელსაც „უღელი“ ვუწოდებ, პორიზონტალურად არის წარმოდგენილი მალიის ქვის ბლოკზე, ხოლო დისკომე იგი ვერტიკალურია; შესაბამისად, ეს ნახაგ-ნიშანი სხვადასხვანაირად ამოიკითხება ამ ორ წარწერაში: მალიის ქვის ბლოკზე – როგორც სიგყვა, ხოლო ფესგოსის დისკომე – როგორც მარცვალი.

ნახაგ-ნიშანი PhD-33 ⚡ „თეფში“ დისკომე მხოლოდ ვერტიკალურად არის ამოგვიფრული, ხოლო ფესგოსის ლარნაკზე წარმოდგენილია ორი პოზიციით – პორიზონტალურად (0°) და ვერტიკალურად (90°). ეს ნახაგ-ნიშნებიც ამოიკითხება 5.2.1 და 5.2.2 წესების მიხედვით.

6. ჩემი კვლევის შედეგები

6.1. სერ არ. ევანსისა და ჯ. ჩედვიკის (1967, გვ. 8, 12-15, 154-156; 1976, გვ. 4) თეორიაზე დაყრდნობით ვამტკიცებ, რომ კრეცაზე აღმოჩენილ თიხის ფირფიტებზე ძვ.წ. XV საუკუნებაში შესრულებული წარწერების ენა ბერძნული არ არის.

6.2. ფ. შახერმაირისა (1955, გვ. 252, 255) და სხვათა მიერ გამოთქმული მოსაზრებების საფუძველზე, მიმაჩნია, რომ კრეცის უძველესი წარწერების ენა განეკუთვნება კავკასიურ ენებს, რომელთა გავრცელების არეალი იმ დროს უფრო ვრცელი იყო, ვიდრე გვიანდელ პერიოდში.

6.3. ნოგიო თიხის ფირფიტა მაღალ გემპერატურაზე გამოწვისას ქვასავით მაგარი ხდება; ფესტოსის დისკო არის სწორედ ასეთი ნიმუში. ძველი ბერძნული წყაროებისა (იხ. პუნქტი 1) და გ. ფინკის (2001, გვ. 9) ვარაუდის გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ ამგვარი თვისების გამო დისკო არის კირბი.

6.4. ლ. გოდარისა (1995, გვ. 113-114) და გრავირების ხელოვნების ექსპერტების მიხედვით, ფესტოსის დისკო დაბეჭდილია ოქროს ყალიბებით (სხვა სახის ყალიბების გამოყენების შემთხვევაში ნახაგ-ნიშნების კონტურები ძალიან ადრე გაცვდებოდა, დაკარგავდა მკაფიოობას. იხ. ჩოთალიშვილი 2003, გვ. 158). ამ მონაცემების, პ. ინგოროყვასა და შ. ნუცუბიძის (იხ. პუნქტი 2) მოსაზრებების საფუძველზე ვამტკიცებ, რომ დისკო არის კოლხური ხელოვნების – ოქროდამწერლობის ნიმუში.

6.5. აკ. ურუშაძის (1964, გვ. 164-165; აპოლ. როდ. 1970, გვ. 352) მიერ გამოთქმული მოსაზრებების საფუძველზე მიმაჩნია, რომ კოლხური ოქროდამწერლობის ნიმუში, ფესტოსის დისკო დაბეჭდილია კოლხი ქურუმების – კორიბანტების მიერ კრეცაზე, ან ანაგოლიაში. ისინი ოქროდამწერლობით შექმნილ სავედრებელ-საგალობელ ბექსტებს უძღვნიდნენ ღვთაებებს. ასეთი სახის დამწერ-

ლობა არ გამოიყენებოდა სამეურნეო და ადმინისტრაციული სახის გექსტების შედგენისას (შეად.: Duhoux 1976(1980), გვ. 112-136; Owens 2006, გვ. 43).

6.6. დისკოს მოგიერთი ნახაგ-ნიშნის მობრუნების, ასევე მათ ქვემოთ მოცემული ვერტიკალური და ირიბი შტრიხების აუცილებელი გათვალისწინების შემთხვევაში წარწერა მხოლოდ ერთ ენაზე ამოიკითხება: ჰ. ძებიშის (1987-1991; 1992, გვ. 206-209, 215, 217) მოსამრებებისა და ჩემ მიერ დისკოს დეშიფრირების საფუძველზე მკაცრად ვამტკიცებ, რომ დისკოს წარწერის ენა არის პროტოქართველური – კოლხური.

6.7. ლ. პერნიეს, სერ არ. ევანსისა (1909, I, გვ. 291-292; 1921, I, გვ. 3, 6, 51, 52) და სხვათა ჰიპოთეზებისა და ჩემ მიერ დისკოს გაშიფრის საფუძველზე მკაცრად ვასაბუთებ, რომ დისკოს გექსტი არის სავედრებელ-საგალობელი, რომელიც ეძღვნება კოლხური მოღვმის ხალხის, მაკრელების/მაკრისელების (Μακρῆιδ, Μακρῆεδ. შეად.: Apoll. Rhod., I, 1092-1152; 1970, 345; ურუშაძე 1964, გვ. 142) ნაყოფიერებისა და მიწის დიდ დედალვთაებას, ნენას, ანუ რეა-კიბელეს.

6.8. ჰეკატეოს მილეტელის, აპოლონიოს როდოსელის (II, 392, 1242; Schol. Apoll. Rhod., 1854, I, 1024; Wendel, 1932), სგრაბონისა (XII,3,18) და სხვათა თხზულებებზე დაყრდნობით, ივ. ჯავახიშვილის (1913, გვ. 29), ი. მეგრულიძის (1938, გვ. 67), ს. ჯანაშიას (1959, გვ. 6, 193), ს. მაკალათიას (1941, გვ. 13), ს. ყაუხჩიშვილის (1964, გვ. 18), აკურუშაძისა (1964, გვ. 130-131, 133, 136-139, 166, 321) და სხვათა მიერ გამოთქმული მოსამრებების გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ ძვ.წ. XX ს.-დან, როდესაც შეიქმნა კრეგის წარწერები, კოლხური გომი, უწინდელი მაკრელები/მაკრისელები ანუ მერმინდელი მაკრონები/მეგრულ-ლამბები (Μάκρωνες, Μίγκρελλοι, Μάνραλοι, Μάγραλοι,

Μάγκραλοι, Μάγκραλοι) სახლობდნენ კრეგაზე, ვებეაზე ხმელთაშუა ზღვის სხვა კუნძულებსა და ანაგოლიაში.

6.9. დისკოს წარწერა არის სილაბურ-ლოგოგრამული ტიპის დამწერლობა. დისკოზე ერთი და იგივე მობრუნებადი ნახაგ-ნიშნები აღნიშნავენ სხვადასხვა მარცვლებსა და სიგყვებს.

6.10. ჩემ მიერ დისკოს ნახაგ-ნიშნების მარცვლებად გაშიფვრა ნაწილობრივ ემთხვევა ჟ. ფოკუნოს, ბ. ფელის, კ. ძეხიშის, გ. ალ. ოუენსის, ქ. და ქ. მესისა და დ. რუმ-ფელის ამოკითხვას.

6.11. ვუიქრობ, რომ დისკოს B გვერდის ცენტრში ამოგვიფრული „ჭვინტი“ დაბოლოებული კოლხური „მუზარაღი“, „გვირგვინი“, თუთა-მთვარის სიმბოლო – Δ [თგ] (იხ.: 8.5 პუნქტი, A21 და B30 უჯრები) არის დასაწყისის ნახაგ-ნიშანი, ანუ აღნიშნავს საწყის მარცვალს.

ეს კოლხური „ქული“, ისევე როგორც დისკოს ნახაგ-ნიშანი „ტყავი“ – Ⴆ [ქენ-], გამოსახულია კოლხეთის სამეფო კოშკის კედელზე (იხ.: ებსტორფის მსოფლიო რუკა, 1235; თვარაძე 2004, გვ. 231, 232, 236).

აქვე დამატებით მსურს აღვნიშნო, რომ, მაგ., დისკოს PhD-18 ნახაგ-ნიშანი „გონიო“ – > [გა] ემსგავსება ძველი ქართული ასოთმთავრული დამწერლობის ^ Ⴆ „გან“-ის მოხაზულობას (შეად. ჯავახიშვილი 1949, გვ. 205). დისკოს

PhD-15 ნახაგ-ნიშანი „ცული“ – Ⴆ [ა] ემსგავსება ძვ.წ. XV-VII ს.-ის ბრინჯაოს კოლხურ ცულებს (შეად.: B ხაზოვანი დამწერლობის ნიშანი „ორმაგი ცული“ – Ⴆ [ა]. ლორთქიფანიძე 1972, სურ. 4, 5, 8; 1986, სურ. 2, 13, 16, 21) და სხვა.



7. ჩემ მიერ დისკოს ტექსტის ამოკითხვის მართებულობის დამადასტურებელი ლინგვისტური მასალა

7.0. არქეოლოგიურ და პალეოგრაფიულ მონაცემებთან ერთად ლინგვისტური მასალა უნიშვნელოვანეს საფუძველს წარმოადგენს დეშიფრირების მართებულობის დასადასტურებლად. საბედნიეროდ, ფესტოსის დისკოს შემთხვევაში ლინგვისტური მასალა მთლიანად მხარს უჭერს ჩემს დეშიფრირებას.

7.1. ფონეტიკური ერთეულები და კომპლექსები, რომლებიც აღდგენილი იყო პროტო-ქართველური – კოლხური ენისთვის, დასტურდება ფესტოსის დისკოს ტექსტში. მათგან უმეტესობა ადრეც დადასტურდა; ზოგი თანხმოდანთკომპლექსი, რომელიც მხოლოდ ნავარაუდევია იყო, როგორც დამახასიათებელი კოლხური ფონეტიკური სისგემისთვის, პირველად დასტურდება ფესტოსის დისკოს ტექსტში.

დისკოს ტექსტში აღმოჩნდა კოლხური ენისთვის დამახასიათებელი შემდეგი ფონეტიკურ-ფონოლოგიური მასალა:

7.1.1. უკიდურესად მარგივი ვოკალიზმში და უაღრესად რთული კონსონანტიზმში (შეად. გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, გვ. 373);

7.1.2. [ა], [ე], [ო] ხმოვნები (შეად.: გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, გვ. 135¹, 146, 171, 366-367; გამყრელიძე 2008, გვ. 31, 33), სადაც [ა]-ს სიხშირე მაღალია, [ო]-ს – საშუალო და [ე]-ს – მცირე;

7.1.3. [გ] ბგერა არის თანხმოვნების წინ, შემდეგ და შუაში. ამგვარად, მისი პოზიციებია: -C, C-, C-C. [გ] ხშირად თან ახლავს თანხმოვნებს (შეად. გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, გვ. 370; გამყრელიძე 2008, გვ. 51). ამასთან, [გ]-ს მოგვიანებით ხშირად ენაცვლება [ი], [უ] ან, უფრო იშვიათად, [ო] ხმოვნს (შეად. ქაჯაია 2001, I, გვ. 26);

7.1.4. [ც] ყრუ თანხმოვანი არის [ა], [ო], [გ] ბგერების წინ, ორ [ა] ხმოვანს შორის ან [ა] ხმოვნის შემდეგ (შეად. ქაჯაია 2001, I, გვ. 21, 25), [ც]-ს შემდეგ;

7.1.5. [ლ] თანხმოვანს წინ უსწრებს [ც] (შეად.: გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, გვ. 118, 118^{3,4});

7.1.6. [შ], [ჯ], [ჩ] და [წ] თანხმოვნები (შეად.: Mapp 1912, გვ. 1092; გამყრელიძე 1959, გვ. 5²; 17, 18; გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, გვ. 7-9, 7²; ჩიქობავა, 1938, გვ. 6);

7.1.7. [შქ] და [ჩქ] კომპლექსები (შეად.: გამყრელიძე 1959, გვ. 19, 20, 23-26, 28; Schmidt K. 1961, გვ. 149-163; გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, გვ. 8, 7²-8, 9²). მაგ., [წქ]

[შქ-ფაჰ] – გარდაკქმენი(თ); [ჩქ-შ-რგ-ფგ-ცო] – ჩვენო მჭედლო (შეად.: მეგრ.-ლაზ. ჩქ – ჩვენ. გამყრელიძე 1959, გვ. 64²);

7.1.8. [სკ] კომპლექსი (შეად. გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, გვ. 53, 61). მაგ., [ნგშ-რგ-სკა-ლგ] – სულო მშობლო;

7.1.9. [ჩხ] კომპლექსი (შეად. გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, გვ. 110, 117). მაგ., [რგ-ჩხო] – კქმენ(თ);

7.1.10. [რგ] კომპლექსი (შეად.: ფენრიხი, სარჯველაძე 2000, გვ. 380; ჩუხუა 2000-2003, გვ. 87). მაგ., [კა-გრგა-ნა] – თაღი;

7.1.11. [შთ] კომპლექსი (შეად.: ქლენგი 1949, გვ. 167; გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, გვ. 9²; 135-137, 139², 307¹, 329², 342²). მაგ., [ხგ-შ-თგ] *ხუშთი>ხუთი. შეად. *ხუ(ს)თ- არქეტიპი, რომელიც გ. კლიმოვმა საერთოქართველური ენისთვის აღადგინა (Климов 1964, გვ. 262, Klimov 1998, გვ. 332; ფენრიხი, სარჯველაძე 2000, გვ. 704);



165. Kvashilava, G. D., 2006. The Phaistos Disc – Colchian Goldscript (1). In *Historical-Ethnographical Researches Ivane Javakhishvili History and Ethnology Institute. Vol. VIII. Tbilisi, 2006, pp. 331-347 (in Georgian).*
 კვაშილავა გ. დ., 2006. ფესგოსის დისკო – კოლხური ოქროდამწერლობა. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო კრებული: „ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი“, VIII ტ., თბილისი, 2006, გვ. 331-347.
166. Kvashilava, G. D., 2007-a. The Phaistos Disc – Colchian Goldscript (2). In *Scientific-Popular and Literary Magazine Aea. Vol. 12, Publishing House Egrisi. Tbilisi, 2007, pp. 15-23.*

კვაშილავა გ. დ., 2007-ა. ფესგოსის დისკო – კოლხური ოქროდამწერლობა. ფესგოსის დისკოზე ამოგვიფრული საგალობელი და მისი თარგმანი. უცხოელ მკვლევართა წერილები ინგლისურად და ქართულად. *სამეცნიერო-პოპულარული და ლიგერატურული ჟურნალი „აია“, გამოცემლობა „ევრისი“, №12, თბილისი, 2007, გვ. 3-14.*

167. Kvashilava, G. D., 2007-b. The Phaistos Disc – Colchian Goldscript (3). *In Historical-Ethnological Researches. Ivane Javakhishvili History and Ethnology Institute. Vol. IX. Tbilisi, 2007, pp. 241-273.*

კვაშილავა გ. დ., 2007-ბ. ფესგოსის დისკო – კოლხური ოქროდამწერლობა. *ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო კრებული: „ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი“, IX ტ., თბილისი, 2007, გვ. 206-240.*

168. Lahanas, M., 2005. Ancient Greek Armory, Shields and Helmets. *Electronic Publishing, 2005.*

169. Laroche, E., 1960. Les hiéroglyphes hittites. *Première partie, L'écriture, Éditions du Centre National de la Recherche Scientifique, Paris, 1960.*

170. Lortkipanidze, O. D., 1972. The Culture of Old Cholchis. *Publishing House Khelovneba, Tbilisi, 1972 (in Georgian).*

ლორთქიფანიძე ოთ., 1972. ძველი კოლხეთის კულტურა. *გამომცემლობა „ხელოვნება“, თბილისი, 1972.*

171. Lortkipanidze, O. D., 1984. The Temple-Town of Colchis. (The History of Archeological Excavations in Vani). *Publishing House Nauka, Moscow, 1984 (in Russian).*

Лордкипанидзе От. Д., 1984. Город-Храм Колхиды (История археологических раскопок в Вани). *Издательство „Наука“, Москва, 1984.*

172. Lortkipanidze, O. D., 1986. Argonautica and Old Colchis. *Publishing House Sabchota Sakartvelo, Tbilisi, 1986 (in Georgian).*



ლორთქიფანიძე ოთ., 1986. არგონავტიკა და ძველი კოლხეთი. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1986.

- 173. Lortkipanidze, O. D., 1989. The Heritage of Ancient Georgia. *Publishing House Metsniereba. Tbilisi, 1989 (in Russian)*.
 Лордкипанидзе От. Д., 1989. Наследие древней Грузии. *Издательство Мецниереба. Тбилиси, 1989.*
- 174. Lortkipanidze, O. D., 1991-a. Vani: an Ancient City of Colchis. *Greek, Roman and Byzantine Studies 32 (2), 1991, pp. 151-195.*
- 175. Lortkipanidze, O. D., 1991-b. The Greeks in Colchis. *Ed. in M. Koromila, the Greeks in the Black Sea, Athens, 1991, pp.190-197.*
- 176. Lortkipanidze, O. D., 1991-c. *Archaeologie in Georgien. Weinheim, 1991.*
- 177. Lortkipanidze, O. D., 2001. The Golden Fleece: Myth, Euhemeristic Explanation and Archaeology. *Oxford Journal of Archaeology 20(1), 2001, pp. 1-38.*
- 178. Lortkipanidze, O. D., 2002. At the Beginnings of Georgian Civilization. *Publishing House TSU, 2002 (in Georgian)*.
 ლორთქიფანიძე ოთ., 2002. ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან. *თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2002.*
- 179. Lurje, S. Ja., 1957. The Language and Culture of Mycenaean Greek. *Academy of Sciences of USSR. Moscow-Leningrad, 1957 (in Russian)*.
 Лурье С. Я., 1957. Язык и культура микенской Греции. *Издательство Академии Наук СССР, Москва-Ленинград, 1957.*
- 180. MacDonald, J. P., 1999. A Statistical Study of the Phaistos Disc. *Kadmos 38, 1999, pp. 19-30.*
- 181. MacDonald, J. P., 2000. Structural Parallelism of the Phaistos Disc: A Statistical Analysis. *Kadmos, 39, 2000, pp. 57-71.*



32.
33.
34.
35.
36.
37.
38.
39.
90.

Machavariani, G. I., 1965. Common Kartvelian Consonant System. *Publishing House TSU, 1965 (in Georgian)*.

მაჭავარიანი გ., 1965. საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა. *თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1965.*

Mackay, A., 1965. On the Type-Font of the Phaistos Disk. *Statistical Methods in Linguistics, IV, 1965, pp. 15-25.*

Makalatia, S., 1941, 1992. The History and Ethnography of Mingrelia. *Tbilisi, 1941, 1992 (in Georgian)*.

მაკალათია ს., 1941, 1992. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. *თბილისი, 1941, 1992.*

Marinatos, S., 1959. Kreta und das mykenische Hellas. *München, 1959.*

Marinatos, S., 1962. Zur Frage der Grotte von Arkalochori. *Kadmos 1, 1962, pp. 87-94.*

Marinatos, S., 1973. The First Mycenaean in Greece. In Bronze Age Migrations in the Aegean, Archaeological and Linguistic Problems in Greek Prehistory. *Eds. R. A. Crossland & Ann Birchall, London, Duckworth, 1973, pp. 107-113.*

Marr, N. Y., 1902. Gods of Pagan Georgia according to Ancient Georgian Sources. *Zvoraio-B. Vol. XIV. St. Petersburg, 1902 (in Russian)*.

Марр Н. Я., 1902. Боги языческой Грузии по древнегрузинским источникам. *Зворао-б, т. XIV, Санкт-Петербург, ст. 1902.*

Marr, N. Y., 1910. Grammar of the Chane (Laz) Language with Chrestomathy and Dictionary. *St. Petersburg, 1910 (in Russian)*.

Марр Н. Я., 1910. Грамматика чанскаго (лазскаго) языка съ хрестоматією и словаремъ. *Матеріалы по яфетическому языкознанію, II, Санкт-Петербург, 1910.*

Marr, N. Y., 1912. Tubal-Kain Influence in Swan. *IIAN. IV, #18. St. Petersburg, 1912 (in Russian)*.



- Марр Н. Я., 1912. Тубал-кайнский вклад в сванском. *Известия Имп. АН. IV серия, #18, Санкт-Петербург, 1912.*
191. Marr, N. Y., 1920. Japhetic Caucasia and the Third Ethnic Element in the Creation of the Mediterranean Culture. *Selected Works, 1920 (in Russian).*
- Марр Н. Я., 1920. Яфетический Кавказ и третий этнический элемент в соиздании средиземноморской культуры. *Избранные работы, 1920.*
192. Marr, N. Y., 1936. Language and History. *Leningrad, 1936 (in Russian).*
- Марр Н. Я., 1936. Язык и История. *Ленинград, 1936.*
193. Martin, A., 2000. Der Diskos von Phaistos – Ein zweisprachiges Dokument geschrieben in einer frühgriechischen Alphabetschrift. *Ludwig Auer Verlag, 2000.*
194. Massey, K. & K., 2000. Mysteries of History Solved, the Phaistos Disk Cracked. *Massey Electronic Publishing, 2000, pp. 1-69.*
195. MEG, 2000. Mycenaean (Linear B) – English Glossary. *The Dictionary created in 2000 by Gavalas Markos. Electronic Publishin, 2000.*
196. Megrelidze, I. M., 1938. Laz and Mingrelian Stratum in Gurian. *Proceedings of N. Y. Marr Institute of Language and Thought, Leningrad, 1938 (in Russian).*
- Мегрелидзе И. В., 1938. Лазский и мегрельский слой в гурийском. *Труды института языка и мышления им. Н. Я. Марра, Москва-Ленинград, 1938.*
197. Meillet, A., 1936. Aperçu d'une Histoire de la langue Grecque. *Paris, 1936.*
198. Melchert, H. C., 1996. Anatolian Hieroglyphs. *In the World's Systems, ed. P. T. Daiels & W. Bright. New York, Oxford University Press, 1996.*
199. Melikishvili, G. A., 1959. To History of Ancient Georgia. *Tbilisi, 1959 (in Russian).*

Меликишвили Г. А., 1959. К истории древней Грузии. Тбилиси, 1959.



100. Meriggi, P., 1962. Hieroglyphisch-hethitisches Glossar. Zweite, völlig umgearbeitete Auflag. Wiesbaden, Otto Harrassowitz, 1962.

101. Molchanov, A. A., 1980. Mysterious Scripts of the First Europeans. Publishing House Nauka, Moscow, 1980 (in Russian). Молчанов А. А., 1980. Таинственные письма первых Европейцев. Издательство „Наука“, Москва, 1980.

102. MPW, 1991, 1992. Myths of the People of the World. Encyclopedia. Vol. I, II. Editor-in-chief S. A. Tokarev, Moscow, 1991, 1992 (in Russian).

МНМ, 1991, 1992. Мифы Народов Мира. Энциклопедия I, II т., Главный редактор С. А. Такарева, Москва, 1991, 1992.

103. Müllerus, C., 1885. Fragmenta Historicorum Graecorum. Vol. I. Parisiis, 1885.

104. Nahm, W., 1969. Zur Strukturen der Sprache des Diskos von Phaistos, in *Kadmos*, VIII, 2, 1969, pp. 110-119.

105. Nahm, W., 1975. Vergleich von Zeichen des Diskos von Phaistos mit Linear A. *Kadmos*, Vol. 14, No. 2, 1975, pp. 97-101.

106. Neumann, G., 1968. Zum Forschungsstand beim Diskos von Phaistos, in *Kadmos. Zeitschrift für vor- und frühgriechische Epigraphik Bd. VII, Heft 1, Berlin, 1968, S. 27-44.*

107. Nonni Panopolitani Dionysiacorum linri, 1909-1911. Edidit A. Ludwich. I-II. Lipsiae, 1909-1911.

108. Nutsubidze, Sh., 1983. Works, VIII. Publishing House Metsniereba, Tbilisi, 1983 (in Georgian).

ნუცუბიძე შ., 1983. შრომები. VIII ტ., გამომცემლობა „მეტნიერება“, თბილისი, 1983.

109. Ohlenroth, D., 1996. Das Abaton des Lykäischen Zeus und der Hain der Elaia: Zum Diskos von Phaistos und zur frühen griechischen Schriftkultur. M. Niemeyer, 1996.

110. Olivier, J.-P., 1975. Le Disque de Phaistos. Édition

Photographique, in: Bulletin de Correspondance Hellénique. Bd, numéro 99, vol. 1, Paris, 1975, pp. 5-34.

211. Olivier, J.-P.; Godart, L.; Laffineur, R., 1981. Un épingle minoenne en or avec inscription en Linéaire A. *Bulletin de Correspondance Hellénique*, 105, 1981, pp. 3-25.
212. Olivier, J.-P. & Godart, L., 1996. Corpus Hieroglyphicarum Inscriptionum Cretae. *École française d'Athènes, Études Crétoises 31, De Boccard, Édition-Diffusion, Paris, 1996.*
213. Owens, G. A., 1999. The Structure of the Minoan Language. *Journal of Indo-European Studies*, 27: 1 & 2, 1999, pp. 15-55.
214. Owens, G. A., 2000. Pre-Hellenic language(s) of Crete: Debate and discussion. *Journal of Indo-European Studies*, 28: 1 & 2 (Spring/Summer), 2000, pp. 237-253.
215. Owens, G. A., 2003. Cretan Hieroglyphic Inscriptions in English Museums (Excluding the Ashmolean Museum Oxford). *Cretan Studies, Vol. 8, Adolf M. Hakkert-Publisher-Amsterdam, 2003, pp. 179-184.*
216. Owens, G. A., 2006. Evidence for the Minoan Language (5) – the Phaistos Disk. *Electronic Publishing, 2006, pp. 41-99.*
217. Palaima, Th. G.; Pope, E. I.; Reilly, F. K., 2000. Unlocking the Secrets of Ancient Writing, the Parallel Lives of Michael Ventris and Linda Schele and the Decipherment of Mycenaean and Mayan Writing. *Catalogue of an Exhibition in conjunction with the Eleventh International Mycenological Colloquium, the University of Texas at Austin, March 9- August 1, 2000.*
218. Palaima, Th., G., 2004. Mycenaean Accounting Methods and Systems and Their Palace within Mycenaean Palatial Civilization. *Creating Economic Order, Record-Keeping, Standardization, and the Development of Accounting in the Ancient Near East. Vol. IV, Edited by M. Hudson, C. Wunsch, Electronic Publishing, 2004, pp. 269-301.*
219. Parada, C., 1993. Genealogical Guide to Greek Mythology. *Tonsered: Paul Astöms, Verlag, 1993.*



220. Pape, 1884. Griechsisch–Dutsch. *Handwörterbuch*, Berlin, 1884.

221. Parallel Hebrew Old Testament, 1996. *Electronic Publishing, 1996 (in Hebrew and Aramaic)*.

222. Pernier, L., 1908. Il Disco di Phaestos con caratteri pittografici, in *Ausonia*, III, 1908, pp. 255-302.

223. Pernier, L., 1935. Il Palazzo Minoico di Festòs. I, 1935, pp. 419-429.

224. Pernier, L. & Banti, L., 1951. Il Palazzo Minoico di Festòs. II, Rome: *La Libreria Dell Stato*, 1951.

225. Photii Lexicon, 1864. *Recensuit, annotationibus instruxit et prolegomena addidit S. A. Nabar. I-II. Lugduni Batavorum*, 1864.

226. Pirtskhelava, S., 1948. The Ancestors of Georgians and Related Tribes in Asia Minor in the 40th century BC. *Publishing House Sakhelgami, Tbilisi, 1948 (in Georgian)*.
 უირცხელავა ს., 1948. ქართველთა წინაპრები და მათი მონათესავე გომები წინა აზიაში 40-6 ს.ს. ძვ.წ. გამოცემლობა „სახელგამი“, თბილისი, 1948.

227. Platon, N., 1966. Crete. London, 1966.

228. Polák, V., 1955. Contributions à la grammaire historique des langues kartvéliennes: *Archiv Orientální, XXIII, 1955, 1-2*.

229. Pomerance, L., 1976, 1979. The Phaistos Disk: An Interpretation of Astronomical Symbols. *Paul Åströms förlag, Göteborg, 1976; reviewed by D. H. Kelley in the Journal of Archeoastronomy, Vol II, n^o3, Summer, 1979*.

230. Prendergast, J., 2006. Notes on the Phaistos Disc. *Electronic Publishing, 2006*.

231. Preziosi, D.; Hichcock, L. A., 1999. Aegean Art and Architecture. *Oxford History of Art. Oxford University Press, 1999*.

232. Prokosch, E., 1948. Comparative German Grammar. *Philadelphia: The Linguistic Society of America. Publisher University of Pennsylvania Press, 1948*.

233. Prokosch, E., 1954, 1962-1966. Comparative Ggrammar of



the Germanic Languages. Translated from English by T.N. Sergeeva. Edited by B.A. Zvegintsev. *Publishing House Innostrannaja Literatura. Moscow, 1954; 1-4, 1962-1966 (in Russian).*

Прокощ Э., 1954, 1962-1966. Сравнительная грамматика германских языков. *Перевод с английского Т. Н. Сергеевой. Под редакцией и с предисловием В. А. Звегинцева. Издательство иностранной литературы. Москва, 1954; Т. 1-4, 1962-1966.*

234. Ritter, C., 1864. The History of the Study of the Earth and the Findings in this Subject. *SPB, Moscow, 1864 (in Russian).*

Риттеръ К., 1864. Исторія землеведѣнія и откытіи этому предмету. *СПБ, Москва, 1864.*

235. Ridderstad, M., 2007. The Cretan Hieroglyphic Inscription on the Mallia Stone Table. *Anistoriton Journal, IniSitu, Vol. 10, no 3. 2007.*

236. Rjabchikov, S.V., 1998. Ancient Texts of Slavs and Adige. *Krasnodar, 1998 (in Russian).*

Рябчиков С. В., 1998. Древние тексты славян и адыгов. *Краснодар: Торгово-промышленная палата Краснодарского края, 1998.*

237. Robison, A., 2001. Ancient and Undeciphered Scripts, in: *the Seventy Great Mysteries of the Ancient World, Fagan, B. M. (ed.), 2001, pp. 238-267 (Linear A and the Phaistos Disk, pp. 250-253).*

238. Robinson, A., 2002-a. The Man who Deciphered Linear B, the Story of Michael Ventris. *2002.*

239. Robinson, A., 2002-b. Lost Language. The Enigma of the World's Underciphered Scripts, 2002 [pp. 296-315. *The Phaistos Disc (Crete)*].

240. Rosen, G., 1845, 1944. Über die Sprache der Lasen. *Berlin, 1845, pp. 11, 29-37; 1944.*

241. Rosen, G., 1846. Über das Mingrelische, Suanische und Abchasische. *Berlin, 1846, pp. 45-57.*



142. Rougemont F., 2004. The Administration of Mycenaean Sheep Rearing (flocks, shepherds, collectors). *Electronic Publishing, 2004.*
143. Rumpel, D., 1990. On the Internal Structure of the Diskos of Phaistos Text. *Hammerl, R. (Ed.), Glottometrika 12 (Quantitative Linguistics Vol. 45), Bochum, Brockmeyer, 1990, pp. 131-149.*
144. Rumpel, D., 1994. Some Quantitative Evaluations of the Diskos of Phaistos Text, in *Journal of Quantitative Linguistics, vol. 1, No. 2, 1994, pp. 156-167.*
145. Rumpel, D., 2003. The Production of the Phaistos Disk – Experimental Studies. *Anistoriton: In Situ, Vol. 7, Sept. 2003, Section P033 of 15.*
146. Rumpel, D., 2004. On the Printing Process of the Phaistos Disc. *Anistoriton: In Situ, Vol. 8, March 2004, Section P041.*
147. Rumpel, D., 2006. An Approximate Interpretation of the Diskos of Phaistos Text. *Anistoriton Journal, vol. 10, 2006.*
148. Schachermeyr, Fr., 1955. Die ältesten Kulturen Griechenlands. *Stuttgart, 1955.*
149. Schachermeyr, Fr., 1960. Das Keftiu-Problem und die Frage des ersten Auftretens einer griechischen Herrschaft imminoischen Kreta. *Jahreshefte des Österreichischen Archäologischen Institutes, 45, 1960, pp. 44-68.*
150. Schachermeyr, Fr., 1967. Ägäis und Orient. Die überseeischen Kulturbeziehungen von Kreta und Mykenai mit Ägypten, der Levante und Kleinasien unter besonderer Berücksichtigung des 2. Jahrtausends v. Chr. *Wien, 1967.*
151. Schachermeyr, Fr., 1979. Die minoische Kultur des alten Kreta. *Kohlhammer Stuttgart, Berlin, Köln, Mainz, 1979.*
152. Schertel, E., 1948. Der Diskus von Phaistos. Wege zu seine Entzifferung, in *Würzburger Jahrbücher für die Altertumswissenschaft, 3, 1948, pp. 334-363.*
153. Schmidt, K. H., 1961. Sibilanten- und Affrikatenkorrespondenz in den Kartwelsprachen. *Révue de Kartvéologie, v. XI-XII, #36-37, Paris, 1961, pp. 149-163.*



254. Schmidt, K. H., 1962. Studien zur Rekonstruktion des Lautstandes der Südkaukasischen Grundsprache. *Wiesbaden, 1962.*
255. Schmidt, K. H., 1978. On the reconstruction of Proto-Kartvelian, in *Bedi Kartlisa. Revue de Kartvélogie. Études Géorgiennes et Caucasiennes, vol. 36, Paris, 1978, pp. 246-265.*
256. Schmitt-Brandt, R., 2002-a. Minoisch, Hattisch und Georgisch. *Caucasica 5. Tbilisi, 2002, pp. 97-102.*
257. Schmitt-Brandt, R., 2002-b. Kaukasus: Berg der Sprachen. *Sprache und Kultur, N^o3, Staatliche Ilia Tschawtschawadse Universität Tbilissi für Sprache und Kultur, Tbilissi, 2000, pp. 121-123.*
258. Schmitt-Brandt, R., 2003. Zur Frage der kartwelisch-anatolisch-aegeischen Sprachparallelen. *Caucasica 6, 2003.*
259. Scholia Graeca in Aristophanem, 1855. *Edidit Fr. Dübner. Parisiis, 1855.*
260. Scholia in Apollonii Argonautica ex recensione Henrici Keilii. *Ed. R. Merkel. Lipsiae, 1854.*
261. Schwartz, B., 1959. The Phaistos Disk. I-II. In *Journal of Near Eastern Studies, Vol. 18, No. 2, 1959, pp. 105-112, 222-226.*
262. Schwyzer, E., 1939, 1950, 1953. Griechische Grammatik (*auf der Grundlage von Karl Brugmanns Griechischer Grammatik*), C.H. Beck'sche Verlagsbuchhandlung, I Band, München, 1939, II – 1950, III – 1953.
263. Sergievskij, M. V., 1952. Introduction to Roman Linguistics. *Moscow, 1952 (in Russian).*
Сергиевский М. В., 1952. Введение в романское языкознание. *Москва, 1952.*
264. Shanidze, A., 1960. On the Origin of the Sound J in Kartvelian Languages, II. *Tbilisi, 1960 (in Georgian).*
შანიძე აკ., 1960. ჯ ბგერის წარმოშობის წყაროები ქართველურ ენებში. II ტ. *თბილისი, 1960.*
265. Shanidze, A., 1973. Foundations of the Grammar of the



Georgian Language I. *Tbilisi, 1973 (in Georgian).*
 შანიძე აკ., 1973. ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. I
 ტ. თბილისი, 1973.

66. Sichinava, V., 1953. Fragment from the History of Old
 Colchian Culture. *Proceeding of Batumi State Pedagogical
 Institute. Bd. III. Batumi, 1953, pp. 81-101 (in Georgian).*

სიჭინავა ვლ., 1953. ძველი კოლხეთის კულტურის ისტო-
 რიიდან. კოლხური „კირბების“ ადგილისათვის ქართული
 დამწერლობის ისტორიაში. *ბათუმის სახელმწიფო ჯე-
 ინსტიტუტის შრომები, ტ. III, 1953, გვ. 81-101.*

67. Sidorova, N.A., 1972. The Art of Aegean World. *Publishing
 House Iskusstvo, Moscow, 1972 (in Russian).*

Сидорова Н. А. 1972. Искусство эгейского мира.
Издательство „Искусство“, Москва, 1972.

68. Sokolov, G., 1972. Aegean Art. *Publishing House
 izobrazitelnoe iskustva. Moscow, 1972 (in Russian).*

Соколов Г., 1972. Эгейское искусство. *Серия Искусство
 стран и народов мира. Издательство „Изобразительное
 искусство“, Москва, 1972.*

69. Sornig, K., 1997. Wohlgenemthe Bemerkungen zum
 Umgang mit einem nach wie vor unlesbaren Text. *Institut für
 Sprachwissenschaft der Universität Graz, Herbst, 1997, S. 69-
 104.*

70. Sprengel, K. J., 1792. Versuch einer pragmatischen
 Geschichte der Arzneikunde. I, 1792.

71. Stawell, F. M., 1911. An Interpretation of the Phaistos
 Disk, in the *Burlington Magazine for Connoisseurs, Vol. 19, No.
 97. Apr., 1911, pp. 23-29, 32-38.*

72. Strabonis Geographica, 1915-1925. *Edidit August
 Meineke. I-III. Lipsiae, 1915-1925.*

73. Strabo, 1917-1932. The Geography. *Translated by Horace
 Leonard Jones; Loeb Classical Library. 1-8 vols. 1917-1932.*

74. Suidae Lexicon, 1854. Ex Recognitione Immanuelis
 Bekkeri. *Berolini. Typis et Impensis Georgii reimeri, 1854.*



275. Suidae Lexicon, 1928-1938, 1994, 2001. *Edidit Ada Adler Lipsiae, 1928, 1931, 1933, 1935, 1938. Pars 1: A-C; 4: P-Ps, 5: Praefationem indices dissertationem continens, Leipzig, 2001; 2: D-H; 3: K-O, Leipzig, 1994.*
276. Sundwall, J., 1927-1928. Phaistos-Diskus, in (Eberts) *Reallexikon der Vorgeschichte, 10, 1927-1928, pp. 124-126.*
277. The Secrets of Old Scripts: Problems of Deciphering (Selected Writings), 1976. *Ed. I. M. Djakonov. Publishing House Progress. Moscow, 1976 (in Russian).*
 Тайны древних письмен: Проблемы дешифровки (Сборник статей), 1976. *Перевод с английского, немецкого французского и итальянского языков. Составление, редакция, предисловие И. М. Дьяконова. Издательство Прогресс, Москва, 1976.*
278. Timm, T., 2004. Der Diskos von Phaistos – Anmerkungen zur Deutung und Textstruktur, in *Idogermanische Forschungen, Band 109, Electronic Publishing, 2004, pp. 204-231.*
279. Timm, T., 2005. Der Diskus von Phaistos: Fremdeinfluss oder kretisches Erbe? *Herstellung und Verlag: Books on Demand GmbH, Norderstadt, BoD, 240 S., 2005.*
280. Topuria, V., 1938. On Word-formation with Prefixes ne-, ni-, na- in Kartvelian Languages. *Proceedings of TSU, VII. Tbilisi, 1938 (in Georgian).*
 თოფურია ვ., 1938. ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან: ნე-, ნი, ნა- პრეფიქსებისათვის. *გვილისის უნივერსიტეტის შრომები, VII. თბილისი, 1938.*
281. Topuria, V., 1941. About n and s Strata in Kartvelian Languages. *Moambe, Journal of Georgian Academy of Sciences, II, #1-2, Tbilisi, 1941 (in Georgian).*
 თოფურია ვ., 1941. ნ და ს უფნებისათვის ქართველურ ენებში. *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, გ. II, № 1-2, თბილისი, 1941.*
282. Topuria, V., 1954. About Homogeneity of Grammatical Processes in Kartvelian Languages. *IKE VI, Tbilisi, 1954 (in*

Georgian).

თოფურიძე ვ., 1954. გრამატიკულ მოვლენათა ერთგვაროვანი პროცესი ქართველურ ენებში. იკვ, VI, თბილისი, 1954.

3. Totten, N., 1976. Phaistos Disk: the Oldest Printed Text. *Bantley College, Waltham, Massachusetts. The Epigraphic Society, Occasional Publications, vol. 4, no. 82, Oct., 1976.*

4. Tsagareli, A., 1880. Mingrelian Studies. Vol. I, II. *St. Petersburg, 1880 (in Russian).*

Цагарელი Ал., 1880. Мингрельские этюды. *Мингрельские тексты с переводомъ и объясненіями, I; Опытъ фонетически мингрельского языка, II, Санкт-Петербургъ, 1880.*

5. Tsereteli, M., 1924. The Land of Hittite, its Peoples, Languages, History and Culture. *Constantinople, 1924 (in Georgian).*

წერეთელი მ., 1924. ხეთების ქვეყანა, მისი ხალხები, ენები, ისტორია და კულტურა. *კონსტანტინეპოლი, 1924.*

6. Tvaradze, Al., 2004. Georgia and Caucasus in European sources (on the Basis of Historic and Cartographic Material of the 12th-16th Centuries). *Tbilisi, 2004 (in Georgian).*

თვარაძე ალ., 2004. საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში (XII-XVI საუკუნეთა ისტორიოგრაფიული და კარტოგრაფიული მასალის საფუძველზე). *თბილისი, 2004.*

7. Urushadze, A., 1949. On the Relationship of Colchis and the Island of Lemnos. *TSU Proceedings, 37, Tbilisi 1949, pp. 241-249 (in Georgian).*

ურუშაძე აკ., 1949. კოლხეთისა და კუნძულ ლემნოსის ურთიერთობისათვის. *თბილისის უნივერსიტეტის შრომები, გ. 37, თბილისი, 1949, გვ. 241-249.*

8. Urushadze, A., 1958. The Note of Greek Scholiast about the Oldest Habitation of Macrones. *Abstracts of the 3d Scientific Session of the Faculty of Philology. Tbilisi, 1958 (in Georgian).*



ურუშაძე აკ., 1958. ბერძენი სქოლიასტის ცნობა მაკრონთა უძველესი საცხოვრისის შესახებ. *თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის III სამეცნ. სესიის თემისები. თბილისი, 1958.*

289. Urushadze, A., 1961. Macrians and Phaiakes. *Abstracts of the Session dedicated to TU Jubilee. Tbilisi, 1961 (in Georgian).*

ურუშაძე აკ., 1961. მაკრონები და ფეაკები. *თბილისის უნივერსიტეტის საიუბილეო სამეცნ. სესიის თემისები. თბილისი, 1961.*

290. Urushadze, A., 1963. About Heniochi. *Proceedings of TU, 96, Tbilisi, 1963 (in Georgian).*

ურუშაძე აკ., 1963. ჰენიოხების შესახებ. *თსუ „შრომები“, 96, თბილისი, 1963.*

291. Urushadze, A., 1964. Ancient Colchis in the Myth of the Argonauts. *Tbilisi University Publishing, Tbilisi, 1964 (in Georgian).*

ურუშაძე აკ., 1964. ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში. *თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1964.*

292. Van Reinier, M. J., 1977. On the start of printing of the Phaistos Disc, *SMII, Journal of Linguistic Calculus, Stockholm, 1977, S. 29-36.*

293. Ventris, M. G. F., 1940. Introducing the Minoan Language, *in AJA, 44, 1940, pp. 494-520.*

294. Ventris, M., 1952. Deciphering Europe's Earliest Scripts on the Cretan Tablets. *British Broadcasting Corporation (BBC) 1-7-1952, the Listener 10-7-1952, pp. 57-58; Work Notes (below), Electronic Publishing, pp. 363-367.*

295. Ventris, M., 1953. A Note on Decipherment Methods. *Antiquity 27, 1953, pp. 200-206.*

296. Ventris, M. & Chadwick, J., 1953. Evidence for Greek Dialect in the Mycenaean Archives. *In the Journal of Hellenic Studies. Vol. 73, 1953, pp. 84-103 and the Times, June 1953.*

297. Ventris, M. & Chadwick, J., 1956, 1973. Documents in



Mycenaean Greek. *Cambridge University Press, 1956; Second edition, 1973.*

8. Ventris, M., 1988. Work Note 20 (1-6-1952), in *Work Notes on Minoan Language Research and Other Unedited Papers*, edited by A. Sacconi, Roma, *Incunabula Graeca*, 1988.

9. Ventris, M.; Bennett, L. B.; Chadwick, J., 1956. The Knossos Tablets: A Revised Transliteration. *Institute of Classical Studies Supplementary Papers 2, London, 1956.*

10. Vieni, R., 2005. Il Disco di Festo: Un calcolatore vecchio di 4000 anni? *Aptikitera.net Il portale Italiano dell'Archeologia Misteriosa, 2005, pp.1-22.*

11. Vogt, H., 1939. Alternances vocaliques en géorgien: *Norsk Tidsskrift for Sprovidenskap, XI, 1939.*

12. Vogt, H., 1947. Suffixes verbaux en géorgien ancien: *NTS, XIV, 1947.*

13. Vogt, H., 1955. Le lasque et les langues caucasique. *Bulletin de la Société de Linguistique de Paris, 1955.*

14. Vogt, H., 1958. Structure phonémique du géorgien: *NTS, XVIII, 1958.*

15. Wendel C., 1932. Die Überlieferung der Scholien zu Apollonios von Rhodos. *Berlin, 1932.*

16. Weisman, A. D., 1899, 2006. Greek-Russian Dictionary. *St. Petersburg, 1899, 2006 (in Russian).*

Вейсман А. Д., 1899, 2006. Греческо-русский словарь. *Санкт-Петербург, 1899, 2006.*

17. Whittaker, H., 2005. Social and Symbolic Aspects of Minoan writing. *European Journal of Archaeology, Vol. 8, #1, 2005, pp. 29-41.*

18. Wilamowitz-Moellendorff, U. von, 1893, I. Aristoteles und Athen. *Berlin, Weidmannsche-Buchhandlung, 1893.*

19. Woudhuizen, F. Ch., 2006. The Ethnicity of the Sea Peoples. *Electronic Publishing, 2006, pp. 1-167.*

20. Zebisch, H., 1987-a. Linear A – Die Entschlüsselung Einer Ursprache Europas. *1 Band, Schärding, 1987.*



311. Zebisch, H., 1987-b. Linear A – Einführung in Eine Ursprache Europas. 2 Band, Schärding, 1987.
312. Zebisch, H., 1987-c. Die Pelasger – Geschichte und Kultur aus Dokumenten ihrer Zeit (Linear A). 3 Band, Schärding, 1987.
313. Zebisch, H., 1988. Pelasgisch – Eine Iberische Sprache. Linea-Schriften – 4 Band, Schärding, 1988.
314. Zebisch, H., 1989. Frühgeschichtliche Schriften Europas. Linea-Schriften – 7 Band, Schärding, 1989.
315. Zebisch, H., 1991. Iberisch – Die Sprache Der Götter. Linear-Schriften – 8 Band, Schärding, 1991.
316. Zebisch, H. R., 1992. Die Kretischen Linear-Schriften und die Iberische Sprachfamilie. Cretan Studies, Vol. 3, Adolf M. Hakkert-Publischer-Amsterdam, 1992, pp. 203-230.
317. Zenobii Athoi Proverbia, 1982. Volumen quartum (2,1-40). Ed. Winfried Bühler. Published by Vandenhoeck & Ruprecht, 1982.
318. Zhgenti, S., 1953. Chan-Mingrelian Phonetics. Tbilisi, 1953 (in Georgian).
ქვენტი ს., 1953. ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა. თბილისი, 1953.
319. Zhordania 1892. The Chronicles. Vol. I. 1892 (in Georgian).
ქორდანიას თ., 1892. ქრონიკები, I. 1892.
320. "Εφη Πολυγυιαννάκις, 2000. 'Ο Δίσκος τής Φαιστου Μιλάει 'Ελληνικά, Γεωργιάδης, 'Αθήνα, 2000.

ისტორიზმებისა და არქაიზმების სტილისტიკური ფუნქციისათვის (ქართული ენის მასალაზე)

სტილისტიკა ენათმეცნიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია და, მარტივი განმარტების თანახმად, სტილს სწავლობს. თავად სიტყვა სტილი საერთოა ევროპული ენების უმრავლესობისათვის და როგორც საყოველთაოდაა ცნობილი, ლათინური შტილუს ფორმიდან მომდინარეობს. შტილუს— წვეტიან, საწერ ჯოხს ნიშნავდა და მისი თავდაპირველი დანიშნულება წერა და ნაწერის გასწორება იყო. მოგვიანებით, მან გადატანითი მნიშვნელობაც შეიძინა და უკვე წერის მანერასა და ტექნიკას აღნიშნავდა. იგი განსაკუთრებულ ნორმატიულ დისციპლინად ჩამოყალიბდა და რიტორიკის, ანუ ორატორული ხელოვნების, საფუძველს წარმოადგენდა. სიტყვა სტილის თანამედროვე გაგება მნიშვნელოვნად ფართოა, ხოლო სტილის შესაძლებლობები განუსაზღვრელი, ამიტომ, რომ სტილი შეიძლება სხვადასხვაგვარად შეფასდეს. იგი შეიძლება იყოს მაღალი, დაბალი, კლასიკური, რეალისტური, ორატორული, ეპისტოლარული, სადა, შაბლონური და სხვა.

სტილისტიკა დღეს ენობრივი სტილების, ანუ ენის გამომსახველობითი საშუალებების შემსწავლელი დარგია. ის არის “ნაწილი სიტყვიერების თეორიისა, რომელიც გვასწავლის, რას უნდა მივაქციოთ ყურადღება, რომ ჩვენი ენა და წერა-ლაპარაკი, ჩვენი სიტყვა-პასუხი, სტილი იყოს კანონიერი და ლაზათიანი” [არქიმანდრიტი კირიონი და გრ. ყიფშიძე: 4]; არნოლდ ჩიქობავა კი წერს:” გადმოსაცემი შინაარსის (სათქმე-



ლისა) და გადმოსაცემი ენობრივი საშუალებების (თქმულის) ურთიერთობა – ესაა სტილისტიკის ძირითადი პრობლემა. სხვანაირად რომ ვთქვათ, სტილისტიკა შეისწავლის ენობრივ საშუალებებს მათს მიმართებაში გადმოსაცემ შინაარსთან” [ჩიქობავა: 1946, 168]. ამრიგად, სტილისტიკა წარმოადგენს სიტყვის ხელოვნების შემსწავლელ მეცნიერებას, სიტყვის ხელოვანი კი, თავის მხრივ, სამეტყველო საშუალებებზე დაყრდნობით (ვგულისხმობთ ლექსიკურ და გრამატიკულ საშუალებებს) ჯერ აფასებს, შემდეგ არჩევს, აზროვნებს ნაციონალური ენობრივი ფონდიდან თავისთვის მისაღებ, მეტ-ნაკლებად სუბიექტურ ნიმუშებს და კარს უხსნის განსაკუთრებულ, თვითმყოფად ენობრივ სამყაროს.

სიტყვის ესთეტიკის, კონტექსტში სიტყვის მნიშვნელობის კარგი ცოდნა რამდენადმე დამოკიდებულია ლექსიკოლოგიისა და გრამატიკის ცოდნაზე, მაგრამ ამასთანავე მნიშვნელოვნად განსხვავდება მისი ამოცანა და გამოყენების მასშტაბი, როცა საქმე სტილს შეეხება.

თითოეულ ენას თავისი საკუთარი ასაკი, გრამატიკული კანონები, მოქმედების არეალი, ლექსიკური და ლიტერატურულ-ჟანრობრივი მრავალფეროვნება აქვს, რასაც მნიშვნელოვნად განაპირობებს ამა თუ იმ ენაზე მოლაპარაკე კოლექტივის (ეთნოსის) საერთო კულტურა და ლიტერატურულ-მხატვრული აზროვნების ხარისხი. როცა საუბარია საერთონაციონალურ ენაში სტილთა გამოყოფის შესახებ, ყველა ზემოთ ჩამოთვლილ კომპონენტს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

ენა, როგორც სოციალური მოვლენა, განსხვავებული ფუნქციებს ასრულებს და ადამიანის მოქმედების სხვადასხვა სფეროს უკავშირდება. ენის ზოგად ფუნქციათა შორის მოიაზრება: 1-კომუნიკაციური ანუ

გაგებინების ფუნქცია; 2-ინფორმაციის გადაცემის ანუ ინფორმაციულობის ფუნქცია და 3-ზემოქმედების ფუნქცია.

ჩამოთვლილ ფუნქციათა რეალიზაციის მიზნით ისტორიულად ჩამოყალიბდა ენობრივი განსხვავებულობანი, რომლებმაც ხელი შეუწყო სტილთა ფორმირების პროცესს. თითოეულ სტილს თავისთვის დამახასიათებელი ლექსიკურ-მორფოლოგიური, ხშირად სინტაქსური საშუალებანი აქვს. ამ სახესხვაობებს სხვაგვარად ფუნქციური სტილები შეიძლება ეწოდოს. თავდაპირველად ისინი ექსტრალინგვისტურ (არაენობრივ) საფუძველზე გაჩნდა, მაგრამ მოგვიანებით მჭიდროდ დაუკავშირდა ენობრივ შინაარსს, ე.ი. გადმოსაცემი ინფორმაციის სემანტიკურ-ფორმობრივ მიზანს; დღეს კი ფუნქციური სტილი დაკავშირებულია საერთონაციონალური ენის სამეტყველო საშუალებების შერჩევასთან, მათს ურთიერთდაკავშირებასა და ტექსტის ორგანიზაციის საკითხებთან.

ჩვენი ნაშრომის მიზანს ისტორიზმებისა და არქაიზმების სტილისტიკური ფუნქციის გარკვევა შეადგენს. თავიდანვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამ უკანასკნელთა გამოყენებით ძირითადად სამეცნიერო და მხატვრულ-ლიტერატურული სტილები ხასიათდება. ორივე მათგანი სალიტერატურო ენის წიგნურ სახეობას განეკუთვნება და მთელი რიგი აზრობრივი და ენობრივი თავისებურებანი ახასიათებს. ჩვეულებრივ, სამეცნიერო ტექსტში დასმული საკითხი სათანადოდ გაანალიზდება, დაიშვება ვარაუდები; ამიტომ სამეცნიერო ტექსტს მსჯელობის ხასიათი აქვს და აზრი ზუსტად, ერთმნიშვნელოვნად გამოიხატება. რამდენადაც სამეცნიერო სტილი მკაცრად არგუმენტირებულ მსჯელობას მოითხოვს, აქ ანალიზი ენის გამომხატველობით საშუალებებს ერწყმის და ხან განზოგადებული, აბსტრაქტული მსჯელობით, ხან - კონკრეტულით ყა-



ლიბდება სტილური თავისთავადობა. აქედან გამომდინარეობს განსაკუთრებული მიდგომა ლექსიკურ ერთეულთა შერჩევის მომენტშიც. თხრობა დახვეწილია, ლაკონური, რამდენადმე ერთფეროვანი, ობიექტური და, რაც მთავარია, სამეცნიერო სტილში დაფარულია ემოციურობა, ამიტომ ენის ექსპრესიული ფუნქცია მინიმუმამდეა დაყვანილი. ჩამოთვლილი მახასიათებლები შეიძლება იმისდა მიხედვით მერყეობდეს, თუ რომელი ჟანრია გამოყენებული, რა თემას ეყრდნობა ნაშრომი, ან რა ფორმით იწერება, იქმნება იგი.

სამეცნიერო სტილის ჩამოყალიბება დაკავშირებულია სხვადასხვა დარგის სამეცნიერო ცოდნის ევოლუციასთან. ცნობილია, რომ თავდაპირველად სამეცნიერო ნაშრომის სტილი ახლოს იყო მხატვრულ თხრობასთან. ამ ორი სტილის ერთმანეთისაგან გამიჯვნა აღექსანდრიულ პერიოდში მოხდა, როცა ბერძნულ ენაში, რომელსაც იმდროინდელ ცივილიზებულ სამყაროზე უდიდესი გავლენა ჰქონდა, სამეცნიერო ტერმინოლოგიის შექმნა დაიწყო. შემდგომში სამეცნიერო ტერმინოლოგია ლათინური ენის ბაზით შეივსო, ეს უკანასკნელი კი ევროპული შუასაუკუნეების ინტერნაციონალურ სამეცნიერო ენად გადაიქცა [Розенталь: 1977, 27].

სამეცნიერო სტილში სიტყვა განსაკუთრებული სიზუსტით შეირჩევა. ისტორიზმები, რომლებიც ენის პასიური შემადგენლობის მოქველებულ სიტყვებს ეწოდება, სამეცნიერო ნაშრომში (იგულისხმება არსებითად ჰუმანიტარული მეცნიერებების ნაშრომები) ძირითადად უკვე გამოუყენებელი, არახმარებადი საგნების, მოვლენებისა და ცნებების აღმნიშვნელი სიტყვებია. მათ ნომინატური, ე.ი. სახელდებითი ფუნქცია აქვს, ანუ ისტორიზმები წარსული ეპოქების რეალისტური სურათის აღსადგენად (მხატვრულ სტილში) ან მსჯელობის განსავითარებლად (სამეცნიერო სტილში) გამ-

ოიყენება. ისტორიზმებია, მაგალითად: ვაზირი, სეფე
თუხუცესი, სახლთუხუცესი, კუბასტი (თავსაბურავის
სახეობა) და მრავალი სხვა.

ისტორიზმს, როგორც ლექსიკურ საშუალებას,
სამეცნიერო სტილში პრაგმატული ფუნქცია აქვს. აქ
იგი უბრალოდ დავიწყებას მიცემული საგნების აღმნიშვნელი სიტყვაა და მეცნიერის ხელში მსჯელობის
იარაღი. ივანე ჯავახიშვილი ერთ-ერთ თავის ნაშრომში
წერს:

“შენობის დახურვას ერქვა დაბურვა და სახურავს კიდევ საბურავი ეწოდებოდა. მაგ., ათონის ალაპებში სწერია: ”პანაშვიდი არიშიანისაჲ მოგუცეს ეკლესიისა საბურავად დრაჰკანი” [ჯავახიშვილი: 1946, 112].

ან:

“შაეთელს საქართველოს მეფის ნაგებობათა შორის საქებურად “იპოდრომისა განსხმულობანი”-ც აქვს დასახელებული და ამ ცნობაში ორი გარემოებაა საყურადღებო. უპირველესად აქ თვით ნაგებობის სახელია საგულისხმო. იპოდრომი, როგორც ცნობილია, ცხენების ჯირითში შეჯიბრებისათვის განკუთვნილი იყო. ამ დაწესებულების აღსანიშნავად ქართულს ტერმინი მოეპოვებოდა: ცხენტ-სარბიელი, ასპარეზი და იპოდრომი. ერთი ნაგებობისათვის სახელების ასეთი სიმრავლე უკვე თავისთავად საყურადღებო გარემოებაა. თუ ამასთანავე იმასაც დავაკვირდებით, რომ ცხენტ-სარბიელი ამ დაწესებულების ქართული სახელია, იპოდრომი კი ბერძნულს ტერმინს წარმოადგენს, ხოლო ასპარეზი ამავე ცნების გამომხატველი სპარსული სიტყვაა, მაშინ ეს სამი ტერმინი უბრალო სინონიმების გროვად აღარ გვეჩვენება, არამედ დავრწმუნდებით, რომ ამ გარემოების მიზეზების გამორკვევამ შესაძლებელია ქართუ-



ლი კულტურის ისტორიის ერთი საკითხთაგანის გაშუქების საშუალება მოგვცეს” [ჯავახიშვილი: 1946, 133].

რაც შეეხება მხატვრულ-ლიტერატურულ სტილს, აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა სიტყვის მხატვრულ ფუნქციას ენიჭება. ყველა ენობრივი საშუალება მხოლოდ მხატვრული სახეებისა და ზოგადმხატვრული სივრცის შექმნაში მონაწილეობს, ამიტომ ლიტერატურული სტილი თავისი არსით უაღრესად მყარი, ჩამოყალიბებული და მიზანდასახული სახეობაა. სიტყვათწერას, სიტყვათშემოქმედებას ამ სტილში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება და სიტყვათა უბრალო სინტაქსურ შეერთებას არანაირი ღირებულება არა აქვს.

ისტორიზმების საშუალებით მხატვრულ-ლიტერატურულ სტილში წარსული ეპოქების კონკრეტული სურათის შექმნა შეიძლება. იგი საერთო ლექსიკურ ფონდში შემავალი უაღრესად საინტერესო და თვითმყოფადი ჯგუფია, რომელსაც მკითხველზე სათანადო ემოციური ზეგავლენის მოხდენა შეუძლია. რადგან ენის, როგორც სიტყვიერი მასალის, ყველა შესაძლებლობა მხატვრულ სტილში წარმოჩნდება, ისტორიზმებიც ტექსტის მთლიან ქსოვილში საკუთარი ფუნქციით რეალიზდებიან.

“ყივჩადთა ძაგება მოთავებული არა ჰქონდა ლიბ-არიტს, როცა მესტუმრეთუხუცესმა თორიანი რაინდი შემოიყვანა დარბაზში. ჯერ გიორგი მეფეს მიუჭრა, ხელზე ემთხვია, დავითმა მისკენ წაიწია და გადაჰკოცნა. როცა გამობრუნდა, ბარამ არიშ-იანი შეიცვნეს დარბაზის ერთა” (გამსახურდია: “დავით აღმაშენებელი”).

არქაიზმები, ისტორიზმებისაგან განსხვავებით, ისეთ სიტყვებს ეწოდება, რომელთა საგნობრივი შესატყვისები დღესაც არსებობს, მაგრამ ისინი სხვა, სინონიმური ცალებით – აქტიური გამოყენების ლექსი-

კური ერთეულებით – არიან შევიწროვებულნი. არქაიზმთა სტილისტიკური ფუნქცია მხატვრულ-ლიტერატურულ სივრცეში არსებითად ისეთივეა, როგორიც ისტორიზმებისა. ისინი ავტორის მიერ შექმნილი სამყაროს სტილიზებას უწყობენ ხელს ჭარბობენ პერსონაჟთა მეტყველებასა და გაბმულ თხრობაში. ხშირად მათს გამოყენებას პათეტიკური ელფერიც გადაჰკრავს, თუმცა აქ არქაიზმთა ხმარება-გამოყენების ზომიერება გადამწყვეტ როლს ასრულებს:

“ბედიც თითქო ზეიმს უკარნახებდა ქართველებს; გიორგი მეფეს ბურღუხან მშვენიერისაგან რომ თამარი ჰყვანდა, ხარჭისაგან ქალი მისცემოდა. ჰგვანდა პირიმზეს; არცა ჰგვანდა, როგორ ემგვანებოდა?! პირის ყდა თითქო თამარისავე, მაგრამ ფარგალს ძუნწად მოეხაზნა ქვედა ყბის არე; ნიკაპი მეტად დაღეული, ღამის უჩინი. იცოდა დედოფალმა, ვისგანა ჰყვანდა ის ქალი. არას ეტყოდა. სასახლეშიც კი მიეღო თამარის შიმუწვარად. მადლობელი იყო გიორგი მეუღლისა. თამარიც ღბილად ეპყრობოდა ქალს”. (ვ. ბარნოვი, “პირიმზე”)

მხატვრულ-ლიტერატურული სტილის არქაიზება არა მხოლოდ ძველმა ლექსიკურმა საშუალებებმა შეიძლება გამოიწვიოს, არამედ – წინადადების არქაულმა სტრუქტურამ, არქაულმა შესიტყვებებმა და ძველი ქართულისათვის დამახასიათებელმა მორფო-სინტაქსურმა ფორმამ:

*“ფეხი დამადგით,
გულზე დამადგით ფეხი ყოველმან,
წყალობა ჰყავით
საქართველოს ყოველის მპყრობელმან
ვისურვე დავით...
ფეხქვეშ გაცვითეთ საფლავის ღოღი
ყურძნის მტევნებით...”*

—ასეთი ცოდვა რა გაქვს, მეფეო, მიუტყევი?”

(ანა კალანდაძე, "ფეხი დამადგით")

მოთხრობითი ბრუნვის ნიშნის — მან ნაცვალსახელოვანი ელემენტის გამოყენება, ფსევდოარქაული შესიტყვება — "წყალობა ჰყავით" მოცემულ მაგალითში ის ენობრივი საშუალებანია, რომელნიც ლირიკულ ნაწარმოებში ეპოქის კოლორიტის აღსადგენადაა გამოყენებული და ემოციური განწყობილების სიმძიმის ცენტრს წარმოადგენს.

არქაიზმებს, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ის ლექსიკა მიეკუთვნება, რომლის სინონიმური შესატყვისები ახალ ქართულ ენასაც აქვს, მაგალითად: ავლი — ფერფლი, ერგასი — ორმოცდაათი, თანამეინახე — თანამესუფრე, სიყმილი — შიმშილი, მყვარი — ბაყაყი, ხამლი — ფეხსაცმელი (მისი ერთ-ერთი სახეობა) და მრავალი სხვა.

ძველი ქართული ენის ლექსიკის ერთმა ნაწილმა მნიშვნელოვნად იცვალა სემანტიკური სახე. მაგალითად, აგარაკი ძველ ქართულში სახნავ-სათეს მიწებს ნიშნავდა, დღეს კი — დასასვენებელ ადგილს; დამარხვა — შენახვას, დღეს — დასაფლავებას, დაკრძალვას, დაფლვას; ძველ ქართულში ნიჭი საჩუქარს, ნაბოძებს, ბოძებას გულისხმობდა, დღეს იგი გადააზრიანებულია და ნიშნავს: "ბუნებრივ უნარს შემოქმედებისა კულტურის ამა თუ იმ დარგში — ტალანტს" (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1958.); მკვირცხლი ნიშნავდა ქვეითად მიმავალს, ახალ ქართულში კი ძალიან მოძრავს, სიცოცხლით სავსეს, ცქვიტს გულისხმობს. ასეთი მაგალითები ქართული ენის ლექსიკურ ბანკში უხვად მოიძებნება.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ "ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის" მიხედვით, არქაიზმებადაა მიჩნეული ძველი ქართული ენის ზმნისწინებდარ-

თული სიტყვებიც, მაგალითად: აღავსებს, აღაპყრობს, განაახლებს, განაბნევს, გარდააქცევს, გარდაიქმნება, შთააგდებს, შთააგონებს, წარდგება, წარიშლება და სხვ.

არქაულ ლექსიკად მიჩნეული ჩამოთვლილი სიტყვების უმრავლესობა თანამედროვე ქართულშიც აქტიური გამოყენების სიტყვაა, ზოგიერთი მათგანი კი პასიური ხმარების ლექსიკურ ჯგუფს წარმოადგენს, თუმცა მხატვრულ-ლიტერატურულ სტილში უდიდესი სტილისტიკური ღირებულება აქვთ:

“სად შეაჩერა მერანმა ფრენა?

სად შთაესვენა ბარათაშვილი?”—

იტყვის გალაქტიონი (“გულთა კავშირი”).

საერთოდ, სტილისტიკა ნებისმიერ ლექსიკურ ერთეულს შერჩევითობის პრინციპით განიხილავს. ამ მხრივ, არც ისტორიზმები და არქაიზმები წარმოადგენენ გამონაკლისს. ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სხვადასხვა ფუნქციის მქონე სტილთა დიფერენცირებასა და ორგანიზებაში, რადგან, ნათელია, რომ ლექსიკური განსხვავებულობა, ლექსიკური შედგენილობის სხვადასხვაგვარობა სტილების გამიჯვნის პროცესში ერთ-ერთ ძირითად საკლასიფიკაციო ნიშანს წარმოადგენს.

1. სიტყვიერების თეორია, შედგენილი არქიმანდრიტის კირიონისა და გრ. ყიფშიძის მიერ, ტფ., 1898.
2. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რვატომეული, ტ. V, თბ., 1958.
არნ. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, ტ. I, თბ., 1946.
3. ჯავახიშვილი ივ., მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1946.
4. Д.Э.Розенталь, Практическая стилистика русского языка, М., 1977.



For stylistic function of the historisms and archaisms (Based on the materials of the Georgian Language)

The language as a social phenomenon fulfills the various functions and is related with various spheres of the human action. With the aim of realization of these functions the lingual differences have been formed historically which contributed to formation process of the styles.

The Historisms and Archaisms are the lexical groups which bear the important stylistic loading. The historisms which are the words indicating the already unused things in the modern language are applied mainly by scientific style and here they have the nominative function. Thus, the historism in the hands of the scientist is the tool of discussion. and in the beles-letters it is granted an artistic value; The Historisms participate in creation of artistic features.

The stylistic function of Archaisms are mainly the same as those of hystorisms. They assist to stylize the world created by the author, though the moderateness of their usage-application plays the decisive role..

იმპერატორი სეპტიმიუს სევერუსი და ლაზეთის სამეფო

ახ.წ. II ს. დასაწყისიდან აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ცალკეული პოლიტიკური გაერთიანებები – მაკრონ-ჰენიოხების, ლაზეთის, აფსილების, აბაზგებისა და სანიგების „სამეფოები“ ოფიციალურად რომის „მეგობარ და მოკავშირე“ ქვეყნებს წარმოადგენდნენ. თუმცა, ამ „მეფეთა“ რეალური ძალაუფლება ძალზე შეზღუდული იყო, ისინი მთლიანად რომის კონტროლქვეშ იმყოფებოდნენ და მათი რეალური „მეგობრობა-მოკავშირეობა“ ფორმალური სტატუსის ფარგლებს არ სცილდებოდა [ფიფია: 2007, 21].

კოლხეთის ცალკეული პოლიტიკურ გაერთიანებებიდან ტერიტორიალურად ყველაზე დიდი ლაზეთის სამეფო იყო. ფლავიუს არიანეს ცნობით, ლაზეთა „სამეფოს“ საზღვრები იბერიის ქვეშევრდომობაში მოქცეული ზიდრიტთა ოლქის ჩრდილოეთით აფსილთა მიწა-წყლამდე ვრცელდებოდა [Arr., PPE, 11]. მაშასადამე, ლაზეთს ეჭირათ კოლხეთის ცენტრალური ნაწილი მდ. რიონის ორივე მხარეს. ლაზეთის საზღვარი აფსილებთან მდ. ეგრისწყალზე, ანუ თანამედროვე ლალიძგაზე [მუსხელიშვილი: 1977, 106-113; ლომოური: 1998, 8], აღმოსავლეთით კი იბერიის სამეფოსთან დაახლოებით სკანდა-შორაპნის ხაზზე გადიოდა [Меликишвили: 1959, 352-357].

ასე რომ, ლაზეთი კოლხეთის სხვა წვრილ-წვრილ ერთეულებთან შედარებით საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე იყვნენ განსახლებული და აქედან გამომდინარე, შინაგანი პოტენციითაც აღემატებოდნენ მე-



ზობლებს. ლაზთა „მეფეს“ რომაელი იმპერატორი ნიშნავდა, ხოლო ლაზეთის მმართველთა იმპერიაზე რეალური დამოკიდებულების გარანტიას ფასისის ციხესიმაგრეში დისლოცირებული 400 რჩეული მეომრისაგან დაკომპლექტებული, კარგად აღჭურვილი რომაული გარნიზონი წარმოადგენდა [ფიფია: 2005, 140-141]. ლაზეთის მმართველი წრეებისათვის მეზობელი იბერიის გაძლიერება-გააგრესიულების პირობებში აუცილებელი იყო რომის მხარდაჭერა და, თავის მხრივ, იმპერიისთვისაც ხელსაყრელი იყო მის ხელდებულ ტერიტორიაზე, ზიდრიტთა ოლქში შეჭრილი და შემდგომი ტერიტორიული გაფართოებისაკენ კონცენტრირებული იბერიის შეკავება ვასალური, თავდაცვისუნარიანი ლაზეთის „სამეფოს“ მეშვეობით, რომლის „მეფესაც“ ფასისში დისლოცირებულ რომაულ გარნიზონებთან კავშირში შეექმლო წინ აღდგომოდა იბერიის აგრესიულ პოლიტიკას შავიზღვისპირეთში და გაეკონტროლებინა ჩრდილოეთ კავკასიის გადმოსასვლელები. ასეთი იყო ის ორივე მხარისათვის ხელსაყრელი ურთიერთობა, რომელიც ჩამოყალიბდა ახ.წ. II ს. დასაწყისში რომსა და მის „მეგობარ და მოკავშირე“ ლაზეთის „სამეფოს“ შორის [ფიფია: 2005, 139-141]. მაგრამ, ლაზეთის სამეფო, კოლხეთის სხვა პოლიტიკური გაერთიანებებისაგან განსხვავებით, II ს. თანდათანობით იძენს რეალური სახელმწიფოებრიობის ნიშნებს [ფიფია: 2007, 309], სულ უფრო ძლიერდება და როგორც ჩანს, მისი რომისადმი ერთგულება დიდხანს არ გაგრძელდებულა. VIII-IX სს. ბიზანტიელი ავტორის გიორგი სინგლოზის ცნობით: „სვევრემ გააქცია სპარსელთა მეფე ულიგისსე და დაიმორჩილა ნისიბინი და სხვა ქალაქები, რომლებიც სპარსელებს ჰქონდათ გადაცემული, წინათ კი რომაელებს ეკუთვნოდა. სვევრემ დაიმორჩილა ადიაბენები და არაბები, რომლებიც



ნიგერთან იბრძოდნენ, მანვე (სევერემ) დაიმორჩილა კოლხიკე, ესე იგი ლაზიკე“ [Georg. Syncell., 671, 1-10].

გიორგი სინგელოზის მიერ აღწერილი ეს მოვლენები დაკავშირებულია 193-197 წწ. იმპერატორ სეპტიმიუს სევერუსის ხანგრძლივ ბრძოლასთან კონკურენტებთან, რომელიც პარტიასთან დაპირისპირებაში გადაიზარდა.

192 წ. მოკლეს ანტონინუსთა დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი კომოდუსი, რის შემდეგაც გაჩაღდა დაუნდობელი ბრძოლა იმპერატორის ტახტისათვის. ახალი პრინციპსის პერტინაქსის მმართველობა ხანმოკლე აღმოჩნდა, იგი მალე მოკლულ იქნა პრეტორიანელთა მიერ, რომლებმაც ახალ იმპერატორად მდიდარი სენატორი დიდიუს იულიანე გამოაცხადეს. როგორც მოსალოდნელი იყო, იულიანეს მბრძანებლობაც დიდხანს არ გაგრძელებულა. პრეტორიანელთა მიერ იმპერატორის გამოცხადებას ვერ შეურიგდა რომაული არმია და იულიანეს წინააღმდეგ ერთბაშად სამ ადგილას გაჩნდა აჯანყების კერა. რომაული ჯარების სამმა ძირითადმა დაჯგუფებამ იმპერატორებად თავიანთი კანდიდატები წამოაყენეს: ბრიტანეთის, გალიისა და გერმანიის ლეგიონებმა იმპერატორად გამოაცხადეს ბრიტანეთის მმართველი – დეციმუს კლოდიუს ალბინუსი, აღმოსავლეთის არმიამ – სირიის ლეგატი გაიუს პესცენიუს ნიგერი, ხოლო დუნაის ჯარებმა – ლუციუს სეპტიმიუს სევერუსი [Машкин: 1948, 518-519; Ист. др. Рима: 1981, 268-269; Крист: 1997, 232-238]. იტალიასთან ყველაზე ახლოს მყოფმა სეპტიმიუს სევერუსმა ისარგებლა თავისი ტაქტიკური უპირატესობით და სწრაფად აიღო რომი. დიდიუს იულიანე მოკლეს. სევერუსი სწრაფად მოქმედებდა, მან მოახერხა მოლაპარაკებოდა ალბინუსს [Herod., Hist., II, 15; Jul. Capit., Alb., 7] და მთელი თავისი ძალებით დაიძრა

აღმოსავლეთისაკენ ნიგერის წინააღმდეგ, რომელსაც მხარს უჭერდნენ პართიის მეფე ვოლოგეზ IV და ადიაბენის, ოსროენისა და ქ. გატრას მმართველები. 194 წ. ისოსთან ბრძოლაში ნიგერი საბოლოოდ დამარცხდა და დაიღუპა [El. Spart., Niger, 5; Eutr., VIII, 18,4]. სევერუსი დაიძრა მესოპოტამიისაკენ, გაათავისუფლა ალყაში მოქცეული ნიზიბისის რომაული გარნიზონი და დაამარცხა ადიაბენისა და პართელთა ჯარები (ღ. შპარტ., შეპტ. შევ., 9; უტრ., VIII, 18,4). მაგრამ სევერუსი იძულებული გახდა შეეწყვიტა ლაშქრობა მესოპოტამიაში და დასავლეთში დაბრუნდა, სადაც მის წინააღმდეგ საომრად მზადება დაიწყო კლოდიუს ალბინუსმა [Herod., Hist., III, 5]. ამით ისარგებლა ვოლოგეზ IV-მ, კვლავ დაიპყრო ჩრდილოეთ მესოპოტამია და ალყა შემოარტყა ნიზიბისს. 197 წ. ლუგდუნთან ბრძოლაში სეპტიმიუს სევერუსმა საბოლოოდ გაანადგურა ალბინუსი და სასწრაფოდ დაბრუნდა აღმოსავლეთში. პართელებმა მოხსნეს ნიზიბისის ალყა და უკან დაიხიეს. სევერუსმა კვლავ დაიბრუნა ჩრდილოეთ მესოპოტამია, გაიარა ადიაბენა, დაიპყრო ბაბილონი (იო ჩასს., XXV, 9) და პართიის სამეფოს ორივე დედაქალაქი – სელევკია და ქტეზიფონი, რომელიც რომაელებმა სასტიკად ააოხრეს [El. Spart., Sept. Sev., 16; Herod., Hist., III, 9]. 198-199 წწ. რომაელთა წარმატებული აღმოსავლური კამპანიის შემდეგ, პირადად სევერუსსა და ვოლოგეზ IV-ს შორის გამართულ მოლაპარაკებაზე, პართიის სამეფომ საბოლოოდ ცნო ჩრდილოეთ მესოპოტამია რომის სამფლობელოდ [Dio Cass., LXXV, 9; El. Spart., Sept. Sev., 18].

სეპტიმიუს სევერუსის დროს აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესებში, როგორც გიორგი სინგელოზის ცნობიდან ჩანს, ლაზეთის „სამეფოც“ ყოფილა ჩართული და სევერუსს დასჭირვებია ლაზების იარაღით

დამორჩილება, რაც თავისთავად გულისხმობს იმას, რომ უფრო ადრე ლაზები იმპერიას განუდგნენ და გარკვეული დროის მანძილზე არ ემორჩილებოდნენ მას. უკანასკნელ ხანებში გამოითქვა მოსაზრება, რომ ლაზეთი რომს უნდა განდგომოდა 161-180 წწ. შორის, ვინაიდან სწორედ ამ ხანებში, პართელებთან (161-165 წწ.) და მარკომანებთან (167-180 წწ.) ომების შედეგად, რომის იმპერია ისე იყო დაუძღვრებული, რომ ამ გვარ მდგომარეობაში იგი ევტროპიუსის სიტყვით „არ ყოფილა მეორე პუნიკური ომის დროიდან“ (Eutr., VIII, 12) [თოლუა: 1995, 34-35]. მართალია, პართელებთან და მარკომანებთან ომის შემდეგ იმპერიის მდგომარეობა ძალზე გართულდა, მაგრამ 161-165 წწ. აღმოსავლური კამპანია რომაელთა ერთ-ერთი წარმატებული ლაშქრობა იყო პართიის წინააღმდეგ. ამ ლაშქრობის დროს, როგორც ზემოთ ვნახეთ, რომაელებმა დაიპყრეს არმენია, ჩრდილოეთ მესოპოტამია, სელევკია, ქტეზიფონი და შეიჭრნენ მიდიაშიც. რომაული ჯარების წინსვლა მხოლოდ მოულოდნელად გავრცელებულმა ეპიდემიამ შეაჩერა, რომელიც სწრაფად გავრცელდა არა მარტო აღმოსავლეთის, არამედ დასავლეთის პროვინციებსა და იტალიაშიც. მაგრამ მიუხედავად ამისა, 166 წლის ზავით რომის მფლობელობაში გადავიდა მესოპოტამიის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი ქალაქებითურთ: ედესა, კარა, ნიზიბისი, დურა-ევროპოსი, არმენია მთლიანად რომის კონტროლქვეშ აღმოჩნდა [Моммзен: 1949, 368; Бокщанин: 1966, 276; Ист. др. Рима: 1981, 226]. დასავლეთ მესოპოტამიისა და სომხეთის ანექსიამ გააუმჯობესა იმპერიის სტრატეგიული მდგომარეობა [Бокщанин: 1966, 276] და ამ გამარჯვებებმა გარკვეული დროით უზრუნველყო სიმშვიდე აღმოსავლეთში [Машкин: 1948, 452]. რაც შეეხება მარკომანებთან ომსა და იმპერიის სხვა გართულებებს ამ

პერიოდში, იგი პართელებს თავის სასარგებლოდ გამოუყენებიათ, რადგან თვითონაც გართულებული ჰქონდათ საშინაო მდგომარეობა [Бокшанин: 1966, 277]. მართალია, მარკომანებთან ომების შედეგად იმპერია ისე იყო დაუძღვრებული, რომ იგი ამგვარ მდგომარეობაში „არ ყოფილა მეორე პუნიკური ომის დროიდან“, მაგრამ იმპერიის სწორედ ასეთი მდგომარეობის გამო რომის მმართველი წრეები იძულებული იყვნენ მთლიანად გადასულიყვნენ თავდაცვით პოლიტიკაზე აღმოსავლეთში, წინა პლანზე დაეყენებინათ საზღვრების უსაფრთხოება, ყოველნაირად აქმაღლებინათ სასაზღვრო რაიონების თავდაცვითი პოტენციალი და პირველ რიგში გაეძლიერებინათ რომაული თავდაცვის სისტემა ახლადშემოერთებულ მესოპოტამიაში [175, 278]. ასე რომ, ამ პერიოდში იმპერიის მძიმე მდგომარეობის მიუხედავად, აღმოსავლეთში მისი პოზიციები არ შესუსტებულა, 166 წლის ზაფხვად 30 წელს გაძლო და იგი ამ ხნის მანძილზე ხაზს უსვამდა რომის უპირატესობას აღმოსავლეთში.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ძნელი სავარაუდოა, რომ ლაზების რომის ქვეშევრდომობიდან გამოსვლას ადგილი ჰქონოდა 161-180 წწ. შორის. როგორც ჩანს, სეპტიმიუს სევერუსსა და ნიგერს შორის გაჩაღებულ ომში, პართიისა და მესოპოტამიის სხვა პატარა სამეფოების მსგავსად, ჩათრეულ იქნენ რომზე დამოკიდებული სამეფოები, და კერძოდ, ლაზეთის სამეფოც [Ломоури: 1981, 240]. სამწუხაროდ, სხვა წყაროები (დიონ კასიოსი, ჰეროდოიანე, ელიუს სპარტიანე, იულიუს კაპიტოლინუსი), რომლებიც საკმაოდ დაწვრილებით აგვიწერენ ამ სამოქალაქო ომს, არაფერს ამბობენ მასში ლაზების სამეფოს მონაწილეობაზე, თუმცა შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ლაზების მეფემ ან დაიკავა ნიგერის მხარე, ან ისარგებლა რა იმპერი-



აში არეულობით, სცადა განთავისუფლებულიყო რომ-
ზე დამოკიდებულებისაგან [Ломоური: 1981, 240].

აღმავლობის გზაზე მდგარ ღაზების „სამეფოს“,
რა თქმა უნდა, ხელს უშლიდა რომზე დამოკიდებუ-
ლება, რომელიც იმ დროს არ იყო დაინტერესებული
დასავლეთ საქართველოში ერთიანი ძლიერი სახელმ-
წიფოს შექმნით. ამის გამო, შეიძლება ვიფიქროთ,
რომ სეპტიმიუს სევერუსის მმართველობისას შექმნი-
ლი მდგომარეობა ღაზთა მეფემ ხელსაყრელად მიიჩ-
ნია იმისათვის, რათა თავი დაეღწია რომზე დამოკი-
დებულებისაგან, მაგრამ სევერუსის მიერ მიღწეულმა
წარმატებებმა მას ამის საშუალება არ მისცა [Ломо-
ური: 1981, 240].

ღაზეთის, ე.ი. კოლხეთის ცენტრალური ნაწილის
იარაღის ძალით დამორჩილების შემდეგ, ვფიქრობთ,
რომის პოლიტიკური გავლენა მთლიანად აღმოსავლ-
ეთ შავიზღვისპირეთში უფრო გაძლიერდებოდა. არქე-
ოლოგიური მასალებით ირკვევა, რომ II ს. ბოლოს იწ-
ყება აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რომაული სა-
საზღვრო-თავდაცვითი სისტემის მოდერნიზაციის ახა-
ლი ეტაპი, რაც, ჩვენი აზრით, პირდაპირ კავშირშია
ზემოაღწერილ მოვლენებთან. ღაზეთში იმპერიის პო-
ლიტიკური ძალაუფლების რესტავრაციის შემდეგ, იმ-
პერატორი სეპტიმიუს სევერუსი ყოველნაირად ეცდებო-
და რეგიონში რომაული საყრდენი პუნქტების გაძ-
ლიერებას [ფიფია: 2008, 136-139]. სწორედ ამით უნდა
აიხსნას ის მასშტაბური ღონისძიებები, რომელიც რო-
მაელებმა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში II ს. მი-
წურულსა და III ს. დაწყისში გაატარეს. სატალიდან
პიტიუნტში გადმოყვანილ იქნა XV ლეგიონის ვექსი-
ლაცია. პიტიუნტსა და სებასტოპოლისში იწყება ახა-
ლი კასტელუმების მშენებლობა. მათ მისადგომებთან
აგებულ იქნა საგუშაგო კოშკებიც. პიტიუნტის კასტე-

ლუმის ცენტრში აღმოჩენილია II ს. დასასრულიდან და III ს. დასაწყისიდან მოქმედი რამდენიმე ნაგებობა, რომელთა შორის გამოირჩევა მეთაურის რეზიდენცია – პრეტორიუმი, რომელიც რამდენიმე ნაწილისაგან შედგებოდა და სამხედრო ადმინისტრაციისათვის განკუთვნილი შენობები – პრინციპია. ციხე-ქალაქის გარშემო (ინკიტში, ლიძავაში, ფიჭვნარში) გამოვლენილია რომაული სადარაჯო კოშკები, რომლებიც პიტიუნტის ერთიანი საფორტიფიკაციო სისტემას შემადგენლობაში შედიოდნენ და კასტელუმის მისადგომებს კეტავდნენ [ფიფია: 2008, 137].

მართალია, ფასისიდან არქეოლოგიური მონაცემები არ გაგვაჩნია, მაგრამ რომაელთა მიერ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში გატარებული საინჟინრო-საფორტიფიკაციო ღონისძიებებიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, გარკვეული სამუშაოები საკუთრივ ფასისის კასტელუმის გასაძლიერებლადაც უნდა ჩატარებულიყო. გარდა ამისა, კოლხეთის ზღვისპირა ციხესიმაგრეების განახლებასთან ერთად, რომაელებს გარკვეული სამხედრო კონტინგენტი ქვეყნის შიდა რაიონებშიც უნდა შეეყვანათ. ფასისის მიდამოებში იქმნება გამაგრებათა მთელი სისტემა, რომელშიც ჩართული იყო სოფ. მოედნისა და ვაშნარის საფორტიფიკაციო ნაგებობები. მკვლევართა ნაწილის აზრით, რომაული სამხედრო შენაერთი არქეოპოლისშიც უნდა მდგარიყო [ფიფია: 2008, 137-138; თოდუა: 1997, 109-111].

როგორც ცნობილია, I-II სს. რომაელთა უშუალო მფლობელობის ქვეშ მოქცეული იყო კოლხეთის მხოლოდ ზღვისპირა ნაწილი, ქვეყნის შიდა რაიონებში კი მათ სამხედრო-სტრატეგიული პუნქტები არ გააჩნდათ. ეს რაიონები ადგილობრივი მმართველების ხელში იყო, რომლებიც ანგარიშვალდებულნი იყვნენ რომაული გარნიზონების მეთაურთა წინაშე [ფიფია: 2003, 196-197; ფიფია: 2007, 156-162]. როგორც ჩანს,



რომის სამხედრო ნაწილების მიერ ქვეყნის შიდა რაიონებზე განხორციელებული კონტროლი არც თუ ისე ეფექტური იყო და ფაქტობრივად, ფორმალურ ხასიათს ატარებდა [ფიფია: 2007, 156-162]. მიგვაჩნია, რომ ლაზთა მეფეს, 193-197 წწ. სწორედ კოლხეთის შიდა რაიონების ანტირომაულად განწყობილ ძალებზე დაყრდნობით უნდა მოეხერხებინა იმპერიის გავლენისაგან გათავისუფლება. ამიტომ, როდესაც იმპერატორ სეპტიმიუს სევერუსს ძალის გამოყენებით მოუხდა ლაზეთის დამორჩილება, მისთვის ცხადი უნდა ყოფილიყო, რომ ქვეყნის შიდა რაიონებში რომაული საყრდენი პუნქტების შექმნის გარეშე, შეუძლებელი იქნებოდა მისი მორჩილებაში ყოლა. სწორედ კოლხეთის ჰინტერლანდზე რეალური კონტროლის დამყარების მცდელობას წარმოადგენდა რომაული სამხედრო შენაერთების ჩაყენება მოედანში, ვაშნარსა და არქეოპოლისში.

და ბოლოს, გვინდა შევეხოთ ერთ საკითხსაც. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლაზთა სამეფო უკვე II საუკუნიდანვე აცხადებდა დასავლეთ საქართველოში ჰეგემონობაზე პრეტენზიას, რაც II საუკუნის ბოლოს აშკარა გახდა კიდევც. გ. მელიქიშვილის აზრით, სწორედ II საუკუნეში არის სავარაუდო კოლხეთის ცალკეულ პოლიტიკურ ერთეულთა შორის მძაფრი შეტაკებები, რაც ლაზთა სამეფოს დაწინაურებით დასრულდა [მელიქიშვილი: 1970, 552; Меликишвили: 1959, 379]. დ. მუსხელიშვილი კი მიიჩნევს, რომ ამ დროისათვის ლაზიკის სამეფო უკვე მოიცავდა თითქმის მთელ დასავლეთ საქართველოს [მუსხელიშვილი: 1977, 86-87]. ამ კონტექსტში განსაკუთრებით საინტერესოა და იქნებ ამ მოსაზრების დამადასტურებელიც ჩვენს მიერ ზემოთ არქეოლოგიური და წერილობითი წყაროების შეჯერებით II საუკუნის ბოლოსათვის აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში შექმნილი პოლიტიკუ-



რი სურათის ანალიზი – სექტიმიუს სევერუსი იმტო-
 ჩილებს ღაზეთს და ამაგრებს მთელ სანაპირო ხაზს
 – ფასისს, სებასტოპოლისსა და პიტიუნტს, ე.ი. არა
 უშუალოდ ღაზეთის სატომო გაერთიანების ტერიტო-
 რიას, არამედ აფსილ-აბაზგებისა და სანიგების ტერი-
 ტორიაზე არსებულ ციხესიმაგრეებსაც. აქედან გამომ-
 დინარე, გიორგი სინგელოზის ცნობა „კოლხიკე, ესე
 იგი ღაზიკე“, შესაძლოა სრულიადაც არაა შემთხვე-
 ვითი და სწორედ იმის დამადასტურებელიც იყო, რომ
 II ს. ბოლოსთვის ღაზიკა უკვე თითქმის მთელ კოლ-
 ხეთს აერთიანებდა.

1. გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. IV, ნაკვ. I, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., „ტექნიკა და შრომა“, 1941.
2. თოდუა თ., რომაული სამყარო და საქართველოს შავიზღვისპირეთი, საღისერტაციო ნაშრომი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად /ხელნაწერის უფლებით/, თბ., 1995.
3. თოდუა თ., მურვანიძე ბ., რომაული ლეგიონის ტერიტორიანი აგური სოფ. მოედნიდან. – გურია, მხარის კვლევა-ძიების შედეგები, II, თბ., „მეცნიერება“, 1997.
4. ლომოური ნ., ძველი აფხაზეთის ეთნოკულტურული ისტორიიდან, „საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის სარედაქციო-საგამომცემლო განყოფილება“, თბ., 1998.
5. მელიქიშვილი გ., საქართველო ახ.წ. I-III საუკუნეებში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1970.
6. მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, თბ., „მეცნიერება“, 1977.
7. ფიფია კ., რომი და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი I-II სს., თბ., 2005.
8. ფიფია კ., აფსილ-აბაზგთა “სამეფოები” რომის პოლიტიკურ სისტემაში ახ. წ. II ს. (ე.წ. “აფხაზური სახელმწიფოებრიობის” საკითხისათვის), ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი, IX, თბ., 2007.
9. ფიფია კ., კოლხეთი რომის იმპერიის პროვინციულ სისტემაში, საისტორიო ძიებანი, VI, თბ., 2003.

10. ფიფია კ., კოლხეთის ტერიტორიაზე ცალკეულ “სამეფოთა” წარმოქმნის საკითხისათვის, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოცილურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაცნე, I, თბ., 2007.
11. ფიფია კ., კოლხეთის შიდა რაიონებში რომაელთა ექსპანსიის საკითხისათვის, კულტურათაშორისი კომუნიკაციები, №5, 2008.
12. ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუკა ნ. კეჭაღმაძისა, თბ., „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“, 1961.
13. Бокщанин А.Г., Парфия и Рим, ч. II, М., «Издательство Московского университета», 1966.
14. Властелины Рима. Биографии римских императоров от Адриана до Диоклетиана, (перевод С. П. Кондратьева, послеловие М. Л. Гаспарова), М., «Издательство АСТ», 1999.
15. История древнего Рима, под редакцией В.И. Кузищина, М., «Высшая школа», 1981.
16. Крист К., История времён римских императоров от Августа до Константина, т.1, Ростов-на-Дону, «Феникс», 1997.
17. Ломоური Н. Ю., Грузино-римские взаимоотношения, Тб., «Издательство Тбилисского университета», 1981.
18. Машкин Н. А., История древнего Рима, Л., «ОГИЗ», 1948.
19. Меликишвили Г. А., К истории древней Грузии, Тб., «Издательство Академии наук Грузинской ССР», 1959.
20. Моммзен Т., История Рима, т. V, М., «Издательство иностранной литературы», 1949.
21. К. Пипия. Абхазская государственность-миф или историческая реальность.-Право и политология, №5, 2009.



22. Римские историки IV века, под редакцией М. А. Тимофеева, М., «Российская политическая энциклопедия», 1997.

Kakhaber Pipia

Emperor Septimius Severus and Kingdom of Lazica

Since the beginning of the 2nd century political unions, formed on the territory on the Eastern Black Sea Coast, were officially Rome's "friends and allies". Though a real power of the "kings" of these unions was limited. They were completely under Rome's control and their friendship was formal. But already in the 2nd century Kingdom of Lazica promoted. It surpassed its political neighbours according to its territorial and interior potential terms. Unlike other political unions of Cholchis, by and by it was receiving real state signs, was becoming strong and had a claim on the hegemony in the West Georgia.

Dependence on the Rome was a barrier for the Kingdom of Lazica and as it is known from Byzantian author Giorgi Singelozi source, at the end of the 2nd century Laz people tried to gain freedom from the empire's influence, but the emperor Septimius Severus subordinated them again. After the subordination Laz people, the Romans strengthened frontier-defensive system of Eastern Black Sea Coast. There began building of new castelums in Sepastopolis and Pitiunti, and the Romans sent military garrisons in interior regions of the country.

ზიდრიტა ოლქის პრობლემა იბერია-რომის დიპლომატიურ ურთიერთობებში (ახ. წ. II ს. 20-30-იანი წწ.)

ძვ. წ. I ს. 60-იან წწ. იბერია რომის „მეგობარ და მოკავშირე“ ქვეყნად გამოცხადდა, რაც ფაქტობრივ ვასალობას ნიშნავდა. თუმცა, მიუხედავად ამისა, რომაელთა ამიერკავკასიაში შემოსვლა იბერიისათვის ობიექტურად სასარგებლოც კი აღმოჩნდა. სწორედ რომის მიერ მახლობელ აღმოსავლეთში დამყარებული ახალი პოლიტიკური წესრიგის პირობებში დაიწყო იბერიის გაძლიერება და იგი თანდათანობით ანგარიშგასაწევ ძალად ჩამოყალიბდა [ლომოური: 1994, 52]. იბერიის გაძლიერებასა და მისი პოლიტიკური ამბიციების ზრდას ხელს უწყობდა ქვეყნის გეოსტრატეგიული მდებარეობა. იბერია აკონტროლებდა ჩრდილო კავკასიის უღელტეხილებს, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვან დარიალის გადმოსასვლელს და საჭიროების შემთხვევაში, შეეძლო იმპერკავკასიელი მრავალრიცხოვანი მეომარი ნომადების გადმოყვანა. იბერიის მმართველებს, მეომარ ჩრდილოკავკასიელებთან კავშირში, შეეძლოთ საკუთარი პოლიტიკური ინტერესების დაცვა და რეგიონის მასშტაბით ნებისმიერი სახელმწიფოსათვის პრობლემის შექმნა. ახ. წ. I საუკუნეიდან იბერიის სამეფო საკმაოდ დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას ატარებს, რომელიც ხშირად არ ემთხვეოდა რომის აღმოსავლურ პოლიტიკას [ფიფია: 2005, 8-9]. იბერიის მმართველები ძირითადად ინარჩუნებდნენ დამოუკიდებლობას, მხოლოდ ფორმალურად აღიარებდნენ „რომაელი ხალხის მეგობრობა-მოკავში-

რეობას“ [ლომოური: 1994, 52] და მოგვიანებით თან აშკარა კონფრონტაციასაც კი არ ერიდებიან.

იბერია-რომს შორის დიპლომატიური ურთიერთობა განსაკუთრებით II ს. 20-30-იან წწ. დაიძაბა, რაც გამოწვეული იყო როგორც რომის, ასევე იბერიის საგარეო პოლიტიკური კურსის რადიკალური ტრანსფორმაციით. ტრაიანეს (98-117 წწ.) წარუმატებელი აღმოსავლური კამპანიის შემდეგ იმპერიამ ამოწურა გლობალური ექსპანსიის წარმოებისათვის საჭირო ყველა რესურსი. იმპერიის სოციალურ-ეკონომიკური ბაზის სისუსტისა და საზღვრებზე შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო იმპერატორი ადრიანე (117-138 წწ.) იძულებული გახდა უარი ეთქვა აგრესიულ პოლიტიკაზე და ავგუსტუსისეულ თავდაცვით დოქტრინას დაუბრუნდა [ფიფია: 2005, 109]. ახალი იმპერატორის ერთ-ერთი პირველი პოლიტიკური ნაბიჯი იყო რომაელთა მიერ ევფრატის აღმოსავლეთით ოკუპირებული ტერიტორიების დაუყოვნებლივი დაცვა [SHA, Hadr., V, 3, IX, 1; Eutr., VIII, 6, 2]. ეს იყო აღმოსავლეთში რომაელთა აგრესიის სრული მარცხის აღიარება. თუმცა, შექმნილი სიტუაციით სარგებლობა ვერც პარტიის სამეფომ შეძლო. ტრაიანეს კამპანიის დროს განცდილი მძიმე მარცხის შემდეგ, მასაც არ აღმოაჩნდა კონტრშეტევაზე გადასვლისა და წინა აზიაში პოლიტიკური ინიციატივის საკუთარ თავზე აღების ძალა. ადრიანეს მიერ შეთავაზებული „Pax Romana“ არშაკიდთა სამეფო სახელმა ყოველგვარი ზედმეტი პრეტენზიების გარეშე მიიღო [ფიფია: 2005, 108-110].

ასე, რომ, აღმოსავლეთში საუკუნეების მანძილზე პოლიტიკური ამინდის განმსაზღვრელმა ორივე სახელმწიფომ – რომმა და პარტიამ თანდათანობით დათმო პოზიციები. მათ უკვე აღარ შეეძლოთ მთლიანად გაეკონტროლებინათ პოლიტიკური სიტუაცია ახლო

ადმოსაველეთში. ასეთ პირობებში იწყება უფრო პატარა პოლიტიკური ერთეულების გაძლიერება-გააქტიურება, რომლებიც იწყებენ ამ ორი ზესახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი და ხშირად მტრული პოლიტიკის გატარებას. ასეთი იყო პირველ რიგში იბერიის სამეფო, რომლის ამბიციები და საზღვრების გაფართოების აგრესიული პოლიტიკა, რომელსაც იგი ახ. წ. I საუკუნინიდან ატარებდა, კიდევ უფრო ძლიერდება II ს. პირველ ნახევარში. ამ პირობებში იბერიის სათავეში დგას მეფე ფარსმანი, რომელიც ქართულ წყაროებში „ქველის“ ეპითეტითაა შემკული. ფარსმანის მეფობის პერიოდში რომზე დამოკიდებულება, ე.წ. „მეგობრობა-მოკავშირეობა“ სრულ ფიქციად იქცა და იგი მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა. უფრო მეტიც, ფარსმანი არ ერიდება იმპერიის ავტორიტეტსაც კი, მასთან ღია დაპირისპირებაზეც მიდის და რომის პოლიტიკურ სისტემაში ჩართული კოლხეთის ზღვისპირეთის ერთ-ერთ სექტორს – მაკრონ-ჰენიოხებსა და ლაზების შორის მოსახლე ზიდრიტთა ოლქს ეუფლება [Art., PPE, 11]. ზიდრიტებს ეკავათ ჭოროხის ჩრდილოეთით დღევანდელი აჭარა-ქობულეთის მხარე [Ломоури: 1981, 221]. ფარსმანის მიერ ზიდრიტთა რაიონის მიტაცებას ადგილი უნდა ჰქონოდა 117-129 წწ. შორის [ფიფია: 2005, 112]. ჩვენ არ ვიცით თუ როგორ და რა პირობებში მოხდა იბერიის ძალაუფლების გავრცელება კოლხეთის ზღვისპირეთის ამ სექტორზე, ფარსმანის ექსპანსიას დასავლეთისაკენ შეხვდა თუ არა რომაელთა წინააღმდეგობა, მაგრამ სავარაუდოა, რომ საბრძოლო მოქმედებებს ადგილი არ ჰქონდა, რადგანაც უშუალოდ ზიდრიტთა სამოსახლო ტერიტორიაზე რომაული გარნიზონები არ იყო დისლოცირებული [ფიფია: 2005, 113]. იბერიის მიერ განხორციელებული ასეთი აგრესიული აქციის მიუხედავად, ად-



რიანე უარს ამბობს ვითარების შემდგომ ესკალაციაზე და დიპლომატიური გზით ცდილობს ფარსმანთან ურთიერთობის მოგვარებას [ფიფია: 2005, 110-111].

ადრიანეს ბიოგრაფის ელიუს სპარტიანეს ცნობით, აღმოსავლეთში თავისი მეორე მოგზაურობის დროს [გამყრელიძე: 1959, 138. შეად. Ломоури: 1981, 191], კაპადოკიაში მყოფმა იმპერატორმა „მეგობრულ შეხვედრაზე მოიწვია ადგილობრივი მმართველები და მეფეები; მოწვეულ იქნა პართიის მეფე ხოსროც, დაუბრუნდა მას ქალიშვილი, რომელიც ტრაიანემ დაატყვევა და შეჰპირდა წართმეული ტახტის უკან დაბრუნებას. როცა მასთან გამოცხადდა ზოგიერთი მეფე, მათ ისე მოექცა, რომ იმათ ვინც არ ისურვა მასთან მისვლა, სანანებელი გაუხდათ. ის ასე, პირველ რიგში, ფარსმანის გამო მოიქცა, რომელმაც ქედმაღლურად უგულვებელყო მისი [ე. ი. ადრიანეს – კ. ფ.] მოწვევა“ [SHA, Hadr., XIII, 8-9].

ქართულ ისტორიოგრაფიაში, ელიუს სპარტიანეს ცნობაზე დაყრდნობით, ძირითადად მიღებულია, რომ ფარსმანმა იუკადრისა კეისართან გამოცხადება [საქ. ისტ. I: 1958, 67; 2, 321]. ელიუს სპარტიანეს მტკიცება იმის შესახებ, რომ ფარსმანმა ქედმაღლობის გამო თქვა უარი ადრიანესთან მისვლაზე, რეალურ ვითარებას არ უნდა ასახავდეს. ქედმაღლობას (superbia) რომაელები საერთოდ მეფეთათვის დამახასიათებელ ნაკლად თვლიდნენ [Braund: 1991, 212] და სპარტიანეც, მართალია, ამით ცდილობს ფარსმანის ამ ნაბიჯის ახსნას, მაგრამ რეალური მიზეზი სხვა რამ უნდა იყოს. ძნელი წარმოსადგენია, რომ ფარსმანს მხოლოდ სიამაყის გამო ეთქვა უარი ადრიანესთან გამოცხადებაზე და მას გაცნობიერებული არ ჰქონდა ის შესაძლო გართულებები, რასაც ეს ნაბიჯი მის ქვეყანას მოუტანდა. იმპერატორის იგნორირება და მისი მოწვე-



ვის დემონსტრაციული უგულბელყოფა [Πλομοῦρι: 1981, 191], ვფიქრობთ, ფარსმანისათვის მომგებიანი არ უნდა ყოფილიყო და მის ასეთ არადიპლომატიურ გადაწყვეტილებას სხვა რაღაც უფრო მნიშვნელოვანი საფუძველი უნდა ჰქონოდა.

რომის მოკავშირე მმართველთა ეს შეკრება შედგა 129 წელს [Kerler: 1970, 34; Syme: 1981, 276; Syme: 1984, 1438; Braund: 1991, 211-212], სადაღაც ზემო ევფრატის ახლოს, სატალაში [Magie: 1950, 621; Bosworth: 1977, 228] ან სამოსატაში [Braund: 1991, 211]. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ფარსმანი არ ყოფილა ერთადერთი მეფე, ვინც ადრიანესთან არ გამოცხადდა. ელიუს სპარტიანეს ცნობით, ანალოგიურად მოიქცა ალბანეთის მეფეც [SHA, Hadr., XIII, 9; XXI, 13]. თუ გავითვალისწინებთ იმ დროს იბერია-ალბანეთის ურთიერთობას და ფარსმანის აშკარად აგრესიულ პოლიტიკას ამ ქვეყნის მიმართ [Dio Cass., LXIX, 15, 1], გამორიცხულად მიგვაჩნია, რომ ფარსმანსა და ალბანეთის მეფეს ეს დიპლომატიური უესტი – მოწვევაზე უარის თქმა, ერთმანეთთან შეთანხმებული ჰქონოდათ. კაპადოკიაში არ ჩასულა პარტიის მეფე ხოსროც, მიუხედავად იმისა, რომ ადრიანემ მას დაუბრუნა ტრაიანეს მიერ ქტეზიფონის აღებისას დატყვევებული ქალიშვილი და ოქროს ტახტის დაბრუნებასაც იყო დაპირებული [SHA, Hadr., XIII, 8].

უკანასკნელ ხანებში სამეცნიერო ლიტერატურაში გაჩნდა მოსაზრება, რომ ფარსმანის გადაწყვეტილებაზე გავლენა უნდა მოეხდინა პარტიაში მიმდინარე შინაომს [Braund: 1994, 232; Braund: 1991, 213]. როგორც ჩანს, ფარსმანმა და ალბანეთის მეფემ ამჯობინეს დარჩენილიყვნენ თავიანთ ქვეყნებში და დალოდებოდნენ მოვლენათა განვითარებას პარტიაში, სადაც დინასტიური ომი გადამწყვეტ ფაზაში იყო შესული



[Braund: 1991, 213]. დ. ბრაუნდის ეს მოსაზრება საკმაოდ საყურადღებოა. სადავო არაა, რომ პართიაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები გარკვეულ გავლენას ახდენდა ამიერკავკასიის ქვეყნების მდგომარეობაზეც. ცნობილია ისიც, რომ ამ პერიოდში პართიის სამეფოში ძალზე მძიმე პოლიტიკური სიტუაცია იყო შექმნილი. პართიის სახელმწიფოში, რომელიც განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მყოფი ხალხებისა და ქვეყნების ამორფულ კონგლომერატს წარმოადგენდა, ფაქტობრივად პერმანენტულად მიმდინარეობდა სეპარატისტული პროცესები თუ დინასტიური ომები [The Cambridge Ancient History, vol. XI, Camb., 1954, 114]. თუმცა, დეცენტრალიზაციის პროცესი განსაკუთრებით I-II სს. მიჯნაზე გაძლიერდა. 105/106 წწ. იფეთქა ფართომასშტაბიანმა დინასტიურმა ომმა, რომელიც ერთბაშად სამ პრეტენდენტს შორის მიმდინარეობდა [Бокщанин: 1966, 242]. ტრაიანეს ექსპედიციის გამო ეს დაპირისპირება დროებით შეჩერდა, მაგრამ რომაელებმა როგორც კი დატოვეს შუამდინარეთი, ბრძოლა ხოსროსა და მის ძველ მეტოქეს ვოლოგეზ II-ს შორის კვლავ განახლდა. ეს ომი 10 წელზე მეტხანს გაგრძელდა და კულმინაციას სწორედ ჩვენთვის საინტერესო პერიოდში მიაღწია. როგორც ჩანს, ხოსრო იმიტომ ვერ ჩავიდა ადრიაანესთან, რომ იგი ამ დროს რთულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. მართლაც, მისი უკანასკნელი მონეტები 128/129 წლით თარიღდება [Debevoise: 1938, 242; Бокщанин: 1966, 260; The Cambridge History of Iran, vol. 3 (1), Camb., 1983, 93]. ამრიგად, 129 წ. კაპადოკიაში ჩატარებული კრებიდან მოკლე ხანში, ხოსრო საბოლოოდ დაშორდა და გაქრა პოლიტიკური ასპარეზიდან. პართიის ერთპიროვნული მმართველი კი ვოლოგეზ II გახდა [Бокщанин: 1966, 259].



ახლა რაც შეეხება დანარჩენ მეფეებს. შესაძლოა, მართალიც იყოს დ. ბრაუნდის მოსაზრება, რომ ალბანეთის მეფეებმა იმავე მიზეზით, პარტიაში არასტაბილური მდგომარეობის გამო, თქვა უარი თავისი ქვეყნის დატოვებაზე და არჩია დალოდებოდა თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები პარტიაში. კაპადოკიის შეკრებაზე ხოსროსა და ალბანთა მეფის გამოუცხადებლობა შეიძლება სწორედ ამ ფაქტით, პარტიაში შექმნილი რთული მდგომარეობით აიხსნას. მაგრამ იგივეს მტკიცება იბერიის მიმართ სათუოდ მიგვაჩნია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, უდავოა, რომ პარტიაში მიმდინარე პროცესები დიდ გავლენას ახდენდა ამიერკავკასიის ქვეყნებზე და მათ შორის, იბერიაზეც, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დ. ბრაუნდის ზემოთ მოტანილი შეხედულების მექანიკური გავრცელება იბერიაზე, რამდენიმე გარემოების გამო, მიუღებელი გვეჩვენება.

ჯერ ერთი, იბერია, ალბანეთთან შედარებით, უფრო დაშორებული იყო პარტიის სამეფოს და პარტიაში მომხდარი ცვლილებები მასზე მყისიერ ზემოქმედებას ვერ მოახდენდა. გარდა ამისა, თუ დავუშვებთ, რომ პარტიაში მიმდინარე შინაომი იბერიასაც რეალურ საფრთხეს უქმნიდა და სწორედ ამ მიზეზით არ გამოცხადდა იმპერატორთან ფარსმანი, მაშინ, ასეთ შემთხვევაში ადრიანესთვის გასაგები უნდა ყოფილიყო თავისი მოკავშირის საქციელი და არ უნდა განაწყენებულიყო ფარსმანზე, როგორც ამას სპეციალურად აღნიშნავს სპარტიანე. თუ იბერიისა და ალბანეთის მეფეები ერთი და იმავე მიზეზის გამო არ გამოცხადნენ ადრიანესთან, მაშინ სპარტიანე რატომ აღნიშნავს მხოლოდ ფარსმანის „ქედმაღლობას“? საიმპერიო კარზე ალბანეთსა და იბერიის მეფეები ერთი რანგისანი, „რომაელი ხალხის მეგობარი და მოკავშირეები“ იყვნენ და ამ მეფეთა ერთი და იგივე საქციელი მხოლოდ ფარსმანის „ქედმაღლობად“ რატომ იქნა



მიჩნეული? პასუხი ამ კითხვებზე ერთია – ალბანეთისა და იბერიის მეფეების იმპერატორთან გამოუცხადებლობას სხვადასხვა მიზეზი ჰქონდა. ელიუს სპარტიანე პირდაპირ წერს, რომ ადრიანე მასთან მისულ მეფეებს „ისე მოექცა, რომ იმათ, ვინც არ ისურვა მასთან მისვლა, სანანებელი გაუხდათ. ის ასე, პირველ რიგში, ფარსმანის გამო მოიქცა, რომელმაც ქედმაღლურად უგულვებელყო მისი მოწვევა“ [SHA, Hadr., XIII, 9]. ესე იგი, ადრიანე განსაკუთრებით ფარსმანზე იყო განაწყენებული, განსხვავებით ალბანთა მეფისაგან, რომელმაც შესაძლოა მართლაც იმით იმართლა თავი, რომ შექმნილ სიტუაციაში არ შეეძლო ქვეყნის დატოვება. ყოველ შემთხვევაში მას, როგორც ჩანს, იმპერატორთან ვიზიტზე უარის თქმის გასამართლებელი რაღაც საბუთი მაინც ჰქონდა, განსხვავებით ფარსმანისაგან, რომელსაც ეტყობა არც კი დაუსახელებია მისი უარის ოფიციალური, ყოველ შემთხვევაში იმპერატორისათვის დამაკმაყოფილებელი მიზეზი.

ფიქრობთ, ფარსმანის ეს ნაბიჯი განპირობებული უნდა ყოფილიყო მის მიერ არა იმპერატორის იგნორირებითა და „ქედმაღლობით“, არამედ კონკრეტულად იმ პერიოდში იბერია-რტმის ურთიერთობაში არსებული ერთი მწვავე პრობლემის გამო. როგორც უკვე აღვნიშნეთ, კაპადოკიის შეკრებამდე არც თუ ისე დიდი ხნის წინ, ფარსმანი შეიტყრა რომის ხელდებულ ტერიტორიაზე და მიიტაცა კოლხეთის ზღვისპირეთის ერთ-ერთი სექტორი – ზიდრიტთა ოლქი, რითაც მან ერთმანეთისაგან გათიშა რომაული სამფლობელოები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში. ჩვენი აზრით, ფარსმანის მიერ განხორციელებული ეს აქცია გახდა იმ კონფრონტაციის მიზეზი, რომელიც ადრიანეს პრინციპსობის მთელ მანძილზე შეიმჩნეოდა იბერიასა და რომს შორის.



ზიდრიტთა რაიონის მიტაცებით იბერიამ გარკვეულწილად დაარღვია აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რომაული სასაზღვრო-თავდაცვითი სისტემის, პონტო-კავკასიის სასაზღვრო ხაზის მთლიანობაც. ეს სისტემა სათავეს ტრაპეზუნტში იღებდა და ადრიანეს მმართველობის პერიოდისათვის სებასტოპოლისამდე ვრცელდებოდა. ამ ერთიან სასაზღვრო პერიმეტრზე იბერიის გამოჩენით კი, ორ უმნიშვნელოვანეს რომაულ ფორპოსტს – აფსაროსსა (მაკრონ-ჰენიოხთა ტერიტორიაზე) და ფასისს (ლაზეთის ტერიტორიაზე) შორის გადაჭრილ იქნა სახმელეთო კომუნიკაცია, რის შედეგადაც მათი ერთმანეთთან დაკავშირება მხოლოდ საზღვაო გზით გახდა შესაძლებელი. ამის დაშვება კი რომს, რა თქმა უნდა, არ შეეძლო. თუმცა, „ომზე მეტად მშვიდობისმოყვარე“ [SHA, Hadr., X, 2] იმპერატორს, რომელმაც საბოლოოდ თქვა უარი შეტევით ომებზე, არ აწყობდა კავკასიაში ვითარების კიდევ უფრო გამწვავება და იმიერკავკასიელი ნომადებით ზურგგამაგრებული ფარსმანის წინააღმდეგ ღია საბრძოლო მოქმედებების დაწყება [ფიფია: 2005, 111]. ამიტომ, ადრიანე, რომელიც მუდამ „ყიდულობდა მშვიდობასა და ზავს“, დიპლომატიური გზით ცდილობს ფარსმანთან ურთიერთობის დარეგულირებას და ზიდრიტთა ოლქში შექმნილი პრობლემის მოგვარებას. ადრიანე სახელმწიფოს მართვაში, მოკავშირე ქვეყნების მმართველებთან თუ მოწინააღმდეგეებთან ურთიერთობაში მუდამ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა პიროვნულ კონტაქტებს [Syme: 1981, 275]. ეს აშკარად მისი ძლიერი მხარე იყო⁷. რა თქმა უნდა, კაპადოკიის შეკ-

⁷ ცნობილია, რომ ადრიანემ მოლაპარაკებებში პირადი ჩარევითა და პიროვნული კონტაქტების ხარჯზე შეძლო ფაქტობრივად ხაომრად მომზადებული პართელების შემორიგება და ახალი გრანდიოზული ომის თავიდან აცილება (SHA, Hadr., 12).



რებაზე იმპერატორი ეცდებოდა „ზიდრიტა პრობლე-
მის“ მოგვარებას. შესაძლოა, ადრიანემ სპეციალურად
ამ მიზნით მიიწვია კიდევ „მეგობრულ შეხვედრაზე“
ფარსმანი. ყოველ შემთხვევაში, ცხადია, რომ იმპერა-
ტორთან ჩასულ ფარსმანს ამ საკითხზე აუცილებლ-
ად მოუწევდა საუბარი და გამორიცხული არაა, რომ
რომაელები მას ზიდრიტა ოლქს დაათმობინებდნენ
კიდევ. ვფიქრობთ, სწორედ ეს უნდა ყოფილიყო იმის
მიზეზი, რომ ფარსმანმა უარი განაცხადა კაპადოკია-
ში ჩასვლაზე. იგი არ აპირებდა სტრატეგიულად მნი-
შვნელოვანი ზიდრიტა ოლქის, ზღვაზე ამ ახალმო-
პოვებული გასასვლელის დათმობას და იმპერატორ-
თან მძიმე საუბარს არჩია საქართველო უარი ეთქვა მას-
თან ვიზიტზე.

თუმცა, რა თქმა უნდა, ფარსმანის ადრიანესთან
გამოუცხადებლობით ზიდრიტა ოლქის პრობლემა
არ ამოწურულა. კაპადოკიის კრების შემდეგ, რომის
ხელისუფლებამ ფარსმანზე ზემოქმედების მოსახდე-
ნად, კოლხეთის სანაპიროზე არსებული რომაელი სა-
საზღვრო-თავდაცვითი სისტემის მოდერნიზაცია დაიწ-
ყო [ფიფია: 2005, 114-115]. თუმცა, ადრიანემ მაინც ვერ
შექლო ურჩი ფარსმანის დაშოშმინება. ფარსმანს, რა
თქმა უნდა, არ აწყობდა უშუალოდ იბერიის საზღვ-
რების სიახლოვეს, ზიდრიტა ახალშემოერთებულ
ოლქთან რომაული ფორპოსტების გაძლიერება და ამ
ღონისძიებათა საპასუხოდ მან 135-137 წწ. იმიერკავკა-
სიის გადმოსასვლელები გაუხსნა მომთაბარე ალა-
ნებს და ისინი რომის სამფლობელოებს შეუსია [Dio
Cass., LXIX, 15]. ამ აქციითა და თავისი რეალური ძა-
ლის დემონსტრირებით ფარსმანმა საკმაოდ გაამყარა
იბერიის პოზიციები ამიერკავკასიაში, შეინარჩუნა და-
პყრობილი ზიდრიტა ოლქი და მოგვიანებით მიაღ-
წია იმასაც, რომ ადრიანეს მემკვიდრის ანტონინუს
პიუსის (138-161 წწ.) პრინციპსობისას რომმა ცნო იბე-



ლიტერატურა

1. გამყრელიძე აღ., ახლად აღმოჩენილი წარწერა ფარსმან მეფისა. - ცისკარი, №9, 1959.
2. ინაძე მ., იბერიისა და რომის ურთიერთობა II საუკუნის პირველ ნახევარში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. I, 1955.
3. ლომოური ნ., საქართველოს საგარეო ურთიერთობათა სათავეებთან. - ქართული დიპლომატია, I, თბ., 1994.
4. საქართველოს ისტორია, I, (უძველესი დროიდან XIX საუკუნის დასასრულამდე), თბ., 1958.
5. ფიფია კ., რომი და აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთი I-II სს. (პოლიტიკური ურთიერთობები), თბ., 2005.
6. ფიფია კ., ტრაიანეს აღმოსავლური პოლიტიკა და საქართველო, თბ., 2005.
7. ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო. თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუკა ნ. კეჭელაძისა, თბ., 1961.
8. Авторы жизнеописаний Августов. Перевод С. П. Кондратьева, под редакцией А. И. Доватура. - Вестник древней истории, №1, 1957.
9. Бокщанин А. Г., Парфия и Рим. ч. II, М., 1966.
10. Ломоури Н. Ю., Грузино-римские взаимоотношения, Тб., 1981.



ՀԱՅԱՍՏԱՆԻ
ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ
ՆԱԽԱՐԱՐՈՒԹՅԱՆ
ՆԱԽԱՐԱՐՈՒԹՅԱՆ

11. . Bosworth A. B, Arrian and the Alani. – Harward Studies in Classicall Philology, 81, 1977,.
12. Braund D., Hadrian and Pharasmanes. – Klio, vol. 73, №1, 1991.
13. Braund D., Georgia in Antiquity. Oxford, 1994.
14. N. C. Debevoise. A Political History of Parthia. Chicago-Illinois, 1938.
15. Kerler G., Die Aubenpolitik in der Historia Augusta. Bonn, 1970.
16. Magie D., Roman rule in Asia Minor. Vol. I, Princeton, New Jersey, 1950.
17. Syme R., Hadrian and the Vassal Princes. – Athenaeum, 59, 1981.
18. Syme R., Roman Papers. III. Oxford, 1984.
19. The Cambridge Ancient History, vol. XI, Cambr., 1954.
20. The Cambridge History of Iran, vol. 3 (1), Camb., 1983.



The Problem of Zidrits' Region in Iberia-Roman Diplomatic Relations

The given article from the new point of view elucidates one of the most important moments of Iberia-Roman diplomatic relations. Mainly the issue of Parsman's not appearing at the meeting of allies of Rome in Kappadokia in 129. According to the record of Elius Spartianus (SHA, Hard., XIII, 8-9) the scientific literature acknowledges that Parsman II did not appear at the emperor Adrian (117-138) because of pride. But in our opinion the viewpoint should not have the real grounding. It is quite difficult to imagine that Parsman could not appear at Adrian only because of pride as he should have been well aware about the possible complicated consequences that his behavior could cause for his country. In our opinion Parsman's such non diplomatic behavior should have another, much more reasonable grounding.

In our opinion Parsman's not appearing at Adrian should have been determined by a burning problem of those days Iberia-Roman relations. As it is well known, some times earlier before Kappadokian meeting Parsman had occupied one of the Colchis regions, the region of Zidrits. Emperor Adrian, for whom the further escalation of the situation in the Caucasus was not suitable, with the help of diplomatic means, tried to arrange the relations with Parsman. It is possible that this very "diplomatic mean" was Parsman's invitation at "friendly meeting" in Kappadokia. That's why, in our opinion, Parsman did not go to Kappadokia. He was not going to give up newly joined Zidrits' region and instead of hard talk with the emperor decided to deny the invitation.

2008 წლის 23 დეკემბერს საქართველოს ეროვნული მუზეუმის საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმისა და ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექციის კომანიტარულ მეცნიერებათა დეპარტამენტის (ხელმძღვანელი პროფესორი ლევან ურუშაძე) თაოსნობით თბილისში, საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმის დარბაზში ჩატარდა გამორჩენილი ქართველი მეცნიერის, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწის მიხეილ (მიხაკო) წერეთლის (1878-1965) დაბადებიდან 130-ე და და ცნობილი ისტორიკოსისა და ეთნოლოგის ვახტანგ ითონიშვილის (1958-2000) დაბადებიდან 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სამეცნიერო სესია.

სხდომაზე მოხსენებებითა და მოგონებებით გამოვიდნენ ლევან ურუშაძე, რუსუდან დაუშვილი, ოთარ ჯანელიძე, ხათუნა იოსელიანი, ნანა ფირცხალავა.

საიუბილეო სესიის პროგრამაში საკუთრივ ვახტანგ ითონიშვილის შესახებ აღინიშნა:

„შესრულდა 50 წელი ცნობილი ისტორიკოსისა და ეთნოლოგის, საქართველოს 1980-იანი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენლის ვახტანგ ითონიშვილის დაბადებიდან. სრულიად ახალგაზრდა, 42 წლისა წავიდა ჩვენგან და ყველას, ვინც კი მას იცნობდა, უდიდესი სევდა და ტკივილი დაგვიტოვა. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ უღმობელმა ბედისწერამ ესოდენ ნაადრევად დაუსვა წერტილი მის ლამაზ და ელვარე ცხოვრებას, ვახტანგმა შეძლო მნიშვნელოვანი წვლილი შეეტანა ქართული ეროვნული საისტორიო მეცნიერების განვითარებაში. ამის ნათელი მაგალითია, თუნდაც, საქართველოს და კავკასიის ისტორიის, ეთნოლოგიის საჭირობოროტო საკითხებზე გამოცემული მისი 20-მდე წიგნი და რამდენიმე ათეული სტატია. ბევ-

რი მათგანი წარმოადგენს ახალ სიტყვას მეცნიერებაში.

არ შეიძლება არ დავეთანხმოთ მისი კოლეგის და მეგობრის, ცნობილი ეთნოლოგის გიორგი გოცირიძის სიტყვებს: „საოცრად პრინციპული, პირდაპირი და მიზანმიმართული პიროვნება იყო. მტკიცე ნებისყოფის, ენერგიული, მღვრიე ტალღებს რომ მიაპობდა.

და სიცოცხლის დაუოკებელი სურვილით აღსავსეს დრო და სივრცე არ ეყო თავისი ნადვანის სრულად წარმოჩენისათვის. ვახტანგ ითონიშვილი მხოლოდ მოვლენას შეიძლება შევადარო, რადგან ნამდვილი მოვლენა იყო მეცნიერებაშიც და ცხოვრებაშიც, ნიჭით და გონებით გამორჩეული, ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში რომ მიიქცია ყურადღება.

ვახტანგ ითონიშვილი დაიბადა 1958 წლის 19 დეკემბერს თბილისში, ცნობილი ეთნოლოგის, პროფესორ ვალერიან ითონიშვილის ოჯახში. 1980 წელს დაასრულა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. ასპირანტურის დასრულებისთანავე, 1983 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. იმავე წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მოღვაწეობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერთანამშრომლად. 1988 წლიდან ლექციებს კითხულობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ჯერ ეთნოლოგიაში, ხოლო 1990-იანებ წლების დამდეგიდან კავკასიის ხალხთა ისტორიასა და საქართველო-კავკასიის კულტურულ ურთიერთობათა ისტორიაში. უნივერსიტეტის კავკასიის ხალხთა ისტორიის კათედრაზე მან შემოიკრიბა ასპირანტები და ნიჭიერი სტუდენტები, რომელნიც დღეს თავად ეწევიან ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობას. 1990 წელს ერთი წლით მიწვეული იყო ავსტრიაში, ვენის უნივერსიტეტსა და ეთნო-

ლოგიის ინსტიტუტში კითხულობდა საქართველოს ისტორიისა და ეთნოლოგიის კურსს.

ამ მშრალი ბიოგრაფიული მონაცემების მიღმა იმალება მისი დაუღალავი მრღვაწეობა, რომლის შედეგია სწავლულის მრავალფეროვანი და უმდიდრესი სამეცნიერო მემკვიდრეობა, რომელმაც ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა ქართულ საისტორიო მეცნიერებაში, ქართველოლოგიასა და კავკასიოლოგიაში. ვახტანგმა განუზომელი ამაგი დასდო კავკასიის ხალხთა ისტორიის, კავკასიის და საქართველოს ეთნოსოციალური ისტორიის, მიგრაციული პროცესების, საისტორიო გეოგრაფიის, კავკასიაში რუსული იმპერიული პოლიტიკის („რუსიანობის“) ისტორიის, ქართველი ერის ეთნოციდის საკითხების შესწავლის საქმეს. დიდია მისი ღვაწლი საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული კალენდრისა და ქართულ-კავკასიური ისტორიულ-ეთნოგრაფიული პლაკატების გამოცემაში. ნაყოფიერი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის გარდა, ვახტანგ ითონიშვილმა თავისი სიტყვა თქვა საქართველოს 1980-იანი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, იყო რა არაერთი საყურადღებო წამოწყებისა და ღონისძიების სულისჩამდგმელი. და ქართველი ერის ინტერესების უკომპრომისო დამცველი, იმავდროულად შორს იყო ყოველგვარი ფსევდოპატრიოტიზმისგან. სამეცნიერო საქმიანობაშიც და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობაშიც მუდამ იყო ისტორიზმის პრინციპის ერთგული.

ვახტანგ ითონიშვილის აქტიური მონაწილეობით დაფუძნდა ახალგაზრდა ეთნოლოგთა ასოციაცია, რომელსაც თავად უძღვებოდა. 1998 წელს მისი უშუალო მონაწილეობით შეიქმნა სანერთაშორისო ასოციაცია „კავკასია: ეთნიკური ურთიერთობები, ადამიანის უფლებები, გეოპოლიტიკა“ (საკეავ) და ევრომეცნიერების (სტრასბურგი) საქართველოს ეროვნული სექტ



ცია. იმავე წელს მეცნიერის აქტიური მონაწილეობით თბილისში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია „კავკასიის ხალხთა გენოციდი“.

ვახტანგისათვის საბედისწერო გამოდგა 2000 წლის 29 ნოემბერი, - ბრმა, უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა ეს უნიჭიერესი მკვლევარი და ის უმნიშვნელოვანესი გეგმები, რომლებსაც, სამწუხაროდ, არ ეწერა აღსრულება.

ვახტანგ ითონიშვილი, როგორც ეთნოლოგი

ვახტანგ ითონიშვილი მრავალმხრივი და ფართო დიაპაზონის მკვლევარი იყო. ის თავის სამეცნიერო კვლევა-ძიებაში წერილობით წყაროებთან ერთად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ეთნოგრაფიულ, ტოპონიმიკურ, ონომასტიკურ და ფოლკლორულ მონაცემებს. ეს მასალები მეტ-ნაკლები სისრულითაა გამოყენებული მის თითქმის ყველა ნაშრომში. ისიც ნიშანდობლივია, რომ ამ რიგის მასალები მოპოვებულია თვით ავტორის მიერ. ვახტანგ ითონიშვილი სტუდენტობიდან მოყოლებული, ინტენსიურად მონაწილეობდა ეთნოგრაფიულ ექსპედიციებში, რამაც უფრო აქტიური ხასიათი მიიღო მისი ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში სწავლისა და მუშაობის პერიოდში.

ვახტანგ ითონიშვილის ეთნოგრაფიული კვლევის სარბიელს წარმოადგენდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი, შესაბამისად, ამ კუთხეებში მოპოვებულ მასალებს დაეფუძნა სამეცნიერო კვლევა-ძიება. საკუთარი ეთნოგრაფიული მასალისა და წერილობითი წყაროების საფუძველზე, ვახტანგ ითონიშვილმა შექმნა პირველი ნაშრომი, სადიპლომოს სახით “ხანდოს ხევი”, რაც შემდეგ წიგნად გამოქვეყნდა. ნარკვევი გვაცნობს ხანდოს ხევის ეთნოგრაფიულ მდებარეობას, განსახლების სტრუქტურას, სამეურნეო პირობებს, მიწათსარგებლობის ფორმებს. გამოცემულ ნაშრომს თან ერთვის ეთნოგრაფიული ჩანაწერებიც.

ასპირანტურაში სწავლის პერიოდში ვახტანგ ითონიშვილმა საგრძნობლად გააფართოვა, როგორც წერილობითი წყაროების შესწავლა, ისე ეთნოგრაფი-



ული მონაცემების ფიქსაცია მთიულეთ-გუდამაყარში ამის საფუძველზე შეიქმნა მისი საკანდიდატო დისერტაცია - "ადმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა XIV-XVIII საუკუნეებში". ამ ნაშრომში, რომელიც წიგნად გამოიცა 2001 წელს, სათანადოდ არის გამოყენებული ეთნოგრაფიული მასალა.

ეთნოგრაფიული მასალების სიუხვით და მათი ორიგინალური ინტერპრეტაციით გამოირჩევა მისი წიგნი "ნარკვევები ქართველ მთიელთა ტრადიციული ყოფის ისტორიიდან" (თბ., 2003). მასში შესწავლილია მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ფორმები, მთიანეთის კუთხეების ლოკალიზაცია, მთიელთა რწმენა-წარმოდგენები და ა.შ.

1986 წელს გამოქვეყნებული წიგნი - "არაგვის ხეობა", მოიცავს მთიულეთის, გუდამაყარის, ხანდოს და ჭართალის ლოკალიზაციისა და ეთნონიმიკის საკითხებს, მართალია ამ ნაშრომში ჭარბობს საისტორიო წყაროების ანალიზი, თუმცა საკმარისად არის გამოყენებული ეთნოგრაფიული მასალაც. ვახტანგ ითონიშვილის, როგორც მკვლევარის მაღალ დონეზე მეტყველებს სწორედ ის, რომ იგი მშვენივრად უხამებდა ერთმანეთს წერილობითი წყაროებისა და ეთნოგრაფიული მასალის მონაცემებს.

ეთნოგრაფიული მასალის ინტერპრეტაციას მკვლევარმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა ნაშრომში - "ვერტიკალური ზონალობის პანორამა და დემოგრაფიული პროცესები საქართველოში" (თბ., 2003). გამოკვლევაში მონოგრაფიულადაა შესწავლილი საქართველოს ტერიტორიის ისტორიულ-გეოგრაფიული და ისტორიულ-ეთნოგრაფიული დარაიონების ტრადიცია კლიმატური პირობების, მეურნეობის ფორმებისა და ხალხური ემპირიული ცოდნის გათვალისწინებით. ვერტიკალურ ზონალობასთან კავშირშია გა-

ნხილული აგრეთვე დემოგრაფიული პროცესები, სახელმწიფო პოლიტიკა, მთიელთა მიგრაციის ხასიათი.

ვახტანგ ითონიშვილმა ადრიდანვე აიმაღლა ხმარუს მეცნიერთა ანტიქართული პოლიტიკის წინააღმდეგ. მის ნაშრომში “ქართველი ხალხის ეთნოსტრუქტურა მრუდე სარკეში” (თბ., 1990) კრიტიკულადაა შეფასებული არაერთი ავტორის ტენდენციური შეხედულება, მათი მცდელობა, ქართველი ხალხის შემადგენლობიდან გამოთიშონ და ცალკე ეთნოსებად გამოაცხადონ სვანები, მეგრელები, აჭარლები, იმერლები და სხვა. ამ ნაშრომში დასაბუთებულია, რომ ქართველი ხალხის ხელოვნური დანაწევრება, ქართველთა სახელმწიფოებრივი ინტერესების წინააღმდეგაა მიმართული.

უნდა აღინიშნოს, რომ ვახტანგ ითონიშვილის სამეცნიერო მემკვიდრეობაში საგრძნობლად ჭარბობს საისტორიო გამოკვლევები, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ყოველ მათგანში მეტ-ნაკლები სისრულითაა გამოყენებული ეთნოგრაფიული მასალაც, რაც კომპლექსური კვლევის კარგ მაგალითს წარმოადგენს და ვახტანგის ნაშრომებს გამორჩეულ მნიშვნელობას ანიჭებს. ვახტანგ ითონიშვილი იყო ისტორიკოსი, ეთნოლოგი და პოლიტოლოგი. ნათქვამის დამადასტურებელია სხვადასხვა პროფილეს მქონე მრავალი გამოცემული ნაშრომი, წიგნი თუ სტატია.

ჯერ კიდევ გამოცემული არ არის სადოქტოროდ განკუთვნილი ფუნდამენტური ნაშრომი “ღვალები და დვალები”, რომლის გამოქვეყნება კიდევ უფრო აამაღლებს ვახტანგის, როგორც მეცნიერის სახელს.

რედაქტორისაგან 3

ვალერიან ითონიშვილი
ლადო აღნიაშვილის ცნობები ფერეიდნელი ქართვე-
ლების შესახებ 4

Valerian Itonishvili

Lado Aghniashvili about Phereidianian Georgians 12

ვახტანგ ითონიშვილი
უცხოელ მკვლევართა ცნობები დვალეებისა და დვა-
ლეთის შესახებ 13

Vakhtang Itonishvili

Foreign Scientists about Dvals and Dvaleti 31

ხათუნა იოსელიანი
სწორფრობის ერთი ასპექტის შესახებ 32

Khatuna Ioseliani

About One Aspect of “Storproba” Tradition 37

შალვა გლოველი
დასავლურ-ქართული სახელმწიფოს – “აფხაზთა სა-
მეფოს” ჩამოყალიბება (პრობიზანტიური და ანტიბიზან-
ტიური პოლიტიკა) 38

Shalva Gloveli

The Formation of West Georgian State - “The Kingdom of
Abkhazians” 66



დავით ჭითანავა
 საოჯახო „ოხვამერი“ (სალოცავი) ქვევრის დამტკიცების რიტუალის ინტერპრეტაციისათვის 68

David Chitanava
 For the Interpretation of the Ritual of Broking Family
 “Okhvameri” Pitcher 84

მედეა გოგოლაძე
 „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ძირითადი ხატები ისტორიული მესხიერების კონტექსტში 86

Medea Gogoladze
 Historical Memory and the Main Images of “Kartlis Tskhovreba” 93

რუსუდან ლაბაძე
 დროის კონცეფციები თანამედროვე მედიევისტიკაში (ჟაკ ლე გოფი და ისტორიის დრო) 95

Rusudan Labadze
 Conceptions of time in the Modern Medievistics (Jacques Le Goff and the Time of History) 110

ირმა კვაშილავა
 ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელება ოსებში და ბრძოლა მისი განმტკიცებისათვის 111

Irma Kvashilava
 The Spreading of Christianity Among the Osetians and the Fight for its Establishment 126

ალექსანდრე ნაზღაიძე
ევრაზიის ისტორიული ეთნოგეოგრაფია 127

Alexander Nazghaidze
For the Historical Ethno - Geography of Eurasia 144

ცაცა ჩხარტიშვილი
პოლონეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობის
ისტორიიდან 146

Caca Chkhartishvili
From the History of Georgia-Poland Cultural Relations 157

ზვიად კვიციანი
თამაშების ისტორიისათვის საქართველოში
(ახარტული თამაშები წერილობითი წყაროებისა და
არქეოლოგიური არტეფაქტების მონაცემებით) 158

Z. Kvitsiani
Casino in ancient Georgia
(Gaming on the basis of written sources and archaeological
materials) 172

ქეთევან პავლიაშვილი
ადრეული სინაგოგისა და ადრეული ქრისტიანული
ეკლესიის ორგანიზაციის პარალელები 173

Ketevan Pavliashvili
The Organization Problems of Early Synagogue and Christian
Church 185

სოფიო ანდღულაძე

საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის დაკანონების საკითხისათვის XX ს. 20-იან წლებში და ეპისკოპოსი სტეფანე ბოდბელი (ვასილ კარბელაშვილი) 186

Sophio Andghuladze

For the Problem of Legalization of the Autocephaly of the Orthodox Church of Georgia in the 1920s and the Bishop of Bodbe Stephane (Vasil Karbelashvili) 201

გია კვაშილავა

კოლხური ოქროდამწერლობის ნიმუშის – ფესტოსის დისკოსა და მისი მონათესავე დამწერლობების გაშიფვრის შესახებ 202

Gia Kvashilava

On the Phaistos Disk as a Sample of Colchian Goldscript and Its Related Scripts 241

ინგა სანიკიძე

ისტორიზმებისა და არქაიზმების სტილისტიკური ფუნქციისათვის (ქართული ენის მასალაზე) 312

Inga Sanikidze

For stylistic function of the historisms and archaisms (Based on the materials of the Georgian Language) 322

კახაბერ ფიფია

იმპერატორი სეპტიმიუს სევერუსი და ლახეთის სამეფო 323

Kakhaber Pipia



კახაბერ ფიფია
ზიდრიტთა ოლქის პრობლემა იბერია-რომის დიპლო-
მატიურ ურთიერთობებში
(ახ. წ. II ს. 20-30-იანი წწ.) 336

Kakhaber Pipia

The Problem of Zidrits' Region in Iberia-Roman Diplomatic
Relations 348

ქრონიკა 349

ხათუნა იოსელიანი
ვასტანგ ითონიშვილი, როგორც ეთნოლოგი 353

ISSN 1512-2727



9 771512 272001

